

1967/2.

# მეცნიერება



1967

12

# გნეოთოგო

საქართველოს  
საბჭოთა მთავრობის

უძველესი ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუკნაწი

წელიწადი 44-ე

№ 12

დეკემბერი 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ე ა რ ს ი

დიდი მატყობის დაუვიწყარი სიუხილეთ დღეები . . . . .	3
ვიორა ლომიძე — გამოუკვეთებელი ლექსები . . . . .	8
გრიგოლ აბაშიძე — უკრანალი. რომანი ორ ნაწილად. პირველი ნაწილის დასასრული. . . . .	10
შალვა აბაშიძე — ლექსები . . . . .	48
შარანგ კიკვიძე — ჩემი ლამაზი ფიქრები. მოთხრობა . . . . .	49
ვახტანგ ჯაფარიძე — ლექსები . . . . .	75
ნული გაბრიძიძე — ლექსები . . . . .	76
იური კაჯაიანი — ტისფარი და მწვანე. მოთხრობა. თარგმანი ლიანა ჩხე- იძისა . . . . .	78
ირაკლი კინწურაშვილი — ორი მზის ცდომილება. ფანტასტიური მოთხრობა . . . . .	96

10.365

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ნ. მიჰაია — კოლხეთის გზაზე . . . . .	100
--------------------------------------	-----

## კ რ ი ტ ი კ ა

აბაგი ბაქრაძე — მითი „მთვარის მოტაცებაში“ . . . . .	111
მინილ ჯანდუკელი — ლირიკული გალანდოვანი ილია შამგავაძის მხატვრულ „გამოქმედებაში“ . . . . .	120
მ. კანდელაკი — მ. მიახვილი — ძარბული ლიტერატურის კრიტიკოსი . . . . .	129
ივ. სურგულაძე — სავაზრო „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით . . . . .	142
ვახტანგ აბაშვიძე — ძარბული რინესანსის კოლიტიკური იდეოლოგია . . . . .	150
ოთარ ზვინიძე — რუმინეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან . . . . .	159





შოთა შიშიზური — ილია ჭავჭავაძის ძენის საკითხები . . . . .	174
ვახია ჯიჯეიშვილი — დიდი მატომბერი და საკართველო . . . . .	181
ალ. რომაძე — ერთი ეთნოგრაფიული ნაწარმის შესახებ . . . . .	184
თარნაღ „მნათობის“ 1967 წლის ნომრების შენაარსი . . . . .	188



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე



სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე, ო. ტილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.



ტიპრედაქტორი რ. ჩავჭავაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ. მდივნის — 8-55-15, განყოფილებების — 8-55-16, 8-55-17, 8-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-67 წ. ქალღმერთის ზომა 70x108. ინაწყოების ზომა 7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02368. ტირაჟი 7.900. შვეკ. № 4001.



საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.





# ლილი მატოპეის ლაქიწყარი საიუბილეო

## ლ ლ ე ე გ ი

საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენმა მეგობრებმა სოციალისტურ ქვეყნებში და შთელს მსოფლიოში ზეიმით და აღფრთოვანებით იდღესასწაულეს ეპოქალური თარიღი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი.

საიუბილეო დღეებში მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალი მიპყრობილი იყო გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქვეყნისაკენ, რომლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნიზმის უჭკნობი იდეების დიადი, ცხოველმყოფელი ძალის მგაფიო დადასტურებას წარმოადგენს.

ოქტომბრის საღესასწაულო დღეებს შორის საბჭოთა ადამიანისათვის განსაკუთრებით სამახსოვრო დღედ დარჩება სამი ნოემბერი, დღე, როცა მსოცოეში — კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა. ამ ისტორიული შეკრებილობის საზეიმო განწყობილებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ სხდომას ესწრებოდნენ და მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების კომუნისტურ, ეროვნულ-დემოკრატიულ და შემარცხენე სოციალისტურ პარტიათა დელეგაციები, ეროვნულ-დემოკრატიული ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები, ოქტომბრის რევოლუციის და სამოქალაქო იმის მონაწილენი სოციალისტურ ქვეყნებიდან, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, აზიის და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის, ყურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვ. დელეგაციები.

სწორედ ამის გამო კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული საზეიმო სხდომა გადაიქცა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის მებრძოლი პროგრესული ძალების უდიდეს საერთაშორისო ფორუმად, რომელიც რამდენიმე საათს უდიდესი ინტერესით უსმენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის ღრმამინაარსიან მოხსენებას.

„შეიღმა ნოემბერმა, — განაცხადა თავის მოხსენების შეხავალში აშხ. ლ. ი. ბრეჟნემა, — ახალი ურა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, ახალი სოციალისტური წელთაღრიცხვის დასაწყისი გახდა. ამ დღეს საძირკველი ჩაეყარა ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. ოქტომბრის გამარჯვებამ დასახა სოციალიზმის იდეალების განსორციელების გზა, მოკლე ისტორიულ ვადებში ჩვენმა სამშობლომ დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და გადაიქცა ძლევაშისილ, მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა პირველმა შექმნეს სოციალისტური საზოგადოება, პირველმა დაიწყეს კომუნიზმის მშენებლობა. ოქტომბერმა მძლავრი ბიძგი მისცა მთელ მსოფლიო საზოგადოებრივ

განვითარებას, დააჩქარა რევოლუციური და განმათავისუფლებელი ბრძოლის წარუ-  
ლომა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რომელთა დროშით გაიმარჯვა ოქტომბერი,  
დღეს დაეფუძნენ მილიონობით ადამიანის გონებას და გულს, მძლავრ შემოქმედ-  
ებით ძალად იქცნენ. განვლილი ნახევარი საუკუნის ისტორიული შედეგი. ის არის,  
რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა მუშათა კლას-  
ის სასარგებლოდ, პროგრესის, დემოკრატიის და სოციალიზმის მთელი ძალების სა-  
სარგებლოდ“.

საზეიმო სხდომაზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ წარმომადგენელი ჩვენი  
მრავალეროვანი საშობლოს მოკავშირე რესპუბლიკებისა, მოძმე სოციალისტური  
ქვეყნებისა, საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა, იმ ქვეყნებისა და  
ხალხებისა, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის უღელი და დაადგინეს თავი-  
ანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას.

მოკავშირე რესპუბლიკების წარგზავნილთა სიტყვები აღსავსე იყო სიამაყით  
იმ გრანდიოზული წარმატების გამო, რომელიც სოციალიზმმა მოიპოვა მთელს ჩვენს  
ქვეყანაში და ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში; აღსავსე იყო სიამაყით ლენინური  
ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებათა გამო, მთელი ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი ის-  
ტორიის გამო; ამასთან აღსავსე იყო რწმენით, რომ პარტიის და ხალხის ურღვევი  
ერთობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მტკიცე მეგობრობა კვლავაც იქნება დი-  
დი ოქტომბრის საშობლოს შემდგომი წარმატებების, კომუნიზმისაკენ მისი ძლე-  
ვაშისილი წინსვლის ურყევი საფუძველი.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რა სოციალიზმის  
ძალების შესანიშნავი გამარჯვებანი, საჭიროდ ცნეს კიდევ უფრო განმტკიცდეს სო-  
ციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, მათი შეკავშირება, მათი ერთიანობა საერ-  
თო საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგატების სიტყვები  
გამსჭვალული იყო მტკიცე გადაწყვეტილებით — კვლავაც განაგრძონ მდგარი და  
შეუპოვარი ბრძოლა კომუნიზმის მაღალი იდეების განხორციელებისათვის, კომუნის-  
ტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნებისა და ხალხების  
წარმომადგენლებმა განაცხადეს: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის  
ცხოველყოფილი ზეგავლენით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ეროვნული თავი-  
სუფლება; კვლავაც არ დავიშურებთ ძალღონეს და ენერგიას იმპერიალიზმის ბატონ-  
ობის ყოველგვარი ნაშთის სრული აღმოფხვრისათვის ჩვენს ქვეყნებში.

ჭეშმარიტად ისტორიული იყო ეს საზეიმო საიუბილეო სხდომა. არა მარტო  
სხდომის უშუალო მონაწილეთა, არამედ რადიომსმენელთა და ტელემყურებელთა  
მრავალმილიონიანი აუდიტორიის თვალწინ კვლავ გაიარა საბჭოთა სახელმწიფოს  
მთელმა სახელოვანმა ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ და გადაიშალა საბჭოთა ხალ-  
ხის დღევანდელი მიჭეფარე შემოქმედებითი ცხოვრების მკაფიო სურათი, თახამედ-  
როვე რთული და ბოზოქარი მსოფლიოს სურათი.

ჯერ კიდევ ამ საიუბილეო სხდომის ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდ-  
ნენ საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები, როცა 5 ნოემბერს  
გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელისადმი. ამ მიმართვაში მოკლედ,  
მაგრამ შთაბეჭდავად აღნუსხულია საბჭოთა ხალხის მთავარი მონაპოვარი ნახევარ-  
რი საუკუნის მანძილზე.

საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა, რომელსაც უდიდესი აღმავლობით შეხედნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელი, მთელს მსოფლიოში გაქცეულმა, როგორც საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ გამარჯვებათა მანიფესტი, როგორც ახალი მკაფიო გამოხატულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და იმ მტკიცე რწმენისა, რომ გამარჯვება მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალი — კომუნისმი.

საიუბილეო დღეების დაგვირგვინებას წარმოადგენდა საოქტომბრო ზეიმი — დღესასწაული მოსკოვსა და ლენინგრადში. წითელ მოედანზე გამართული საშხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია თავისი გაქანებითა და სილამაზით იყო გრანდიოზული, მანამდე არანაშული, წარმტაცი სანახაობა. წითელდროშოვანი დემონსტრაციების უძლიერესი ნაკადი დაიღვარა ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელ, უიდეგანო სიერცეებზე, მოედო ლამაზ ქალაქებს და დაბა-სოფლებს, ყველგან ცხი კაბადონზე აკაფდნენ ხალუტების ვარსკვლავები, აენთნენ ილუმინაციათა დაფიონები. ოქტომბრის დიდი იუბილე იქცა ერთ-ერთ უბრწყინვალეს და ულამაზეს დღესასწაულად, როგორც კი უნახავს ჩვენი ქვეყნისა.

საიუბილეო დღეების ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლის გახსნა დედაქალაქის ცენტრში — მოსკოვის კრემლში.

მონუმენტთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენლებთან ერთად მიტინგზე მოვიდნენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების და მთავრობათა დელეგაციები და დიდძალი საზღვარგარეთელი სტუმრები.

— ამ დღეებში, საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წინ, — თქვა ძეგლის გახსნის წინ ლ. ი. ბრეჟნემა, — ყველა საბჭოთა ადამიანის აზრები და გრძნობები, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მიპყრობილია ლენინისადმი, რადგან არ არის სახელი, რომელიც ასე განუყრელად იყოს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის ისტორიის უდაოდეს მოვლენასთან — დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან, როგორც დაკავშირებულია მასთან ლენინის სახელი, ლენინის გენია, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი პარტიის ფუძემდებლის, მსოფლიოში მუშათა კლასის პირველი სახელმწიფოს პირველი ხელმძღვანელის, რევოლუციური ხალხის ბელადის ძეგლი აღმართულია სწორედ მოსკოვის კრემლში. კრემლი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის სიმბოლოა. აქ, კრემლში, არის ლენინის სამუშაო კაბინეტი და ბინა, — ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი ადგილები. მძიმე და მრისხანე წლებში აქედან ხელმძღვანელობდა ლენინი პირველ მუშურ-კლესურ სახელმწიფოს, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვას, წყვეტდა ახალი სოციალისტური ცხოვრების მოწყობის ურთულეს პრობლემებს.

ვ. ი. ლენინის მონუმენტი გვირგვინებით შეამკეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და, მათ შორის, საქართველოს დელეგატებმა.

განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით და ენთუზიაზმით გადაიხადა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი ქალაქმა, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყო სოციალისტური რევოლუცია, სადაც დასაბამი მიეცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

განუმეორებელ საზეიმო სანახაობას წარმოადგენდა ლენინის ქალაქი შვიდი ნომბრის საღამოს.

ლეგენდარული „აეროის“ ექვსდიუმინამა ქვემეხმა, ისევე, როგორც 50 წლის წინათ, 1967 წლის 7 ნომბრის სამახსოვრო წამს (მოსკოვის დროით) — ზუსტად 21 საათსა და 45 წუთზე დაიქუზა.

მთელ ქალაქს მოედო ქუხილი. იმავე წუთში ცეცხლის ნიაღვარმა გააკაშკაშა კრეისერი, მდინარე, ქალაქის ქუჩები და მოედნები. გუგუნებს ორმოცდაათი „ხალკი. ამაღლელებელი წუთია — იწყება ოქტომბრის საუკუნის მეორე ნახევარი. ნიჭის სანაპიროზე ათასობით ადამიანებმა დაინახეს, როგორ ინათა წითლად „ავრორას“ უკან გარიჟრაჟმა. დაიწყო ფეიერვერკი — არნახული ხილამაზის წარმოდგენა.

შუადღემდე გრძელდებოდა ლენინის ქალაქის დღესასწაული, რომელსაც ლენინ-გრაძელებმა „ავრორას“ დღესასწაული უწოდეს.

ორჯის ლენინის ორდენოსანმა ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი გადაიხადა, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი, უკვდავი იდეების გამარჯვებისა და ამასთან როგორც ახალი საქართველოს დაბადების, მისი არნახული სამეურნეო და კულტურული აყვავების დღესასწაული.

სარობდა და ზეიმობდა საქართველოს მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა.

იშვიათი აღფრთოვანებით და საზეიმო განწყობილებით ჩატარდა ნოემბერის სპორტის სასახლეში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, მშრომელთა წარმომადგენლებისა და თბილისის გარნიზონის ზეო-მართა მონაწილეობით. ყვავილებით და ტრანსპარანტებით საზეიმოდ იყო შორთული სპორტის სასახლის უზარმაზარი დარბაზი. მთელი საათის განმავლობაში მრავალ-ათასოვანი აუდიტორია შეუნელებელი ინტერესით უსმენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს აშ. ვ. პ. შვანაძეს, რომელმაც თავის მოხსენებაში შევეთ-რად და ნათლად დაახასიათა ბრძოლების და გამარჯვებების ის სახელოვანი გზა, რომელიც კომუნისტური პარტიის მეთაურობით და ხელმძღვანელობით გაიარა ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ — საბჭოთა კავშირმა; ვ. პ. შვანაძემ მოიყვანა ქართველი ხალხის უდიდეს წარმატებათა დამადასტურებელი მრავალი ფაქტი. საკმაო ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით საბჭოთა საქართველოს მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიოდა თითქმის 62-ჯერ, შეიქმნა მრეწველო-ბის ათობით ახალი დარგი, აშენდა და მწყობარში ჩადგა ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო. ასევე გიგანტური ნახტომი გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობამ, რომლის პროდუქცია თითქმის ექვსჯერ გაიზარდა 1913 წელთან შედარებით. საბჭო-თა საქართველო გახდა ჩვენი ქვეყნის ჩაის, ხილის, ციტრუსების, ლენინის და ეთე-როვანი ზეთების მთავარი მიმწოდებელი. ეკონომიკის ასეთმა არნახულმა აღმავ-ლობამ უზრუნველყო მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლება, შეცხიერების, ხელოვნების, ლიტერატურის და, საერთოდ, მთელი ქართული კულტურის აყვავება. შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ქართული კულტურა გახდა საბ-ჭოთა კულტურის შემადგენელი ნაწილი.

საბჭოთა საქართველოს ეს უდიდესი მიღწევები, ქართველი ხალხის ეს გრან-დიოზული მონაპოვარი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საიუბილეო დღე-ებში გაისმა როგორც დიდების ჰიმნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისად-მი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი და მათი შემოქმედის უკვდავი ლენინისადმი.

გადაავლეს რა თვალი რესპუბლიკის მიღწევებს ორმოცდაათი წლის მანძილზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სა-ქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მსურველე მისალმებით მი-მართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტ-

რთა საბჭოს და მათი სახით სახელგან ლენინურ პარტიას და მთელ გმირ საბჭო-  
თა ხალხს.

საზეიმო სხდომის მონაწილენი საქართველოს მშრომელთა სახელმძღვანელებს და  
ბენ, რომ ძალ-ღონეს და ენერგიას არ დაზოგავენ, რათა დაიცვან და ამრავლონ დი-  
დი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრები.

„ვფიცავთ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე, რეაქციის პერიოდში  
ენაფოტებზე, ზამთრის სასახლის იერიშის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამაშულო  
ომის დღეებში დაღუპულ გმირთა ნათელ ხსენას, რომ ყოველივეს ვიდონებთ კომუ-  
ნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის“.

შემოქმედებითი აღტყინებით, ჭაბუკური მხნეობითა და ენთუზიაზმით აღსავსე  
ქართველი ხალხი, შედის რა ოქტომბრის საუკუნის მეორე ნახევარში, კვლავაც ერთ-  
გულად და განუხრელად შეასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს მე-50 წლისთავზე  
დადებულ ამ ისტორიულ ფიცს — ყველა მომხმე საბჭოთა ხალხის მხარდაშხარ გა-  
აგრძელებს შეუპოვარ ბრძოლას და მედგარ შრომას ლენინის პარტიის მიერ დასაბუ-  
ლი პროგრამის განსახორციელებლად — კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად  
და დასამკვიდრებლად ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში და მთელს ჩვენს პლანეტა-  
ზე.

ამ დაუეიწყარი საყოველთაო სახალხო საიუბილეო ზეიმის მხურვალე მონაწილე  
ქართველი საბჭოთა მწერლობა, რომელიც მუდამ მხარში ედგა თავის მშობლიურ  
ხალხს გმირულ ბრძოლებსა და დაუცხრომელ შრომაში, რომელიც მუდამ ცდილობ-  
და სიმართლით აესახა მშრომელთა თავდადება სოციალისტურ სამშობლოსათვის, მათი  
მისწრაფებები და იდეალები, ახლაც არ დაიშურებს თავის შემოქმედებით ენერ-  
გიას, რათა ჩვენმა ორგზის ლენინის ორდენოსანმა რესპუბლიკამ ხორცი შეასხას კომუ-  
ნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობისათვის საზეიმოდ მიცემულ ამ საშვილიშვი-  
ლო აღთქმას.





## გამოუქვეყნებელი ღაქსები

\* \* \*

ჩემს დაბადების დღეს, აივანზე  
შემოფრენილა სამი მერცხალი,  
ბჭობა და რჩევა ჩემზე ჰქონიათ,  
რა ბედი მივცეთ და რა ფერწყალი?  
რა დავანათლოთ, წილი უყაროთ,  
ჰქონდეს როგორი დასახელება?  
ერთმა სთქვა: გული ამოუღაროთ,  
ვგზავნოთ ღრუბლების დასაკერებლად;  
მეორემ: მივცეთ გუთნისდედობა,  
აბრუნოს ბელტი ქართულ მიწისა;  
მესამემ ქართულ სიტყვის ვენახის  
ყარაულობა მე დამიწესა.  
ბოლოს დაასკვნეს:  
გინდაც სამივე მივცეთ უკლებლად!  
თვე იწურება, მაინც არავინ  
ალარა გვრჩება დასაჩუქრებლად.  
სამი ხელდასმა მე მომანიჭეს,  
და მეც ვისწრაფი, არ დავახანო  
მერცხლების ნაკურთხს რალა დამიჭერს,  
რომ გაზაფხული ხალხს არ ვახარო.



## ოსტატის დაბადება

მე დავინახე უცბად ციმციმი,  
 მდინარის ჭავლის მთვარის სხივთან შეტკბარუნება.  
 გაიხსნა ცა და ოქროს ჯაჭვი გადმოეკიდა  
 ვარსკვლავასხმული...

მტკვარი აინთო კელაპტარივით,  
 ათქვირებულ ტყვას აჰკრა აღმურმა,  
 მკვდარი ჯიქანი, მშრალი მარანი ამოშხრილდნენ  
 ერთი სიტკბოთი...

და რქვა ჭადაგმა:

— დიდი ოსტატი იბადება დიდი ტკივილით,

რომ ხალხის ტკივილს ემსახუროს.

რაც დღეს მუნჯაა, ხვალ ამღერდება,

აკიაფდება აზრი და ცეცხლი...

დიდი ოსტატი იბადება... და ბაგინეთზე

მზე ხვალინდელი უკვდავებას ეწურჩულება,


და როგორც დროსა ქარს ელოდება,

ისე ასპარეზს

დიდი მაცნე, ხუროთმოძღვარი...

დიდი ოსტატი დაიბადა...

განათლა მცხეთა...



## ქოჩნალი

### რომანი ორ ნაწილად

ნაწილი პირველი

ოთარმა სკოლა წარჩინებით დაამთავრა.

იმავე შემოდგომაზე ანდრომ თავად ჩაიყვანა თბილისში. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განცხადება შეატანინა და, სანამ ყველა საგანი არ ჩააბარა, არ მოშორებია.

ხუთმა წელმა ხუთი წამივით გაიზარა.

ოთარი უკვე სადიპლომოდ შრომაზე მუშაობდა.

ჯერ ხეირიანად გათენებულიც არ იყო.

სტუდენტთა ქალაქს ეძინა. კართან ზმურთი გაისმა და ზარმაც დარეკა.

ოთარი მძიმედ წამოდგა და კარი გააღო.

კართან სალომე და გიგა იდგნენ.

ტანაყრილი, სიჭაბუქეში შესული გიგა უმაღლესად გადაეხვია ოთარს.

სალომეს სახე გაღახული ჰქონდა და უძილობით დაღლილ თვალებში შუქი ჩაქრობოდა.

ოთარი დედაშვილურად გადააკონკრმასპინძელმა სტუმრები შინ შეიყვანა.

სალომემ იქაურობას თვალი მოავლო.

— ზომ არაფერ არის?

იკითხა ჩურჩულით.

— არაფერ. მარტო ვარ.

თქვა სალომეს სიფრთხილით გაკვირვებულმა ოთარმა.

— დავიღუპე, ოთარ! ანდრო წაიყვანეს.

ზმადებლა თქვა სალომემ და სკამზე ჩაიყვცა.

— როდის?

შეშფოთებით იკითხა გაფითრებულმა ოთარმა.

— გუშინწინ... გუშინ უკვე აქ გადმოგზავნეს.

იმ წელს უკვე თითქმის აღარაფერ „მიჰყავდათ“, მაგრამ ოთარი მაინც მიხვდა, რასაც ნიშნავდა სალომეს ნათქვამი.

დარტყანიებული გამრეკელი მოცეკვილივით დაეშვა საწოლზე; თავი ხელბეჭეში ჩარგო.

სალომემ ცოტა წაიტირა.

— ახლა რა ექნათ... რა ვიღონოთ?...

დაბნეულად იკითხა როდის-როდის გონსმოსულმა ოთარმა.

— ვინმე უნდა ვნახოთ... ციხეში უნდა მივაკითხოთ.

ლაპარაკობდა სასოწარკვეთილი სალომე.

— მეც წამოვალ... ახლავე წავიდეთ.

წამოდგა ოთარი.

— შენ ნუ... შენ ნუ გამოჩნდები... აქ რომ ვიყავი, იმასაც ნუ იტყვი. — შემოვთოდა სალომე.

— რას ამბობ, დეიდა სალომე... აბა ვისთვისია უნდა გამოვჩნდე? ეგ როგორ მითხარი!

იწყინა ოთარმა.

იმ დღესვე დატრიალდნენ, მაგრამ ვერც სალომეს „მიკითხვამ“ უშველა ანდროს და ვერც ოთარის „გამოჩენამ“.

ოთარ გამრეკელმა დიბლომი დაიცვა და სამუშაოდ კლდეეთში წასვლა შესთავაზეს.

ოთარმა სალომეს რჩევით თავის გარიდება არჩია და ისეთ შორეულ რაიონში გაემწყესა, სადაც არც მას იცნობდა ვინმე, არც მისი კავშირი იცოდნენ „გამოკლავებულ“ მოსამართლესთან.

სამუშაოს დაწყების დღიდან თავისი ხელფასის უდიდეს ნაწილს ოთარი ყოველთვიურად სალომეს უზიარებდა.

ბოროტ აღამიანებს რომ ეკვი არ აეღოთ, ოთარი ფულს დედის მოსამართით გზავნიდა, დედა ერთ ნაწილს თავისთვის იტოვებდა და დანარჩენს ფარულად სალომეს აძლევდა.

ომი რომ დაიწყო, ოთარი პირველსავე თვეებში ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა.

საკუთარი სახლის დარღვე მეტად ოთარს იქაც ანდროს ოჯახზე ფიქრი გაჰყვა.

ოთარის ატესტატით კუთვნილი ფულიდან გამრეკელის დედა ძველებურად ნახევარს სალომეს აბარებდა.

ამ რამდენიმე წლის წინ დაბრუნდა კლდეეთს დემობილიზებული ოთარი.

მატარებლიდან რომ გადმოხტა, არ იცოდა, საით წასულიყო. ომში წასვლამდე, ის კი ჰქონდა შეტყობილი, რომ ანდროს ოჯახი სხვა ბინაში გადაიყვანეს, მაგრამ სალომეს ახალი მისამართი არ იცოდა და ახლა სადგურზე გამკვლევ-გამომკვლელს ათვალეირებდა, ეგებ ნაცნობს ვისმე გადაეყვარო და გზაზე დამაყენოსო.

სადგურიდან ნელი ნაბიჯით გავიდა.

ვაგზლის უკან მდგარ მანქანებს ჩაუარა. სატვირთო მანქანის საჭესთან მჯდარი ჰაბუკი შენიშნა. ოფიცრს მძღოლის სახე ეცნაურა, შეჩერდა.

მძღოლი გივას გავდა, მაგრამ არც იმდენად, რომ მაშინვე სცემოდა, გამოცნაურებოდა და გადახვეოდა.

მძღოლმა თავი აიღო, მისკენ დაეინებით მზირალ ოფიცერს შეხედა და ნელ-ნელა შებლი გაეხსნა.

მანქანის კარი გაიღო. ჰაბუკი ოთარისაკენ წამოვიდა.

— ოთარი ხართ, თუ მეშლება?

იკითხა ჰაბუკმა.

ოთარმა ჩემოდნები დაღო, მკლავი გაშალა და გივას გადაეხვია.

ხვეწით რომ გული იჯერეს და ურთიერთ მოკითხვას მორჩნენ, გივა ისევ საჭეს მიუჭდა, ოთარი გვერდით მოისვა და მანქანა დაძრა.

— დიდი ხანია მძღოლობა დაიწყე?

— ერთი წელია. ჩვენს მეზობელ გარეშე ვისწავლე მანქანის ტარება. სამუშაოზე რომ მოვეწყე, დედას მერე გამოვუტყუდი. არ ესია მოვნა, მაგრამ რას იზამდა, ოჯახში გვიჭირდა, დღეღამ კერვისაგან დედას თვალში სინათლე აღარ ჰქონდა.

— რად უნდა დაეშალა? მძღოლობა ცუდი რით არი, გივა? მაგრამ, შენ ეს მითხარი, სწავლაზე როგორ გაქვს საქმე?

— დაუსწრებელ იურიდიულზე ჩავერიცხე და ვახერხებ, არა უშავს, ვათავსებ სწავლასა და მუშაობას.

ლიბილით თქვა გივამ.

— ო, ეგ კარგია, მამაშენის პროფესია რომ ავირჩევია.

გაეხარდა ოთარს.

— ესეც ჩვენი სახლი!

მოულოდნელად თქვა გივამ და მანქანა დაამუხრუჭა.

დაბალ შენობაში შეუძღვა გივა ოთარს. ბნელ, უსარკმლო ოთახს მხოლოდ ელექტრონის შუქი ანათებდა.

გათეთრებული, მხრებში მოზრილი ქალი საკერაგს უჭდა.

— ოთარი მოვიდა, დედი!

შორიდანვე შესმაბა გივამ.

სალომემ სათვალე მოიხსნა, სკამზე წამოიწია, მაგრამ მუხლებმა უსუსტეს და ჩაიკეცა.

როგორ მოტეხილა, დაბერებულა და გამოცვლილა სალომე ამ შვიდ წელიწადში! მართო რომ შეხვედროდა სადმე, ალბათ ვერც იცნობდა ოთარი.

ოთარმა სკამთან ჩაიჩოქა, სალომეს მოეხვია და ცრემლმორეულმა დაკოცნა თავისი კეთილი აღმზრდელი.

მილიციის უფროს გამომძიებლად დანიშნეს ფრონტიდან დაბრუნებული გამრეკელი.

სანამ ბინას მიიღებდა, ერთმა წელმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ოთარი ძველებურად სალომესთან შეკედლებული ცხოვრობდა და თხელი ტიხრით გაყოფილი ოთახის ცალ მხარეს ეძინა.

ანდრო აღარ იყო, მაგრამ მისი ოჯახი ისევ ძველებურად ცხოვრობდა, ალალი ლეკმითა და პატიოსანი შრომით.

სხვა მძღოლები სახელმწიფო მანქანებით აღმა-დაღმა დაჰქროდნენ და ხალტურით ჭიბეს ისქელებდნენ.

გიგა ზოგჯერ საათობით იყო თავისუფალი, მაგრამ ხალტურაზე გასვლა აზრად არ მოუვდიოდა. ტვირთის ან უფროსის მოლოდინში დროს არ ჰკარგავდა, ხელში წიგნი ეჭირა და თავაუღებლად კითხულობდა.

სამუშაო დღე გათავდებოდა თუ არა, მანქანას გარეშე დააყენებდა და შინისაკენ მიიჩქაროდა, რომ ისევ წიგნს ჩაჯდომოდა.

მალაროსკენ ცარიელი მანქანით მიმავალი, ზოგჯერ მგზავრებს წაიყვანდა მაგრამ სიკვდილს ილირსებდა და კაცი-შვილისგან ფულს არ აიღებდა.

— ერთად გაზრდილი ვართ, ამ პატარა ქალაქში ერთად ვცხოვრობთ და მათგან რომ ფული ავიღო, რაღა პირით უნდა შევხვედ მერე! — იტყოდა გიგა და ხელფასიდან ხელფასამდე ისე მიატანდა, სხვა შემოსავალი არ იცოდა რა იყო.

ანდროს მსგავსად, არც გიგა იყო ფულის ხარბი; თუ ჰქონდა, ხელის მო-

კერა არ შეეძლო, ადვილად ხარჯავდა; თუ არ ჰქონდა, არც ის აწუხებდა, იწილად მიდიოდა.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ოთარმა პირველი ხელფასი აიღო და უკლებლივ სალომეს მიუტანა.

სალომეს უარი არ გაუვიდა და, რაკი სხვა ვერაფერი გააწყო, ფარულად გიგა გაგზავნა ყორნალში და ის ფული ოთარის დედასთან გაატანა.

ოთარმა დედისგან ესეც შეიტყო: რაც გიგას მუშაობა დაეწყო, სალომე ოთარის ატესტატით თავის წილს აღარ ღებულობდა და დედა-შვილი თურმე იქით ეხმარებოდნენ უკაცოდ დარჩენილ ქვრივ-ობლებს.

ფიქრიდან ტელეფონის ზარმა გამოიყვანა გამრეკელი.

პროკურორი ეძახდა.

ოთარმა გამოძიების მასალებს თავი მოუყარა და პროკურორისაკენ გასწია.

მიდიოდა იმ გადაწყვეტილებით, რომ ზარიძის საქმეზე უარი ეთქვა. გრძნობდა, ეს გადაწყვეტილება არცთუ ისე გონივრული და ეთქვამოდა იყო, მაგრამ სხვა, უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა. გამოძიებაზე ხელის აღება უახლოესი ადამიანების დალატს, განსაცდელში მათგან გაქცევასა და მათ ბედზე ხელის დაბანას უდრიდა, მაგრამ გამოძიების ბოლომდე მიყვანა კიდევ უარესი იყო და საკუთარი ხელით იმივე ადამიანების დაღუპვას ემგვანებოდა.

პროკურორი მაგიდას მოშორდა და შუა ოთახში შეეგება გამომძიებელს.

— მომილოცავს, ოთარ! კვალს ჩადგომიხარ და საკმაოზე მეტი მასალა მოგიბოვებია!... დაჯექი, მიაბე...

პროკურორმა სკამი გამოუწია და ერთიმეორის პირისპირ დასხდნენ.

გამრეკელმა სტენოგრაფიული სიზუსტით გადასცა დაკითხვების ანგარიში.

— დამნაშავე თითქმის დანაშაულზეა დაქერილი, — აღფრთოვანებით შესძა-

ხა პროკურორმა, — დღისით, მზისით, მის მიერვე მოკლული კაცის ფული საქვეყნოდ გამოაქვს და ნაძარცვ ასმანეთიანებს არხეინად ზარჯავს.

— მაღაროს საერთო საცხოვრებლის მუშავეებს უჩვენებიათ, რომ ავალიანმა დასვა თავის მანქანაზე სასადილოს გამგე ზარიძე და იმავე სასადილოს თანამშრომელი ქალი, — განაგრძობდა პროკურორი, — ეს დაახლოებით რვა-ცხრა საათზე მომხდარა. ამის შემდეგ ზარიძე ცოცხალი აღარავის უნახავს, ხოლო მისი თანამშრომელი ციცი ლორია ახლაც ავალიანთან არის.

— ღიახ! მასთან არის და, როგორც გავიგე, ცოლად მიჰყვება გიგას.

— შენს პირს შაქარი! ეგ ცნობაც იმას ადასტურებს, რომ ავალიანმა და ლორიამ წინასწარ განზრახვით, გაძარცვის მიზნით მოჰკლეს ზარიძე და ახლა მისი ფულით საქორწინო მოგზაურობას იწყებენ.

პროკურორს სახეზე გამარჯვებულის ღიმილი გამოეხატა, მაგრამ ის ღიმილიცა და პათეტიური ტონიც უმაღლვე გაუქრა.

პროკურორი საქაღალდეს მისწვდა და გამრეკელს საქმიანი კილოთი ჰკითხა:

— ეჭვმიტანილები თუ დაკითხე?

— არა, ოფიციალურად ჯერ არა.

— ისე ესაუბრე?

— ღიახ, გიგას ვესაუბრე.

— მერე? მერე რას ამბობს, უარყოფს?

— ბოროტმოქმედებაში მის მონაწილეობაზე არაფერი მიმინიშნებია, მხოლოდ ის გამოვკითხე, წუხელ სად იყო და ვისთან.

— მერე?

— ადასტურებს, რომ ზარიძე და ლორია მან წამოიყვანა მანქანით. ზარიძე მთვრალი ყოფილა; კლდეებში რომ ჩამოსულან, გიგას მანქანა თავისი სახლის წინ გაუჩერებია; შინ უცებ შე-

სულა და უკან რომ გამობრუნებულა, ზარიძე თურმე აღარსად ყოფილა და ციცი ლორია ატირებული დახვედრიან. ციციოს თავისი ფული — ათასი მანეთი ზარიძისთვის ჰქონია მიბარებული, პარმენი იმ ფულიანა გაპარულა და გოგონა უკაპეიკოდ დაუტოვებია. რაკი ბილეთის ფული აღარ აღმოჩენია, ციციო სალომესთან დარჩენილა. ამ დღისას გიგა და ციციო ერთად ასულან ყორნალში. თურმე ზარიძეს ეძებდნენ, რომ ციციოს ფული გამოეერთმიათ.

— ეგ ყველაფერი უხეიროდ მოგონილი ზღაპარია! — ხელი ჩაიჭნია პროკურორმა, — მაგ ნაამბობში ერთი რამ არის მნიშვნელოვანი: დამნაშავე არ უარყოფს, რომ ზარიძე მან წამოიყვანა ლორიასთან ერთად კლდეეთისაკენ. გზად აუცილებლად შავკლდესთან უნდა გავეყოთ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მოკლულის გვამი აღმოჩნდა. ეს ადგილი ბნელი და უკაცურია. ზარიძე აქ მოჰკლეს და გაძარცვეს. ბოროტმოქმედებს არ შეეძლოთ იმის დამალვა, რომ ზარიძე მათ წამოიყვანეს, რადგან ავალიანის მანქანაში მთვრალი ზარიძის ჩაჯდომას მოწმეები ესწრებოდნენ.

რაკი მანქანაში ჩასხდომისა და ერთად წამოსვლის ფაქტის უარყოფა არ შეეძლოთ, დამნაშავეები ამბის დასასრულის ყოველად დაუჯერებელ ვერსიას გვთავაზობენ. ავალიანს ძალიან დარიბი ფანტაზია ჰქონია და მაგ ზღაპარს ვუღუბრყვილო ბავშვიც კი არ დაიჯერებს.

ერთი დეტალიც: კრიმინალისტიკაში ცნობილია, რომ დამნაშავენი, როგორც წესი, მეორე დღეს ბოროტმოქმედების ადგილს მოინახულებენ ხოლმე. ფსიქოლოგიურად ეს ბუნებრივი, გამართლებული ნაბიჯია: დამნაშავეს დანაშაული არ ასვენებს და იმის შეტყობა სურს, თუ რამოხდა ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ, ვისზე აქვთ ეჭვი და საით წარიმართა ძიება.

ციციო ლორია და გიგა ავალიანის მხო-

ლოდ ამ ინტერესით ავიდნენ დღეს დილას ყორნალში. ის ვერსია, თითქოს ზარიძეს ლორიას ფულის გამოსართმევად ეძებდნენ, მათ მიერვე გამოგონილია. დამნაშავეებს ამ შემთხვევაშიც ძიების მიმართულების გარკვევა უნდოდათ, რათა შემდგომში დანაშაულის კვალის ასარევად, გარემოების შესაფერისად ემოქმედნათ.

პროკურორი ეშხში შესული ლაბარაკობდა. ეტყობოდა, თავად ტუბებოდა მსჯელობის მწყობრი ლოგიკით და თავი მოსწონდა.

— მარტო ის ფაქტიც, რომ მთვრალი ზარიძე ავლიანმა წამოიყვანა მანქანით და, რომ დაღუპული იმ მანქანაში გაქრა, ყორნალიდან კლდეეთამდე, საცმარო საფუძველია ავლიანისა და ლორიას დასაპატიმრებლად.

პროკურორმა ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა და განაგრძო:

— დანაშაულის კვალი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საბუთებითაც ნათელია. მხილება საემარისზე მეტია და ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად ახლაც ვეაქვს სრული საფუძველი.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— აჯობებდა დამატებით, კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საბუთების მოპოვება, ამის შესაძლებლობა კი, ვფიქრობ, რომ არის, პირველ რიგში, სალაროდან გატანილ ფულზე ციცაგის ხელისმოწერას უნდა მივაკვიროთ.

— ეგ შეუძლებელია. ბოროტმოქმედი ავრე გულუბრყვილო იქნება, რომ მისი გამამკლავებელი საბუთი თან ატაროს? იმ ქაღალდს, ალბათ, ნაყუნაყუნად აქცევდა და მოლარის ხელისმოწერას სამუდამოდ მოსბობდა.

— ავლიანის ფულს ის ქაღალდი ისევ ზედ აკრავს. წედან ჩემი თვალით ვნახე, ბილეთებს რომ ყიდულობდა.

— რას ამბობ? მერე წარწერა? ციცაგის ხელისმოწერაც ნახე?

— არა, ხელისმოწერა ვერ დავინახე, ხელში ისე ეჭირა, არ ჩანდა. მაგრამ თუ გიგა ავლიანს ზარიძის ნაძარკვი ფულა

აქვს, იმ ფულს ჯვარედინი ქაღალდი აქამდე ზედ აკრავს და მოლარის წარწერაც ზედვე იქნება.

— თუ ავრეა, ავლიანი ერთ წამსაც არ უნდა დაეცოვოთ უმთავალყუროდ. ორი დღით ადრე თუ გვიან დაპატიმრებას გამოძიებისათვის არავითარი ენების მოტანა არ შეუძლია, სარგებელი კი შეიძლება დიდი მოაყვეს. დამნაშავეს რომ ციცაგის ხელმოწერილი ქაღალდი ზედ დაეუქიროთ, ამაზე კარგი საბუთი რაღა იქნება. თანახმა ვარ, ორ დღეს კი არა, მეტ ხანსაც გადავდოთ დაპატიმრება, თუ მაგ მთავარ საბუთს ვიგდებთ ხელთ.

— დიახ, ის საბუთი როგორმე ხელში უნდა ჩავიგდოთ, ექვმიტანილთა ყოველი ნაბიჯი უნდა აღვნიშნოთ და საქმე ისე წარვმართოთ, ბოროტმოქმედთა დანაშაულის აღიარების მეტი აღარაფერი დარჩეთ.

გამრეკელმა კარგად იცოდა, რომ საქმის გაჯიანურება ავლიანსა და მის საცოლეს ვერც დანაშაულს შეუმსუბუქებდა, ვერც რაიმე შეღავათს მისცემდა. მაგრამ, რაკი ოთარს მტკიცედ სწამდა და შინაგანად სჯეროდა, რომ გიგა მძარცველი და კაცისმკვლეელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, უნდოდა როგორმე, დამატებითი საბუთების მოპოვებით, მისი ეს რწმენა სხვასაც გაეზიარებინა. ოთარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ავლიანის ფულზე შემოკრულ ჯვარედინ ქაღალდს ციცაგის ხელმოწერა არ ექნებოდა და თუ ის ქაღალდის ძიების საქმეში მოხედებოდა. გიგას გასამართლებლად უთუოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

დაპატიმრების გადადებას გამრეკელი იმ წყალწაღებულის, დაყინებით ჩაეჭიდა; რომელიც თავის გადარჩენის ერთადერთ იმედს ხავსზე ამყარებს.

— თუ შენი ვარაუდი სწორია, ოთარ, — წარმოთქვა ფიქრში წასულმა პროკურორმა, — აქ დროს ტყუილად კარგავ. ახლაც ავლიანებთან გაჩნდი და გიგას თვალი არ მოაცილო.

— ამხანაგო, პროკურორო! — ბორ-

ძიკით დაიწყო გამრეკელმა და თავი ჩა-  
დუნა — ჩემი უდიდესი თხოვნა იქნება,  
გამათავისუფლოთ ამ საქმის წარმოები-  
საგან.

პროკურორმა ბოლთის ცემა უცებ  
შესწყვიტა და გამომძიებელს გაოცებუ-  
ლი მიაჩერდა.

— რაც გინდათ, სხვა საქმე მომეცით,  
ოღონდ ამისაგან გამათავისუფლეთ! —  
თქვა გამრეკელმა და მახვეწარი თვა-  
ლები პროკურორს მიაპყრო.

გამრეკელის ხმაში უბრალო თხოვნა  
კი არა, გულწრფელი მუდარა, სასო-  
წარკვეთამდე მისული ადამიანის ველ-  
რება ისმოდა.

— თქვენთვის ცნობილია, თუ რა ახ-  
ლობები არიან ჩემთვის ავალიანები.  
მე ანდროსა და სალომეს გაზრდილი  
ვარ, კაცად მით გამხადეს და ცხოვრე-  
ბის გზაზე დამაყენეს. ვალდებული  
ვარ სიკეთისათვის სიკეთით თუ ვერ  
გადავუხზი, სიავით მაინც არ მი-  
ეუზლო ამავის სანაცვლო. თუ ჩემი პარ-  
ტიულობა და სამსახური ნებას არ მაძ-  
ლევს ობიექტური არ ვიყო განსაცდელ-  
ში ჩავარდნილი მოკეთის მიმართ, იმას  
მაინც ნუ ჩამადენინებთ, რომ ჩემი ხე-  
ლით დავლუპო ჩემი აღმზრდელების ერ-  
თადერთი შვილი, რომელიც ჩემთვის  
საც მძსავით საყვარელია. ამასთან,  
ისიც უნდა მოგახსენოთ: ქვეყნის გა-  
დამბრუნებას უფრო დავიჭერებ, ვიდრე  
იმას, რომ ავალიანი ბოროტებას ჩაი-  
დენდა, კაცს მოკლავდა და გამარცხავ-  
და. გიგა ჩემ თვალწინ გაიზარდა და  
კარგად ვიცნობ, იგი უპატიოსნესი ვაჟ-  
კაცია, ჩემი თვალთ რომ ვნახო, მაინც  
ვერ ვირწმუნებ, მან ბოროტმოქმედება  
ჩაიდინოს.

— შენ ეგ მტკიცედ გჯერა, ოთარ?

— მტკიცედ, ურყევად მჯერა, რომ  
ავალიანი ამ საშინელ ბოროტებას არ  
ჩაიდენდა.

— ფაქტები?

— ფაქტები ამის საწინააღმდეგოდ  
მეტყველებენ, მაგრამ მე მაინც შინაგა-  
ნად მწამს, რომ გიგა მართალია და ეს

საზიზღარი დანაშაული მას არ ჩაუდენ-  
ნია.

გამრეკელის

პროკურორი დაფიქრდა და მუხუ-  
რებზე დაეხრებოდა. პაპიროსის ნაშვები საფერფლეზე  
დააგდო და გამომძიებელს თვალი  
თვალში გაუყარა.

— თუ შენ ავალიანის უდანაშაულო-  
ბა გულწრფელად გჯერა და გწამს, საქ-  
მე სხვას არ მიუგდო და თავიდან არ  
ნოიშორო.

გამრეკელს თითქოს ვიღაცამ უბიძგა  
და ბურანიდან გამოიყვანა.

პროკურორი იმას ეუბნებოდა, რაც  
მის სინდისს, შინაგან ხმას უნდა ეკარ-  
ნახა გამომძიებლისათვის.

— სწორედ შენი მაგ რწმენისა და  
ავალიანების ოჯახის წინაშე ვალდებუ-  
ლების გამო, უფლება არა ვაქვს  
უარი თქვა ამ საქმის წარმოებაზე და  
პონტოელი პილატეს მსგავსად ხელი  
დაიბანო.

ამის თაობაზე მე რაიკომის მდივან-  
თანაც მჭონდა საუბარი. ჩვენ ვენდო-  
ბით შენს პარტიულობას, სინდისსა და  
პრინციპულობას, ხოლო თუ შენ მაინც  
უარს იტყობი ამ საქმის ძიების გაგრძე-  
ლებაზე, ეს დანაშაული იქნებოდა შენი  
მეგობრების — ავალიანების ოჯახის  
წინაშე, საკუთარი სინდისისა და მოქა-  
ლაქების წინაშე. თუ შენ მართლა  
გულწრფელად გწამს ავალიანის უდა-  
ნაშაულობა, კიდევ უფრო მეტად ხარ  
ვალდებული ბოლომდე გამოიძიო გიგას  
ბრაღი და სიმართლე და ხელიდან არ  
გაუშვა მისი გამართლების უმცირესი  
შესაძლებლობაც კი.

ოთარი სდუმდა და ფიქრობდა.

— ამას გარდა, ექვმიტანილი მარტო  
როდია, — განავრძობდა პროკურორი, —  
ბოროტმოქმედებაში მასთან ერთად, და  
შეიძლება უფრო მეტადაც, ციციო ლო-  
რიაა გარეული. ჯერ კიდევ არავინ იცის,  
თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე. ეგებ  
ბოროტმოქმედების ჩამგონებელი და  
აღმსრულებელიც სწორედ ლორია იყ-  
ოს. ავალიანი ეგებ უნებური მონაწილე  
ან მოწმეა ბოროტმოქმედებისა...



გამრეკელმა თავი აიღო და პროკურორის გაფართოებული თვალებით მიამტერდა.

— ლამაზი ქალია?

გამრეკელი დაიბნა.

— კი, ლამაზია...

ისე დაუდასტურა, ჯერ კიდევ არ იცოდა, საით მიჰყავდა პროკურორის კითხვას.

— ძალიან ლამაზია?

კიდევ ჩაჰკითხა პროკურორმა.

— ძალიან? კი... ძალზე ლამაზია.

— მეტრამეტი სილამაზე აუცილებელი არ არი. მთავარია, რა თვლით შეხედდეს ქალს კაცი და რამდენად შეუყვარდება. როცა კაცს თავდავიწყებით უყვარს ქალი, მისთვის იგი ყველაფერია. ასე უგონოდ შეყვარებული კაცები ნებისყოფას კარგავენ, სატრფოს სრულ გაუღენაში ექცევიან და მისი ნება-სურვილის განუსჯელად ამსრულებელნი ხდებიან. თუ თავად ქალი პატივმოყვარე და ძლიერი ნებისყოფიანია, ასეთ კაცს თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენებს, შეუძლებელს შეაძლებინებს და, როგორცაც ისურვებს, ისეთ ბოროტმოქმედებას ჩაადენინებს.

პროკურორი წამით გაჩუმდა.

— გესმის, რასაც ვამბობ?

— გესმის, ამხანაგო პროკურორო.

— ჰოდა, ეგებ კვლევა-ძიების ამ ხანით წარმართვაში იყოს ავალიანის გადარჩენის ერთადერთი იმედი...

გამრეკელს თვალში შუქი მოემატა.

— ციცი ლორიას აქ ხეირიანად არ ვინ იცნობს. კაცმა არ იცის, ვინ არის იგი, საიდან და რატომ ჩამოვიდა კლდე-ეთში... ეგებ გამოცდილი ბოროტმოქმედიც იყოს. მისი ბიოგრაფიის შესწავლა საინტერესოა და საჭირო... მე მგონია, ვასაგებია...

პროკურორი წამოდგა და გამომძიებელს ხელი გაუწოდა.

— რას იტყვი, თანახმა ხარ გააგრძელო ძიება?

— თანახმა ვარ, სიტყვას გაძლევი, თქვენს ნდობას გავამართლებ.

მტკიცედ თქვა გამრეკელმა და ხელი ჩამოართვა.

— ახლა რას აპირებ? შიქმულტებსა გეგმა გაქვს?

იკითხა პროკურორმა.

— აქედან პირდაპირ ექვმიტანილებთან წავალ, თვალს არ მოვაშორებ და როგორმე დავეითხავ კიდევ. ამ საღამოს თბილისს მიემგზავრებიან და თუ საღამომდე ვერაფერს ვაეხდი, ვფიქრობ, მეც...

— შენც თბილისს უნდა გაემგზავრო!... წასვლამდე კიდევ მოვილაპარაკებთ. აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

პროკურორმა მხარზე ხელის დარტყმით გაამხნევა გამომძიებელი, კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

გამრეკელი სადგურს გასცდა და ფოსტას გაუსწორდა. ავალიანებისას მისვლა ეჩქარებოდა, მაგრამ რატომღაც ფოსტაში შევლა გადაწყვიტა.

შესვლისთანავე ციცოს მოჰკრა თვალი და შეჩერდა. ვითომ არც დაენახოს, მაშინვე უკან გამობრუნდა და ფოსტის წინ მჯდარი ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭისაკენ წავიდა.

— გავაპრიალოთ? გაეწმინდოთ, უფროსო?

დაფაცურდა ებრაელი ბიჭი.

გამრეკელი სავარძელში ჩაჯდა. შარვლის ტოტები ოდნავ აიწია და ყრულ თქვა:

— გაწმინდე.

ბიჭი ფეხსაცმლის წმენდას შეუდგა. გამრეკელი მწმენდავის ფართიფურტის ყურადღებას არ აქცევდა, თვალი ფოსტისაკენ ეჭირა.

ფოსტის უზარმაზარ ვიტრინაში კარგად ჩანდა: მაღალ მავიდასთან ციცი ლორია იდგა და წერილს წერდა. დრო და დრო თავს იღებდა, ჩაფიქრდებოდა და ისევ წერას განაგრძობდა.

ლამაზი ქალიშვილი ფოსტაში მყოფთა და გამვლელ-გამომვლელთა მზერას რალაც უზილავი ძალით იტაცებდა.

იგი თითქოს არც გრძნობს იმდენი ხალხის დაყინებულ მხერასო, მზრებში ოდნავ მოხრილი, დაუდევრად იდგა და წერდა.

უცებ ვილაცას თუ რაღაცას გაუღიმა ციციმ და ოთარი მიხვდა: ეს მომჯადოებელი ღიმილი, ამ ქალის ერთი ალურსიანი გამოხედვა საკმაო იქნებოდა, რომ კაცს თავზე ხელი აეღო, არაფრის წინაშე უკან არ დაეხია და ყველაზე საშინელი ბოროტბაც კი ჩაედინა.

ეს ციციო კი არა. ევა ილიმებოდა და აყრბალული ხილის საგემებლად უხმოდ ეძახდა მრავალრიცხოვან შთამომავლებს იმ პირველი მამაკაცისა, რომელიც ქვეყნის გაჩენის განთიადზე აცდუნა და, რომლის მწარე ვაკვეთილიც უღონო იყო, რათა მილიონობით გამრავლებულ ადამის ძეთათვის თვალის დაეხუჭვინებინა დამღუბველი, მაცდუნებელი მშვენიერების წინაშე.

მას შემდეგ, რაც ევამ ადამი აცდუნა, ციციობობის მთელი ცხოვრება საესე იყო თავგანწირვისა და ღალატის, კეთილშობილი გმირობისა და საშინელი ბოროტმოქმედების აურაცხელი მავალით და ყოველივე ამის შთამგონებელი თუ წამქეზებელი, მრავალ შემთხვევაში, იყო ქალი, ჭკუის წამართმევი მისი სიღამაზე და გადაულახველი, ყოვლის მძლეველი ცდუნება.

მშვენიერი ელენესა და დალილას ღანდი განუყრელად სდევდა ადამის მოდგმას, ომისა და შფოთისაკენ უბიძგებდა სიყვარულით დაბრმავებულ პარისებსა და ღონეს ართმევდა უძლეველ სამსონებს.

და ყველა ეს ევა, ელენე თუ დალილა სწორედ ასეთი იყვნენ — ქვეყნის დამქცევენი, მაგრამ უცოდველად მზირალნი, ერთი გაღივების ფასად სისხლის ღვარებს აყენებინებდნენ თავიანთ მიჯნურებს და თვალზე მომდგარი ცრემლის ერთი წვეთით ხმალს ქარქაშში ავებინებდნენ გამძვინვებულ შურისმგებლებს.

ასეთები, ციციოს მსგავსები. იქნებოდნენ ის ქვეყნის ამომგდები მზეთუნახა-

ვებიც, გარეგნულად ვითომ არჩეილები, დაუდევრები და უზრუნველები.

აი, დგას ციციო ვეებერთელა ვიტრინის იქით.

დგას უცოდველი კრავივით და თითქოს არც გრძნობს, რამდენი კაცის თვალისა და გულის დამბმელი, გონებისა და სისხლის ამმღვრევეია მისი უწყინარი, უზრუნველი მხერა!

ციციოს სულ მეორედ ხედავს ოთარი გამრეკელი. ახლა, კარგად რომ დააკვირდა, პროკურორის ნათქვამის სიმართლეში დარწმუნდა: ასეთი ქალი შეყვარებულ ვაჟკაცს მართლაც გონებას დააკარგვინებს.

გამრეკელი ციციოს არ იცნობს, მისი არც ხასიათი იცის, არც თავგადასავალი.

კაცმა არ იცის, რა დამოკიდებულება და ურთიერთობა ჰქონდა მას ზარიძესთან.

იქნებ მან პირველმა გადასწყვიტა ზარიძის ჩამოშორება გზიდან და გიგა მხოლოდ მისი იარაღი იყო!

მაშ რაღას ჩაჰკირკიტებს ახლომხედველი გამომძიებელი გიგა ავლიანის პიროვნებას, მის ხასიათსა და პატიოსნებას, რას ჩაიციებია საკუთარ რწმენას! რატომ აქამდე ვერ წარმოიდგინა, რომ ასეთი ქალის ტრფობის წინაშე ნებისყოფა და კეთილშობილება, პატიოსნება და სამართლიანობა მხოლოდ ცარიელი სიტყვებია!

ციციომ ჩაიციებულ იმ მხერა იგრძნო. უცებ მოიხვდა და ოთარმა შებრუნება ვერ მოასწრო.

მათი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს.

ქალიშვილს გამრეკელი ეცნაურა, მაგრამ, რაკი კაცმა სალაში არ მისცა, უცნობად ჩათვალა.

მაინც გაუღიმა, სახე იბრუნა და წერა განავაძო,

ოთარს უმალვე დაავიწყდა, რომ ამ ქალზე სწორედ ახლა ასკეტივით ფიქრობდა და სოფლისაგან გამდგარი ბერივით სჯიდა.

10365

— შენც მოგისყიდა ევას ღიმილმა!  
დაიჭირა ოთარმა წამიერ ცდუნებაში  
თავისი თავი და გაეცინა.

ფოსტაში გიგა შევიდა. მისკენ ზურგ-  
შექცეული ოთარი არც შეუმჩნევია.  
ციცოსთან მივიდა, ერთიმეორეს რაღაც  
უთხრეს, მერე გიგამ დაწერილი ბარათი  
გამოართვა, კონვერტში ჩაღო, დაბეჭდა  
და ყუთში ჩაავლო, ხელგაყრილები მო-  
პირდაპირე კარიდან შენობის მეორე  
მხარეს გავიდნენ და შინისაკენ გასწიეს.

გამრეკელმა მეფე-დედოფალს თავს  
გადასაგდებად ვერცხლით მოქედილი  
ორი ყანწი მოუტანა, ძმურად გადაეხ-  
ვია და გაბედნიერება მიულოცა.

მერე, ცოტახანს რომ ილაღობეს,  
ვითომ სასხვათაშორისოდ, ხუმრობითა  
და სიცილით დაჰკითხა ორივეს, ოქმებ-  
ზე ხელი მოაწერინა და, თითქოს ამით  
ყველაფერი გათავებულოყოს, იმ წუთი-  
დან წინა დღის მკვლელობა აღარ უხ-  
სენებია.

გონებაში კი ისევ ის მკვლელობა  
უტრიალებდა.

ოთახში სალომე შემოვიდა.

— ვიდრე სტუმრები მოვლენ და  
ქორწილი დაიწყება, ჩემოდნები ჩაალა-  
გეთ. შეილუბო, მერე იჩქარებთ და  
რამე დაგავიწყდებათ.

მიმართა შეილსა და რძალს სალომემ.

— მართალია. გიგა, ბარგი ახლავ  
ჩააწყეთ, მერე მაგის თავი სადღა გეჭ-  
ნებათ?!

დაუჭირა მხარი სალომეს ნათქვამს  
ოთარმა.

გიგა სიტყვის უთქმელად დაჰყაბულ-  
და. პატარა ჩემოდანი ტანსაცმლით  
გაავსო და ზემოდან ორიოდ წიგნიც  
დაუმატა.

ის იყო, ჩემოდნის დახურვა დააპირა,  
რომ სალომემ იკითხა:

— ფული? ფულს არ დებ? პატარა  
ჩემოდანია და ხელიდან არ მოიშო-  
რებთ.

— რაკი იკეტება, გირჩევნია ფულიც  
აქ ჩადო, — დაემოწმა ოთარიც.

გიგას ბევრი არ უფიქრია, პიჯაკია  
ჯიბიდან ფულის ის დასტავი ამოიღო.  
რომლის დანახვისთვისაც გამომძიმებულს  
სული მისდიოდა. ფული დაკეცილ პე-  
რანგქვეშ ამოსდო და ჩემოდანი და-  
ხურა. ფულის ამოღება და დაკე-  
ცილ თეთრუელქვეშ შემალვა ერთი  
იყო. გამრეკელმა სიტყვის თქმა ვერ  
მოასწრო, ვერც ვერაფრის გაკეთება  
მოახერხა, რომ უზომო ცნობისწყურ-  
ვილი ოდნავ მაინც დაექმაცოფილებინა.  
ოთარმა მხოლოდ იმას მოჰკრა თვალი,  
რომ ფულის დასტავა ჯერ კიდევ გერა-  
ქალაღი ჯვარედინად.

— რამდენია?

იკითხა სალომემ.

— ორიათასშვიდასია, სამასი წელან  
მოვაკელი, — თქვა გიგამ და ჩემოდანი  
კლიტით დაკეტა.

— მამასადამე, თავიდან დასტავში სა-  
მი ათასი ყოფილა. — გაიფიქრა მაშინ-  
ვე გამრეკელმა და ისევ აფორიაქდა.

ერთხანს კიდევ დარჩა ავლიანებთან.  
გუნებაშემამული თავს ძალას ატან-  
და. სუფრის გაწყობასა და სტუმრების  
დახვედრის თადარიგში შინაურით  
ერეოდა. საქმე რომ ბოთლებში ღვინის  
ჩამოსხმავზე მიდგა, შემთხვევით ისარ-  
გებლა, მეფე-დედოფალი დალოცა და  
აღღვრაქელა. მერე უცებ სამსახურის  
საქმე მოიმიზეხა და, სტუმრებმა რომ  
მოსვლა იწყეს, შეუმჩნევლად გაიპარა.

გამრეკელმა სწრაფად შეადგინა მი-  
ლიციის უფროსთან ერთად ოპერატიუ-  
ლი გეგმა. გადაწყდა: ოთარი დაუყოფ-  
ნებლივ მანქანით წასულოყო თბილისს,  
ხოლო ექვმიტანილებს, მათთვის უცნო-  
ბი მილიციის ახალი მუშაკი — ალანია  
გაჰყოლოდა გადაცემული.

ალანიას თბილისში დაბინავებამდე  
თვალი არ უნდა მოეშორებინა ექვმი-  
ტანილთათვის. იმ შემთხვევაში, თუ გი-  
გა სადმე ფულს დახარჯავდა და ასმანე-  
თიანების დასტავს იმ „მთავარ საბუთს“  
მოაცალებდა, ალანიას ის ქალაღი  
ხელთ უნდა ეგდო.

თბილისში ჩასვლისთანავე აღანიამ გამრეკელს შეხედებოდა და რესპუბლიკის სამძებრო მილიციის დახმარებით, ერთად გააგრძელებდნენ მუშაობას.

ყველაფერზე შეთანხმდნენ.

გამრეკელი მანქანაში ჩაქდა და თბილისისაკენ გაემართა.

იმ დღეს ელისოს ერთხელ კიდევ ჰქონდა შეტევა.

ადგილობრივმა ექიმებმა დიდხანს ატრიალეს ხელში ახალი წამალი, ინსტრუქციაც იკითხეს, მაგრამ, რაკი სათანადო გამოცდილება არ ჰქონდათ, ხერხემალი ნემსის ვაკეთება საარისკოდ მიიჩნიეს, ვერ გაბედეს და ლევანს ურჩიეს, ლენინგრადს თუ არა თბილისს მაინც წაეყვანა ბავშვი.

ავადმყოფის მძიმე მდგომარეობით სასაწარკვეთილ ლევანს ბევრი აღარ უფიქრია: ბილეთები აიღო და თბილისისაკენ გასამგზავრებლად მოემზადა.

თბილისში ორ დღეს დარჩებოდა, ყოველ შემთხვევისათვის, იქაურ ექიმებს მოინახულებდა და ლენინგრადს გაფრინდებოდა.

შეებულება აიღო და უფროსებს შეუთანხმდა, რომ თუ მკურნალობა გაგრძელდებოდა და ერთ თვეში უკან ვერ დაბრუნდებოდა, შეებულებას უფასოდ გაუგრძელებდნენ.

წასვლისას ელისომ მოიკეთა და კარგ გუნებაზე დადგა.

ვაგონში მოეწყვენ თუ არა, ბაქანზე ჩამოხდა და გამცილებლებთან მხიარული საუბარი გააბა.

მატარებლის გასვლას თხუთმეტი წუთიდა აკლდა, რომ სიმღერა გაისმა და სადგურზე მექორწილენი გამოეფინენ.

ელისომ, როგორც კი გიგა დაინახა, მისკენ გაჰქანდა და გადაეხვია.

შეზარბოშებულმა გიგამ იმოდენა გონება მალა ასწია და ძირს რომ დაეშვა, ალერსით ჰკითხა:

— როგორა ხარ, ჩემო გოგო? აცილებ ვისმე?

— არა, თბილისს მივდივარ.

— მაშ თანამგზავრები ვყოფილვართ... ჩვენც იქით მოვდივართ!.. მართლა, გაიცანი ჩემი ცო... — გიგას კინადამ წამოცდა „ცოლი“, მაშინვე გაასწორა, — ჩემი საცოლე!..

ელისომ ციკოს შეხედა და უმაღლესი დაკარგა. გოგონამ მუხლებში სისუსტე იგრძნო და თვალები აემღვრა.

ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი გაღიმებულ ციკოს ჰაერში შერჩა.

— რა იყო, ელისო, ცუდად ხომ არა ხარ?

შეწუხდა გიგა:

— ჰო, ცოტა... არა უშავს... გამივილის.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა ელისომ, იქაურობას თვალი მოავლო, მამა დაინახა, მისკენ წაბარბაცდა, მკლავზე დაეყრდნო და აკანკალებული ხმით უთხრა:

— ავიდეთ, მამი.

ლევანმა მხარზე ხელი მოჰხვია, კიბეზე ასვლა უშველა და ქალიშვილს ვაგონში შეჰყვა.

კუბეში შევიდნენ და ჩამოსხდნენ.

— ცუდად ხომ არა ხარ? წამალი ხომ არ გინდა?

იკითხა ლევანმა და ელისოს აღგზნებულ თვალებში ჩააცქერდა.

— არა... არაფერი არ მინდა... შენ გადი ცოტახნით, კარი მოხურე... მე ვევიხდი... დაწვეები.

ლევანი უსიტყვოდ დამორჩილდა. გავიდა და კარი ჩუმად გაიხურა.

მატარებელი დაიძრა.

ნაჭეიფარი გამცილებლები ერთხანს სიმღერითა და შემახილებით მიჰყვენ აძრულ ვაგონებს.

ლევანი ხედავდა: სალომეს მანდილი მოეხადა, იმ მანდილს შვილსა და რძალს უქნევდა და ლოყებზე სიხარულის ცრემლი ჩამოსდიოდა.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა. სად-

გურს ვასცდა, მოუხვია და უცებ გვირაბში შეჰყო თავი.

წამით თითქოს გარესამყაროს მოსწყდა მატარებელი. ჩამონღვლებულ გვირაბში დროდადრო ელნათურები ელაგდნენ და დაგუდულ რყევაში გაბმით ისმოდა ბორბლების რიტმული რახუნნი.

ციცო და გიგა კუბეში შევიდნენ.

ლევანი მარტო დარჩა დერეფანში. სარკმელს გაჰყურებდა, მაგრამ იმ სარკმელიდან ღამის წყვილიაღში არაფერი ჩანდა...

აგერ, ლევანის თვალწინ ვაიზარდა გიგა, მისი უახლოესი მეგობრის — ანდროს ერთადერთი შვილი...

როგორ არ ეცადა პატარობიდანვე მის დაახლოებას, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეძლო, ანდროს ბიჭი მის ალერსსა და ზრუნვას გულთან არ იკარებდა და თვითონ ლევანსაც როგორღაც ნაძალადევად გამოუღიოდა.

„წაყვანამდე“ მათი ოჯახები განუყრელნი იყვნენ.

ლევანი კლდეეთის პროკურორი იყო და სასამართლოს თავმჯდომარესთან მისი სიახლოვე მარტო სამსახურებრივი ურთიერთობით კი არ თავდებოდა, ოჯახურადაც ერთად იყვნენ და ჭირიცა და ლხინიც ერთი ჰქონდათ.

ანდროს და ლევანი ერთ ღამეს წაიყვანეს.

ლევანი დაღუპვას გადაარჩა და თავს რომ სამუდამოდ დაღუპულად თვლიდა, მოულოდნელად გაათავისუფლეს.

გათავისუფლების ცნობა ახალი მიღებული ჰქონდა, რომ, საღ იყო, საღ არა, პატიმრობისაგან დაუძღვრებული ძმისწულის ჩამოსაყვანად მამიდა სოფიო გაჩნდა.

— აღარც ახლა დამიჯერებთ, რომ იმ კაცს მოეწონდი? — სიცილით დაიწყო სოფიომ, ძმისწულის ხვევნა-კოცნას და ამბების გამოკითხვას რომ მორჩა. — მოეწონდი კი არა, თანხმობის ერთი სიტყვა კმაროდა ჩემგან, მარტო ერთი სიტყვა, რომ თავისი ფეხით წამძლო და ჯერის დასაწერად.

ლევანი გაოცებული შეჰყურებდა უკვე ხანშიშესულ, გაუთხოვარ მამიდას. სოფიოს აღრეც ბევრჯერ უამბნია, თუ როგორ მოსწონდა ჰაბუჯ სტალინს, როცა ისონთან ერთად გაუქმებულ მადაროში იმალებოდა.

ახალგაზრდებს ჰქადარა შინაბერასი არც ძველი, გარდასული სილამაზის სჯეროდათ, არც მისი სატრფიალო თავგადასავალის; ერთსაც და მეორესაც ტრამბახად უთვლიდნენ და დასცინოდნენ.

— მოსკოვს გამგზავრება რომ გადაწყვიტე, — ჰყვებოდა ძმისწულთან ჩასული სოფიო, — ზოგმა სიცილი დამაყარა, ზოგმა მირჩია, არ გამოჩნდე, ამ სიბერეში შენც არ დაგიჭირონო, მაგრამ როგორღა დავიშლიდი!

რაც მე იმისთვის ჩამონგრეულ, ბნელ მადაროში სასმელ-საჭმელი მიზიდნია, რაც მე იმისგან მადლობა და დაპირებები მიმიღია, როგორ დამეჭვრებინა, რომ ყველაფერს დაივიწყებდა და იმდენ პატივისცემას ფეხს დაადგამდა! რაც წაიყვანეს, შვილო ლევან, იმ დღიდან ყველას გამოტირებული ჰყავდი; მარტო მე მჯეროდა, რომ ცოცხალი იქნებოდი და ის კაცი ამ ქვეყნად კიდე მოგაბრუნებდა. რაკი გულში ეს რწმენა ჩავინერგე, უკან აღარ დავიხიე, დავკარი. ფეხი და ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში ამოვეყვი თავი.

როგორც დავბინავდი, ტელეგრამა დავწერე და პირდაპირ იმ კაცის სახელზე ვაფრინე.

ორი დღეც არ გასულა, რომ კრემლიდან მომაკითხეს: ამხანაგი სტალინი ბოდიშს იხდის, მოუცლელობის გამო თვითონ ვერ მოგინახულათ და გთხოვთ იქ ეწვიოთო.

ერთი შეშინება კი შევშინდი და შეეყოყმანდი, მაგრამ რაღა დროს უკანდახევა იყო! ჩაეჯექი მანქანაში და წავედი. საღლა მახსოვს, რამდენი კიბე და დერეფანი გავიარე, ან რამდენ თოფიან და ბიშტიან კაცს გავცდი. ბოლოს გამი-

დეს კარი და უშველებელ ოთახში შე-  
მიშვეს.

იმხელა იყო ის ოთახი, ცხენი გაჭენ-  
დებოდა!

შორს, გრძელი ოთახის თავში, მაგი-  
დასთან მჭდარი კაცი წამოდგა და ჩემ-  
კენ წამოვიდა. მოახლოებისას შეკრუ-  
ლი შუბლი გაეხსნა და მკაცრ, დაღლილ  
სახეზე ალერსიანი, თბილი ღიმილი გა-  
დაეფინა.

ის სითბო და ღიმილი შერჩენოდა  
ადრინდელი, თორემ სხვა მხრივ ძალზე  
გამოცვლილი მეჩვენა.

მიახლოებისთანავე ხელი გამომიწო-  
და და დარბაისლურად მომესალმა.

— როგორა ხარ, სოფიო, ხომ კარ-  
გად?

მკითხა და თავით ფეხამდე ამთვა-  
ლიერა.

შევატყვე, სულ სხვა სოფიოს შეხვედ-  
რას მოელოდა და ხელში რომ ძალზე  
გამოცვლილი, ჯაფისაგან გატეხილი და  
ერთიანად გაჯალარავებული დედაკაცი  
შევჩინე, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.  
იმედის ვაცრუება არ შეიშინია და  
ხუმრობით მითხრა:

— ბარაქალა შენს ქალობას, დიდად  
როდი გამოცვლილხარ!

გასაწითლებელი და საკეკლუცო რა-  
და მქონდა, მაგრამ გული ბაგა-ბუგით  
მიცემდა და ვგრძნობდი, რომ სახეზე  
ალმური მედებოდა.

— დაბრძანდი, სოფიო, მიაშბე რო-  
გორა ცხოვრობთ.

„სოფიოს“ ახალგაზრდობაში მე-  
ძახდნენ და სოსომ რომ ადრინდებუ-  
რად ამ საალერსო სახელით მომმართა,  
ყინული უცებ გალხვა, მის მიმართ ძვე-  
ლებური სითამამე დამიბრუნდა და გუ-  
ლი მეტყინა, რომ იმოდენა დროს ასე  
თვალსა და ხელს შუა უფერულად გა-  
ერბინა.

— რამდენი ფილი გყავს, სად არიან.  
რას აკეთებენ?

— ეეჰ, შვილი სადა მყავს, ჩემო სო-  
სო!

ოხვრაცა და „სოსოც“ თავისთავად,

ჩემს უნებურად აღმოხდა და წამოწყ-  
და.

— რათა, ქალო? ეროვნული  
გზული მოძრაობა  
გაიკვირვა.

— თავის დროზე არ გავთხოვდი...  
მერე, დრო რომ გადავიდა, ოჯახს ვეღარ  
შეველიე და ასე დავჩინე.

— ჰოო! შენ წუნია იყავი!  
თქვა და მის ხმაში საყვედურის კი-  
ლო მომესმა.

ცოტახანს ფიქრმა წაიღო, მერე უც-  
ებ გამოფხიზლდა და სიცილით თქვა:

— ალბათ ძალიან ბევრი არჩიე... რას  
იზამ, წუნია გასათხოვრებს ეგრე ემარ-  
თებათ.

— მარტო მაგიტომაც არა, სოსო, —  
ისევ წამომცდა და უმაღვე მოვიბოდი-  
შე, — მაპატიე, ასე მომართვა, ძველმა  
ჩვეულებამ დამძლია, თორემ ჩემგან ეს  
ალარ გეკადრებათ.

— არა უშავს, სოფიო, ჩემთვის ეგ  
უფრო სასიამოვნოა.

დამიყვავა და ისევ ის თბილი, ალერ-  
სიანი ღიმილი შემომანათა.

— იმას მოგახსენებდი, — დაუბ-  
რუნდი სათქმელს, — იასონმა კოლი  
აღრე დაკარგა და მისი ბავშვის აღზრ-  
დაზე ჩემს მეტს ვის უნდა ეზრუნა. იმ  
ბავშვს გადაეყვით და ჩემი ახალგაზრ-  
დობა ოჯახს შევწირე.

— რამდენი შვილი ჰყავდა იასონს?  
იმათი რატომ არა გამიგია რა?

— ქალ-ვაგი ჰყავდა უბედურს. ქალი  
აღრე გარდაეცვალა. ერთადერთი ვაგი  
დარჩა. მამაჩემის დიდი ოჯახიდან ის  
ერთი ბიჭი დაღინდილობდა და ისიც  
ალარ ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი.

ამ სიტყვებზე ცრემლი წამსკდა და  
ჭვითინი ამივარდა.

— სტირი, ქალო? აბა, ეგ რა საკად-  
რისია! მიაშბე, რა მოუვიდა, იქნებ ეშ-  
ველოს და სატირალი სულაც არა იყოს  
რა.

ცრემლი მოვიწმინდე და მოკლედ ვუ-  
ამბე შენი დაპატიმრების ამბავი.

შევატყვე, ეწყინა, ცოტა დაფიქრდა,  
— თუ მეტი ბრალი არა აქვს რა,

შენი და ისონის ხათრით ვუშუადგომ-  
ლედ და აპატიებენ—მძიმედ, უხალისოდ  
თქვა.

— ბრალსა და სიმართლეს ვინაა არ-  
ჩევს, ბატონო, კაცს აღარ ტოვებენ  
დაუპატიმრებელს და ყველა დამნაშავე  
როგორ იქნება—მეთქი, წამომცდა მე  
ენაგასახმობს.

ამისა თქმა და მისი შუბლის შეკვრა  
ერთი იყო. სახე საიდრო ღრუბელივით  
მოელუშა, ხელები ზურგზე დაიწყო და  
გულმოსულმა გაიარ—გამოიარა.

მივხვდი, რომ ზედმეტი მომივიდა,  
შევწუხდი, ვაითუ ჩემი დაუკვირვებ-  
ლობით ამისწულის საქმე გვაფუჭე-  
თქო და უხეიროდ ნათქვამის გამოკე-  
თება ვცადე:

— სხვისი ამბავი მე არც ვიცი და  
არც მეკითხება, ბატონო, მაგრამ ისონ-  
ის შვილი რომ უდანაშაულოა, ხატზე  
დავიფიცებ.

ამ სიტყვაზე ტუჩთან ღიმილმა გა-  
დაჰკრა. სარკმელთან შეჩერდა და პირ-  
მოუბრუნებლად მკითხა:

— აბესალომი რასა იქს, ხომ ცოც-  
ხალია?

მივხვდი, უხეიროდ ნათქვამი მამატი.

— ცოცხალია, ოღონდ აღარ წირავს.

— როგორ, ისიც გაიპარსა? აბესა-  
ლომი და ნახუცრობა კი ველარ წარმო-  
მიდგენია!

— არა, როდი გაპარსულა... ოღონდ  
მეტისმეტად შეავიწროვეს ახალგაზრ-  
დებმა. ეკლესიაში აღარავინ დადიოდა  
და ბავშვს აღარავინ ანათვლინებდა.  
სულ დევნასა და დაცინვას, თავის გა-  
რიღება აირჩია. ზის შინ და ვენახსა და  
ბაღში მუშაობით იქცევს თავს.

— საღვთო წერილის ეგეთი მცოდნე  
და მორწმუნე, თავის დროზე, საქართ-  
ველოში მეორე არ იყო. ბევრჯერ მი-  
კამათნია აბესალომთან და, მისი  
ცოდნის სიღრმითა და რწმენის ურყე-  
ვობით არა ერთხელ მოგხიბულუვარ.  
დიდხანს ვისაუბრეთ. ვინ არ გაიხსე-  
ნა და ვინ არ მოიკითხა!

მერე სადილად მიმიწვია.

დამშვიდობებისას ბოღში მოიხადა.  
მოუცლელად ვარ, მაგრამ მოსკოვში  
თუ კიდეც დარჩები, კვლავაც შეგხვდე-  
ბითო.

— მოსკოვში როგორ დავრჩები, ცე-  
ცხლზე ვზივარ, ჩემს ოჯახს ჩემს მეტრ  
მიმხედავი ვინა ჰყავს—მეთქი, ვუთხარი.

მაშინ რკინის სეიფი გამოაღო,  
ფულის დიდი შეკვრა გამოიღო და გა-  
მომიწოდა.

— ამ მეორე ნობათზე უარი არ მიტბ-  
რა, თორემ მაწყენინებ. — კი არ მთხო-  
ვა, მიბრძანა. — ეს ფული ჩემი ჰონორა-  
რიდან არის და სიმციროსათვის არ და-  
მემდღრო. — ღიმილით დაამთავრა და  
ხელი ჩამომართვა.

— დიდი მადლობა, სოსო, შენი ჭი-  
რიმე... დიდი მადლობა, — აგბუტბუტ-  
ლი.

მერე თავი ვერ შევიკავე, შენმა დარ-  
დმა თავაზიანობა დამაგიწყა და სულ-  
მოკლე გამხადა.

— რა იმედით მიშვებ, სოსო... ჩემი  
ამისწულის საქმე როგორ იქნება? —  
შევსტირე მე უბედურმა.

— შენ წაბრძანდი და ყველაფერი  
რიგზე დაგხვდება.

მტკიცედ თქვა.

— მართლა, შენი ჭირიმე?

არ მოვეშვი, ჩაკეითზე და მაშინვე შე-  
ვატყე, რომ ისევ ზედმეტი მომივიდა.

— სტალინმა ტყუილი არ იცის.

ცოტა არ იყოს, ცვიად თქვა.

არ ვიცი, რა დამემართა, ან როგორ  
მოხდა, უცებ დავიხარე და მის ხელს  
საკოცნელად დავეწაფე.

— ეგ რა საკადრისია, სოფიო... სემი-  
ნარიაში კი ვსწავლობდი, მაგრამ მღვდე-  
ლი როდი ვარ! — იწყინა და ხელი ძა-  
ლით გამომტაცა.

დამნუღლმა ველარაფერი მოვიფიქ-  
რე. ერთი სასოებით შევხედე.

— ღმერთი გადაგიხდის შენს დიდ  
საქმეებში—თქო, შევძახე, თავი დავუკა-  
რი და კარისკენ ფაცხა—ფუცხით წამო-  
ვედი.

კართან წამით შემოვბრუნდი.

ისევ იქ იდგა. ხელები ზურგზე დაეწყო და აღერსიანი, თბილი ღიმილით მაცილებდა.

ახლაც არ ვიცი, იმ ნაღვლიანი ღიმილით მე მაცილებდა, თუ გარდასული სიკვამლეის ოცნებას.

მატარებელი ჯერ კიდევ ვიწრო ხეობაში მიჰქროდა, მოსახვევიდან მოსახვევში შერბოდა და საშინლად ირყეოდა.

მოგონებაში წასული ლევანი ღამის წყვდიადს გაჰყურებდა. სიბნელეში ალაგ-ალაგ მდინარის ვერცხლისფერი ზედაპირი თევზის ქეცედივით გაიფლევებდა და მატარებელს ფერხულჩაბმულივით მისდევდნენ ერთიმეორეზე მიჯრილი ხეები.

ციმბირიდან დაბრუნებულ ლევანს კეთილი თვალით აღარავინ უცქეროდა. მთელმა კლდეებმა იცოდა, რომ ლევანი და ანდრო ერთ საქმეზე იყვნენ დაპატიმრებულნი.

ლევანის მარტო დაბრუნებამ ყველას ეკვი აღუძრა. იმ ეკვს სალომე კიდევ უფრო აღვივებდა და ლევანს საქვეყნოდ კანესა და მეგობრის მოღალატეს ეძახდა.

ლევანს ჩამოსვლისთანავე უნდოდა სალომესთან მისვლა, მაგრამ ეკვითა და მითქმა-მითქმით გააუბლელმა მეგობრის ცოლმა პირველ დღესვე შეუთვალა. არ დამენახოსო.

ლევანი მაინც ცდილობდა, როგორმე სალომე ენახა, მისთვის თავისა და ანდროს დაპატიმრების მიზეზებსა და გარემოებებზე ეამბნა, მაგრამ სალომე სათოფეზე არ იკარებდა. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ ანდროს ოჯახი მისთვის დაკარგული იყო, თავადაც მოეშვა და ხელი ჩაიქნია: სულ ერთია, სალომე მაინც ვერ გაიგებს ანდროსა და ჩემი ურთიერთობის გულწრფელობას. უნებურ დანაშაულს ვერ მამატიებსო. ღდასკენა და მთელი იმედი იმაზე დაამ-

ყარა, ეგებ ანდრო ცოცხალი იყოს და ისიც დაბრუნდესო.

თითქოს უნდა შინებოდა მეგობრის დაბრუნებისა, მაგრამ ლევანს სწამდა, რომ ანდრო გაუგებდა, შეუნდობდა და დანაშაულად არ ჩათვლიდა უნებურ შეცდომას თუ წინდაუხედაობას, რადგან მათ მეგობრობაში ბოროტს წილი არასოდეს სდებია და ერთიმეორის მიმართ ავი განზრახვა გულში არც ერთს არასოდეს უტარებია.

— ბიძია ლევან!

ჩაესმა ლევანს გაუბედავად ნათქვამი და ფიქრიდან უმაღვე გამოერკვა.

უკან მოიხედა. კედელთან გიგა იდგა.

— ბიძია ლევან, თუ შეიძლება, ერთი თხოვნით შეგაწუხოთ.

თვალგაუსწორებლად, დარცხენილად მიმართა გიგამ.

ლევანმა გაცეებით შეხედა, წელან ისევ შემოვიდა გიგა ვაგონში, ლევანს სალამი არ მისცა და საცოლუე არ გააცუნო.

— თუ შეიძლება, ჩემი... — გიგას ენა წაუბოროძიკდა, — საცოლუე ელისოს კუბეში დაწვეს, მე და თქვენ ერთ კუბეში დავიძინებდით.

ლევანს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— მართალია, ქორწილივით რაღაც გვქონდა, მაგრამ ჯერ ხელი არ მოგვიწერია...

ძლივს ამოღერდა გიგამ.

— სიამოვნებით... ჩემთვის სულ ერთია.

დაეთანხმა ლევანი.

გიგამ მადლობა გადაუხადა და თავის კუბეში შევიდა. ცოტახნის შემდეგ იმ კუბედან ციცი გამოვიდა, თავდახრილმა გაიარა და ელისოსთან შევიდა.

ელისოს არ ეძინა.

ციცოს დანახვაზე ნაპტირალევი თვალები გაცეებით დააჰყიტა.

— ხომ არ გაგაღვიძე, გოგონა?

უბრალოდ, თავაზიანობისათვის იკითხა ციციმ. პასუხს არ დაელოდა, ცარიელ საწოლზე თან შემოტანილი ღამის



სამოსი დააწყეთ და გახდას შეუდგა.

ელისომ ცრემლიანი თვალები მოიწმინდა და საზე კედლისაკენ იბრუნა. ამ ქალმა პირველი შეხვედრისთანავე უსიამოვნება მიაყენა, ახლა დაუკითხვად მის კუბეში შემოიჭრა და თითქმის ხანდაზმული მანდილოსანი იყოს, თითქმის თავის ტოლ ელისოს თავს არ უყადრებს და „გოგონას“ ეძახის.

— მე და მამაშენმა ადგილები ვაცვალეთ, ქალები ერთ კუბეში დაეწვევებით, კაცები — მეორეში.

— შერე, რათა? განა თქვენ უკვე გივას ცოლი არა ხართ? — შერთოლვარე ხმით იკითხა ელისომ.

— ვარ და არცა ვარ... ჯერ ხელი არ მოგვიწერია.

— განა ხელის მოწერას ამოდენა მნიშვნელობა აქვს, როცა ერთმანეთი უყვართ?

— ალბათ არა აქვს, მაგრამ წესი წესია, ეგრე სჯობს.

ელისოს ეს პასუხი, ცოტა არ იყოს უხეშად ეჩვენა და ამ ქალისადმი ანტიპათია კიდევ უფრო მოემატა.

თავდაჯერებულ, მედიდურ ქალიშვილად ეჩვენა თანამგზავრი; მასთან საუბარი სასიამოვნოს არაფერს პირდებოდა, გვერდი მოინაცვლა, კედლისკენ გადაბრუნდა და ძილმორეულობით ყრულ თქვა:

— ძილი ნებისა!

— ძილი ნებისა!

უპასუხა ლოგინის გაწყობით გართულმა ციციმ.

ცოტა ხნის შემდეგ ზედა ლოგინზე ასასვლელი კიბის რახტუნი გაისმა და საწოლმა რომ ჭრაკუნთი გაიღო, ელისო მიხვდა — ციცი უკვე დაწოლილიყო.

ლევანის სახლი მაღლობზე იდგა და ელისოს საკრძოლდან რკინიგზის სადგური ხელისგულივით ჩანდა.

მატარებლის გამოსვლისა და წასვლის ზარი კარგად ისმოდა.

პატარა ქალაქის მოწყენილი ცხოვ-

რების ერთფეროვნებას მატარებლის მოსვლა და წასვლა ცუტითი მაინც აცოცხლებდა. ელისო მტკიცედ შეინიჭდა მარტოდმარტო, მაგრამ, ქალაქის ახალგაზრდობის მსგავსად, ისიც რკინიგზის სადგურით იქცეოდა თავს.

მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქაბუკები და ქალიშვილები სადგურზე სეირნობდნენ, ელისო კი შინ იჭდა და საკრძოლდან მათი ცქერით ერთობოდა.

რა კარგ დროს მოდიოდა მატარებელი!

მზე რომ თითქმის ჩასული იყო და უკანასკნელი სხივებით უაღერსებდა ქალაქს, მაშინ გამოჩნდებოდნენ პირველი მოსეირნენი.

ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წარმოებაში იყო ჩაბმული, მალარობესა და მადნის გამამდიდრებელ ქარხნებში ან მათ დამხმარე დაწესებულებებში მუშაობდა.

ამიტომ დღისით კლდეველების უმრავლესობა შავ, ან ლურჯ სპეცტანსაცემელში გამოწყობილი მიმოდიოდა ქალაქში.

სალამოს ქალაქი ისვენებდა და მისი ფერებიც იცვლებოდა.

ფერთა ეს ცვლილება ყველაზე ადრე და კარგად რკინიგზის სადგურზე გამოჩნდებოდა.

შავი კლდეებისა და მადნის მტკრით გამოუქმებული შენობების ფონზე თეთრსა და ყვითელ, მწვანე და იისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაყები კენტ-კენტად გამოეფინებოდნენ. სადგურზე შეჯგუფდებოდნენ, დაწყვილდებოდნენ და რკინიგზის ხაზს ნელა ვაჰყებოდნენ, სეირნობით.

რკინიგზა საღამომობით სატვირთო მატარებლებისაგან თავისუფალი იყო. უამრავ წვრილ-წვრილ ტოტებად დაქსელილ ლიანდაგებს შორის არხვინად დადიოდნენ ახალგაზრდები და შორიდან მართლაც საამო საცქერალი იყო ნათელი ფერების ეს საზეიმო თამაში. შავი ქალაქის შუაგულში.

ელისო პატარაობიდანვე იყო შეჩვეუ-

ლი სარკმელთან ჯდომასა და მატარებლის მოსვლის ცქერას.

აღრე მისთვის ეს მხოლოდ თვალის დასვენება და დროის მოკვლა იყო. უკანასკნელ ხანს კი, როცა გოგონამ მოწიფულობაში შესვლა იწყო, თვითონ მისთვისაც შეუმჩნევლად, რაღაც ისეთი მოხდა, რამაც მისი თვალი და გული რკინიგზის სადგურს უხილავი ძაფებით დაუკავშირა.

მატარებლის მოსვლის ზარს რომ გაიგონებდა, გული სიხარულით შეუქანდებოდა, ფრთაშესხმული სარკმელს მივარდებოდა და ზედ სუნთქვაშეკრული გაეკვროდა.

ელისოს თვალი გაფაციცებით მოძრაობდა, ვიღაცას აღგზნებული დაეძებდა და როგორც კი იპოვნიდა, დამშვიდებული მარტო იმ ერთზე შეჩერდებოდა, განუშორებლად თან დაჰყვებოდა და მასთან ერთად სეირნობით ტყებობდა.

თხუთმეტი წლის გოგონას თვითონაც არ ესმოდა, რათ დაეძებდა მისი თვალი სადგურზე გამოსულ გიგას, რა მიზიდულობით მონახავდა და გამოარჩევდა ზღვა ხალხში, ან რატომ დაჰყვებოდა შემდეგ, ჩამოხელებამდე აღმადამა.

იმ წუთებში ელისოს უმადლესი ოცნება და ნატვრა სადგურზე გიგას გვერდით ყოფნა იყო.

მაგრამ გოგონა ჯერ კიდევ უსასაკოდ ითვლებოდა, მისი ტოლები სადამოებით სადგურზე არ გამოდიოდნენ და ელისოს მეტი რა გზა ჰქონდა. სხეთულით სარკმელთან დაკრული რჩებოდა, ხოლო პირველი, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სიყვარულით ფრთაშესხმული მისი სული იქ, ფერადფერად ტანსაცმლიან ახალგაზრდებს შორის, გიგას გვერდით დაფრინავდა...

საკმაო იყო სადამოს გიგა არ გამოჩენილიყო სადგურზე, ელისოსათვის ის ღამე თეთრად თენდებოდა, ძილი არ მიეკარებოდა და მეორე დღის მიმწუხრამდე მოსვენება დაეკარგებოდა.

მაგრამ, როგორც კი სადგურის ზარი დარეკავდა და ვაგზლის უკანა მხრიდან ოდნავგულგაღედილი, თებერპერანგაქაბუკი გამოჩნდებოდა, ელისოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: იგი თავის ოცნებაში მივარდებოდა გიგას გულამოვარდნილი, ყელზე დაეკიდებოდა და თან საყვედურს ეუბნებოდა, გუშინ რომ პაემანზე არ მოვიდა და სადგურზე მარტოკას იმდენხანს ალოდინა.

რკინიგზის სადგურზე გიგა მეტწილად თავის ტოლ ვაყებთან სეირნობდა, მაგრამ ზოგჯერ რომელიმე ქალიშვილთან თუ გამოჩნდებოდა, ის სადამო კიდევ უფრო მეტად ეშხამებოდა ელისოს. შეურაცხყოფილი გოგონაბრაზდებოდა და ღელავდა, სანამ გიგა ისევ მარტო არ დარჩებოდა.

მაშინ კი თავის გულში საყვედურით ავსებდა და ფიცით სიტყვას ჩამოართმევდა, რომ არასოდეს მარტო არ მიატოვებდა, სხვა ქალთან არ ისეირნებდა და მხოლოდ ელისოზე იოცნებებდა.

თავად გიგას წარმოდგენაც არ ჰქონდა ელისოს ასეთ სულიერ მდგომარეობაზე. მას ჯერ ისევ პატარა გოგონად თვლიდა და აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ მის მოუწიფებელ არსებაში ამოდენა ვნებებს შეეძლო დასადგურება.

ლევანის ერთადერთ გოგონას დედამისთან ერთად ზედავდა ხოლმე გიგა კლდეეთის ქუჩებში.

ლევან გაფრინდაშვილის ცოლი — ეთერი ლამაზი ქალი იყო. ეთერი რომ ქუჩაში გამოვიდოდა, მთელ ქალაქს მასზე რჩებოდა თვალი. ეს თვალწარმტაცე, სხვათათვის მიუწევდომელი, ამაყი ქალი გიგას მუდამ გულთბილად ზედებოდა, ვაჩერებდა, მოიკითხავდა და მოეფერებოდა.

გიგა იმ ქალის წინაშე რაღაც შიშსა და დარცხვენას გრძნობდა, თვალს ვერ უსწორებდა და წითლდებოდა; მასთან სიახლოვეს ვერ უძლებდა, მისგან გაქცევა ეჩქარებოდა, მაგრამ როგორც კი გაშორდებოდა, ხეს ან კედელს ამოეფარებოდა და ტანის გულწამტანი რბე-

ვით მიმავალ ეთერს თვალმოუწყვეტლად მიაჩერდებოდა.

საულვაშეზე უკვე ღინღღშეპარული გიგა, ცხადში თუ ეთერის მიმართ ასეთ გაუბედაობას იჩენდა, ძილში, სიზმრად, მისი საყვარელი წიგნების გმირებით თამაშად და ვაჟაკურად იქცეოდა.

პირველი ქალი, ვისაც თავისი სიჭაბუქის პირველ სიზმარში აკოცა გიგამ, ეთერი იყო.

შემდეგ და შემდეგ მისი ოცნება უფრო და უფრო თამაში გახდა და გიგა კიდევ უფრო შორს წავიდა.

გიგას სიჭაბუქეში შესვლისა და მომწიფების ნეტარი ღამეების უცვლელი გმირი ქალი ელისოს დედა იყო და ბუნებით მორცხვ ქაბუქს თავისი სიზმრების გამო დღისით ეთერისთან შეხვედრა რცხვენოდა, ერიდებოდა და ეკრძალებოდა.

ისედაც ლამაზ ეთერს კოხტად ჩაცმადახურვა უყვარდა და თავის პატარა გოგონასაც ისე აცმევდა.

დედასთან ლაპარაკს რომ ვერ ახერხებდა, გაუბედავი ბიჭი ელისოს ეთამაშებოდა, გოგონას საჩუქრებს სთავაზობდა, ხელში აპყავდა, კოცნიდა და უალერსებდა.

ელისო თავიდანვე ლეკვივით შეეჩვია მასზე უფროს გიგას.

ქუჩაში გავლილს თვალს რომ მოატანდა, ეზოდან გამოვარდებოდა და კისერზე ჩამოეკონწიალებოდა.

მერე ეთერი ვარდაიცვალა. ლევანისა და მისი ქალიშვილისათვის ეს მარტო ცოლისა და დედის დაკარგვა კი არ იყო. იმ დღიდან მათ ოჯახს ბოძი გამოეცალა და მამა-შვილის ცხოვრებას შნო და ჭავარი დაეკარგა.

იმ დროიდან გიგა განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენდა ელისოს მიმართ.

გიგამ მანქანის მძღოლად დაიწყო მუშაობა.

თავისი სატვირთო მანქანით დღეში რამდენჯერმე მაინც უნდა აევილო და ჩამოევილო გიგას იმ სკოლისათვის, სადაც ელისო სწავლობდა.

გოგონას დასწავლილი ჰქონდა გიგას აელისა და ჩაელის საათი, დაბარებული-ვით წინ უხვდებოდა, ათას რაზე ხე ელაპარაკებოდა და მერე ხელის ქნევით აცილებდა დაძრულ მანქანას.

ზოგჯერ, გიგა გვერდით მოისვამდა ხოლმე ელისოს და ქალოჯარეთ ასეირნებდა.

ელისო უკვე თხუთმეტი წლისა იყო, ნელ-ნელა გავსება და ქალობაში შესვლა შეეუტყო.

ბრმა იყო თუ უგრძობელი გიგა! მისკენ ელისოს ლტოლვასა და ლეკვივით ჩამყვლუნებაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა, ისევე ძველებურად ბავშვსავით ექცეოდა, ანებიერებდა და ეფერებოდა, უმცროს დასავით მფარველობდა და პატრონობდა.

ელისოს კი მეტი, გაცილებით მეტი უნდოდა გიგასგან; სიყვარულის წმინდა გრძნობის აღძვრა სურდა ქაბუქის გულში და ჩვეულებრივი, ყოველდღიური ურთიერთობით ამას რომ ვერ აღწევდა, ბრაზობდა, გული მოსდიოდა გიგაზედაც და თავის თავზედაც.

გოგონას ბუნებრივი მოკრძალება და ასაკი აღვირს სწევდა და გიგასაც ხელს უშლიდა პატარა ქალიშვილის გულძსანდებს ჩასწვდომოდა.

ასე ალბათ დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

დღეს თუ არა, ზვალ მაინც გადალახავდა ნაპირს დაუოკებელი ლტოლვა და გიგას ელისოს ქალობის მიმართ ამდენხანს დაბრმავებული თვალი აეხილებოდა.

მაგრამ უკანასკნელად გიგას ცხოვრებაში რაღაც უჩვეულო მოხდა.

ამ ერთი თვის წინათ ავალიანი მალაროს მანქანაზე გადაიყვანეს.

ერთხანს ძველებურად გრძელდებოდა: დღეში ორჯერ მაინც ხვდებოდა ელისოს, ტვირთით დამძიმებულ მანქანას გააჩერებდა და ცოტახნით საუბარს გააბამდნენ.

ბოლო დროს, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, გიგა ვაპჭრა და აღარსად ჩანდა.

ერთი-ორჯერ გვიან საღამოს ჩავლილს მოჰკრა თვალი ელისომ.

ეზოდან გამოვარდნილ ელისოს გვიამ მანქანაც აღარ ვაუჩივრა, რომ გამოლაპარაკებოდა და ამბავი ეცითხა.

წინ არხენიან ჩაუქროლა, მანქანიდან ხელი დაუქნია და თვალს ისე მიეფარა, ვითომ გზაზე ეილაც ვიგინდარა მდგარიყოს, რომლის გულსათვის შეჩერება, დროს დაკარგვა არ ღირდა.

ჩაწყდა, პირველად ეტყინა გული დიდი ტყვილით ჭერ კიდევ გამოუცდელსა და გულუბრყვილო ქალიშვილს.

მთელი დღეები ფარულად, ჩუმად ტიროდა. ვერ გავგო მეგობრის გულის გაციეების მიზეზი, ღამეებს გიგაზე ფიქრში ათენებდა და დღისით გულს ვერაფერს უღებდა, ველარც სწავლასა და ველარც ოჯახს.

ნელ-ნელა მოეშვა, მალა დაკარგა, უძილობამ დაასუსტა და სწეულუბა, რომელიც მანამდე შედარებით იშვიათად ამქლავებდა თავს, მოეძალა და მოერია. რამდენჯერმე შეტევა ქუჩაშიც მოუვიდა და მთელმა ქალაქმა შეიტყო.

უცხოები, უცნობებიც კი მიდიოდნენ ელისოს სანახავად და მისი ჯანმრთელობის ამბის გასაგებად.

მხოლოდ გიგა არსად ჩანდა, მხოლოდ გიგას გადავიწყებოდა ელისო, და აი, თურმე რატომ!

ციცომ და გიგამ თავიანთი საქორწინო მოგზაურობის პირველი ღამე ელისოს ჯოჯოხეთად უქციეს.

რამდენი უფიქრია ელისოს გიგაზე, მაგრამ მისი ოცნება არასოდეს იქამდე არ გათამამებულა, რომ თავისი თავი გიგას ცოლად წარმოედგინა და ფიქრში მასთან ერთად საქორწინო მოგზაურობა წარმოესახა.

წმინდა, თითქმის ბავშვური სიყვარულით უყვარდა ელისოს გიგა. მიამიტმა გოგონამ ცოლქმრობისა არაფერი იცოდა და საამისო გეგმები თავში არასოდეს მოსვლია.

მით უფრო საწყენი და გულსმომკვლელი იყო გულუბრყვილო, ბიწვუხეზღლი ქალიშვილისათვის იმ ადამიანთა

ცოლქმრულ ურთიერთობაში ჩართვა, რომელთა შეერთებამაც ესოდენ დიდხანს და სათუთად ნატარები ოცნება ასე უხეშად და უგულოდ დაუშხხვრია.

აგერ, ელისოს ზემოთ სძინავს უშფოთველი, ბედნიერი ძილით ციცოს, იგი ალბათ ღამაზ, ნეტარ სიზმრებს ხედავს; ის სიზმრები ხეალ ერთითად აუხდება და ამ უცხო ქალს, ალბათ ექვიც არასოდეს შეაწუხებს იმ დიდი სულიერი ტყვილის გამო, რომელიც მან უცნობ გოგონას მიაყენა.

მაგრამ ციცოს რა უნდა მოთხოვოს, როცა მისთვის ესოდენ ახლობელ ადამიანს, გიგას, რომელიც ელისოს გულსა და გონებას განუყოფლად ფლობდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მისი ოცნების ამ ერთადერთ რაინდს, ერთხელაც არ უუღია მასთან გამოლაპარაკება და სიტყვით თუ არა, თვალებით მაინც მუნჯად თხოვნა პატიებისა.

ანკი რისი პატიება უნდა ითხოვოს, როცა ისიც არ იცის, თუ როდენ საყვარელი, აუცილებელი და ერთადერთი იყო იგი ელისოს არსებობისათვის.

ბედით ერთმანეთზე გადაჯაჭვული სამი ადამიანი მიდის პატარებლით. მათგან ორს ბედნიერებისაკენ მიიქანებს ეს მატარებელი, ხოლო მესამეს უიმედობისაკენ, სასოწარკვეთის უფსკრულისაკენ. ბარემ ახლო მაინც იქნებოდეს ის უფსკრული და ყველანი, ბედნიერებიც და უბედურიც, ერთად გადაიჩეხებოდნენ არყოფნისა და არარაობის წყველიადში.

მატარებელი მოჰკრის. ვაკონი ირყევა, ფეხაკრეფით მოსული ძილი ელისოს თვალზე ბინდს ქსოვს და ფიქრი თავისთავად წყდება დაღლილი გონების რომელიღაც შორეულ კუნძულში.

ჭერ კარვად გათენებულიც არ იყო. ციცო და გიგა რომ სასტუმრო „თბილისს“ მიადგნენ. კარში შესვლისთანავე ბარგის ამტანი შემოეგება, ჩემოდნება ჩამოართვა და მორიგე ადმინისტრატორისაკენ გაუძღვა.

ადმინისტრატორმა ახალმოსულებს შეხედა, მერე თავისუფალი ოთახების სიას გადაჰკრა თვალი:

— რომელ ნომერს აძლევ, საშა? გასძახა ბარგის ამტანმა.

— ოთხასხუთია თავისუფალი.

— თვე დაუწევლად უპასუხა საშამ.

— მე ბარგს ავიტან ოთხასხუთში. თქვენ, მანამდე ნომერი გაიფორმეთ, — უთხრა გიგას მეზარეულს და ჩემოდნებით ლიფტისკენ გაჰქანდა.

გიგა, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, უკან გადაეკნეხა დააპირა, მაგრამ მორაბი ადმინისტრატორმა დაამშვიდა:

— ჩვენი თანამშრომელია, ნურაფრისა გეფიქრებათ. საბუთები მომეცით, ნომრის გასაფორმებლად.

გიგამ პასპორტები ამოიღო, გადასცა. ადმინისტრატორმა ქაღალდებში იფათურა. მერე რაღაც ჩაინიშნა და, ბოლოს როგორც იქნა, გიგას ორი ანკეტა მისცა.

— შეაესეთ!

მოკლედ უთხრა, პასპორტები დაუმჩრუნა და ისევ თავის ქაღალდებს ჩაუღრმავდა. ანკეტები შეაესეს და გიგამ პასპორტებთან ერთად ისევ ადმინისტრატორს გადააწოდა.

თითქოს ჯიბრზე იყო. ადმინისტრატორს სწორედ მაშინ აუტყდა რეკვატელეფონის მილს იღებდა, ნომრებს კრეფდა და ნერვიულად უკანვე ღებდა.

ბოლოს მოსწყინდა ეს უშედეგო რეკვა, გაბრაზებულმა ყურმილი მოიჭნია და ორკაბზე დაახეთქა.

— გაწყალდა გული! ტელეფონი კი არა, საწყამებელია! — თქვა გაჯავრებულმა და ახლად შევსებულ ანკეტებს დახედდა. ჩაიკითხა. მერე პასპორტები გაშალა. დიდხანს უღარა ერთიმეორეს, ბოლოს თავი ასწია და გაოცებულმა იკითხა:

— ერთ ნომერში გინდათ?

— დიახ! — მორცხვად თქვა გიგამ.

— ცოლ-ქმარი ხართ?

— თითქმის... — დაიბნა გიგა, — დღეს ვაწერთ ხელს.

— „თითქმის ცოლქმრობა“ არ გამოგონია! — წარბი შეიკრა მორიგე ადმინისტრატორმა, — ანკეტაში ერთი უცოლოს

აჩვენებთ და მეორე გაუთხოვარს, გვარიც სხვადასხვა გაქვთ. ჩვენც ერთ-ერთ-მერში მხოლოდ ცოლ-ქმრობა ვაწერთ უფლება გვაქვს.

— დღეს ვაწერთ ხელს.

— როცა მოაწერთ, მაშინ მობრძანდით. მანამდე კი... — ადმინისტრატორმა თავი გაიჭნია.

— მანამდე სად წაივით?

იკითხა შეწუხებულმა გიგამ.

— რა გიყოთ, ღმერთმანი, არ ვიცი! — მოლბა ადმინისტრატორი, — ცალკე ნომრებს მოგცემდით, მაგრამ...

— ცალ-ცალკე იყოს, რა უშავს!

— არ არის, ერთი ნომრის მეტი არ გვაქვს თავისუფალი.

სარკმელთან ციციკ მივიდა. დარცხენილმა ხმის ამოღება და თხოვნა ვერ გაბედა, მაგრამ შევედრებული მხერა მიაპყრო ადმინისტრატორს და ისიც, თითქოს ამას ელოდაო, გატყდა.

— მთავარ ადმინისტრატორს ვთხოვ და თუ დავეითანხმე... ენახათ...

ყურმილი აიღო და მთავარ ადმინისტრატორს დაელაპარაკა.

— ცოტა დაიცადეთ, ჩამოვა და მე მგონია. გააკეთებს. მანამდე დასხედით, დაისვენეთ.

უკვე ღმობიერად უთხრა მისკენ მუდარით მზირალ ქალ-ვაქს.

ციციკ და გიგა საგარძღებში ჩასხდნენ. ღრო ნელა გადიოდა, არც მთავარი ადმინისტრატორი ჩანდა, არც მათი ბარგის ამტანი. თანდათან მღელვარება ემატებოდათ, ადმინისტრატორის სარკმლისკენ ხშირ-ხშირად იხედებოდნენ. მაგრამ ხმის ამოღებასა და გამოლაპარაკებას ვერ უბედავდნენ.

უკვე ციციკ ვიღაცის დაეინებულ მხერა იგრძნო.

— ბიძია უშანგი!

აღმოხდა გიგას, ციციკსკენ მზირალს კაცს ხელი გაუწოდა და გადაეხვია.

იმ კაცს მკერდზე ლაურეატის მედალი და ორდენების ნიშნების ორი მწკრივი ეკრა.

— გიგას გაუმარჯოს!

გაიხარა უშანგი.



— გაიცანი, ბიძია უშანგი... ჩემი ცოლია.

უშანგიმ დარცხვენელ გოგონას ხელი ჩამოართვა და ალტაცებით დააქვრდა.

— სად იპოვნე ამისთანა ანგელოზი? დიდი ხანია?

გულწრფელად გაიხარა გამყრელიძემ...

— დღეს ვაწერათ ხელს...

— მერე ჩემთან არ მოხვალთ? ხომ უნდა დაგლოცოთ... მართლა, დედა როგორ არი?...

იქ იკითხა უშანგიმ, ციცოსთვის აღტაცებული მზერა არ მოუცილებია.

— დედას არა უშავს...

— ძალიან მინდა თქვენთან ლაპარაკი. მოსკოველ სტუმრებს ვაცილებ აეროდრომზე, — მოიბოდიშა უშანგიმ, — საღამოს გამომიარეთ ჩემს სახელოსნოში. თუ შენი ნებართვა იქნება და დროცა გაქვთ, შენი ცოლის პორტრეტს დავიწყებ... მძამართი ხომ გახსოვს, გიგა...

— მახსოვს. როგორ არა...

— მაშ, გელით ამ საღამოს, არ გემშვიდობებით...

მოსჭრა უშანგიმ, ორივეს ხელი ჩამოართვა, და სწრაფად გაშორდა...

— მამაჩემის მეგობარი და სკოლის ამხანაგი, ცნობილი მხატვარი უშანგი გამყრელიძეა, — განმარტა გიგამი.

— უშანგი გამყრელიძე! — გამიგონია.

— თუ დაგხატა, მოსალოცი იქნება... მაგის ნახატს ყველგან გამოფენენ და შენი სურათი მთელ მსოფლიოს მოივლის.

— ავალიანი!

გაისმა უცებ აღმინისტრატორის ხმა და გიგა შემობრუნდა. პატარა საარქივოში თავგამოყოფილმა აღმინისტრატორმა ღიმილი შეაგება.

— დირექტორი დავითანხმე. აბრძანდით ოთხასხუთში.

უთხრა და საბუთები გაუწოდა.

— გამდლობთ.

თავი დაუქნია გახარებულმა გიგამი და პასპორტები ჩამოართვა.

— დიდი მადლობა! თავისდაკვრით თქვა ციცომა და გიგას მიჰყვა.

მანქანით წამოსული ოთარ გამრეკელი საღამოს თბილისში იყო.

ჩამოსვლისთანავე რესპუბლიკის სამტებრო მილიციაში მივიდა, იქაურ მუშაკებს საქმის შინაარსი დაწერილვით უანბო, თავისი გეგმა, გააცნო და სათანადო ინსტრუქციაც მიიღო.

ნომერი სასტუმრო თბილისში დაიკავა.

დილათ ალანია ნომერში გამოეცხადა და ცოტახნის შემდეგ „ბარგის ამტანმა“ გიგასა და ციცოს ჩემოდნები იქ შემოიტანა.

მორიგე აღმინისტრატორმა განზრახ დიდხანს დააყოვნა ავალიანი.

სამძებრო მილიციის მუშაკებმა გიგას ჩემოდანი გახსნეს.

ოთარმა დაეცეცილი პერანგი ასწია და სახე უმაღვე გაუფითრდა: ფულის შეკვრაზე შემოხვეულ ჭვარდინ ქაღალდზე კარგად გააჩნია სწორედ ის, რისიც ასე ეშინოდა.

წამით ციცაგის ხელმოწერას დააცქერდა, მერე ფულს ხელი უშვა, ჩემოდანს გაშორდა და კუთხეში, ტახტზე ჩაიკეცა.

სამძებრო მილიციის მუშაკებმა ფულის ნიშნებისა და ციცაგის ხელისმოწერის ფოტოგრაფირება სწრაფად მოათავეს, ჩემოდანი ისევ დაკეტეს და წავიდნენ.

ნომერში ალანია და გამრეკელი დარჩნენ.

გამრეკელი ტახტზე იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და იქ რა ხდებოდა აღარ ესმოდა.

— ჩვენც წავიდეთ. ფოტოს გაამკლანებენ და ხელმოწერა შევუდართოთ. თქვა ალანია.

— ა? რაო?

ასწია თავი გამრეკელმა.

— სამმართველოში წავიდეთ და გამოვლანებულნი ფოტო ვავსინჯოთ.

— ჰო, წავიდეთ.

უხალისოდ დაეთანხმა გამრეკელი და ქუდს მისწვდა.

ექსპერტებმა ფოტოზე მიღებული გამოსახულება ციციას ხელისმოწერის ნიშნებს შეუღარეს და მათი სრული იგივეობა დაადგინეს. როგორც ვარაუდობდნენ, ფულის ნომრებიც ერთიანობას მისდევდა, მიყოლებით.

რაკი მხილების ეს საბუთებიც ხელთ ჰქონდათ, გადაწყდა ეკვმიტანილობა დაუყოვნებლივ დაპატიმრება.

ვიდრე უკანასკნელი ფორმალობა და დაპატიმრების ორდერის გამოწერა შესრულდებოდა, გამრეკელი სასტუმრო „თბილისისაკენ“ გაემართა.

განზრახული ჰქონდა გიგა ენახა, პირისპირ მასთან დარჩენილიყო და უკანასკნელად ეცადა სიმართლის გაგება.

მიდიოდა გამრეკელი და თავისთავს აყვედრიდა: გიგას გადარჩენის სურვილით წამოწყებული ფულის კვალის ძიება გიგას საწინააღმდეგოდვე შებრუნდა. სწორედ ამაზე იტყვიან: ქათამმა თხარა, თხარა და დანა გამოთხარაო.

პროკურორისათვის რომ დაეჭვრებინა და გიგა გუშინვე დაეპატიმრებინათ, ეგებ ფულის ეს დასტა არც ჩავარდნოდა ხელთ ძიებას.

მაგრამ რას იფიქრებდა გამრეკელი, როგორ დაიჭვრებოდა, რომ გიგას მოკლული ზარბის ფული ჯიბეში ჰქონდა და იმას ხარჯავდა. პირიქით, დარწმუნებული იყო, რომ ფულის იმ დასტაზე ციციას ხელისმოწერა არ იქნებოდა და სწორედ ეს საბუთი გამოადგებოდა ივლიანის გასამართლებლად.

რაკი ეს იმედი გაუტრუვდა და რწმენა გაუჭარჩუნდა, მეტი აღარაფერი რჩებოდა, გიგა უკანასკნელად ერთხელ აიღევ უნდა ენახა და იმ მიზეზში მაინც გარკვეულიყო, რომელმაც პატიოსან

კაცს ესოდენ მძიმე დანაშაული ჩაადგინა.

საქმის  
საქმის  
საქმის

სასტუმროს ვესტიბიულში, ფოსტის განყოფილების წინ, გიგა იდგა. ხელში ტელეგრამა ეჭირა და გაფითრებული კითხულობდა. ცოტახნის შემდეგ ხლები ულონოდ დაუშვა და თვალი ისე მოავლო იჭაურობას, თითქოს ნუგეშისმცემელსა და გამამხნეველებს ეძებდა.

უცებ ოთარი დაინახა, თვალში შექი მოემატა და ცრემლმომდგარმა მიასურა.

— გამარჯობა, ოთარ! როდის ჩამოხვედი?

— ამ დილას.

იცრუა ოთარმა და ხელი ჩამოართვა.

— შერე ბიძაჩემის არაფერი გაგიგია? იკითხა გიგამ და ტელეგრამა გაუწოდა.

— არაფერი... გუშინ ქუთაისს ვიყავი სამსახურის საქმეებზე.

ოთარი ტელეგრამას დააკერდა: სალომე შეილსა და რძალს ალექსანდრეს გარდაცვალებას ატყობინებდა.

— ასე უცებ რა უნდა მოსვლოდა... შენს ქორწილში მშვენივრად იყო. — თქვა გულწრფელად შეწუხებულმა ოთარმა და ტელეგრამა უკანვე დაუბრუნდა.

— ალბათ გული... ხომ გახსოვს, ორჯერ ჰქონდა ინფარქტი.

— მახსოვს. მეორედ ძლივს გადარჩა.

— ჩვენსა დალია. დედა უშლიდა, მაგრამ არ გაუგონა, გიგას ქორწილში თუ არ დავლევ, აბა თავს ვილას ვუნახავო!..

— ახლა რას აპირებ?

ჰკითხა მცირე დუმილის შემდეგ ოთარმა.

— დღეს რაღა იქნება, ხვალ წავალ.

— ბილეთი?

— ბილეთებს სადგურზე ვიშოვნო.

— ჰო, ახლა ბილეთი არ ჰქირს, — დაეთანხმა ოთარი, — შევიდეთ ცოტახანს, დილიდან მშვიერი ვარ, თითო ჰი-

ქა დავლიოთ ბიძაშენის შესანდობარი.  
გამრეკელმა თვალით რესტორნის  
კარზე ანიშნა.

ჯავრიან გიგას ბევრი პატივი არ დას-  
ჭირვებია, ტელეფონით ციკოს დაურე-  
კა, ცოტა დამაგვიანდებო და ოთარს  
უკან მიჰყვამ. რესტორნის კუთხეში გან-  
მარტოებულ მაგიდას უხმოდ მიუახ-  
დნენ.

ერთ საათში გიგას გვარიანად მოეკი-  
და ღვინო. გამრეკელი თავს იმთვრალე-  
და, თორემ ღვინოს იპარავდა და ფიზი-  
კურად იყო.

ოთარმა ჩაის ჭიქები აავსო და თვ-  
ლზე ერემლმომდგარმა დაიწყო:

— ხომ გიყვარვარ, გიგა?

— მაგას რა ლაპარაკი უნდა?

გაეღიმა გიგას.

— ისიც ხომ გჯერა, რომ მეც ძალიან  
მიყვარხარ და თავს მირჩვენინხარ?

— მჯერა... როგორ არ მჯერა.

— ხომ მენდობი... ხომ გწამს, რომ  
შენთვის ცუდი არ მინდა და არ გილა-  
ლატებ.

გიგამ თავი დაუქნია.

— მე შენ არაფერს არ დაგიმალავ...  
არაფერს, ჩემს სიცოცხლეში... შენც არ  
უნდა დამიმალო არაფერი... იმიტომ,  
რომ... იმიტომ, რომ შენ ჩემთვის ძმაზე  
ახლობელი ხარ... იმიტომ, რომ სიმართ-  
ლის თქმით, საიდუმლოს გამხელით, შე-  
გვიძლია ერთმანეთის შველა და დახმა-  
რება. თუ სიმართლეს არ მეტყვი, რა  
უნდა ვქნა, რით უნდა გიშველო...

გამრეკელი გულაჩუყებული ლაპარა-  
კობდა, ყელში ცრემლი აწვეებოდა და  
სადაც იყო, უნდა ეტირა.

— სიმართლე რომ ვიცოდე, შენი გუ-  
ლისათვის წყალში გადავვარდები, კედ-  
ლად ავიმართები და ფარად დაგიდგები,  
შენც გადავარჩენ და თავსაც ვუშველი.  
გიგა გაოცებული, დაბნეული შეჰ-  
ყურებდა ოთარს და არ იცოდა, რა ეთ-  
ქვა.

ოთარმა სკამი მიიჩოჩა, გიგას საყე-  
ლოში ხელი ჩაავლო. თავისკენ მოსწია,  
თვალში ჩააშტერდა და ჩურჩულით  
ჰკითხა:

— ვინ მოჰკლა ზარიძე?

გაოცებულმა და უფრთხმეტად შეუ-  
რაცხუფილმა ავლიანმა პოლიციის ხე-  
ლი მოიშორა და გაბრაზებულმა უყვი-  
რა:

— გაგიყდი შენ? მე რა ვიცი შენი ზა-  
რიძე?

გამრეკელი კიდევ უფრო ახლო მიი-  
წია.

— მითხარი, ვინ და როგორ მოჰკლა  
ზარიძე... სიმართლე მითხარი და, თუ  
გინდა, მე ვიკისრებ შენს დანაშაულს...

— დათვერი, თუ რას ბოდავ?

დაჰკრა ხელი მაგიდას გიგამ.

— სიმართლე მითხარი...

გამოსცრა მღელვარებისაგან აქოში-  
ნებულმა ოთარმა და თვალი თვალში  
ჩაასო.

— რა სიმართლე უნდა გითხრა, მე რა  
ვიცი, ვინ მოჰკლა ზარიძე...

— იცი, გიგა... მანქანით შენ წაიყვა-  
ნე კლდეეთს ზარიძე...

— მერე რა, რომ მე წაიყვანე?..

— ზარიძე გზაზე, შავ კლდესთან მოჰ-  
კლეს და არ შეიძლება შენ არ იცოდე,  
ვინ და როგორ მოჰკლა.

— ესე იგი, შენი აზრით, მე მომიკ-  
ლავს...

გიგას სახეზე მიწისფერი დაედო, ტუ-  
ჩები აუთრთოლდა და ოთარს ზიზღით  
მიაჩერდა.

— მე ეს არ მჯერა, გიგა. შენგან არ  
მჯერა, მაგრამ იქნებ... იქნებ ციკომ...

გიგას თვალეში აემღვრა, სახე აელეწა  
და მღელვარებამ ყბა მოსტაცა.

— იცი, რას ამბობ? ჰკუაზე ხარ,  
თუ...

ჩურჩულით თქვა ბრაზით ატანილმა  
გიგამ.

— ვიცი, გიგა. ყველაფერი ვიცი და  
ახლა შენგან მინდა სიმართლის გაგე-  
ბა, რომ როგორმე გიშველო და გადა-  
ვარჩინო...

— ღმერთმა შენც შევარცხვინოს და  
შენი გადასარჩენიცი! — მიახალა გიგამ,  
— ციკოს ხსენებაზე პირში ვარდისწყა-  
ლი გამოივლე და დღეის ამას იქით ხმა  
არ გამცე!..



სახეშეშლილი გიგა ფეხზე წამოიჭრა და რესტორნიდან გაეარდა.

მარტო დარჩენილმა გამრეკელმა ანგარიში გაასწორა და მილიციის სამმართველოსაკენ გაემართა.

გიგას გულწრფელი გაბრაზება, თითქოს კიდევ უფრო აძლიერებდა გამრეკელის ექვს, რომ ავალიანი ზარიძის მკვლელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ციციოს ერთ ხსენებაზეც რომ წონასწორობა დაჰკარგა და გონება დაუბნელდა, ესეც ბევრის მოქმელი იყო.

გამრეკელი ხედავდა: გიგა ციციოს სილამაზით და სიყვარულით საბოლოოდ დაბრმავებული იყო, ამ ქალის გულისათვის იგი არაფრის წინაშე უკან არ დაიხვედა.

გიგა ფულის გულისთვის ზარიძეს არავითარ შემთხვევაში არ მოჰკლავდა, აქ უთუოდ ციციოს ანგარიში იყო გადამწყვეტი.

გამრეკელს გამომძიებლის ალლოც ავალიანის პატროსნებაში თავისი რწმენის შეურყეველობაც იმ აზრზე აყენებდა, რომ დანაშაულის შთამგონებელი და ბოროტების მთავარი მოქმელი პირი ციციო ლორია იყო.

იგი ახლა დანაშაულის გახსნისა და ამდენადვე ავალიანის გადარჩენის ერთადერთ სწორ გზას ციციოს გამომქლავნებაში, მის მხილებაში ხედავდა.

მზის ჩასვლისას უშანგი გამყრელიძის სახლის წინ მანქანა გაჩერდა.

მანქანიდან ლევანი და ელისო გადმოვიდნენ. სადარბაზოს მოკლე კიბე აიარეს და ზარი დარეკეს.

კარი თავად უშანგიმ გაუღო.

— ლევანს გაუმარჯოს... ელისოს სალამი! გადაეხვია მამა-შვილს უშანგი. — კერიას ნახშირი... მადლობა ღმერთს, რომ ჩემსკენ ფეხი მოგვცაო.

უშანგი შუაში ჩაუდგა სტუმრებს და შინ შეიყვანა.

— როგორა ხართ, ხომ კარგად?... ელისო გაზრდილა და ვერც ვიცნობდი, მარტო რომ შემხვედროდა. დღეს ყო-

რნალებების დღეა, დილას ანდროს ბიჭი შემხვდა, ცოლი შეურთავს, სალამის შემპირდა გამოვლას! და ახლა სწორედ იმათ ველოდი. რა კარგია, თქვენც რომ მოხვედით. კიბანია, ყორნალში აღარ ვყოფილვარ, იქაურ ამბებს მომიყვებით. ჩვენს ახალგაზრდობას გავიხსენებთ.

უშანგი გულწრფელად გახარებულ ილაპარაკებდა და სტუმრებს ნათელ დარბაზებში მიუძღოდა.

დიდი, მალაღუჭრიანი ოთახები მდიდრული ავეჯით იყო მორთული. იატაკზე დაფენილ ძვირფას ხალიჩებზე რბილად მიაბიჯებდნენ.

პირველსავე ოთახში შესვლისას მამა-შვილს თვალში სტალინის ვეებერთელა სურათები ეცათ.

ყრმა სტალინი. სტალინი ზღვის სანაპიროს ფონზე. სტალინი — გენერალისიმუსის სამხედრო ფორმაში.

სტალინის ამ სურათებს თითო კედლის ნახევარი მაინც ეკირა. სურათები მალალი ოსტატობით იყო შესრულებული, ყოველ მთვანში ჩანდა ავტორის პირადი დამოკიდებულება — დიდი ადამიანის პიროვნებისადმი კრძალვა, მისი ძლიერებით აღტაცება.

იმ უზარმაზარ პორტრეტების ირგვლივ უამრავი ეტიუდი და ჩანახატი გაებნია უშანგის: გორის ციხისა და კრემლის, ტურუხანის თოვლიანი უდაბნოსი და ხალხით სავსე წითელი მოედნის, დაბალ ქოხში. ძველებური პატარა ლამპის ცქერით მოხიბლული ექსკურსანტებისა და რუკაზე დახრილი მთავარსარდლის ღრმდ ჩააფიქრებულ სახისა.

მეორე ოთახში რომ შევიდნენ, თითქოს უცებ ყველანი ნაცნობ ანობებულ გარემოში მოხვდნენ. კედლები ყორნალისა და კლდეების პეიზაჟებით იყო გაცოცხლებული, ფანქრითა და კალმით, ზეთითა და აკვარელით დახატული ყორნალის მთავორები, ფერად-

ფერად, სწორკუთხა ნაჭრებისაგან შეკონფიწებული ხუფრის მსგავსად დაფენილი ყანები და ველ-მინდვრები, ცამდე აზიდული შავი კლდეები და ღვარკოფებისაგან დასერილი ხეობები სტუმრებს ყოველ ნაბიჯზე ახსენებდნენ მშობლიური კუთხის ესოდენ მიმზიდველ და განუყოფრებელ სილამაზეს.

უშანგი ფართო ტილოს წინ შეჩერდა. ტილოზე მიღაროელთა არალეგალურ კრებაზე ახალგაზრდა სტალინის გამოსვლა იყო აღბეჭდილი. ოცნებით გატაცებული ახალგაზრდა სტალინის შთაგონებული სახე, წერაქვის ტარებზე დაყრდნობილი, მძიმე შრომით დაქანცული მღაროელების დაფიქრებული, იმედის შეუქნამდგარი თვალები, ხოლო მათ უკან მსუბუქი ბოლის მსგავს შეღამების ბინდ-ბუნდში გახვეული ლურჯი მთები — ყველა და ყველაფერი ვასაოცარი რომანტიკით, ჰაბუკუჩური სიხალისითა და მჩქეფარებით სუნთქავდა.

— ეს ჩემი პირველი დიდი ტილოა, — გაღიმებული ლაპარაკობდა ხმაში მღელვარებაშეპარული უშანგი, — პირველად ამ ტილოში ვაახმამურა ჩემი სახელი.

კომპოზიცია არა მარტო ახალგაზრდული შემართებით, უშუალოებითა და ბუნებრივობით გამოირჩეოდა, იგი წინაოთახებში გამოფენილი ნამუშევრებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ აქ არ იგრძნობოდა ის ხაზგასმული პომპეზობა და ფეტიშური განყენებულობა, რაიც, ცოტად თუ ბევრად, შეფარვით თუ აშკარად გამოსჭვივოდა ნაგვიანვე ტილოებში.

ნახატი მარტო თავისი შინაარსით კი არა, ცხოველი ფერების მოჭარბებითაც გაზაფხულის დასაწყისს, ზამთრის დათრგუნვასა და მზის გამარჯვებას, ყინულებისა და ბორკილების მსხვრევის უმღეროდა და მნახველს სიცოცხლის, გამოღვიძების სიხარულით ავსებდა.

სამივენი დიდხანს იდგნენ ამ ნახატის წინ.

— დიდებულისა! შესანიშნავია! ალტაცებით ამოიძახა ლევანმა. უშანგის ეამა მეგობრის შექება, ოღნავ გაწითლდა და მორცხვად თქვა:

— ტრახახად ნუ ჩამომართმევ, მაგრამ უნდა გამოგიტყდე: ასეთი შთაგონებითა და გაქანებით მერე თითქმის ალარაფერი შემიქმნია. ენერგიის ახალგაზრდულ მოზღვავებას, ალბათ, ყველა საქმეში ერთნაირად მნიშვნელოვანი ნაყოფი მოაქვს. ნაპოლეონი იმდენად ალტაცებული იყო თავისი ახალგაზრდობისდროინდელი იტალიური კამპანიის ზარწყინვალეებით, რომ შემდეგ, ყოველთვის, როცა თავისი წარმატებული ლაშქრობის გამო კომპლიმენტის თქმა სურდა, ასე ამბობდა: ამა და ამ ომში იტალიური ჩექმები მეცვია. მეც, როცა კარგი ნაწარმოები გამომდის, ასე ვამბობ: ყოჩნალის შთაგონება დამიბრუნდა-მეთქი.

სასტუმრო დარბაზში გავიდნენ და წითელი ხის რბილ სავარძლებში ჩასხდნენ.

აქ სურათები ძუნწად იყო. ფაიფურისა და ბროლის საფერფლეები, სურბი და ლარნაეები, ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნაყეთობანი უხვად იყო გაბნეული ვიტრინებში და მაგიდებზე.

ლევანი მოჯადოებულებით აყოლებდა თვალს ფუფუნების ნაირ-ნაირ საგნებს და კიდევ უფრო საცოდავად ეჩვენებოდა თავისი პროვინციული ცხოვრება.

— ამბობენ, სიმდიდრე და უზრუნველობა შემოქმედების მტერიაო, მაგრამ შენზე ეს არ ითქმის, ნაყოფიერადაც მუშაობ და კარგია, რომ კარგადაც ცხოვრობ, — ღიმილით თქვა ლევანმა.

— კარგად ცხოვრებაც შედარებითია, ჩემო ლევან, სიმდიდრისა და უზრუნველობისაგან ძალიან შორსს ვარ, მაგრამ ნორმალურად კი ცხოვრობ, არსებობისათვის ყველაფერი გამაჩნია და მშვიდი, აუჩქარებელი მუშაობის პირობები მაქვს. ამიტომ თავაულებლად ვშრომობ და, თუმცა მდი-

დარი არა ვარ, მეც არხეინად შემობ-  
ლია ძველი ფილოსოფოსის სიტყვე-  
ბის განმეორება: განა დანაშაულია,  
ქვეითად მომავალს რომ ეტლი წამოე-  
წევა, ბედის ამ წყალობით ისარგებ-  
ლებს, შიგ ჩაჭდება და დანარჩენ  
გრძელ გზას გაითოლებს?!

— არა, როგორ გეკადრება! — დაი-  
ბნა ლევანი და გაწითლდა, — პირიქით,  
მხარებს და მემამყება შენი კეთილ-  
დღეობა და გამარჯვება.

კაცის სიმაღლე საათმა უცებ ეკლე-  
სიის ზარივით დაიგუგუნა.

ელისო შეკრთა.

საათმა შეიდგურ დარეკა.

ელისომ ახლა იგრძნო მარტოობა.

— დეიდა ქეთინო სად არის?

იკითხა ფიქრიდან გამოსულმა გოგო-  
ნამ.

— სამზარეულოში ტრიალებს, ვახ-  
შამს გვიშალებს.

— მარტო ცოდვია, მივაკითხავ.

თქვა ელისომ, წამოდგა და დერე-  
ფნისკენ წავიდა.

— როგორ არი?

ხმადაბლა იკითხა უშანგიმ, როგორც  
კი მარტო დარჩნენ.

— ცუდად.. ძალიან ცუდად... —  
ხელჩაქნევით თქვა ლევანმა, — ამ  
ბოლოს ძალიან მოეძალა და ახლა ლე-  
ვინგრადში მიმყავს.

— რას ამბობ, ლევან! — გულწრფე-  
ლად შეწუხდა უშანგი, — რალაც ახალი  
წამალიაო, ვერ იშოვე?

— ვიშოვე, ახლახან ვიშოვე და ლე-  
ვინგრადში მიტომ მიმყავს, აქ ჯერ გა-  
მოცდილება არ ჰქონიათ და ვამჯობინე  
იქაურ სპეციალისტებს მივმართო.

— სწორი გადაწყვეტილებაა.. მარ-  
თლა, — გაახსენდა უშანგის და გამო-  
ცოცხლდა, — შენზე მალარიჩია! ამას-  
წინათ „საბჭოთა სამართლის“ რე-  
დაქტორი შემხვდა, შენი მისამართი  
მკითხა. შენს სტატიას ბეჭდავენ.

— მართლა?

აღმობდა ლევანს.

— მორიგ ნომერში ვიწყებთ ბეჭდვა-

სო. ესეც თქვა, ძალიან დიდია, მაგრამ  
იმდენად საინტერესოა, შემოკლება და-  
ვევინანო. წერილი კი არა, მთელი შრო-  
მა ყოფილა.

— ჰო, მოზრდილია.

მოკრძალებულად თქვა ლევანმა.

— რა საკითხზეა, რედაქტორს ვეღარ  
კვითხე.

— დანაშაულის არსზე და სასჯელ-  
ზეა.

— საინტერესო პრობლემაა. ალბათ  
წამაკითხებ. კარგია, რომ მუშაობას მო-  
უბრუნდი.

წამით ორივე გაჩუმდა.

— ლენინგრადში რამდენი ხნით მი-  
დისარ?

ისევე უშანგიმ დაარღვია დუმილი.

— ალბათ ერთი თვით. ელისოს მეუ-  
რნალობის ხანგრძლივობაზეა დამოკი-  
ლებული.

— მაგ დროისათვის ეურნალიც გა-  
მოვა და უკან ჩამობრუნებულს პონო-  
რარიც დავბვლებ.

— ჰოო!

— კი, ნამდვილად! ის ეურნალი რომ  
გამოვა, უნდა დავასველოთ, მაგრამ ეგ  
ჩემზე იყოს.

ლევანი წამოდგა, თვალი მიმოაატარა  
და თკითხა:

— სახელოსნო აქვე გაქვს?

— არა, მანსარლზე გაქვს. ეს ბინა  
ორი წლის წინათ მომცეს. შემდეგ აქვე-  
სხვეწზე საგანგებოდ გამიკეთეს სახე-  
ლოსნოც. აქედან ლიფტით ავდივარ.  
ჩემთვის განმარტოებულნიცა ვარ და  
შინაც ვიმყოფები.

ლევანმა ოთახში გაიარ-გამოიარა,  
სურათებს ერთხელ კედევ გადაავლო  
თვალი.

— მახსოვს, კარგ ნატურმორტებსა  
და პეიზაჟებს ხატავდი... ახლა... — ლე-  
ვანმა ზელი დიდი პორტრეტებისა-  
კენ გაიშვირა და კინაღამ დაკდა კით-  
ხვა: ახლა ამის მეტს აღარაფერს ხატა-  
ვო, მაგრამ ენას დროზე დაატარა კბი-

ლი. უშანგი მაინც მთუხვდა სათქმელს.

— ვხატავ, ლევან, სულ ვხატავ, მაგრამ არსად ვფენ და სამსკაფუროზე არ გამომაქვს. ძველადაც ჩემთვის, ჩუმიად ვხატავდი. ერთი-ორჯერ გამოვფინე და...

ვრცელი საგამოფენო დარბაზი ხალხით იქსება. საკამებზე ადვილს იკავებენ და დისკუსიის დაწყებას ელოდებიან. გვიან მოსულები ერთხელ კიდევ ავლებენ თვალს გამოფენას. უშანგი და ლევანი სადღაც, შუა რიგში, სხედან.

უშანგი თავის ნამუშევრებს თვალს არ აშორებს. იქ, დარბაზის მარჯვენა მხარეს, მისი კუთხეა. სტალინის უზარმაზარი პორტრეტის წინ ცოტახანს ჩერდებიან, მოსწონთ, მაგრამ თვალი გვერდით გაუბრუნებენ. სტალინის სურათის გვერდით უშანგისავე ძველი თბილისის ციკლია გამოფენილი: მეთევზეები და შეეტლებები, მათრახივით წელმოქნილი კინტოები, ფარფაშა შარვლები, ფერადი სუფრები და ფეხმორთხმული ყარაჩოლელები...

გამყარელობის ამ ნახატებთან ზალხი ბუზივით ირევა. ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად დგანან, მსჯელობენ და კამათობენ.

უშანგი ღელავს, ვერ ისვენებს.

— რა იყო, უშანგი? ხომ არ გეშინია?

ეკითხება ლევანი და მხარზე გასამხნევებლად ხელს არტყამს.

— არა, შიშის რას მიქვიან, მაგრამ ალბათ დამცხებენ.

— ძველი თბილისისათვის?

— ჰო, ძველი თბილისის ციკლისათვის. ხომ ნახე, შთაბეჭდილებების წიგნში ბევრ ქებასთან ერთად ლანძღვინებაც საკმაოდ არი.

— არაფერია... შენი სტალინი ყველაფერს გადამწონის... ყველა ერთხმად ამბობს, რომ შენი „ბელადი“ საუკეთესოა!

დარბაზი იცისო. პრეზიდენტის მადიდის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობა მოუსხდა.

თავმჯდომარე წამოდგა. წყლიან გრაფინზე ფანქარი დააკაგუნა. იქაურობას თვალი მოავლო.

— კარი დაკეტეთ, ვიწყებთ.

გამოაცხადა, სათვალე გაიკეთა და ქალაქს დახედა. იქ რალაც ამოიკითხა, სათვალე მოიხსნა და მოკლე სიტყვით გამოფენისადმი მიძღვნილი დისკუსია გახსნა. სიტყვა მომხსენებელს მისცა და თვალი ისე კმაყოფილი გამომეტყველებით მოავლო დარბაზს, თითქოს რალაც დიდი ვალი მოეხადოს იმ საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე.

მომხსენებელი თავდაცვ მხატვარი იყო, კათედრისაკენ დინჯად წავიდა, წინასწარ წყალი მოსვა და მოხსენების კითხვას შეუდგა.

გვერდით მჯდომმა მხატვარმა თავმჯდომარეს რალაც გადაუჩურჩულა. მერე ორივეს თვალემა ერთად უშანგი მოძებნეს. თავმჯდომარემ ყინულივით ცივი ღიმილი ესროლა გამყარელობის და მაშინვე მომხსენებლისაკენ იბრუნა პირი.

მომხსენებელი შესავალ, ზოგად ნაწილს მორჩა და გამოფენილი ნამუშევრების კონკრეტულ ანალიზს იწყებდა.

დარბაზში უცებ ანდრო ავალიანი შემოვიდა, თავი დაადირა და პირველ რიგში თავისუფლად დარჩენილი სკამისკენ წავიდა. დაჯდა თუ არა, დარბაზს მოავლო თვალი. როგორც კი ლევანს და უშანგის შეხედა, საბე მოელეშა, ვითომ არც დაენახოს, თავი იბრუნა და მომხსენებელს მიუბჰრო ყური.

უშანგიმ მკლავზე ხელი მოუჭირა ლევანს.

ცოტა არ იყოს, ორივეს ეუცნაურა ავალიანის დაგვიანებულ მოსვლაცა და ქუშტი გამოხედვაც, მაგრამ არც ერთს არაფერი უთქვამს.

მომხსენებელმა თითქმის გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნაწარმოები გაარჩია. ოფლი მოიწმინდა და განაგრძო:

— მე განგებ ბოლოსათვის მოვიტოვებ ჩვენი სამხატვრო აკადემიის დიპლომანტის, ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის — უშანგი გამყრელიძის ნამუშევრები. დარბაზი სმენად იქცა.

უშანგიმ იგრძნო მისკენ მოპყრობილი უამრავი თვალის მზერა, უხერხულად შეიმჩმუნა და თავი ჩაღუნა.

— მე არ ვილაპარაკებ გამყრელიძის ძველი თბილისის ციკლზე. ეს ციკლი გამოირჩევა შესრულების შესანიშნავი ოსტატობით და მაღალი გემოვნებით, მაგრამ მხატვრის ეს ნამუშევარი ჩვენი იდეური მაგისტრალის მიღმა დგას და მე მინდა იგი ახალგაზრდის ძიებად და ექსპერიმენტად ჩაეთვალო და, ამდენად, მისი შემოქმედებისათვის უცხო, არადა-მასხასიათებელ გადახვევად მივიჩნიო. მე მინდა ძირითადად მხატვრის იმ ნამუშევარზე შევჩერდე, რომელიც მთავარია მის ზრდასა და დავაეკაცებაში, და ესოდენ დამასხასიათებელი და საეტაპოა არა მარტო გამყრელიძისათვის, არამედ მთელი ჩვენი დღევანდელი მხატვრობის იდეური მიზანსწრაფვისათვის.

ამის შემდეგ მომხსენებელმა ცამდის აიყვანა დიპლომანტის „ბელადი“, დაწერილებით, პროფესიულად გაარჩია პორტრეტი და იგი ქართული საბჭოთა მხატვრობის მიღწევად გამოაცხადა.

მომხსენებლის სიტყვა ტაშმა დაჰტარა.

— ხომ ვითხარი, ვადასწონის-მეთქი. ღიმილით უთხრა ლევანმა უშანგის და მკლავზე მკლავი გაჰკრა.

ტაში დაცხრა.

— ვიწყებთ კამათს. კამათში ჭერჯერობით ჩაწერილია ზუსტი ამხანაგი, — თავმჯდომარემ მათი გვარები წაიკითხა, — მსურველთა ჩაწერა გრძელდება. სიტყვა ეძლევა...

თავმჯდომარემ ორატორის გვარი გამოაცხადა.

პირველი ორატორიდან მოკიდებულ, ყველანი მომხსენებლის ძირითად დებულებებს იმეორებდნენ და ავითარებდნენ. გამყრელიძის მიმართ ყვე-

ლა კეთილმდომლობას იჩენდა. „ძველ თბილისზე“ მოკლედ ლაპარაკობდნენ, მომხსენებლის მსგავსად, ციკლის მაღალ მხატვრულ ღირსებებს ორი სიტყვით აღნიშნავდნენ და მაშინვე მთავარზე — „ბელადის პორტრეტზე“ ვადადიოდნენ.

ყველაზე ქვესაროლია ორატორებიც კი თვალს არ ზუქავდნენ გამყრელიძის „ძველ თბილისზე“ და, როცა მის ღირსებებს აღნიშნავდნენ, საყვედურს იმის გამო გამოთქვამდნენ, რომ „ძველი თბილისი“ უკან, ფიროსმანისაკენ დაბრუნების ცდა იყო, და იდეურად ახალსა და საინტერესოს არაფერს შეიცავდა.

— ჩვენ რომ ამ ნამუშევრების გვერდით არ ვხედავდეთ გამყრელიძის შესანიშნავ „ბელადს“, შეიძლებოდა მხატვრის იდეურ დაბნეულობაზე, მის შემოქმედებაში ჩვენთვის მიუღებელი ბურჟუაზიული მხატვრობის გავლენაზე გველაპარაკა და საემოდ მკაცრადაც. მაგრამ ახალგაზრდა მხატვრის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ბელადის პორტრეტი, გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს შემთხვევით, არადამასხასიათებელ გადახვევასთან.

ასკენიდა თითქმის ყველა ორატორი და შემდეგ ქება-დიდებას ასხამდა გამყრელიძის „ბელადს“.

ექვსმა კაცმა ილაპარაკა.

თავმჯდომარე წამოიღა.

— კიდევ ვის სურს კამათში გამოსვლა?

მიმართა დამსწრეთ.

წინა რიგში ხელი აღიმართა. ყველამ იქით გაიხედა. ლევანმა და უშანგიმ კამათში გამოსვლის მსურველს მიაპყრეს მზერა და გაკვირვებულებმა ერთიმეორეს გადახედეს.

— გთხოვთ... — მიმართა თავმჯდომარემ სიტყვის მსურველს.

წინა რიგიდან ანდრო წამოიღა და ტრიბუნისაკენ გაემართა.

— უკაცრავად, თქვენი გვარი?

— ავალიანი ვახლავართ, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

— სიტყვა ეძლევა ამხანაგ ავალიანს,

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. — გამოაცხადა თავმჯდომარეში.

— მე არც მხატვარი ვარ და არც ხელოვნებისმცოდნე, — დაიწყო ავალიანმა, — მაგრამ მხატვრობა, ხელოვნება და, კერძოდ, საბჭოთა ხელოვნება ხალხისათვის იქმნება. ჩვენ ვალდებული ვართ თვალისწინებით გავუფრთხილდეთ და დავიცვათ საბჭოთა მხატვრობის იდეური სიწმინდე, ვებრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, ფორმალიზმსა და აპოლიტიკურობას.

უნდა გამოვტყდე და თქვენი დისკუსიის მიმდინარეობა არ მომწონს!..

ხალხი ახმაურდა. ბევრს გაეცინა. პრეზიდენტში მსხდომებმა ყურადღება დაძაბეს და ისე მიაჩერდნენ მოკამათეს.

— მეტსაც ვიტყვი. მოხსენებისა და კამათში გამოსული ამხანაგების მოსმენის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემეჭნა, თითქოს უტოპიურ კუნძულზე მოვხვდი; სადაც არც კლასთა ბრძოლა არის, არც იდეური დაპირისპირება, ყველაფერი მშვიდად, წყნარად და უღრტენივლად მიმდინარეობს.

პრეზიდენტში შეიმშუშნენ და ერთიმეორეს უკმაყოფილოდ გადახედეს.

— პარტია კი გვასწავლის, რომ ჩვენ ეცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში, ქვეყანაში, სადაც იდეური ბრძოლა არა თუ მოისპო, უაღრესად გამწვავდა. ჩვენ, კომუნისტები, შეჩვეულნი ვართ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების მიმართ დაუნდობელ, უკომპრომისო ბრძოლას.

მაგალითად, ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს ბრძოლა ერთი წუთითაც არ ცხრება. ამასწინათ სასტუკო ბრძოლა ჩავატარეთ კონტრაქტივეშჩინის ქართული გამოვლინების წინააღმდეგ.

დაუზოგავად ვამხილეთ დასავლეთის რეაქციულ იდეოლოგიაზე აღზრდილი ჩვენი მსტოვანი მეცნიერები, ისინი, ვინც თავის ლექციებსა და სამეცნიერო

შრომებში ატარებენ ბურჟუაზიული იდეოლოგიას.

პირუთენელსა და პირდაპირ კრიტიკას ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს. ჩვენს მიერ მხილებული პროფესორების უმრავლესობა დარწმუნდა კრიტიკის სიმართლეში, აღიარა სოციალიზმის მშენებლობისათვის თავისი მსოფლმხედველობის მანებლობა და აღვეითქვა სრული გადაიარაღება. ხოლო ისინი, ვინც ჯიუტად დგანან თავიანთ მტრულ პოზიციებზე, უყოყმანოდ მოაკვეთებიან უნივერსიტეტიდან, რადგან პარტია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას ვერ ანდობს ბურჟუაზიულად მოაზროვნე ადამიანებს.

დარბაზში საშინელი სიცივე ჩამოღვა.

— ასეთივე პარტიული დამოკიდებულება უნდა იყოს აქაც...

— იქაც გვეყოფა! დაიძაბა ვილაცამ დარბაზიდან.

თავმჯდომარე წამოხტა და გრაფინზე ფანჯარი ააწკარუნა.

ავალიანმა მკაცრად გახედა დარბაზის იმ მხარეს, საიდანაც რეპლიკა გაისმა და კიდევ უფრო მტკიცედ განაგრძო:

— დიახ, ასეთივე პარტიული მიდგომა უნდა იყოს არა მარტო მეცნიერების, არამედ ხელოვნების ყველა მუშაკისადმი. აქ კი, თქვენთან, უნდა ვუღწრფელად ვთქვა, ვერ ვხედავ ასეთ დამოკიდებულებას. მომხსენებელიცა და მოკამათებელიც ამაყარა ლიბერალობას იჩენენ ჩვენთვის უცხო აპოლიტიკურობისა და უიდეობის მიმართ. ეს დამძალი ლიბერალიზმი არავის ესაჭიროება და მხოლოდ ვნებას მოუტანს სოციალიზმის მშენებლობას.

ჩემი მსჯელობა რომ ზოგადი არ იყოს, მე შეეჩერდები ახალგაზრდა მხატვრის — უშანგი გამყრელიძის შემოქმედებაზე. აქ გამოფენილი მისი „ძველი თბილისი“ არა მარტო უიდეობისა და აპოლიტიკურობის ნიმუშია, არამედ დრომოჭმული ეკზოტიკით გატაცების,

დასავლეთის ბურჟუაზიული მხატვრობის გავლენის ბეჭედსაც აშკარად ატარებს და თქვენ, მის მასწავლებლებსა და იდეურ აღმზრდელებს, არ გასურთ ამაზე პირდაპირ მიუთითოთ ნიჭიერ ახალგაზრდას.

გამყრელიძის მაგალითი ცუდი სიმბტომაა და ჩვენ ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი მოწინააღმდეგე იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინება საბჭოთა მხატვრობაში...

— ანდროს მეც ვაბრუებული ვუსმენდი, მაგრამ ცალი თვალით შენ შემოგყურებდი. ალბათ გრძნობდი, რომ იმ წუთში მთელი დარბაზის მხერგა შენსკენ იყო მოპყრობილი, თავი ჩაღუნული გქონდა და სახეზე აღმური ავდიოდა.

— სახეზე ცეცხლი მეკიდა, მაგრამ იმ დროს ამაზე აღარ ვფიქრობდი. ანდროს მეც გაოგნებული ვუსმენდი და მარტოსულიერ შეშფოთებას კი არა, რალაც მტანჯველ ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობდი, ლევან. ასე მეგონა, ანდროს ხელში ქაშარი ეჭირა და დაუზოგავად მცემდა, როგორც მაშინ, ჩვენს ყრმობაში. ალბათ გახსოვს, ყორნალის სკოლაში რომ მცემდა ქაშარს დაუზოგავად, წრე-ლახტის თამაშში.

— მახსოვს...

— ეტყობა, დაუნდობლობა, შეუბრალებლობა და ჟღმობელობა ანდროს ხასიათი და ბუნება იყო; ეს ხასიათი ჩვენი გაცნობისთანავე ბავშვურ თამაშობაში ვამომეღიანა და შემდეგ, დიდობაში, სერიოზულ საქმეშიც ვერ დაშალა.

— სიტყვა რომ დაამთავრა, სადღაც გაქრა. მეორე დღეს ვნახე მხოლოდ. საყვედურის თქმა არ მაცალა, აქით დამასწრო: მეგობრობა პირში თქმა და ნაკლზე მითითება არის და არა თვალის დახუჭვაო; უშანგი ნიჭიერი კაცია და მალე დარწმუნდება, რომ ჩემი მოურიღებული კრიტიკით მე უკეთესი სამსა-

ხური გავუწიე, ვიდრე თქვენ თქვენი ლიბერალობითა და პირფერობითო.

— მაშინ ისეთი დრო იყო, ანდროს გამოსვლას აკადემიიდან ჩემი გარიცხვა და დევნა უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ ზოგჯერ ათი მოკეთის ქებაზე მეტი სარგებელი ერთ მტრულ თავდასხმას მოაქვს. ანდროს ცამოსვლის შინაარსი იმ ღამესვე გაეგოთ და დაინტერესებულ იყვნენ. მეორე დღეს გამოფენა ოფიციალურად უკვე დახურულად ითვლებოდა, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ერთად მოსულან, ჩემს ნამუშევრებთან საგანგებოდ შეჩერებულან. „ბელადის პორტრეტით“ აღფრთოვანებულან და მოსკოვში გასაგზავნად აურჩევიათ.

მეორე დღეს გაზეთების პირველ გვერდებზე ჩემი „ბელადის პორტრეტი“ დაიბეჭდა და იმ „პორტრეტს“ არა ერთი სტატია მიეძღვნა.

ანდროს გამოსვლით შეშინებული მხატვრები, იმ ღამეს რომ ხატვებადაცემულსავეთ გამერიდნენ, ორი დღის შემდეგ გამარჯვებას მილოცავდნენ და მკოცნიდნენ.

— დიდხანს იყავით უბრაოდ იმ დღიდან შენ და ანდრო.

— დიდხანს. მანამდისაც არ ვხვდებოდიტ ერთმანეთს სშირად. იმის შემდეგ ხომ ფენი ავიკვეთეთ. მე იქით აღარ მიმიკითხავს და, რაკი თავის დანაშაულს გრძნობდა, ჩემთან შეხვედრას თვითონაც გაურბოდა, თავს მარიდებდა. ეტყობა, მაინც სინდისი აწუხებდა და ჩემთან შერიგების შესაფერის შემთხვევას ეძებდა. კახნის შემდეგ, სტალინის პრემია რომ მივიღე, მაშინ შევხვდი და საკმაოდ უცნაურად: ახალ ლაურეატებს შეხვედრებს გვიწყობდნენ და საღამოებს გვიმართავდნენ. უნივერსიტეტიდან სტუდენტები მოვადნენ, ჩემი საღამო დაენიშნათ და მიმიწვიეს. უარს როგორ ვეტყოდი. საღამოზე მივედი. დარბაზი რომ გაივსო. პრეზიდენტის მაგიდას მივუხსენდი. ვილაცას ელოდნენ და არ იწყებდნენ. უცებ ანდრო

შემოვიდა, საერთო საღამო მოგვცა და თავმჯდომარის ადგილი დაიკავა.

მოკლე სიტყვით გახსნა შეხვედრა, ქებათა-ქება მითხრა, უმაღლესი ჯილდო მომილოცა, ხელი ვაშალა და გადაშეხვია. მეც, რა ჯანი მქონდა, გადავეხვიე და ვაკოცე.

— საღამოს შემდეგ ვახშამზედაც ძალიან ცეფერა თურმე.

— ძალიან! თამადა იყო და ჩემი ქება-დიდებათი დაღალა ხალხი. ცუდი გული როდი მქონდა ანდროს, მაგრამ, შენ უკეთ იყო, ფიცები იყო, წონასწორობიდან მოულოდნელად გამოდიოდა და უქილურესობაში ვარდებოდა. ასეთ კაცს, ალბათ, მოსამართლეობა გაუჭირდებოდა. მოსამართლე დინჯი და მიუდგომელი უნდა იყოს.

— არა, სასამართლოში კარგად მუშაობდა. ცოტა სახელი და თავის გამოჩენა უყვარდა და რაიონის სასამართლო საამისო ასპარეზად ეპატარავებოდა. მაინც, იქაც ახერხებდა ყურადღების მიქცევას და, როგორც კი ხელში ცოტად თუ ბევრად საინტერესო საქმე ჩაუვარდებოდა, ყოველნაირად ცდილობდა მის გახმაურებას. ბოლოს პროვინციაში ცხოვრება მოწყინდა, სამეცნიერო შრომის წერას შეუდგა და ისევ უნივერსიტეტში გადმოსასვლელად ემზადებოდა.

ოთახში ქეთინო და ელისო შემოვიდნენ.

უშანგის ცოლი ლევანს შინაურულად მიესალმა. ერთმანეთი მოიციობეს და დიასახლისმა ყველანი ვახშამზე მიიწვია.

უშანგიმ საათს დახედა.

— არ მოვიდნენ ანდროს შვილი და რძალი. რა გაეწყობა, ჩვენ დაქანდეთ, — გულდაწყვეტით თქვა მასპინძელმა და სტუმრებს სსაადილო ოთახისაკენ გაუძღვა.

დამნაშავეები უკვე დაპატიმრებულნი იყვნენ, მაგრამ ოთარ გამრეკელი ხელს

მაინც არ იღებდა თავის გადაწყვეტილებაზე, ყველა ღონე ეხმარა ავალიანის გადასარჩენად.

ამ გადაწყვეტილებით ჩამოხდა მატარებლიდან იოსუბნის პატარა ბაქანზე გამრეკელი.

ჯერ ადგილობრივ მილიციას მიადგა. რწმუნებულს საქმის შინაარსი მოკლედ გააცნო და ლორიების ოჯახის ავ-კარგი გამოჰკითხა.

სახელგანთქმულ მეჩაიეს — ვენერა ლორიას ციციოს მეტი არავინ ვააჩნდა თურმე და შეძლებული ოჯახიდან ერთადერთი ქალიშვილის კლდეებში სამუშაოს საძებრად გაქცევა არა მარტო გამრეკელს, არამედ იოსუბნის მილიციის რწმუნებულსაც აკვირვებდა.

ვენერასა და მისი ქალიშვილის პატიოსნებაზე ეჭვის მიტანაც კი შეუძლებლად ეჩვენებოდა რწმუნებულს:

— ციციო ჯერ ბავშვია, სკოლის მერხს არ გაცილებია და მარტო სწავლით კი არა, ვაზრდილობითაც სანიმუშოა. ციციო ახლა იწყებდა ქალიშვილობაში შესვლას და რაც სასიძო ახალგაზრდები იყვნენ, ყველას თვალი მასზე ეჭირა.

რწმუნებულმა დაწვრილებით უამბო გამრეკელს იონა ტრაქტორისტის უიღბლო მიჯნურობისა და ბათუმში ციციოს გადასვლის ამბავი.

ამის მეტი თავად რწმუნებულმაც არაფერი იცოდა.

გამრეკელი ხედავდა: ციციოს არაჩვეულებრივი სიღამაზით აღძრული ეჭვი ბურუსივით იფანტებოდა. მშვენიერი ელენეს მაცდუნებელ სახეს ბინდი ეფარებოდა და მის წინაშე გამოკვეთილად ჩნდებოდა ლამაზი, მაგრამ ჯერ გულუბრყვილო, გამოუცდელი გოგონას მიმზიდველი სახე. ლორიას ბავშვური ბიოგრაფია არავითარ საფუძველს არ იძლეოდა იმისათვის, რომ მის წარსულზე, მის „ცბიერებაზე“ და „ქალურ ბუნებასა“ თუ „გამოცდილებაზე“ რაიმე ვარაუდი დაემყარებინა და გიგას ხსნის იმედი გამოძიების ამ გზით წარმართვაში დაენახა. ციციოს მიაძიტ ბავშვად და



პატიოსან, გაურყენელ გოგონად უბატავდა გამრეკელს, არა მარტო მილოციის რწმუნებულნი, არამედ სკოლისა და მეზობელ-ნაცნობების დახასიათებაც.

ვენერას დაკითხვამაც ახალი არაფერი შეჰმატა გამოეკელის ხელთ არსებულ ცნობებს. შემფოთებულ ვენერას ქალიშვილის დაპატიმრების ამბავი არ გაუმხილეს, მაგრამ დედა გუმანით მიხვდა, რომ თავს რაღაც უბედურება უნდა დატყდომოდა. ფეხი დაჰკრა და იმ ღღესვე კლდეტს მიაშურა.

ლევანი სასტუმროს აივნიდან გაპყურებდა ლენინგრადს.

ახუთი დღის ჩასული მამა-შვილი თავს უკვე შინაურულად გრძნობდა წინა დღეს ელისოს პალატა და საწოლი მიუჩინეს საავადმყოფოში. საღამოს უნდა დაეწვინათ და ხვლიდან მკურნალობას დაუწყებდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ლევანმა საჯარო ბიბლიოთეკაში მისვლა მოასწრო. საჭირო წიგნები მოითხოვა და უახლოეს დღეებში სამუშაოდ ჩაჯდომას აპირებდა.

წყნარი, მზიანი დღე იდგა.

უცნაურად შეწითლებულ ცას იისფერი დაჰკრავდა, უზარმაზარ ქალაქს მსუბუქი კვამლისა თუ ნისლის გამჰკირვალე ლეჩაქი ეფინა.

ლევანი ფართო ქუჩებსა და უღამაზეს სასახლეებს გაპყურებდა.

საშინელი ნგრევისა და ომის კვალი თითქმის აღარსად ჩანდა. ლენინგრადი ძველებურად დიდებული და მშვენიერი იყო.

მსუბუქად ჩაცმულ ლევანს უცებ გააფრეოლა. დილიდან აზმორებდა და თავის ტკივილი არ ეხსენებოდა. ე, მანდ არ ვაეცივდეო, გაიფიქრა და ოთახში პიჯაკის ჩასაცმელად შევიდა.

წასასვლელად გამზადებული ელისო კართან იდგა.

— წავიდეთ, მამა?

— წავიდეთ, — დაეთანხმა ლევანი. პიჯაკი ჩაიცვა, ჯიბეში პატირისი და ასანთი ჩაიწყო და ქალიშვილს გააყვია.

ერმიტაჟში ხალხი ბუზივით ირეოდა.

ბილეთები და გზამკვლევი იყიდეს და უშველებელ კიბეს შეუდგნენ.

კიბეზე ექსკურსანტების ჯგუფი იდგა. გიდი მალა უთითებდა, რაღაცას უხსნიდა. თავაწეული დამთვალეირებლები გაოცებულნი შეჰყურებდნენ უზარმაზარ პლაფონზე მოხატულ ლურჯ ცას და ღრუბლებზე ნებღირად მისვენებულ ღმერთებს.

მამა-შვილმა გიდის ახსნას მიუპყრო ყური და ექსკურსანტების ჯგუფს ნელ-ნელა მიჰყვა. გიდი კვლა უმთავრეს ღირსშესანიშნობას დაწვრილებით აღწერდა, პირდაღებულ, გაკვირვებულ დამთვალეირებლებს მათ ისტორიასა და მნიშვნელობას მოუთხრობდა და, როგორც ერთ „ობიექტს“ მორჩებოდა, მეორისაკენ უანმოუხედავად გარბოდა და ექსკურსანტებსაც მიარბენინებდა.

კრუსადევენებული წიწილებივით სდიეს ერთხანს ლევანმა და ელისომაც იმ გიდს. მისი ზღაღღაფადოვანი თბრობისაგან ხელოვნების ბევრი ნიმუშის თავგადასავალი და აზრი გაიგეს და დაიღალნენ თუ მოსწყინდათ, როგორღაც დარბაზებში მორბენალ იმ ჯგუფს ჩამორჩნენ და მშვიდად, ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ სურათებისა და ქანდაკებების მწკრივებს.

ლეონარდოსა და ტიციანის შედევრების წინ დიდხანს იდგნენ მოჭადოებულები. ხანდახან გზამკვლევს ჩახედავდნენ, რომელიმე უკვდავი ნაწარმოების შესახებ ცნობებს უხმოდ ამოკითხავდნენ და ნელა აგრძელებდნენ გზას.

ესპანეთის დარბაზში კარგა ხანს შეყოვნდნენ: დასავლეთის სამხედრო საჭურვლის დარბაზი ჩქარა გაიარეს და ფლანდრიის მხატვრობის გამოფენაზე მოხვდნენ.

ელისო გამოცოცხლდა. მსუყე ფერებით დახატულმა ხილისა და ხო-

რაგის ხეაგებმა, ლამაზმა პეიზაჟებმა, ნადირობისა და ლხინის სურათებმა საქართველო გაახსენა.

დარბაზებში ხალხი შეთხელდა.

თანდათან დაღლა იგრძნეს.

— არ გვეყოფა, მამი?

ჩურჩულით ეკითხება ელისო ლევანს.

— როგორც იტყვი...

მხრებს იჩენს ლევანი, სურათს თვალს წყვეტს და ელისოს აკვირდება.

— დაილაღე, განა?

— ჰო, ცოტა დავილაღე. ამდენმა თვალისციცებამ დამქანცა და გამაბრუა: თავში ყველაფერი მერევა, — ღიმილით თქვა ელისომ და გზა განაგრძო.

ჰოლანდიური მხატვრობის დარბაზში შეაბიჯეს.

აქ ხალხი კიდევ ბლომად იყო.

ახალგაზრდა ქალს შუა დარბაზში მოღებრტი გაემართა და რემბრანდტის „დანაიას“ ასლს წერდა.

ელისომ ცალი თვლით იმ ასლს გადახედა და მერე მზერა დედანს მიაკურთხა.

სილამაზის მხრივ არც თუ ისე სრულქმნილი ქალის შიშველი სხეულის სითბო და თრთოლვა ნახატიდან მაყურებლებზე გადმოდიოდა და მასაც იმ ოქროსფერ შუქში ჰხვევდა, რომელშიაც თავად ჩაძირულიყო.

შიშველი ქალის დიდხანს ყურებისა შერცხვა გოგონას და თვალი ჩუმად მამისაკენ გააპარა.

ლევანი მონუსხულივით იდგა. იგი ერთიანად გადასულიყო ნახატში გაცოცხლებული ცხოვრების ღრმა სიმართლეში და იჭაურობას გამოთიშვოდა.

— ცხოვრების ბოლო წლებში რემბრანდტი ქმნის თავის საუკეთესო შედეგებს — „უძღები შვილის დაბრუნებას“.

განსმის ექსკურსიის მძღოლის ხმა და ლევანი უცებ გამოდის გარინდებიდან.

ელისო ექსკურსანტთა ჯგუფისკენ მიდის და ლევანიც მოჭადროებულივით

მიჰყვება ამხსნელის ხმას თუ შინაგან ძახილს.

ქართული

მამა-შვილი გაცოცხლებული თვალებით შეჰყურებს ვეებერთელა ტილოს: ღრმა, ჩაბნელებულ სივრცეში მკაფიო შუქით არის გამოკვეთილი დაბრმავებული მოხუცის სახე და ხელები, რომლითაც იგი მის მკერდში თავჩარგულ, მუხლზე დაცემულ კაცს ეხება. იმ კაცს თავი გადახოტილი აქვს, ტანისამოსი შემოხვევია და შიშველი ფეხისგულები მოუჩანს.

— ამ სურათზე დიდმა ჰოლანდიელმა მხატვარმა შესანიშნავად გააცოცხლა და გადმოგვცა ძველი ბიბლიური სიუჟეტი. ტილოზე გამოხატულია მოლოდინით გატანჯული მოხუცი მამის შეხვედრა გზააბნეულ, უძღებ შვილთან, რომელმაც თავისი ქონება და ახალგაზრდობა დროსტარებაში გაფლანგა და ძლივს დაბრუნდა შინ გაღარიბებული, დაუძღვრებული და სულიერად გამოფიტული.

ჰყვება გატაცებით ვიდი.

ელისოს მისი ნათქვამისაგან აღარაფერი ესმის.

იგი წელში მოხრილ უძღები შვილის მამას აკვირდება და თვალს ვერ აშორებს.

ქალიშვილი წამით თავისი მამისკენ იხედება და, თითქოს ღრმად დაფიქრებული ლევანის მზერამ გააბედვინაო, ჩურჩულით ეუბნება:

— როგორა ვავს ბაბუა აბესალომს, მამი..

თითქოს გულში ეკალი მოხვდაო, ლევანი უცებ შეტოკდა, დამტრთხალმა მიიხედ-მოიხედა, მერე ელისოს მკლავში ხელი მოჰკიდა და ნაბიჯი გასასვლელისაკენ წადგა.

— თითქოს ბაბუა აბესალომი დაუხატავსო მხატვარს... როგორ წვეთი წყალივითა ჰგავს.

ჩურჩულებს ელისო.

— წავიდეთ... გეტყობა, ძალიან დაღლილი ხარ...

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს ლევანი და ქალიშვილს მხარდამხარ მიჰყვება.

მართლა ჰგავს ბიძია აბესალომს ეს მოხუცი თუ ელისოს ეჩვენება? არა, როგორ ეჩვენება! მკერდზე დაფენილი თეთრი წვერი, მოშვებული თმა და მაღალი შუბლი, დახრილი თვალები და სათნოებით განათებული სახე, მართლაც რომ გაკრილი ვაშლის ნახევარივით გავს თავის მეორე ნახევარსა თუ ორიულს — აბესალომ დეკანოზის კეთილ, დაფიქრებულ სახეს.

რატომ თვითონ ვერ შეამჩნია ლევანმა? ეგებ სულაც ვერ შეემჩნია, ელისოს რომ არ ეთქვა?! მაგრამ ელისოს ეგებ მართო გარეგნობით არ მიუძღვასებო ლევანის ბიძისათვის ეს მოხუცი? ეგებ სურათის აზრმა და შინაარსმა დაანახვა ეს მსგავსება? იქნებ ის მუხლზე დაცემული, გზაბნეული შვილიც ვინმეს აგონებს?

ამის გაფიქრებაზე ლევანს უსიამოვრკოლამ დაუარა.

სარწმუნოებისაგან გამდგარი ლევანის წასვლა აბესალომთან ფულის სათხოვნელად, შემდეგ აბესალომისაგან დანხარების მიღება, განა მართლა არა გავს უძღები შვილის მამასთან დაბრუნებას?!

ლევანი ამოდ ცდილობს აბეზარი ფიქრის მოშორებას. წუხელ ზეირიანად არ უძინია. თავი სტკივა და საშინელ დაღლას გრძნობს.

დილით არაფერი უქამია. შიშხილისა თუ დაღლილობისაგან თავებრუ ესხმის და თვალი უპრელდება.

რემბრანდტის დარბაზიდან გამოსვლისას უზარმაზარ „გარდამოხსნას“ მოჰკრა თვალი. წელან ამ სურათისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა ქრისტეს ნეშტის ჩამოსასვენებლად ჯვარზე მალალი კიბით ასული ორი მოციქულის სახემ რაღაც მოაგონა. ჯვარს მიაჩერდა და თვალი რომ კიდევ უფრო აუჭრელდა, ის ჯვარი შექანდა და სადღაც, ლავარდში ამართულ გუმბათს მოექცა თავზე.

მამა-შვილი კიბეს დაუყვა.

ლევანი რატომღაც ფარდაზე კი არ

აბიჯებს, კიბის ნაპირს მიბყვება და მარმარილოზე ადგამს ფეხს... უცებ გონება სხვაგან გაფრინდა: ეჩვენება, რომ ყორნალის მონასტრის სახურავზე მიაბიჯებს და გუმბათზე აღმართულ ჯვარს უახლოვდება.

ეჩვენება თუ სიზმარია? მაგრამ ცხადში სიზმარი სად გაგონილა? ლევანი კიბეზე ჩადის, ხელით მოაჯირს ეხება. ყოველივე ეს ცხადია, მაგრამ ესეც ხომ ცხადად ხდება: სადაცაა ჯვარს უნდა მისწვდეს... აი, ხელიც გაიშვია ჯვრის მოსახსნელად და...

— მამა, ცუდად ხომ არა ხარ?

ჩაესმა ელისოს ხმა და უმაღვე გამოფხიზლდა.

— არა, ეტყობა მეც დავილაღე.

ჩურჩულით ამბობს გონსმოსული ლევანი და წყვილიდან გამოსულივით ნელ-ნელა აჩვევს თვალს გარემოს.

ელისოს ცალი ხელი მკლავში გაუყრია მამისათვის, მეორე წელზე მოუხვევია და ფრთხილად მიაბიჯებს.

ვესტიბულში ჩავიდნენ.

— ჩამოჯექი, დავისვენოთ.

ეუბნება ელისო და გრძელი სკამისაკენ მიემართება.

— არ მინდა... უკვე გამიარა.

ამბობს ლევანი და კარისკენ იღებს გეხს.

წამით კიოსკთან შეჩერდნენ, ელისომ ერმიტაჟის ალბომი იყიდა და გასასვლელს მიაშურეს.

ქუჩაში გამოსვლისთანავე სუფთა ჰაერმა ორივე გამოაცოცხლა.

კაფეში შევიდნენ და ცოტა დანაყრდნენ. ლევანი უმაღოდ სკამდა, ფიქრში წასული სანახევროდ ძლივს უგდებდა ყურს ქალიშვილის გაუთავებელ ტიტინს.

— მამი, ისევ ცუდად ხომ არა ხარ? იკითხა უცებ შეშფოთებულმა ელისომ.

— თვალები დაწითლებული გაქვს... ხელი მომეცი.

ლევანს უხალისოდ გაელიმა და ხელი გაუწოდა.

— მგონი, სიცხე გაქვს.

— არა... უბრალოდ, დაღლილი ვარ. დავისვენებ, გამივლის.

არხინად თქვა ლევანმა და ქალიშვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

უცებ რაღაც გაახსენდა. საათს დახედდა.

— ოჰო, კარგა მოსალამოვებულა, — თქვა ლევანმა და ოფიციალტი მოიხიშო ფულის გადასახდელად.

— სასტუმროში გავლა გინდა? — ეკითხება წასასვლელად წამომდგარ ელისოს.

— არ მინდა, ყველაფერი საავადმყოფოში მაქვს მიტანილი.

ლევანმა ფული გადაიხადა და კაფედან გავიდნენ.

სავადმყოფოში მიაცილა და დატოვა. ბევრს რომ დამეშვიდობა, გული ჩაწყდა. ამოდენა ქალაქში მარტო დარჩენილია ობლობა და მიუსაფრობა იგრძნო. ტანში აკრიალებდა და თავი წინანდელზე მეტად უხურდა. სასტუმროში დაბრუნდა. ოქროს ფხვნილი დალია. გაიხადა და ჩაწვა.

სალამოს გაზეთი გაშალა. ასოებს ძლივს არჩევდა, თვალი უჭრელდებოდა და თავბრუ ეძალეებოდა. შუბლზე ხელი დაიდო: ცხელი ჰქონდა. წამოდგომა და სიცხის საზომის მოძებნა უნდოდა, მაგრამ დაეზარა. გაზეთს ხელი უშვა, სინათლე ჩააქრო და თვალი მიხუჭა.

მთელი ღამე შფოთში გაატარა. ბოდავდა და ხშირ-ხშირად იღვიძებდა. იწვოდა და თავი უსკდებოდა. გაუთავებლად აზმორებდა და ამტვრევდა. ყელი უშრებოდა და ტუჩები უხმებოდა, მაგრამ წყლის დასალევად ვერ დგებოდა... მერე, როგორც იქნა, დამშვიდდა და მძიმე, გრძელი ძლით ჩაეძინა.

თვალი რომ გაახილა, ოთახში უკვე შუადღის მზე ჩახჩახებდა.

საათს დახედდა. ციფერბლატზე ისრები აირიენენ. საათი თვალთან ახლო მიიტანა, მზერა დაძაბა და ძლივს გაარჩია: თორმეტის ნახევარი იყო.

ხელი მოწყვეტით დაუშვა. წამოიწია და წელი არ აჰყვა. ყურებში უბეჭოდა და თვალი ისე უბრჭყვიალებდა, როგორც გუშინ, ერმიტაჟის კიბეზე.

კი არ სუნთქავდა, ქოშინებდა. თავში ათასი ფუტკარი ზუზუნებდა და უხილავი ხელი საფეთქლებს შიგნიდან ათას უროს სცემდა დაუზოგავად.

ატყობდა, ადგომის თავი არ ჰქონდა, მაგრამ არც აუდგომლობა შეიძლებოდა: ელისო უნდა ენახა და მკურნალ პროფესორს უნდა შეხვედროდა.

ორივე ხელით საწოლის თავს მოეკიდა და წამოჯდა.

სარკეში რომ ჩაიხედა, შეეშინდა; წითლად ანთებული თვალები გადმოცვევანზე ჰქონდა, ლოყებზე ალმური ასდიოდა და გახურებული ტუჩები გამძლავი წურბელებივით დაბერვოდა.

ქუჩაში გამოსული, კი არ მიდიოდა, ფალშანდიანივით მიბანდალებდა. პირდაპირ მიშავალ ხალხს რომ უყურებდა, სახეებს ვერ არჩევდა, ფოკუსდაკარგული კადრებივით გარბოდნენ სახლებისა და მანქანების, ადამიანებისა და ხეების ლანდები.

სავადმყოფოში შესვლისას ღონე მოიკრიბა, თავს ძალა დაატანა, უზრუნველი გამომეტყველება მიიღო.

პალატაში ელისოს ვარდა კიდევ ორი გოგონა იწვა. ელისო პატარა მაგიდას ალაგებდა. მამის დანახვაზე გამოცოცხლდა.

— უკვე გამოიკეთეს, მამა, პირველი ნემსი! — ახარა და კისერზე ჩამოეკიდა.

ლევანმა პირისახე მოარიდა, მაგრამ ცხელი სუნთქვა მაინც მისწვდა ელისოს.

— ავად ხომ არა ხარ, მამა?

— არა! — არხინად თქვა ლევანმა და ნაძალადევად გაიღიმა.

გოგონა ისევ გამხიარულდა.

— ეს გოგოები ამ დილას დააწვინეს ჩემთან, — გაიშვირა ელისომ ხელი.

— კარგია! არ მოგწყინდებათ.

თქვა ლევანმა.

მუხლები უკანკალებდა. ფეხზე დგო-

მა აღარ შეეძლო და სკამზე უნებურად ჩაიკეცა.

— მოგეწყინდებაო? წუხელ შეაღამემდე არ დაგვიძინია. იმდენი რამ ვუამბეთ ერთმანეთს.

ლევანი თავს ძალას ატანს, გაღიმებას ძლივს ახერხებს და ოდნავ გასაგონად ამბობს.

— ეგ ცუდია, უნდა იძინოთ.

იქაურობა ირწყევს და ქანაობს. ლევანი ელისოს საწოლს აცქერდება. მერე მხერა საწოლის ზემოთ, კედელზე გადააქვს და ერთმანეთისაგან დაშორებით დაკიდებულ ორ სურათს არჩევს. ერთი ეთერის სურათია. დედის ეს სურათი ელისოს მუდამ თავის საწოლთან ეკიდა და აქაც წამოუღია!...

მეორე სურათი?

ლევანი გრძელწვერიან მოხუცსა და მის წინაშე დახოქილ მათხოვარს თუ დავრდომილს თვალმოკუტებული აკვირდება, გუშინ ნახული რემბრანდტის სურათის რეპროდუქციას ცნობს და თვალს ვერ აშორებს.

ელისო ატყობს, რომ მამა გაოცებული და დაბნეულია. და თვითონვე ასწრებს განმარტებას.

— ეს მოხუცი პირწავარდნილი ბაბუა აბესალოშია. დედაჩემის და მავის სახეებს რომ ვუყურებ, თავი ჩემ სახლში მგონია, ვმშვიდდები და მარტობას აღარ ვგრძნობ.

თვალი ისევ აქრელდა, სადღაც ყორნალის გუმბათზე ჯვარი შექანდა და ლევანს მოეჩვენა, რომ მოხუცის წინაშე ჩახოქილმა მათხოვარმა სახე მისკენ მოიბრუნა.

ღმერთო ჩემო! ეს კაცი მათხოვარი კი არა, თავად ლევანი ყოფილა!

ლევანი გულში ბრაზობს, ელისოს ამ სურათის გამო უჯავრდება, მაგრამ ვერც ხმას იღებს და ვერც თვალს სწყვეტს თავის უცნაურ ორეულს.

— პროფესორი სამ საათამდე არ იქნება, მამო.

— ჰო, თუ აგრეა, ცოტა საქმე მაქვს! წავალ. — დაბნეულად ამბობს ფიქრი-

დან გამოსული ლევანი. ხელით სკამის ზურგს ეჭიდება და ნელა დგება.

— ვაივლი და სამზე მოვალ...

დამნაშავესავით ამბობს, უკან-უკან იხევს და კარს უახლოვდება.

კარი რომ მოიხურა და დერეფანში მარტო დარჩა, ძალ-ღონე მოიკრიბა და უკანმოუხედავად გავარდა.

აჩქარებული ნაბიჯით მიდის. საავადმყოფო უკვე კარგა შორს არის, მაგრამ მოხუცის ყოვლის შემწყურებელი თვალები მაინც წინ უდგას და პირდაპირ, გამსჭვალავად უყურებს, სულის შორეულ სიღრმეებში სწვდება და იქ დაეჭებს ლევანის იმ ცოდვებს, რომლებიც აგერ რამდენი წელიწადია აღარც აბესალომისათვის და აღარც სხვა ვინმესთვის აღსარებით აღარ გაუნდვია.

ექებოს, რამდენიც უნდა! რას იპოვნის იმის მეტს, რაც უკვე იცის! განა რა ცოდვა აქვს ჩადენილი. ლევანს, იმის გარდა, რაც აბესალომმა არ იცის?

ტყუილად შეჰყურებს მისწულს მიმტევებელი, ყოვლის შემნდობი თვალით. ლევანს არც მისატევებელი აქვს არაფერი და არც ბიძის შენდობა უნდა.

მაგრამ თუ ასეა, რატომ გაურბის მის შურას, რატომ ეშინია მისი სათნო გამოხედვისა და რატომ არიდებს თვალს დამნაშავესავით?

არ უნდა ესარგებლა აბესალომის მოწყალებით, არ უნდა აედო მისი ფული... მაგრამ რაკი სხვა გზა არ იყო, რა ექნა?!

არა უშავს, დაბრუნდება თბილისს, იქ ჰონორარს აიღებს და უკლებლად დაუბრუნებს აბესალომს თავის ფულს. განა მარტო აბესალომს! იმ ნაპოვნი ფულის სამაგიეროსაც უკლებლად ჩააბარებს რაიკომს ან მილიციას. ვინ იცის, ვისი იყო და როგორ განიცდის პატრონი მის დაკარგვას?! მაინც რატომ ეჯავრება აბესალომი? რა დაუშავა? წესით, თვითონ აბესალომს უნდა სძულდეს ლევანი და პირიქით კი ხდება.

განა აბესალომის ბრალია, რომ ლევანი ასე ერიდება, ეკრძალება მას და

ეგებ ეჯავრება კიდევაც. ადამიანს არ უყვარს ის, ვინც მისი საიდუმლო იცის, ვისთვისაც ცუდი თვითონ გაუკეთებია, ან ვის წინაშეც თავს დავალებულად გრძნობს.

ეს ასეა, ხაერთოდ. მაგრამ...

ლევანი უკვე სასტუმროსთან არის. დაიღალა და თავის ტკივილმა უმატა. საბოლოოს მორიგეს გასაღებს ართმევს და ნომრისაკენ მიდის.

კორიდორში, მისი ნომრის ახლო, ქალიშვილები შენიშნა. ერთიმეორეს რაღაცას უამბობდნენ და ლევანის ნომრის კართან ტრიალებდნენ.

ლევანი რომ მიუახლოვდათ, კარს მოსცილდნენ და შორიასლო დადგნენ.

ლევანმა კლიტე გადაატრიალა და მათკენ გაიხედა. შეატყო, გამოლაპარაკება უნდოდათ და ვერ ბედავდნენ.

— თქვენ ჩემთან ხომ არა ხართ? — იკითხა ლევანმა.

— თქვენთან არა... ჩვენ თქვენი ნომრის ნახვა გვინტერესებდა. — გაბედეს გოგონებმა ხმის ამოღება და მისკენ წამოვიდნენ.

ლევანი დაიბნა.

— ალბათ იცით, ამ ნომერში თავი ვინ მოიკლა. ჩვენ მხოლოდ ოთახის დათვალიერება გვინდოდა.

— მობრძანდით.

დაუფიქრებლად თქვა ლევანმა, კარი ვალო და გოგონები ოთახში შეუშვა.

გოგონები ელისოს ტოლები იყვნენ. ოთახი უმაღლე გამოაცოცხლეს. მაგიდას ვარს შემოერთყნენ, მერე საწოლთან გაჩერდნენ.

ერთმანეთს არ აცლიდნენ იმის მოყოლას, თუ როგორ გადაიჭრა ვენები ცნობილმა პოეტმა, როგორ დაწერა თავისი სისხლით უკანასკნელი სტრიქონები და როგორ გაჰყო თოკში ლამაზი თავი.

ლევანი ყურადღებით უსმენდა და მათი ლაპარაკიდან თანდათან ხედებოდა, რომ იგი ბედს ყოფილ „ანგლეტერის“ სწორედ იმ ნომერში მოუყვანია,

რომელშიც რუს პოეტს მოუკლავს თავი.

— თუ ასეა, რატომ შემოირიხალური დაფა არა აქვს ოთახს? — იკითხა ლევანმა და თითქოს ამ კითხვას უცდიდნენო ქალიშვილები, მაშინვე აფეთქდნენ.

— ჩვენ კომპაგვირის კომიტეტში დავაყენებთ საკითხს, აღმასკომში დელეგაციას ვავგზავნი... გაზეთში დავწერთ... როგორ შეიძლება დიდი პოეტის ხსოვნისადმი ასეთი უყურადღებობა.

ცხარობდნენ გოგონები და ერთიმეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

ავეჯსა და თითოეულ ნივთს გულდასმით სინჯავდნენ, ხელით სათითაოდ ეხებოდნენ.

ბოლოს, როგორც იყო წავიდნენ. დაქანცულმა ლევანმა კარი დაკეტა და საწოლზე გაუხდელად დაეშვა.

სიცხემ ისევ წამოახურა. თერმომეტრი გაახსენდა, მონახა და ილიაში ჩადო. დაძინება უნდა, მაგრამ ძილი არ მოდის. ჰერს შეჰყურებს და სიცხემოწოლილ თვალს თოკზე დაკიდებული თვითმკვლეელი ელანდება.

რამდენი რამ დაწერილა ამ თვითმკვლევლობაზე! ტრაგიკულად დაღუპული პოეტისადმი მიძღვნილი რამდენი წერილი და ლექსი წაუკითხავს ლევანს იმ ღლებში, როცა მეხის გრგვინვასავით მოედო მთელ ქვეყანას „ანგლეტერში“ მომხდარი ტრაგედიის ამბავი. მაშინ, როცა იმ წერილებსა და ლექსებს კითხულობდა ლევანი, რას წარმოიდგენდა, რომ ოდესმე „ანგლეტერში“ მოხვდებოდა და სწორედ იმ ოთახში იცხოვრებდა, რომელშიც პოეტი სიცოცხლეს გამოესალმა.

ადამიანებს სხვადასხვაგვარი გარემოება და სულიერი მდგომარეობა უბიძგებს ხოლმე თვითმკვლევლობისაკენ. მაგრამ არის თუ არა დანაშაული თვითმკვლევლობა საზოგადოებისა და ადამიანების წინაშე? — ეკითხება ლევანი თავის თავს და გონებაში ორივე თვალსაზრისის დამცველთა საბუთებს იხსენებს.

ბოლოს იმ აზრზე დგება, რომ თუ ადამიანის თვითმკვლელობას საზოგადოების, ან ცალკე პიროვნებისათვის ვნება და ზიანი არ მოაქვს, ყოველ კაცს აქვს უფლება თავის თავს ასეთი განაჩენი გამოუტანოს, მაგრამ საბოლოოდ ეს მიანიც ბრძოლის ველიდან გაქცევა და დეზერტირობას უდრის. დეზერტირობა კი დასაგმობია და მიუტევებელი!

გონებაში ისტორიულ პიროვნებათა მთელმა წყებამ გაიარა: ისინი ვაჟაკურად აღიოდნენ თავიანთი ხელითვე მოწყობილ სახრჩობელებზე, თვითონვე იჭრიდნენ ვენებსა და თბილ აბაზანებში ჩაწოლილი მშვიდად უბარებდნენ უკანასკნელ რჩევა-დარიგებას, ანდერძს და სათხოვარს საშინელი სანახაობით შეძრწუნებულ ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს.

ერთნი ამას საშობლოსა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის სჩადიოდნენ, მეორენი — ჩირქის, სირცხვილის ჩამოსარეცხად ან ცოდვის გამოსასკიდად, ხოლო ზოგიერთნიც, ცხოვრება მოყირკებულნი, ძველი რომელი მწერლის თქმისა არ იყოს, სარგებლობდნენ იმ ერთადერთი უპირატესობით, რომელიც ადამიანებს გააჩნიათ ღმერთებთან შედარებით: ეს უპირატესობა თავის მოკვლის უფლებაა. ღმერთები უკვდავნი არიან და ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას, სასოწარკვეთისა თუ სიცოცხლის მოყირკების ეამს თავი მოიკლან და მარადიულ ცხოვრებას დაეხსნან. ზოგნი თევობითა და წლობით ემზადებოდნენ თავის მოსაკლავად, ზოგნიც...

კლდეეთის გაზეთში ვადმოებქდილი მოთხრობა მოაგონდა ლევანს. იმ მოთხრობის მხოლოდ პირველი ნაწილი წაკითხა, ისიც უდიდესი ნერვიული დაძაბულობისა და მღელვარების წუთებში; მეორე ნაწილი გაზეთის შემდეგ ნომერში დაიბეჭდა. იმ დღეს ლევანი რედაქციაში მხოლოდ შევებულების ვასა-

ფორმებლად და თანამშრომლებთან გამოსამშვიდობებლად შევიდას და ლევანს შეეძლო კორექტურის გვერდები ენახა, წამოელო და გზაში მიანიც წაკითხა, მაგრამ მაშინ ამის დრო და თავი არ ჰქონდა.

ახლა კი... ახლა დროცა აქვს და მოცალებაც, და ლევანი ცდილობს თავის გონებაში გააგრძელოს იმ ადგილას შეწყვეტილი მოთხრობა, როცა ვალერი თავს იკლავს. უცნაურად დაღუპული მეომრის უკანასკნელ წერილს ალბათ ბევრი რამ უნდა გაერკვია და ლევანი გონებაში თხზავს იმ წერილის ვარიანტებს. მოთხრობაში გამოყვანილ მსახიობ ვოინოვასა და მისი ქმრის ლანდები, უნდა თუ არა, თვალწინ უდგანან და ყველა გაგრძელებაში თავიანთ ადგილს თხოულობენ. სასიყვარულო სამკუთხედი იკვრება და ლევანი უმაღლვე ხელს იღებს მსგავს ვარიანტებზე, რადგან ასეთი გაგრძელება ტრივიალურად, მეტისმეტად ჩვეულებრივად და უგემოვნებლად ეჩვენება.

კლდეეთის გაზეთის რედაქტორს კი კარგი გემოვნება აქვს და მოთხრობის მეორე ნაწილიც რომ საინტერესო არ ყოფილიყო, არაფრის გულისათვის რაიონის პატარა გაზეთის ფურცლებზე არ ვადმოებქდავდა...

ლევანი შეინძრა და სიცხის საზომი გამოუვარდა. თერმომეტრი სინათლესთან ახლო მიიტანა. სინდიყი სადღაც ორმოცი გრადუსის წითელ ხაზთან მოეჩვენა, თვალს არ დაუჭერა და მაგიდაზე დაავდო.

წყალი მოსვა, მაგრამ პირი უმაღლვე გაუშრა. ლოყებიდან წამოსული აღმური თვალელებში აწვება, თვალი ნელ-ნელა ებნინდება.

ჭერზე რომ თავის დასახრჩობი თოკი ეკიდა, ახლა ის თოკი მთელ ტანზე აქვს შემოხვეული. ზემოთ, ვიღაცის უხილავ

ხელებს თოკის ბოლო უჭირავს და ნელ-ნელა უშვებს ლევანს ანთებულ საკირეში თუ თორნეში.

ერთხელ მოსკოვში ამხანაგის კრემაციას დაესწრო ლევანი. თავისი თვალით ნახა, როგორ ნელ-ნელა შევიდა კუბო ჯოჯოხეთურ ცეცხლში. ცეცხლი ჯერ კუბოს მოედო, თვალის დახამხამებაში ჩალასავით დასწვა და მერე მიცვალებულს რომ მისწვდა, თავის ქალა გასკდა და ლევანს მოეყურა თუ მართლა მოესმა, ის ხმა აფეთქების დაგუდულ ხმას გავდა.

აი, ახლაც... ლევანის სხეულს ნელ-ნელა უშვებენ გამძვინვებულ ცეცხლში... სადაცაა ის ცეცხლი ნადვერდლად აქცევს მის სხეულს, და თავის ქალა რომ გასკდება, ალბათ სასტუმროს მორიგემდე მივა ხმა...

თოკს ნელ-ნელა უშვებენ, სხეული თანდათან ეჩვევა აუტანელ სიცხეს. სუნთქვა კიდევ უფრო ხშირდება და ჯოჯოხეთური ცეცხლის ცქერას შეგუებულნი თვალი თავისთავად იხუჭება.

პირველი ნაწილის დასასრული



## რე პირველი იყო

რა კარგი იყო ჩალის წისკვილი,  
 ეზოს ღელეზე ძლივს რომ ვაგებდი,  
 იქ იფუჭებოდა ბავშვობა ჩემი,  
 წლები ცვიოდა ძირს, როგორც ფუჭილი...  
 ღამით კი მთვარე პატარა ტბაში  
 ცურავდა, როგორც სიზმრული გედი.

რა კარგი იყო ტყის გაზღაპრება,  
 რაღაც ოცნება, რაღაც ძიება,  
 ეზოს ვარდები ერთო ღამურებად  
 და იშლებოდა ბავშვის ცხოვრება  
 სუნთქვით მლაგრებულ ჭორჭორებად.

რა კარგი იყო თეთრი ღრუბელი,  
 ჩრდილთა მომფენი — ფრთა  
 მტრედისანი,  
 მეჩვენებოდა სამყაროს საზღვრად  
 წკრილა ცანი,  
 ანგელოზების ნაამბორალი,

მცემდნენ ზეფირის ნელი ზვირთები,  
 ბრუნავდა ჩემი ჩალის ბორბალი  
 და შორს მიწვევდნენ მაღალი მთები.

თან დამყვებოდნენ თითქოს ლანდები  
 ოქროსთმიანთა ციურ ქალწულთა,  
 მწამდა, ო, მწამდა, რომ დადგებოდა  
 დრო ზეიმისა უცოდველ სულთა...  
 ახლა რაღა ვარ — პირიბპირ ვდგავარ  
 ნათელ ოცნების მე დასასრულთან.



რა კარგი იყო სოფლის შარაგზა  
 ალვის ხეების ჩრდილმოფენილი,  
 მისი სურათი ბავშვის თვალებში  
 რომ გადაიღეს...  
 დილა აღმასის, ხან კი ოქროთი  
 შემოფერილი  
 დამწუხრებულმა წლებმა წაიღეს.  
 რა კარგი იყო...



არ მიძებნია არასდროს ტაში,  
 უკანა რიგში ყოფნა მერჩია,  
 არ მიკრეფია ვარსკვლავნი ცაში,  
 მე ჩემს მიწაზე დგომა მიყვარდა,  
 სიმრავლე ფერთა რომ შემემჩნია.

ხშირად მზე მწვავდა გაანჩხლებული,  
 ხან იისფერი მფარავდა ბინდი.  
 მე ჩემი ქვეყნის პატარა მდილი  
 ერთს ვოცნებობდი —  
 არ ჩამტეხოდა ჩემს დროსთან ხიდი,  
 ეს იყო ჩემი გულის დულილი.

ვნატრობდი კიდევ: ჩემი მიწის ხმა  
 რომ გამგონა...  
 შუქს მფენდა ამის იმედი, რწმენა,  
 მე სიყვარულის მესმოდა ენა,  
 მე სიყვარულის ვიყავი მონა!

რასაც ველოდი — მას შევეხწარი:  
 განათდა ჩემი მოყვასთა სული,  
 ვგრძნობ გაზაფხულმა ჩამოკრა ზარი  
 და ვით ამღერდა ჩვენ დროსთან ერთად  
 მზეში ჩამდგარი დიდი წარსული.

## ჩემი ლექსი უიქარი

მ ო თ ხ რ ბ ა

გამოცემისთვის

— კიდევ შეგხვდები! — დავემუქრე და ზურგით ტელეგრაფის ბოძს მივეყრდენი. მერე ჭიბეებში ხელები ჩავიყავი და გულგრილად დავუსტვინე.

— აქ არა ვარ?... მოდი, თუ ბიჭი ხარ! — უცებ გაცხარდა დღდა.

— აგრე არ არის. — მითხრა ჯოტომ.

— რა არ არის აგრე, — ვუთხარი.

— რა და... რასაც უსტვენ.

— აგრეა. — გავბრაზდი.

ჯოტომ მიჩვენა, როგორ უნდა მესტვინა. კარგად უსტვენს ჯოტო.

— მოდი რა, მოდი!.. — ეს ისევ დღდა.

— შენ, ეი! — ვეღარ მოვითმინე, — რას იბღინძები!..

დღდას ღირიყაბლივით მუცელი აქვს და მეზურნის ლოყები.

— ვიბღინძები!

— ჰო!

— წადი შენი!..

ამაზე მეტი გინება არც არსებობს. „წადი შენი!“ და... სულო და გულო, რასაც უნდა იმას იგულისხმებს. ჭიბიდან მარჯვენა ხელი ამოვიღე და მერე დღდა კარგა ხანს ისარესდა მარცხენა ლოყას.

ყველაფერი „ლილობანას“ თამაშიდან დაიწყო. დღდა ისე კარგად თამაშობს ლილობანას, რომ ძნელია მასთან თავი მშვიდად გეპიროს. ღილი არც ფულია და მისი არც საქონელზე გადაცვლა შეიძლება, მაგრამ საშინლად გწყდება

გული, როცა შენს ღილს ერთი გვერდიდან მეორეზე გადმოაბრუნებენ. ზოლო, ღილი თუ გადაბრუნდა, მერე, მშვიდობით... შენ აღარ გეკუთვნის.

ახლა დღდას, მუცლის და ლოყების გარდა, ჭიბეებიც კარგა გვარისანად აქვს გამობერილი. მე კი ისევ ტელეგრაფის ბოძზე ვარ მიყრდნობილი და ჯოტოს ჭიბრზე საძაგლად ვუსტვენ.

— მამამისს ეტყვის! — მითხრა ჯოტომ.

— უთხრას, რა! — ვთქვი და დღდას მიერ ისტატურად გადმობრუნებული უკანასკნელი ღილი თვალწინ დამიდგა. ერთი მხარე ჭრელი და საოცრად ლამაზი ჰქონდა იმ ღილს, მეორე — მუქი თაფლისფერი. ასეთ ლამაზ ღილს კაცი შარვალზე ვერ დაიკერებ, მაგრამ ღილი ღილია და, ის ღილი კი სხვა ღილებს მერჩივნა. საჭინწყლოც ველარაფერი გამოვძებნე. ყველამ დაინახა, რომ სანამ დღდა ჩაცუცქებოდა, ღილი თაფლისფერად ბზინავდა, მერე დღდას ყოვლისშემძლე ხელის მოძრაობა და ღილმა ჭრელი და საოცრად ლამაზი გვერდით ამოგვხედა. სხვა საქმეა, როცა ღილის ორივე გვერდი ერთი ფერისაა. მაშინ დაიხაც რომ შეიძლება შარის მოდება.

თვითონაც არ ვიცი რატომ, დღდას სიხარულით გაბრწყინებული სახე თვალში არ მომივიდა და დავემუქრე:

— კიდევ შეგხვდები! — და მამინე

ვიგრძენი, რომ სისულელე ვთქვი. ჯოტოს გაეღიმა.

— აქ არა ვარ?... მოდი, თუ ბიჭი ხარ! — მითხრა დედამ.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვითხარით.

რადაც საქმე მოვიმიზეზე და სახლისკენ ისე გავეშურე, თითქოს, ჯოტოს უკანასკნელი სიტყვები არც კი გამეგონოს.

— შეგეშინდა! — დამცინა ჯოტომ.

ახლა ისე შორს ვიყავი, რომ უკვე სინდისის ქენჯნის გარეშე დავყრუვდი.

კარი მამაჩემმა გამოიღო.

— აბა, ჩქარა! — მითხრა და ცხვირზე წიკბურტი გამკრა, — კინოში მივდივართ.

„ერიპა!“ — გავიფიქრე.

— შენ რა.. არ გიხარია? — შეითხა. გაუკვირდა, რომ თერთმეტსაფეხურიანი კიბის არბენას ზუსტად თერთმეტი ნაბიჯი მოვანდომე.

— როგორ არა. — ვუთხარი და ახლა მე თვითონ გავიკვირე, — როგორ არა, შე კაცო!

— შე კაცოს მოგცემ მე შენ...

— მიხარია და მეტი რა ვქნა! — ვიყვირე.

— ჩააცვი ამ მამლაყინწას.

— რომელ მამლაყინწას? — გავცინა დედას.

„ნეტა, რა უხარიათ!“ — გავიფიქრე და სკამის ზურგზე გადაფენილ მამაჩემის შარვალს აღმაცერად გავხედე, — „გამაგრდი, ბიჭო!“

მერე ყველაფერი დაწვრილებით წარმოვიდგინე...

ჩამოჯდება მამა საწოლის ნაპირზე და მეტყვის:

— მომაწოდე.

— რა მოგაწოდო.

— რა გემართება, — გაუკვირდება მამას, — შარვალი, სხვა რა!..

მერე გაუყრის მარცხენა ფეხს შარვლის მარცხენა ტოტში...

ეს კიდეც არაფერი...

ახლა მარჯვენა ფეხს ასწევს და ვიღაც შარვლის ტოტი იატაკზე დაშვებას მოა-

სწრებდეს, თვალთმაქცივით სწრაფად გადამაღვს მარჯვენა ტოტში შერეკიდე უფრო სწრაფად ფეხზე წამოდგება და, მთელი უბედურება მაშინ დაიწყება.

— რას ჰგავს ეს! — იტყვის და მე ჩემი დამემართება.

— რა თქვი? — იკითხავს დედა.

— შე ვთქვი, რას ჰგავს-მეთქი, — ატყვის მამა.

დედა: ვერ გავიგე.

— სად არის ღილი.

— რა ღილი?..

მამა: შარვლის ღილი.

დედა: გაგიჟდი?..

მერე დაიწყება მთელი ისტორია და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ბოლოსდაბოლოს გამოვტყდები:

— მამა, იცი რა...

მარტო იმის წარმოდგენა, რომ ეს სიტყვები მე უნდა მეთქვა და მერე იმობეზრებულ ახსნა-განმარტებას უნდა შევდგომოდი, ტანში უსიამოდ მაჭრკოლებდა და გუნებას მიმღვრევდა. მაგრამ, საბედნიეროდ, მოსახდენი სულ უბრალოდ და მარტივად მოხდა. როგორც კი მამა ფეხზე წამოდგა და შარვლის სათავე თითებით მოსინჯა, მაშინვე ყურში მწვედა და — „ააა... იი!“ მერე მე იმის მაგივრად, რომ ყურზე ხელი მეტაცა, მამას ხელებში მივაჩერდი. როგორ გამიკვირდა, რომ ჩემი ყური ხელში არ ეჭირა!

„ძალიან კარგი!“ — გავიფიქრე და პატარა სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი. ის მელოდია, ჯოტომ რომ გამოსწორა ჩემდა მოულოდნელად, ზუსტად ჩავარაკრაკე.

— ნუ უსტვენ! — მიყვირა მამამ.

— ვუსტვენ? — ვიკითხე, — ეს მე ისე... სულ არ მინდოდა.

ჯერ კიდეც ყველაფერი დამთავრებული არ იყო და ეკლებზე ვიჯექი.

„ნუ უსტვენ, ნუ უსტვენ!“ — გავიფიქრე — მერე კიდეც ისა... სკამს ნუ აჭრიალებ!...“

— სკამს ნუ აჭრიალებ! — მითხრა დედამ.

„ჭრრ... ჭრრ... — გავიფიქრე, — ჭრელი ღილი...“

დედამ კარადიდან კაბა გამოიღო და ოთახის კუთხეში ფარდას ამოეფარა.

„იკივლებს,“ — გავიფიქრე და ცხვირი მოვისრისე. დედას არ უჩივლია. მე-რე მამას უთხრა:

— დაწყვიტე ღილები... ძველ შარვალს.

— რა თქვი?

— ჩქარა... გვაგვიანდება...

— ერთი ღილიც აღარაა ხომ სახლში!.. — მიხვდა მამა.

დედას იმ ჭრელი, საოცრად ლამაზი ღილის ადგილზე ქინძისთავი დაეზნია და სულაც არ ბრაზობდა.

„აი, მესმის!“ — გავიფიქრე და ისევ ის აკვიატებული მელოდია წამოვიწყე. მომეჩვენა, რომ მივხვდი, რატომ მერჩია ის ჭრელი ღილი ყველა ღილს და რატომ იყო სწორედ ის ღილი ყველაზე ლამაზი. ესტვენდი და იმ წუთში დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო სიმღერა ჭრელ ღილზე, დედას რომ კაბის გულსპირზე ეკერა და ყელს უმშვენებდა. ეს იყო სიმღერა იმ ჭრელსა და საოცრად ლამაზ ღილზე, რომელიც დედის კაბის გულსპირს მოსწყვიტეს და რომლის მაგივრად ახლა იმ გულსპირს ერთი უბრალო ქინძისთავი ეზნია. ის ქინძისთავი დედას იმ ლამაზი ღილივით არ ამშვენებდა, მაგრამ დედა თვითონ იყო საოცრად ლამაზი.

მამამ ახლა მზერით მანიშნა, რომ თავს ვიგდებდი. ძველი შარვლისთვის უკვე ღილები დაეწყვიტა და დედას ელოდებოდა. ტუჩები მაგრად მოკვეთე, რომ აღარ მესტვინა.

— რას სტვენ? — მკითხა დედამ, — რაღაც მეცნობა...

— ეს ისაა... — ვუთხარი, — კავარადოსი...

— ჰო. — თქვა დედამ, — რა მშვენიერია..

— ტოსკადან, — თავი გამოვიდე, — პუჩინის...

— ცუდად უსტვენ. — მითხრა მამამ. გამიკვირდა. „ასე ჭოტოც ვერ დაუს-

ტვენდა“. მერე რაღაც ამის მსგავსი გავიფიქრე: „გაგიყდა ეს კაცი!“

— მისმინე.. — მითხრა მამამ.

„ცუდად უსტვენ, ცუდად უსტვენი..“

არ ვესმის, ბატონო, მუსიკა“.

— ტოსკადან. დიახ, პუჩინის... კავარადოსი...

— არ გეკითხები, — მითხრა მამამ, — მისმინე, — და ზუსტად ისე ჩააბულბულა ის არია, როგორც ჭოტოს რადიო-

ლათი მომისმენია ჭილის შესრულებით.

„მამამ ყველაფერი იცის“, გავიფიქრე და კინაღამ წამომცდა:

— „ყოჩაღ!“

— გაიგონე, როგორ უნდა? — მითხრა მამამ, მე თავი მოვიფხანე.

„ასეთ კაცს ვერაფერს გამოაპარებ“.

— შენ გეუბნები.

— ჰო.

„რა უცებ მიხვდა იმ ღილების ამბავს. ყურები კინაღამ დამავლოჯა!“

— გავიგონე, გავიგონე, გავიგონე...

„ნუ უსტვენ, ნუ უსტვენი მერე კიდეც ისა... სკამს ნუ აჭრიალებს!.. არა, ნეტავ, როგორ მიხვდა, ჰა..“

— შენ, ეი, — ვეუბნები თიკოს, — მოკეტე!

თიკო ჩემი დაა. „დედაენა“ გადაუშლია მუხლებზე და, „მოდო ენახოთ, მოდი ენახოთ, მოდი ენახოთ!.. ექმ!“

— ენახი, გოგო.

— არა, თხა!

გვიან გავიგე ჭოტოსაგან: მე და დედა რომ ღილობანას ვთამაშობდით, მაშინ

დავეუნახივართ მამაჩემს. სამუშაოდან ბრუნდებოდა.

„შეჭამა და შეჭამოს.. ღილი ამბავი, თავვი შეჭამა!..“

მამ, ასე:

მოდის მამა გზაზე და გარკვევით ესმის ჩემი ხმა:

— ჩემი დარტყმაა, ვირისთავო!

„ეს მამუკას ხმაა, — ამბობს მამა, — კი, ისაა“.

— მოიტა ღილი! — ყვირის დედა.

მამა: „ისევ ღილობანა.. გაგიყდა ეს კაცი!“

დედა უკანასკნელ ღილს უმიზნებს

თავის „ჯილას“. ის უკანასკნელი ღილი  
პრელია და საოცრად ლამაზი.

„თუ რამემ გაიტაცა, მორჩა!“ —  
ამბობს მამა.

— კიდევ შეგხვდები!

— აქ არა ვარ?.. მოდი, თუ ბიჭი  
ხარ!..

მერე ჯოტო:

— მამამისს ეტყვის.

— უთხრას, რა! — ვამბობ და სახ-  
ლისკენ მივდივარ. მამა კარს მიღებს.

— სად ბრძანდებოდი...

— აუჰ! — ვამბობ და შუბლს ხელის-  
გულით ვიმშრალე.

მამა ისე მიყურებს, თითქოს, გადა-  
სახადის ქვითარს ამოწმებდეს.

— აბა, ჩქარა! — ამბობს მერე, — კი-  
ნოში მივდივართ.

მე კიბის საფეხურებს ვთვლი დინ-  
ჯად. მამა გვერდით მომყვება და გზადა-  
გზა მიხსნის, რომ წინათ ყველაფერი  
იყო, სიტყვებიც იყო და, თურმე, ჩემის-  
თანა ცხვირმოუხმოცაგი გაიძვერებიც.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, რო-  
გორც გითხარით.

ფილმის დაწყებას უინტერესოდ შეე-  
ხვდი. ეს იმიტომ, რომ ამ სურათს მეო-  
რედ ვუცქერდი. „მაშინაც არ ღირდა  
ამისთვის გაკეთილების გაცდენა“,  
ფიქრობდი და სკამზე მოუსვენრად  
ვტრიალებდი.

— ეკრანს უცქირე! — მითხრა მამამ.

— ვუცქირ. — ვთქვი და თვალები  
დავხუჭე. უცერად საშინელი სიმარტო-  
ვე ვიგრძენი. „რატომ ვარ აქ“, გავიფიქ-  
რე და სული შემოგუბდა, „რატომ ვარ  
სწორედ აქ და არა სხვაგან!“.

„— ჯოტო, იცი რა...“

„— რა?“ — მეკითხება ჯოტო და  
გაკვირებული მიყურებს.

„— აბა, თვალები დავხუჭე, ჯოტო.“

„— აბა, დავხუჭე!“

„— ახლა, იფიქრე.“

„— ვფიქრობ.“ — ამბობს ჯოტო.

„— რას ფიქრობ...“

„— აბა, რა ვიცი.“

„— ჯოტო, როგორ გითხრა, იცი რა,

ჯოტო... — ხელზე ხელს ვკიდებ, —  
აბა, ხელი ასწიე, ჯოტო...“

„— ავწიე.“

„— დაუშვი.“

„— კაი, ბატონო, დაფუშვი.“

„— ვინ ხარ შენ, ჯოტო.“ — ჯოტო  
არ ელოდა.

„— ვინ ვარ?.. — მხრებს იჩეჩავს.

„— აი, შენ ეს ხარ, ჯოტო, — ვეუ-  
ბნები და ხელზე ხელს ვკიდებ, — აი ეს.  
ახლა რომ ხელს წევი... ეს შენ ხარ, ჯოტო,  
ხელს რომ ძირს უშვებ... ნუთუ, არ  
გრძნობ ამ წუთში საკუთარ თავს, ჯო-  
ტო?“

„— ვგრძნობ.“ — ამბობს ჯოტო და  
თვალებში მიყურებს, უკვე არ ეცილება.

„— ჰოდა, სად იყავი შენ, ჯოტო...  
ამ ასი წლის წინათ, ათასი წლის წინათ...“

„— არსად“ — გაფითრებული მეუ-  
ბნება.

„— მერე, არ გიკვირს, ჯოტო? —  
ჯოტო უარის ნიშნად თავს აქნევს, —  
აღბათ, გულში გეცინება, არა, ჯოტო?“

„— არა, რატომ, — ამბობს ჯოტო, —  
ყველა რაღაცას ფიქრობს.“

„— ჰოო, ჯოტო?“

„— ჰო.“

„— რა კარგია, არა ჯოტო? — ჯოტო  
თავს მიქნევს, — მე გეტყვი ხოლმე, რა-  
საც ვფიქრობ. კარგი, ჯოტო?“

„— მითხარი.“

„— შენ თუ გინდა ნურაფერს მეტყ-  
ვი, მე მაინც გეტყვი, ჰო, ჯოტო?“

„— მეც გეტყვი.“ — ამბობს ჯოტო.  
დარბაზში სინათლე აინთო.

— დამთავრდა, ჰო?

— ფირი გაუწყდათ, — შეუბნება  
მამა და გაკვირებული მიყურებს.

— თუ გინდა, წავიდეთ, — ამბობს  
დედა და შუბლზე ტუჩებით შეხება.  
მერე ჩურჩულით მეკითხება, — ცუდად  
ხომ არა ხარ?

— ცუდად? — ვიციანი, — ცუდად  
კი არა!

— სურათი არ მოგწონს?

— ისე!

— შენ, თიკო?

„ — შენ თუ გინდა ნურაფერს მეტყვი, მე მაინც გეტყვი, ჰო, ჯოტო?“

„ — მეც გეტყვი, მამუკა“.

— მამიკო, რა ქვია იმას?... — კითხულობს თიკო.

მამა, როგორც ყოველთვის, ნახევარსიტყვაზე უხვდება:

— ფირი.

— მერე, რატომ გაუწყდათ, მამა, ფირი?

— რატომ და... გაუწყდათ.

— ჰოო, მამა?

— ჰო.

— მამა, იცი რა...

— ენა გააჩუმი! — ვეუბნები თიკოს.

— უთხარი რა, მამა!

„ — შენ თუ გინდა ნურაფერს მეტყვი, მე მაინც გეტყვი, ჰო ჯოტო?... არა, ავგრ არა, ჯოტო, კარგად მისმინე... შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ჯოტო... მე სულ არ ვიცოდი, თუ შენ ასეთი კარგი იყავი... მაგრამ შენ მაინც არ გესმის ჩემი, არა, ჯოტო?... ვიცი, რომ შენი ბრალი არაა, განა არ ვიცი... მაგრამ მე მაინც გეტყვი ყველაფერს... მე, ალბათ, მარტო ვარ, ჯოტო... იმიტომ, რომ ჩემი არავის ესმის... აი, ეს მამაა, ეს დედაა, ეს თიკო, ირგვლივ ამდენი ხალხია და მე მაინც მარტო ვარ, ჯოტო...“

— კიდევ რომ გაწყდეს, მამიკო, ფირი? — ეს თიკოა, რასაკვირველია.

— გაჩუმიდი! — ვუთხარი და მკლავზე ვუჩქმიტე. — ერთი სიტყვა გისწავლია და...

— სუ, არ იტირო! — სიცილით უთხრა დედამ.

— აბა, რო მტკივა? — იკითხა თიკომ.

„ — რატომ ვარ აქ, ჯოტო, რატომ ვარ აქ და არა სხვაგან... მე არ მინდა, რომ აქ ვიყო, ჯოტო. მე მინდა.. მე თვითონ არ ვიცი, რა მინდა, ჯოტო... მე მინდა ყველგან ვიყვი, ჯოტო, ყველგან ყველასთან... მე შენთან მინდა, ჯოტო, შენთან, დუდასთან, მე მამასთან, მინდა, დედასთან, თიკოსთან, აი ამ ხალხთან, ეკრანს რომ უცქერენ, მათთანაც, ვინც აქ არაა, ყველასთან... შენ ალბათ გულში გეციინება. არა, ჯოტო?“

„ — არა, რატომ, ყველა რაღაცას ფიქრობს“.

„ — თქვენ ყველა რაღაცას ფიქრობთ, ჯოტო, რაღაც გაწუხებთ, რაღაც გიხარიათ, რაღაც გტკივათ, მაგრამ მე ვერ ვგრძნობ თქვენს სიხარულს, მე არ მტკივა თქვენი ტკივილი. აი, ეს მე ვარ, ჯოტო, ხელს რომ ვწევ და შუბლს ვისრებს, აი, ეს მე ვარ, რომ მტკივა. თქვენი ტკივილი კი მე არ მესმის. თქვენ ჩემს გარეშე ხართ საღდაც, როგორც აი, ამ ფილმის გმირები. მათაც სტკივათ, ალბათ, მათაც უხარიათ, და მე წარბებს ვიჭმუხვნი ან ვიციანი, იმიტომ, რომ მათ ტკივილს ჩემს საკუთარ ტკივილს, მათ სიხარულს კი ჩემს საკუთარ სიხარულს ვამსგავსებ. მე კი მინდა, რომ მე მტკიოდეს მათი ტკივილი. მე თქვენთან მინდა, ჯოტო, თქვენთან, ყველასთან. გუშინ თიკომ ხელი გაიჭრა, ჯოტო, თიკოს ეტყინა და მე ვიცოდი, რომ სტკიოდა, ვიცოდი, მაგრამ თვითონ ვერაფერს ვგრძნობდი. თიკო კი ისე ღრიალებდა, რომ მე ათასჯერ მერჩია, ჩემი ყოფილიყო ის ტკივილი. აი, ეს მე ვარ, ჯოტო, ეს მე ვარ, და მე მინდა თქვენც ჩემთან ერთად ამბობდეთ: აი, ეს მე ვარ!“

„ — ყველა რაღაცას ფიქრობს, მამუკა“.

„ — ნუთუ მე მარტო ვარ, ჯოტო... თუ მარტო ვარ, მაშინ ვინა ხართ თქვენ... რატომ ვარ ამ წუთში მე აქ, ჯოტო, რატომ ვარ სწორედ აქ და არა სხვაგან... თუ მარტო ვარ, რატომ ვარ აქ, და რატომ არ ვაკეთებ რაღაც უჩვეულოს... შენ თუ გინდა ნურაფერს მეტყვი, მე მაინც გეტყვი, ჰო, ჯოტო?“

„ — მეც გეტყვი, მამუკა“.

„ — შენ მე არ მიცნობ, ჯოტო. მე ის არა ვარ, შენ რომ იცნობ, ჯოტო, მე ხომ...“

„ — რას ამბობ, მამუკა“.

„ — მე არასოდეს არა ვარ მე, ჯოტო, შენ ისევე გეციინება, ჰო?“

„ — ყველა რაღაცას ფიქრობს, მამუკა“.

„ — მე შეშინია, ჯოტო, ნეშინია, მაგრამ ეს ასეა... მე შენთან სულ სხვა ვარ,

ჯოტო... მე სხვებთანაც ყოველთვის სხვა ვარ, ჯოტო... მე მეშინია... მარტო იმის გაფიქრება, რომ მე არასოდეს არა ვარ მე, სუნთქვას მიკრავს, მაგრამ ეს ასეა... შენ თუ გინდა ნურაფერს მეტყვი, მე მაინც ვეტყვი, ხომ, ჯოტო...“

„ — რატომ ამბობ მაგას, მამუკა...“

„ — მე მინდა რაღაცას ვაკეთებდი, ჯოტო, რაღაცას ისეთს, რაც მხოლოდ მე შემეძლება და სხვას არავის. მაშინ მე აღარაფრის შიში აღარ მექნება, ჯოტო... მაშინ მე ხელს აეწეე და, ვიტყვი: ეს მე ვარ, მამუკა! ო, როგორი სიხარულით ვიტყვი ამას, ჯოტო.. შენ უკვე აღარ გეცინება, ჰო?..“

„ — არ მეცინება, მამუკა...“

„ — მე ვერასოდეს ვაკეთებ იმას, რაც მინდა... მე ხომ... მე ხომ არასოდეს არა ვარ მე, ჯოტო...“

ფილმის ერთ-ერთმა გმირმა რაღაც ისეთი თქვა, რომ უეცრად გავქვავდი, სული შემიგუბდა. „ღმერთო ჩემო!“ — კინალამ ვიყვირე. „აი, ეს სულ სხვაა.. ეს ისეა, თითქოს მე შეთქვას!“. მერე, არ ვიცი, რა დამემართა... რაღაც მოხდა, რაღაც უჩვეულო... დედას მკლავზე მივეყრდენი.. მომეჩვენა, რომ დედამაც რაღაც იგრძნო, მისთვისაც რაღაც მოხდა.. მომეჩვენა, რომ იმ ფილმის გმირი ჩვენში გადმოვიდა, ჩემში, დედაში... „ო, მე რომ შეთქვა ასეთი რამ!.. — შურით ვავიფიქრე, — მე მივიდოდა ყველასთან ჩემი ფიქრებით, ჩემი სიმარტოვით, მივიდოდი ყველასთან, ვინც კი იცის, რა არის სიმარტოვე, მერე ჩვენ თავს დავაღწევდით ამ მარტოობას და შევიქნებოდი ყველგან და ყველასთან...“

კინოდან ჩაფიქრებული გამოვედი.

ვფიქრობდი ფილმზე, ჩემს წელანდელ ფიქრებზე, ვფიქრობდი თაკოზე, ხელი რომ გაიჭრა და ხამაძლა ტიროდა, ვფიქრობდი დედაზე, ფარდას რომ ამოეფარა და კაბის გულსპირზე ქინძისთავს იბნევდა. სიტყვაა რაა, საყვედურის სიტყვააც არ დასცდენია დედას... და მე ვიცოდი, რატომ მერჩია ის ღილი ყველა ღილს და რატომ იყო სწორედ ის ღილი ყველაზე ლამაზი. გულში კვლავ კავა-

რადოსის არიას ვლიინებდი და მეჩვენებოდა, რომ ეს იყო სიმღერა უკრელ ღილზე, დედას რომ კაბის-გულსპირზე ეკერა და ყელს უმწვენებდა. ეს იყო სიმღერა იმ ჰრელსა და საოცრად ლამაზ ღილზე, რომელიც დედის კაბის გულსპირს მოსწყვიტეს და რომლის მაგივრად ახლა იმ გულსპირს ერთი უბრალო ქინძისთავი ებნია. ის ქინძისთავი დედას იმ ლამაზი ღილივით არ ამწვენდა, მაგრამ დედა თვითონ იყო საოცრად ლამაზი.

დედამ, მხოლოდ დედამ იცოდა, რომ მე არ ამიწყვეტია ღილი მის კაბაზე, მხოლოდ მან იცოდა, რომ მე არ დავცივდი თიკოს, ხელი რომ გაიჭრა და ხამაძლა ტიროდა, მე არ დავმუჭრებოვარ დედას. არ გამირტყამს მისთვის სახეში...

— ეგ არა, — ვამბობ და მოთმინება არ მყოფნის, — იქით როა, აი ის...

— იქით რომელია.

— აი ის, ჰრელი როა, ლურჯი წინწყლებით!..

— თითო ხუთი კაბიკი, — მეუბნება და ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებს.

— ხუთი კაბიკი?... მომეცი, — კინალამ ვიყვირე. — რამდენი? ოცი! დედას სახლამდე სული ძლივს მივიტანე.

— რა გინდა, — მითხრა დედამ.

— დედა, — ვთქვი და სახე გამიხურდა, — მე არ მინდოდა... აი ის... გუშინ რომ გაგლახე...

დედა თავჩაქინდრული დგას უსიტყვოდ თვალებს მარიდებს. მერე, ფეხსაცმლის წვერით გამრავლების ნიშნებს ხატავს მიწაზე.

— მაგისტვის მოხვედი?

— ჰო, მაგისტვის, — ვამბობ და მეც მიწას ვფხაჭნი ფეხსაცმლის წვერით.

— ვითამაშოთ? — მეკითხება დედა.

— არა, დედა, ეს ისა... ეს სულ შენია.. შენთვის ვიყიდე.

— ჩემთვის?

— ჰო, შენთვის... ოცი ცალია... ოლონდ, ის მომეცი, გუშინ რომ წავაგე...



მარტო ის ერთი, დედა, ბოლოს რომ წაეგე.

— ისიც ასეთია. — უკვირს დედას.

— ჰო, ასეთია, — გეუბნები, — ზუსტად ასეთი... ოღონდ.. იცი რა, დედა... ის უფრო ლამაზია.

— უფრო ლამაზი? — უკვირს დედას, — ზუსტად ასეთი თუა, როგორ!.

„ლამაზია, დედა, უფრო ლამაზი, — ვამბობ და გახარებული მივრბივარ სახლისკენ, — შენ ძალიან გიყვარს, ჰო, დედა? მერე მე რა გიყო, რომ გიყვარს. შენ თუ არ გჯერა, მე როგორ დაგაჯერო, პა, დედა?...“

უცერად ჯოტოს მოგვარო თვალი. „როგორ იკრიბება.“ — ჯოტო, აუუ! — შორიდან ხელს ვუქნევ. „დამცინის ეს ოხერი.“ — გამარჯობა, ჯოტო! ჰო მართლა, ისა... — ხელი ჩავეჭინე და ისევ გზა განვაგრძე სირბილით. იმ ფილმში, გუშინ რომ ვნახე, ჯოტო მაიმუნს ერქვა, და ჯოტოსთვის ახლა სწორედ ამის თქმა მინდოდა. ისე, სხვათაშორის ვეტყვოდი და მერე, ვითომ არაფერი, — „ნახვამდის, ჯოტო!“ მაგრამ ჯოტოსთან რომ მივირბინე, მივხვდი რომ ძალდაუტანებლად ვეღარ ვიხუმრებდი და ხელი ჩავეჭინე.

„— გამომართვი, დედა, გამომართვი, მე მხოლოდ ეს ერთი მინდოდა, ესენი შენია, დედა, გამომართვი...“

„— არა, მამუკა!“

„— გამომართვი, დედა, მეწყინება!...“

„— მართლა გეწყინება, მამუკა?“

— ჯოტო, აუუ! — ვყვირი და ისევ უკან ვბრუნდები ჯოტოსთან, — ჯოტო, იცი რა...

— რა? — მეკითხება ჯოტო და გაკვირვებული მიყურებს.

— აბა თვალები დახუჭე, ჯოტო.

— რად უნდა დახუჭო.

— ისე, ჯოტო.

— არ დახუჭავ!

— დახუჭე, ჯოტო!

— კაი, ჰო, დახუჭე.

— ახლა, იფიქრე.

— ეფიქრობ.

— რას ფიქრობ...

— აბა, რა ვიცი.

— ჯოტო, როგორ ვითხრა, იცი რა, ჯოტო... — ხელზე ხელს ვკიდებ, — აბა, ხელი ასწიე, ჯოტო.

— ავწიე.

— დაუშვი.

— დაგუშვი.

— ვინ ხარ შენ, ჯოტო. — ჯოტო არ ელოდა.

— ვინ ვარ? — მხრებს იჩინავს.

— აი, შენ ეს ხარ, ჯოტო, — ვეუბნები და ხელზე ხელს ვკიდებ, — აი ეს, ახლა რომ ხელს წევ... შენ ხარ, ჯოტო, ხელს რომ ძირს უშვებ... — სული მივუბღბა.

— როგორ მიხვდი იკრიბება ჯოტო.

— შენ იდიოტი ხარ, ჯოტო, ნამდვილი იდიოტი, კიდევ ის, რა ქვია... უპ, შენი რაც უნდა ის ერქვას... ჰო, დიხ, ყყყეჩი, გამოთავყვანებული, ჯანდაბა და ათასი ჯარხანა, — გული ყელში მებჭინება და უკანმოუხედავად მივრბივარ სახლისკენ...

კარი კვლავ მამამ გამიღო. სულმოუთქმელად ავირბინე კიბე და დედას ხელი გაფუწოდე. დედას, ის იყო, კაბა გადაეცვა და გულისპირზე ქინძისთავს იბნეედა. გაკვირვებით შემომხედა. მერე მამას ჰკითხა:

— რომელი საათია.

მე ისევ ისე ვდგავარ, მისკენ ხელგაწვდილი.

— არ მინდა. — მეუბნება დედა, — ასე სჯობია.

მერე აღარც გავხსენებდვარ.

მამამ თავზე ხელი გადამისვა და დედას უთხრა:

— გამოართვი.

დედას არ გაუგონია.

სული შემიგუბდა. თვალეზე ცრემლი მომაწვა. მომეჩვენა, რომ რაღაც ძლიერი, სევდიანი მელოდია ახმაურდა გულში და სივრცისკენ დიძრა. ეს არც კავარადოსის არია იყო და არც სიმღე-



რა იმ ჭრელ და საოცრად ლამაზ ღილაკზე, რომელიც დედის კაბის გულისპირს მოსწყვიტეს და რომლის დაბრუნება დედამ აღარ ისურვა. ეს იყო სიმღერა იმ გაცრუებულ ლამაზ ფიქრებზე, რომელიც ბავშვობასთან უეცარ გამოთხოვებას თურმე თან სდევდა. ის ფიქრები იყო ჩემში და მხოლოდ ჩემში, მხოლოდ მე შემეძლო ამ ფიქრების სხვისთვის გამხელა...

დედა და მამა შინ გვიან დაბრუნდნენ. თიკოს ეძინა. დედა ვახშმის თაღარიგს შეუდგა.

— მოდი აქ, — მითხრა მამამ.

ფეხი ავითრიე.

— მოდი, მოდი...

მამამ გუშინდელი ამბავი გაიხსენა.

— ყველაფერი მცირედან იწყება, — თქვა ბოლოს, — დიღუბიდან, ალბათ. ტანისამოსზე გადახვალ, შერე... შერე, სახლზე...

— მე ვიცი სახლობანა. — თქვა თიკომ.

— შენ არ გძინავს? — უყვირა დედამ.

თიკომ სასწრაფოდ დახუჭა თვალები.

— შერე... — განაგრძნობს მამა და ველარაფერს იგონებს.

— რა სისულელეს ლაპარაკობ, — ეუბნება დედა, — კაცს მართლა აფიქრებინებ რალაცას...

მე გული მწყდება დედაზეც, მამაზეც, თიკოს არაფერი დაუშავევია, მაგრამ თიკოზეც, გული მიტყდება ყველაზე და ყველაფერზე... მაგრამ ვილაც ომბიანად ჩამძახის, რომ მე დავწერ ძლიერ და სევდიან სიმღერას გაცრუებულ ლამაზ ფიქრებზე, რომელიც ყველას აუბელს თვალს, ყველას... თიკოსაც...

კარგი ვოგოა თიკო.

### ჩემი პითილი თანამგზავრი

მძლოლმა, ის იყო, მოტორი გამორთო და მანქანა ისე სულგანაბული დაეშვა თავქვე, თითქოს, მდინარის პირას გაშენებულ ხეხილის ბაღებს გასაძარცვავად ვეპარებოდით.

— აი იმ მთას ხედავ? — მითხრა მამამ.

„ხედავ, ხედავ! მთაა, შე კაი კაცო, ბუზი ზომ არ არის!“

— დაყრუვდი, შე ოხერო?

— აბა, რომელს? — ვეუბნები.

— აგე, — მამამ თითი გაიშვირა.

— ეხედავ.

— ჩვენი სოფელია.

— რა ქვია, შერე ჩვენს სოფელს, — ვეკითხები. მამა ისე მიყურებს, თითქოს, ეს ესაა, ფეხი აუცურდა და ტალახში ჩაქდაო.

— ვაგივდი?

— აღარ მახსოვს და რა ვქნა!

„არ მახსოვს, არ მახსოვს, არ მახსოვს!“

გაბრაზებული იმიტომ ვიყავი, რომ ძალისძალათი წამომიყვანა სოფელში.

— შავრა, — მეუბნება და მგზავრების დასანახავად მხრებს იჩეჩავს.

— ქვედაშავრა, — გაუესწორე.

— ქვედაა, თუ ზედაა, შავრაა, — ამბობს მამა.

— ქვედაა. — ვეუბნები. „რომ ჩავალთ, გამლახავს. შოდა, გამლახოს!“ — ქვედაა.

— ბიჭო, შენი!..

— ქვედაა, ვა!

— ვას მოგცემ მე შენ! — მეუბნება და მუხლზე თითებს ათამაშებს, — მეორედ არა თქვა ეგ სიტყვა.

მანქანამ გაიფეკა და სიმინდის ყანებს შორის ღარივით გაჭიმულ გზაზე გასრიალდა. მოტორი წყნარად და საამოოდ გუგუნებდა.

— მოკეტა ხროტიანი. — ვთქვი და ღრმად ამოვისუნთქე.

— რა თქვი? — მკითხა მამამ.

— მე ვთქვი, უკან დარჩა-მეთქი აღ-  
მართები.

— ჰო, — თქვა მამამ, — ცოტაც და  
მივალთ.

მანქანამ სვლას უმატა. გზის პორიზო-  
ნტთან უკვე კრამიტისა თუ ყავის სა-  
ხურავეები გამოჩნდნენ.

— კრებალო. — თქვა ვილაყამ.

მამა ფეხზე წამოდგა და სანამ მანქანა  
არ გაჩერდა, აღარ დამჯდარა.

— ჩადი. — თქვა მამამ და ცალი ხე-  
ლით ჩემოდანს დასწვდა, მეორეს ცაზე  
მიბჯენილ, ლურჯი, მაღალი შთის კალ-  
თისკენ იშვერს და თითქოს თავისთვის  
ლაპარაკობს, — ხედავ ტირიფებს? იქ  
წყაროა, ჩვენი წყარო. აი, ის დიდი მუხა  
რომაა, იქ ჩვენი სახლია, არ ჩანს, თო-  
რემ, ისე იქაა...

— მეღქო ბიძია! — იყვირა ვილა-  
ყამ. აქეთ-იქით მიმოვიხედე. მერე,  
გაკვირვებულმა, იქვე, მანქანის ძარას-  
თან მდგომ ჩემოდენა ბიჭს შევხედე.  
თვალეზგაბრწყინებული მისჩერებოდა  
მამას და ბოხი, მამაკაცური ხმით ბლაო-  
და, — ვერ მიცანი მეღქო ბიძია?

— ბუტუნია არ ხარ? — გაუხარდა  
მამას.

— ბუტუნია ვარ, ბუტუნია!

„სულ გამოცვლილა“. გავიფიქრე და  
მანქანის ძარიდან ვადმოვხტი. კარგა  
ხანს ვიცდიდი, სანამ მამა და ბუ-  
ტუ მოიგულისჭირებდნენ ერთმანეთს.  
მერე ბუტუს წინ ავეტუზე და გავუ-  
ცინე.

— ვერ იცანი, კაცო, მამუკა? —  
უთხრა მამამ.

მამუკა? გადაირია მარა რა გადაი-  
რია!..

„გეყოფა, შე ოხერო...“

— რაეა ხარ, ბუტუ.

— მამუკა ხარ, აბა, კაცო? — ისეე  
გავიჟდა ბუტუ.

— მამუკა ვარ, ბიჭო, მამუკა, — ვა-  
რწმუნებ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ,  
— კაი, ბიჭო, ახლა, დაიჭერე...

— სეო როგორ არის? — ეკითხება  
მამა.

სეო მამაჩემის ძმაა, ბუტუს მამა.

— ეგერაა, სასადილოში... სასადილოში

— სად, ბიჭო? ბიჭო

— ვახეთქაზეა. — ამბობს ბუტუ.

— ჰო, აბა, — ამბობს მამა, — ფხი-  
ზელი რაეა გაჩერდება. წადი, დაუძახე  
მამა...

სეოს ძმაცაცები გამოჰყენენ და მამა  
სასადილოში შეათრიეს.

მერე, მამა და სეო ბიძია სასადილო-  
დან ხელიხელგადახვეულები გამოვი-  
დნენ და ერთიდაიგივე სიმღერა სხვა-  
დასხვა მოტივზე დასქექეს.

— ე! — თქვა ბუტუმ.

— ვა! — ვთქვი მე.

— მეორედ არა თქვა ეგ სიტყვა —  
უკვე მესამედ მაფრთხილებს დღეს  
მამა, — თორემ ვას მოგცემ მე შენ! —  
მერე ბუტუს ესალმება და სადღაც  
შეეხვედრივართო, საჩვენებელი თი-  
თით საფეთქელს იბურღავს.

— კი, ნამდვილად. — ამბობს სეო.

მამა ეჭვის თვლით უყურებს სეოს,  
მერე უკან იხედება და, ამხანაგო, რამ-  
დენი წუთია ტაიმის ბოლომდეო, ეი-  
ლაცას ეკითხება.

— შუადღეა ახლა. — თქვა ბუტუმ.

— თორმეტია-თქო, შე გლახა! —  
უსწორებს სეო.

— თორმეტზე შუალამე ვიცი მე. —  
აზუსტებს ბუტუ.

— მერე, ვინ გასწავლა, რომ იცი, —  
თავი დაიფასა სეომ.

მამა სასწრაფოდ გვართმევს ხელს  
და თერთმეტ საათზე ოპერის თეატრ-  
თან უნდა ვიყო უსიკვდილოდო, გვე-  
ზოდისება. რის ვაივავალახით მოვებრუ-  
ნეთ. ახლა სეომ გაჩაჩხა ფეხები:

— თქვენ იცით, ვინ ვარ მე?

— კაი, ერთი! — ამბობს მამა და  
წვრილი ხმით მღერის, მერე ხმას თან-  
დათან იბოხებს და ლურჯდება.

— დაიხრჩობა, ნახავ! — ვეუბნები  
ბუტუს.

— არ დაიხრჩობა, — მარწმუნებს  
ბუტუ.

მდინარემდე რის ვაივავალახით მივა-

ღწიეთ. იქ კი პაქინიკა და ზურციკუნა ჩამოგვეშველნენ, მამა და სეო ბორანზე შელალეს და მერე სოფლის გზას შეუყვანენ. მე და ბუტუ მდინარის გადმოღობა დავრჩით. აქეთ უფრო კარგი საბანაოა და იმიტომ, პაქია და ზურა ბუტუს უფროსი ძმებია.

მდინარეში მუხლებამდე შიკვევილით და ქვიშაზე ხოხვით მუცლები დავიწითლეთ. ბუტუს შვიდი ქალი ჰყავს ვადარჩენილი და მთელი რაჭა მის მონებრებულობაზე ლაპარაკობს, მე მხოლოდ ექვსი, და ვაზეთში გამოშაცხადეს. ცოტა ხნის შემდეგ შარვლებს ვიკრავთ და ბუტუს ვეუბნები:

— ფული რომ არა გვაქვს!..

— ფული?

— ბორანზე გადასასვლელი.

— რას ამბობ, კაცო, — ამბობს ბუტუ, — დიტო ბაბუ?

— დიტო ბაბუ მეზორნეა და ბუტუს ძმაცაი. ფულს როგორ გამოართმევს!..

— ეს მელქოს შეილია, შე კაცო! — ამბობს ბუტუ.

— არ ვიცი მე, — ამბობს დიმიტრი, — ფუ-ლი!

— არ გვაქვს და, ახლა!

— არ გვაქვს და რა ვუყოთ, როცა გე-ქნება, მაშინ მოდი.

— სტუმარია, ბოშო!

— სტუმარი?

— თბილისიდან ჩამოვიდა.

— სტუმარი... ჰო, კათ აბა, მაგას ვა-დავიყვან. შენ კი, უკაცრავად. სტუმარია!.. — ბრაზობს დიმიტრი, — ჩვენც ვყოფილვართ, ბატონო, თბილისში...

მერე ვინ შეიღვა თავზე ჩემი სტუმრობა!.. კონდუქტორებს გადავყვივი კაცი..

— იქ მდინარეზე გადასასვლელს მაინც არ მოგთხოვენ, — ამბობს ბუტუ, — მტკვარი იმისფართეა, რო... მარა ფულს კი არაეინ ვთხოვს!..

— ჰოდა, წადი, ბატონო და მტკვარზე გადადი. ეს რიონია.

— გადავიყვანე ახლა, ნუ მოგვეკალი.

— ეს კიდევ ბორანი, — ვანაგოდნობს დიმიტრი.

— მე ხიდი მეგონა, — ამბობს ბუტუ, მერე ისე ბრტყლად უმატებს, თითქოს რაღაც უსაშველოს ამბობდეს, — მუხრანის ხიდი!

— მუხრანისაა, თუ პაქინიკასი, ხიდი კია და...

— რაა, ბოშო, ხიდი! — თვალები დაქვიტა ბუტუმ. დიმიტრისაც უკვირს, მერე შეცდომას ასწორებს:

— ბორანი, შე კაცო.

— გადავიყვან?

— ბორანია-მეთქი, აკი გითხარი, — მერე ზელს მდინარის გასწვრივ იშვერს და ამბობს, — ე, ხიდი.

ხიდი მართლაც არის ზევით, მაგრამ იქამდე ექვსი თუ შვიდი კილომეტრია.

ჰოდა, ისევ სამანქანო გზაზე გადავდივართ და მდინარის აღმა გულზეცეცხლ-მოდებულები მივაბიჭებთ.

— დაიძახა? — მეკითხება ბუტუ.

— მოგეჩვენა.

— გადავიყვანთო, ბიჭო.

— არ დაუძახია და, რა ვქნა.

ერთ ხანს უსიტყვოდ მივდივართ. მზე პირდაპირ კეფაში გვირტყამს ზელის-გულებს და რეტდასხმულებივით მივაბიჭებთ. მერე ბუტუ მეკითხება:

— გოგო გყავს?

— რა თქვი?

— გოგო გყავს-მეთქი, გოგო... აი, ისა, რა ქვია...

— ჰოო... — ვეუბნები, — კი.

— კარგია?

— ისე, რა!

— ვინაა მერე.

— ვინაა და... ვინ უნდა იყოს!

— რა ვიცი მე, მე მეკითხები?

— ნუნუს ამხანაგია, ერთი. — ვეუბნები.

ნუნუ ჩემი უფროსი დაა. მესამე წელია, გათხოვდა. ბუტუმ თვალუბი დაქვიტა.

— მართლა მეუბნები?

— გამომტეხე და ახლა მეკითხები? — კითხვას ვუბრუნებ.

— მერე.. მე როდის.. — ენა ებმება ბუტუს. ერთხანს ხმას ველარ იღებს. მერე ისევ მეკითხება:

— რა ქვია?

— თაია.

„თაია!..“

უცებ მომჩვენა, რომ სიმღერასავით გაისმა ეს სახელი. რამდენჯერმე გავიშვორე: „თაია... თაია... თაია!.. რატომ არ ვიცოდლი!“

— მერე, ბიჭო, — ამბობს ბუტუ, — გაგიჟდი?

— რა?

— იმხელა ქალი... როგორ შეიძლება.

— რა იცი შენ, რამხელაა...

— ნუნუს ამხანაგიაო. ასე არ თქვი?

— არაა შენი საქმე.

— მამაშენს ვეტყვი!

ადგილზე გავქვავდი. ბუტუმ იგრძნო, რომ თუ მოვბრუნდებოდი, მერე თბილისამდე ველარაფერი დამკავებდა. ნირწამხდარმა წაილულლულა:

— წადი, მართლა შე.. ხუმრობა არ გცოდნია!

ხილამდე ისე მივედით, რომ ხმა აღარ ამოგვიღია. ბუტუ დამნაშავესავით მომდევდა. მე ვგრძნობდი, რომ ბუტუმ რალაც დააშავა, ოღონდ, როგორ მოხდა ეს და რატომ, ვერ გამეგო. და საერთოდ, რა ხდებოდა, აღარ მესმოდა. ბუტუსთვის თვალის გასწორება აღარ შემეძლო. ხილზე რომ გადავდიოდით, ბუტუმ ნაძალადევად გაილიმა.

— ჰმ, დიტო ბაბუ!

მეც მინდოდა, რალაც მეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. ბუტუს უნდოდალ ვავუდიმე.

მდინარის მეორე ნაპირზე საცალფეხო გზა დროდადრო ტყისკენ უხვევდა და გონებადაფანტული კაცივით აქეთ-იქით დაეხეტებოდა. იმისდამიხედვით, მდინარეს დავშორდებოდი თუ ვუახლოვდებოდი, მდინარის დაბალი და მაღალი ნოტები რადიომიმღების ტალღებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

გზა ერთ ადგილას ისე ღრმად შევიდა ტყეში, რომ მდინარის ხმა შემწინებელი ქალის ჩურჩულოვით ისმოდნენ.

— გიფიქრია? — თითქმის ჩურჩულოთ ვეკითხები ბუტუს.

ბუტუმ ვერ გამიგო:

— რაზე?

— ისე, საერთოდ...

ბუტუ მხრებს იჩეჩავს.

— აი, თუნდაც... როგორ იქნება, როცა მოვკვდებით...

— ისე ჩემი მტერი იქნა, — ამბობს ბუტუ, — ვახსოვს, ბაბუა როგორ იყო?..

— როგორ იყო.

— როგორ და, რო იჯგომებოდა ჯარისკაცივით.

„უველაფერზე ხუმრობს, — გავიფიქრე, — ამას რა უქირსა.“

— მისმინე, ბუტუ... მართლა არ გიფიქრია?..

ბუტუ გულმოდგინედ ცდილობს, რომ გამიგოს:

— კი, მიფიქრია.

— ხომ უნდა მოვკვდეთ, არა, როდისმე.

— კი, უშეშვალდ.

— მერე, როგორ იქნება... მოიწი აქეთ... ვის ეტყინება შენს მაგივრად.

— რავე იჩქმიტები, ბოშო!

ბუტუ ერთი წუთით ჩაფიქრდა. მომჩვენა, რომ რალაც გაიგო, მერე ისევ მხრებს იჩეჩავს და მეუბნება:

— რა ვიცი მე, ვის ეტყინება!..

ჰო, მართლა, ხილზე რომ გადავვივდი, ბუტუ უკან დაბრუნდა.

— ბუტუ! — დავუძახე.

— მაცალე, — მითხრა ბუტუმ და ცოტა ხნის შემდეგ ხიდის ბოლოში მოექცა. ახლა იქიდან წამოვიდა გახელებული. გაოფლიანებულ შებლზე მკლავს ისვამდა და თითქოს ვილაცის ცემით გულს იჭერებსო, მოჭაქანობდა:

— ასე, აი, ასე!..

ხიდი რამდენჯერმე გადაიბრინა და გადმოიბრინა. მერე, მთლად გასავათებული ჩემს წინ გაჩერდა და სული ძლივს მოითქვა:



— აქაც ხომ არ უნდა ფული. აი, ასე! ასეთია ბუტუ.

გზა ერთხელ კიდევ გამოვიდა მდინარესთან, ცოტა ხანს მიუგდო ყური ტალღების ხმაურს და მერე ხელიკავით აცოცდა ფერდობზე.

— შევესვენოთ, — ვუთხარი ბუტუს.

— კაი, როგორც გინდა.

— არ დაიღალე, ბუტუ?

— კი, დავიღალე.

— მაშინ, დავისვენოთ.

— როგორც გინდა.

— დაჯექი, შე კაცო, — ვუბნებდი ბუტუს, მერე სასწრაფოდ ვუმატებ, — არ თქვა ახლა, როგორც გინდაო!

ბუტუ უხმოდ იცინის. დიდრონი, თეთრი და ლამაზი კბილები აქვს ბუტუს.

— ნუ იკრიკები! — ვუბნებდი, — ნუ იკრიკები, თორემ...

ბუტუს თვალის დახამხამებაში მიწაზე ვაგდებ და ნაბადივით ვთელავ. ახლა ბოზი, მამაკაცური ხმით ხითხითებს ბუტუ.

„კარგი ბიჭია ბუტუ, — ვფიქრობ, — რომ უნდოდეს, დათვივით დამბუზნის. აბა, მე რას ვავხდები ბუტუსთან. აი, თაიას რომ... თაიას რომ ვუყვარდე, მაშინ... მაშინ ბუტუსთან ათიც არ მეყოფა...“ უცებ წარმოვიდგინე, რომ ათი ბუტუსთანა ბიჭი წინ გადასდგომია თაიას და გზას რ აძლევს. ყველას დიდრონი, თეთრი და ლამაზი კბილები აქვს და ბოზი, მამაკაცური ხმით ხითხითებენ. „თავი დაანებეთ, თქვენ!.. ჰო, თქვენ გუბნებით, თავი დაანებეთ!..“, „მერე, რომ გამლაზონ, ჰა, რომ გამლაზონ?...“ თაია თავზე ხელს მისვამს: „აი, თურმე, როგორი ყოფილხარ!.. მე კი ისევ პატარა ბიჭი მეგონე“. მერე თაია მკერდზე მეყრდნობა, აი, ზუსტად ისე, როგორც.. „ნუ, თაია, აბა რა გატირებს“, ნეტავ რატომ უყვართ გოგონებს ტირილი... სულ ერთი ბეწო რაღაც და ცრემლებიც მზადა აქვთ, თითო რომ უჩვენონ, დილიდან საღამომდე იტირებენ!..

— ბუტუ!

— ჰო.

— რა კარგი იყო, ბუტუ!

— ჰო.

— რა, ჰო...

— აბა, რა ვიცი.

— წელან, ისეთი კარგი იყო, ბუტუ... რაღაცას ვფიქრობდი. ისე იყო, თითქოს მართლა... ეჰ!

— კიდევ იფიქრე.

— არა, ბუტუ, არ გამოვა, ჩემი ნება კი არაა, რო... ისე ცხადად ვეღარ წარმოვიდგენ.

ბუტუ მხრებს იჩეჩავს. მერე ისე მეუბნება, თითქოს რაღაც საიდუმლოს მიმხელდეს.

— უცნაური ხარ.

ერთხელ დედამ მითხრა სწორედ ასე. რაღაც წიგნი წავიკითხე და მთელი დღე ტირილის გუნებაზე ვიყავი. დამით, რომ დაწვექი, დედამ თვალეში ჩამხედა და მითხრა: უცნაური ხარ. ეს „უცნაური ხარ“ დედამ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მითხრა, მაგრამ ყოველთვის, როცა კი თვალეში ჩამხედავდა, ვგრძნობდი, რომ ამ ორი სიტყვის თქმუნდოდა. და საერთოდ, არავის შემოუხედია ჩემთვის თვალეში ისე, რომ მათ იდუმალ მზერაში ეს ორი სიტყვა არ წამეკითხოს. მაგრამ დედა სულ სხვანაირად ამბობდა ამ სიტყვებს. რაღაც ფარული სიამაყით და.. შიშით. სწორედ ისე, როგორც ახლა ბუტუმ მითხრა.

— ბუტუ, — ვუბნებდი, — შენ ისეთი კარგი ხარ, ბუტუ...

და სულაც არ მრცხვენია, რომ ამას ვუბნებდი. ბუტუ პატარა გოგონასავით წითლდება და მერე, ხელიხელჩაკიდებული, უსიტყვოდ მოაბიჯებს ჩემს გვერდით.

ფოთლები შეშინებული ბავშვივით ჩურჩულებენ და, „თაია“, ლამაზად მღერის მდინარე. „თაია, თაია თაია!..“ მუხის ძირას კი, ალბათ, ფარდავზე წვიანან მამა და სეო და ხმამალა ხვრინავენ.

ბილი



ბილი. ბილი ჰქვია, თორემ... აბა, რა ბილია. მთლად მოშხამულ ხასიათზე თუ არა ვარ, ერთი ორი, სამი, ვისკუპებ და მდინარის ერთი ნაპირიდან უკვე მეორეზე ვარ, ოთხი. მდინარე! ახლა მდინარეს არ იტყვი? კი გადარევენ კაცს ჩვენი სოფლელები!

— მდინარეზე რა ბილია, შვილო, — გეტყვიან და დაწვრილებით მიგასწავლიან, როგორ უნდა მიხედო მდინარემდე. თუ მოტყუვდი, მერე ხილსაც ძებნას დაუწყებ.

— აბა, ბიჭებო! — ვამბობ და ხილის ერთ კიდზე ვზივარ. ფეხები მდინარეში მაქვს ჩაყოფილი, — გაიხედეთ ერთი, ხომ არავენ მოდის.

ტაგუ ზღაზღვით ადის გორაკზე და დამკვიდრებული ატამივით იმანჭება.

— მოიჩრდილე, ბიჭო, ხელი მოიჩრდილე!

„ყველაფერი მე უნდა ვასწავლო ამ...“

— არავენ მოდის? — ისევ ვეკითხები.

— ჰო.

— რა, ჰო.

— არავენ მოდის.

გადამრევს ეს კაცი.

— ძალიან კარგი, თუ არავენ მოდის, — ვამბობ და ხელეშს ვიკაბიწებ, — აბა, დატრიალდით! — გორაკის გადაღმა კი ვილაც მოდის, თითო ხელში თითო ჩუსტი უჭირავს და ისე მოდის, შიშველი ფეხებით მოაბიჯებს. ის ვილაც თაიაა, და თაია ჩემი მომავალი საცოლეა. აჰ წუთას კი, მე რომ ხელეშს ვიკაბიწებ, ჩვენ ერთმანეთს არც ვიცნობთ. წარმოდგენაც არა მაქვს, თუ ქვეყანაზე არსებობს თაია და ის თაია ოდესმე... ჰჰ, საცოლე! რამდენმა წყალმა უნდა ჩაიაროს მანამდე, რამდენმა წელმა...

— ეი, თქვენ გეუბნებით!

ბიჭებს არ მოსწონთ ჩემი განზრახვა.

— გაინძერით, თქვენი!

ბილი მინდა გადავებრუნო, მდინარეში გადავჩეხო. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ბიჭები არ მიჭერებენ.

— ლაზრებო!

მერე ისევ ხიდის კიდზე ვჯდები და ფეხებს ვიგრილებ.

— დედლები, ნამდვილი დედლები, კიდევ ისა, რა ქვია...

თაია გორაკს უახლოვდება, თითო ხელში თითო ჩუსტი უპყრია და ისე მოაბიჯებს, შიშველი ფეხებით. წარმოდგენაც არა მაქვს, თუ ქვეყანაზე არსებობს ვინმე თაია და იმ თაიასა და ჩემს შორის მანძილი ასე უსახლოვროდ მცირდება.

„მე თვითონ“... ვამბობ მერე და ხილს ზურგით ვაწვები. წყალი ფეხების გარშემო მივლის და ლიკლიკით გარბის.

— გამარჯობა! — ამბობს თაია.

ჩუსტები ხიდზე დაუწყვია და თავზე დამყურებს.

— შენ მამუკა ხარ. — ამბობს თაია, — გამარჯობა.

— გამარჯობა. — ეუბნება ძიბო.

მერე ტაგუ ეუბნება:

— გამარჯობა.

მერე ცქაფუნაც.

— „ჰო, მამუკა ვარ, — ეუბნები, —

ვიცი.. ყურებით მოგასწავლეს. დიდი ყურები აქვსო და...“ — აბა, გადადი!

თაია მუშტისოდენა თვალებით მიყურებს.

— გადადი-მეთქი! — ეუბნები, —

უნდა გადავებრუნო...

— რა და, ბილი, — უხსნის ტაგუ, —

„გიქია.“

„გიქს მოგცემ მე შენ!“

— კაი, ბატონო! — დავემუქრე თაიას და უმაღლე მხარში საშინელი ტყვილი ვიგრძენი. „ლურსმანია“, გავიფიქრე და კბილები დაგერიქე. თაიამ ისკუპა და ბილიდან გზაზე გადახტა. „შეგეშინდა!“ — თვალი გავაყოლე. თაიამ მწყრალად შემომხედა, მერე, თითქოს ჯიბრზე, ისევ უკან დაბრუნდა და ხიდზე შედგა.

„იტირებს“, გავიფიქრე და ცხვირი მოვისრისე. „გული ამოუჯდება და იტირებს“.

თაიმ იტირა. ზურგი შემაქცია და გორაკისკენ მიმავალ ბილიც შეუყვარყვარად მიდიოდა, უხმაუროდ. რატომღაც შემებრალა, რომ შიშველი ფეხებით ნიაბიჯებდა. თუმცა ახალთახალი ლამაზი ჩუსტები ხელით მიჰქონდა.

— ესეც ასე! — ვთქვი, როცა ხიდი თავის გზას გაუფუცენე, და უხალისოდ მიმოვიხედე. მერე თითქოს ვილაცას გამოვაჯარე, — „არ უნდა გეთქვა, არ უნდა გეთქვა!“ — აბა, მე რა ვიცოდი, თუ იტირებდა! ვიცოდი რო?.. ნეტავ, სახელი შაინც მეკითხა.

— ვინ ჰიბია, საიდან ვაჩნდა!

— რა თქვი? — მეკითხება ძიბო.

— ვინ იყო-მეთქი, ის გოგო.

— გოგოა, რა!..

— ვიცი რომ გოგოა, განა ბრმაცა ვარ.

— ერთი გოგოა, რა!

ძიბოს ფეხზე ფეხი დავაჭირე და ხელი ვუბიძგე.

— რამსისხო დათვლა გკოდნია!

ტაგუ და ცქაფუნა ზურგებით მიწას გაეკრნენ და იცინიან, სულს ძლივს ითქვამენ. მე არ მეცინება. ტაგუს და ცქაფუნას კი მეტიც არ უნდათ, მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს, როცა რაიმე ამგვარს ვიტყვი და თვითონ წარბსაც არ შევიხრი. ალბათ, ჰგონიათ, რომ თავს ვიკავებ.

— რა გაციანებთ, — ვეუბნები ბიჭებს, — თქვენი შიშით ხმა ველარ ამომილია. განა ყველაფერზე უნდა გააციონოთ რო.

გულწრფელად ვეუბნები. ბიჭები კი ამასაც ზუმრობად მითვლიან და მშრალზე დარჩენილი თევზებივით ფართხალებენ. მე სახე მელრუბლება, ბიჭებს კი სწორედ ეს მოსწონთ. „ფუ, თქვენი, — ვბრაზობ, — სულელი გგონივართ!..“

— ვილაცა მოდის, — თქვა ძიბომ. პირველი ტაგუ წამოხტა, ტაგუს ძიბო მი-

ჰყვა, ძიბოს ცქაფუნა და ფხანა-ფხუწით სოფლისაკენ მოკურცხლეს.

— გამარჯობა! — გაღმომბახა მდინარის გაღმიდან ერასტიმ.

— გაგიმარჯოს, ერასტი ბაბუა! — მე აქედან დავსკყვილე.

— რა გაყვირებს, შე კაცო!

— არ მესმის, ერასტი ბაბუა!..

— რა გაყვირებს-მეთქი!

— რაო, კაცო?

— ბოშო, შენი — თვალეზე ხელი მოიჩრდილა ერასტიმ, მერე მდინარის ვალმა ხის ვაღანაჭერზე ჩამოჯდა, — გასწყრომია ციბუნეკას ღმერთი და ეგ არის.

ციბუ დედაჩემია.

— რაო, რაო, რაო?!

— მე ციბუნეკა მეცოდება თუ არა. შენ რა გიჭირს, შვილო. თუ ვაგიჟდი, შენია აწი ეს ქვეყანა და, ღმერთმა მოვახმაროს.

— მაღლობთ, ერასტი ბაბუა, მარა შენია, თუ იცი, ეს ქვეყანა, რომ მჩუქნი?

— ჩემია, დიახ!

— ჰოდა, შენ ყოფილხარ, ერასტი ბაბუა. რა და ის, როგორ თქვი შენ, რა ქვიათ იმას?..

— გიცი!

— ვითომ, მაგრე თქვი, ერასტი ბაბუა? — არ მჯერა მე.

— მაცალე მე შენი — დამემტრა ერასტი და ფეხი ფეხზე შემოიღვია, — მაცალე მე შენ და, თუ ვყოფილვარ კაცი, გიჩვენებ სეირს!

— რავა, გაღმობტომას აპირებ თუ! — გავიკვირე.

— რაო, ბოშო? — იკითხა ერასტიმ და ჯიბეებში ხელები მოიფათურა, — მომეცი პაპიროსი, შე გლახა!

— გაღმობტომას აპირებ-მეთქი, ერასტი ბაბუა?

— პაპიროსი მომეცი-მეთქი, რომ გეუბნები, არ გესმის, კაცო, შენ?.. სადაა, ბოშო, ხიდი!

— ხიდი თბილისში წაიდეს, ბაბუა, მტკვარზე უნდა გასდინ.

— რას ჩრუტუნებს ეს უკუღმართი!

— აბა, რაღა გეგონათ, იმხელა ხიდს რო აშენებდით... არ ვწევ ამ პაპიროსს და ჩამომახრჩე ახლა!

— ახლა არ ეწევი ხომ, მე რომ მჭირდება, — ბუზღუნებს ერასტი, — აი, ისემც კაი მოუვა ციბუნეიას ცხვირს, კაი შენ ჰყავდე!

— ზოგიც ციბუნეიას ჰკითხე.

— რა ვკითხო, ბოშო, ციბუნეიას! რა მჭირს მე სხვისი შესაკითხი! რაღა, ჰქუა არა მაქვს საკუთარი, თუ, რა ქვია იმას, შენ ხარ ჩემი ბატონი, გამჭირახობა!.. აი, დახრჩობა და არ გადარჩენა!

— რატომ მწყეველი, ერასტი ბაბუა!

— შენ არ გეუბნები, — თქვა ერასტიმ და ხველება განაგრძო. მერე, სული რომ მოითქვა, ჰინჭირის თვალებით დამსუსხა და მკითხა:

— შენ, ალბათ მტკვარზე უფართესი ქვეყანაზე მდინარე არ გგონია.

— არა, კი!

— რომელია, მერე.

— რომელია და, რა ვიცი მე რომელია!

— ჰოდა, რაც არ იცი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სხვას უნდა ჰკითხო, — დინჯად განაგრძო ერასტიმ, — რომ არ იცი, მაგ კი არაა დიდი დანაშაული, მარა...

— ჰე აბა, გკითხე და მიპასუხე.

— მაცალე, შე გლახა, რაღა ყელზე მადგები ლეკმასავით! — გაბრაზდა ერასტი, — ჰო, იმას ვამბობდი, მოსკოვ-მდინარე თუ გააგგონია შენ?..

— არ მინახავს თუ?

— სად?

— სად და რუკაზე, სად უნდა მენახა!

— უყურე ამ გლახას! — მუხლზე ხელს ირტყამს ერასტი, — ჰო, იმას ვამბობდი...

— არ თქვა ახლა, მოსკოვ-მდინარეაო ქვეყნის უფართესი.

— არა თუ?

— რომ არ იცი, მაგ კი არაა დიდი დანაშაული, ბაბუა, მარა...

— ნუ ჩრუტუნებ, ბოშო!

— ჰო, იმას ვამბობდი... რას ვამბობდი, ერასტი ბაბუა?..

— აი, დაგწყევლა ჩემმა გამჩენმა! —

ბუზღუნებს ერასტი. მერე <sup>ანგითარსე</sup> ასწორებს, — შენი მტერი დასწყევლოს-ღმერთმა და შენი მოშურნე, შენ ქვე რას გერჩია!.. ერთი მუტრუკი ჰყავხარ ციბუნეიას და, ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს-შენი უკმაჯური თავი...

— მოიცა, ერასტი ბაბუა, ხიდს გავლებ, აგრე ფეხი დაგისველდება...

სოფელში შეღამებულს დაგბრუნდი. წყაროსთან ვილაკის ლანდი შეგნიშნე.

— გამარჯობა! — ვთქვი და პასუხს დაველოდე.

— მოიწი, ბიჭო, აქეთ მოიწი, მამუკა არა ხარ შენ?

— დიახ...

— მოდი-მეთქი ახლოს, ვის ვუთხარი მე!

მიუუახლოვდი.

— მამუკა ხარ შენ, აბა, ბიჭო?

— კი.

— ნამდვილად?

„ახელა კაცი ხარ და.. რა და ის, რას მაიძუნობ!..“

მერე, მიწის სუნმა გამომადიხზლა.

„უპ, შენი! — ბრავისგან სული ძლივს მოვითქვი, — გრძელი ენა გქონია, ძიბო!“

ფეხზე წამოვდექი და ტუჩებზე მომდგარი ტირილი მუშტით მოვისრისე. საღ-

ლაც, შორს, მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ძაღლებმა კანტიკუნტად ყეფა შეაწიეს.

როცა ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა, მაშინლა შევამჩნიე, რომ

ვსლუქუნებდი. ტუჩები მოვკუმე და ბოლმისგან სუნთქვაშეკრული გზას დავადექი.

სიბნელეში რამდენჯერმე ქვას ფეხი წამოვყარი, მაგრამ ნაბიჯისთვის არ მომიკლია, ანგარიშმიოცემლად წინ მივდიოდი.

ვარსკვლავები ნაძვის ხის სათამაშოებივით გაბრწყინდნენ და თვალ-

დან დაგორებული ცრემლი ტუჩებთან ერთად მოვიკენიტე. „მოვკლავ იმ.. — გული ამოიჭდა, — მოვკლავ და... მერე რაც უნდა ის მოხდეს...“

„— მოიწი, ბიჭო, აქეთ მოიწი, მამუკა არ ხარ შენ?“

„ჰოდა, მოვკლავ.. ცოლსაც მოვუკლავ...“



„— მოდი-მეთქი ახლოს, ვის ვუ-  
თხარი მე!“

„ო, როგორ მძულხარ, ლათო!“

„— მამუკა ხარ შენ, აბა, ბიჭო?“

„— კი.“

„— ნამდვილად?“

„ამხელა კაცი ხარ და... რა და ის. რას  
მაიმუნობ!“

გახტურებულ შუბლზე ნიავე მეხლება.  
ირგვლოვ წყვილია და ფოთლები ავად  
ჩურჩულებენ.

„— ვინ იძახის!“

„— გამოდი გარეთ, თუ ვაქაკი  
ხარ!“ — მერე ლათო გამოვა და მოვ-  
კლავ. მერე ცოლს მოვუკლავ ლათოს.  
ოლონდ, წინასწარ გავაფრთხილებ,  
რომ მოკვლას ვუპირებ, ხომ უნდა იცო-  
დეს, რისთვის. „ო, როგორ მძულხარ,  
ლათო!“

— მამუკა!.. ააა — ისმის შორიდან.  
ეს დედაჩემის ხმაა. მე ისევე მივრბივარ,  
მივრბივარ და ხმა თანდათან სუსტდება.  
მერე უფრო შორიდან მეძახის დედა. მე-  
რე აღარაფერი მესმის, მაგრამ მაინც  
ვგრძნობ, რომ სადღაც ვიღაც მეძახის...

„— სად მივრბიხარ, შვილო.“

„— არ ვიცი, დედა, მე თვითონ არ  
ვიცი.“

„— ფერი დაგკარგვია.“

„— ფერი?.. ჰო ალბათ, შენ ნურა-  
ფერს იჯავრებ, დედა.“

ვარსკვლავები ისევე აბრჭყვიალდნენ.

„არა, ცოლს არ მოვუკლავ ლათოს!“..

ქვას ფეხი წამოვკარი და მიწაზე გავი-  
შხლართე. წამსვე სარტარი სიჩუმე ვიგრ-  
ძენი. უკვე აღარავინ მეძახის და ფოთლე-  
ბიც აღარ ჩურჩულებენ ავად... აღარა-  
ფერს ვგრძნობ, გარდა სიჩუმისა. არ  
ვიცი, სადა ვარ. არც ის ვიცი, რომ ქვას  
კი არა, მიწაში ჩასობილ ხარ ჭვარს წა-  
მოვკარი ფეხი...

ღამე, სიჩუმე. ვიღაცის უსახელო საფ-  
ლავი. იყო. ცხოვრობდა. ალბათ, შეურა-  
ცხყოფაც მიაყენეს. მერე მოკვდა, და  
არავინ იცის რა ერქვა იმ შეურაცხყო-  
ფას...

„— ჰო, ალბათ.. შენ ნურაფერს იჯავ-  
რებ, დედა...“

შეუძლებელია, შეურაცხყოფა მოგა-  
ყენონ და მერე ასე მშვილდი-სამუღალმო  
ძილით დაგეძინოს... *შეუძლებელია*

„— შენ ნურაფერს იჯავრებ, ჰო?“

„— გვიანი ღამეა, შვილო.“

იყო. ცხოვრობდა... მაგრამ მე ახლა  
ამაზე არ ვფიქრობ. არ ვფიქრობ იმი-  
ტომ, რომ არ ვიცი, სადა ვარ...

„— გვიანი ღამეა...“

„— მე არაფერი დამიშავებია, დედა.“

„— მე ხომ ყველაზე კარგად ვიცი,  
შვილო.“

„— ერასტი ბაბუამაც იცის დედა.“

„— ერასტი ბაბუამ?“

„— ჰო, დედა. ხიდი სად არისო, მკი-  
თხა. მერე ფეხდაფეხ აპირებდა წყალში  
გამოსვლას...“

„— შესცივდებოდა.“

„— არა, დედა. ფეხს როგორ დავუს-  
ველებდი ერასტი ბაბუას...“

„— რაო მერე, ერასტი ბაბუამ.“

„— რა და, წუხელ თუ აღიღდა წყა-  
ლი და იმან ჩაითრიაო ხიდი.“

„— წუხელ რა აღიღებდა, შვილო,  
ჩვენს შარს...“

„— ჰო, დედა. ერასტი ბაბუამ ყველა-  
ზე კარგად იცის, რომ არ აღიღდებო-  
და...“

„— კარგი ადამიანია ერასტი.“

„— კარგია, დედა.“

„— გვიანი ღამეა...“

„— ჰო, დედა, გვიანი ღამეა.. ძიბოს  
უკვე ძინავს...“

„— ძინავს, შვილო, გვიანი ღამეა...“

„— ან არ ძინავს, და იმაზე ფიქრობს,  
ხვალ ვინ დააბეზლოს...“

„— ამხანაგი არ უნდა შეიძლო,  
შვილო...“

„— მძულს, დედა... მე ახლა ერთნი-  
რად მძულს ძიბოც და ლათოც...“

— მამუკა!.. ააა!..

„— მოვდივარ, დედა, მოვდივარ... არ,  
მიყურე, დედა... მოვდივარ...“

მხარში საშინელ ტკივილს ვგრძნობ  
და ის ტკივილი რაღაც ბუნდოვანს და  
ლამაზს მახსენებს...

„— შენ ნურაფერს იჯავრებ, ჰო,  
დედა?...“

## პირსა შიშას

არქონის

— წამოდი, გაცივო, — მითხრა ლუკამ. ლუკა ჩვენი სოფლის თავმჯდომარეა. თავმჯდომარის შვილს კუქულია ჰქვია, მაგრამ კუქულია თვალებს რომ გადააბრიალებს, ზედგამოჭრილი მამამისია და იმასაც ლუკას ვეძახით. თვალებს მამის აბრიალებს ლუკა, როცა მამამისი შორს ეგულდება, რომ გაუგოს, ყურებს დააგლეჯს.

— თავი დამანებე, — ვეუბნები ლუკას.

— რა საქმე გაქვს, შე კაცო, ამისთანა!

ამ რამდენიმე თვის წინ ძაღლმა მიკბინა. გავიდა მერე ერთი თვე და ვილაკამ თქვა, ის ძაღლი, შენ რომ ცხვირი კინალამ მოგაჭამა, ცოფიანი აღმოჩნდაო, რასაკვირველია, არ დავიჭერე. ცოფიანი რომ ყოფილიყო, ხომ მეც უნდა გავცოფებულყავი-მეთქი. შენ რა იციო. მითხრეს, ეგ ამბავი ორმოცი დღის მერე გამოაჩნდებაო კაცს. ასე, ორმოციდან ას დღემდეო საშიში. იმ დამეს რამდენჯერმე გადავბრუნდი და ვადმოვბრუნდი ლოგინში. მეორე დამეს სულ არ დამეძინა. დილით პოლიკლინიკაში მივედი და ბოლო ვინ არის-მეთქი, ვიკითხე. შენ რა გტყვივა, შვილოო, მითხრა ერთმა მოხუცმა, თვითონ ფეხის გამრუდებას უჩიოდა. არაფერი, ძაღლმა მიკბინა-მეთქი. არაფერიო? არიქა, შევარდა, რა დროს რიგია, შე მამაცხონებულო! ერთი თვის წინ მიკბინა-მეთქი. მოხუცმა თავი გააქნია, აუჰო, თქვა და იქვე სავარძელში მჯდომ მკვდრისფერ კაცს ჰკითხა. აქვსენტია თუ გახსოვსო. კი, როგორ არა, გაცოფდა საწყალი. ჩემმა მტერმა ნახა, მამინ მე იმის საცოდაობას ვუყუარე, წყალი რომ მიუტანეს, ხომ მთლად გადაიჩრია, ძაღლივით აყუფდა და მერე კრუნჩხვებში დალია სული საცოდავმა. აქვსენტის ცოლისთვისაც უკბენია იმ ძაღლს, მაგრამ ქეა მშვენიერად, პო, იმან ნემსების გაკეთება მოასწრო და იმითომ, რას ვადამირიეთ ეს ბავშვი, იყვირა მკერდმაღალმა ლამაზმა ქალმა და

ვულში ჩამიკრა. არა, შენსულ-შეგეშინა დებაო, მითხრა მოხუცმა. არ მეშინია-მეთქი. მერე იმ მკვდრისფერმა კაცმა თქვა, ჩვენ მაგის შესაშინებლად კი არ ვლაპარაკობთო.

პოლიკლინიკიდან პასტერის სადგურში გამავზავნეს. პასტერის სადგური რაღა ეშმაკებია-მეთქი. იქ ნემსებს გაგიკეთებენო. აუცილებელია-მეთქი? — ვიკითხე. კატამ რომ გავფხაჭნოს, მაშინაც უნდა გაიკეთო. თავმა რომ მიკბინოს? თავგები ყველაზე ხშირად ცოფდებაიანო. რწყილმა? თავს ნუ ივდებო, და გამომაგდეს. ზაფხული იყო, მაგრამ რატომღაც მციოდა. დერეფანში იმ მკერდმაღალმა ქალმა დამინახა და ერთხელ კიდევ მიწილადა თავისი სითბო. მერე იმ ფეხგამრუდებულ მოხუცს და მკვდრისფერ კაცს დაუბრიალა თვალეზი.

რამ გიკბინაო, ვიკითხეს პასტერის სადგურში. ძაღლმა-მეთქი. სად? ცხვირზე. როდის? ერთი თვის წინ. კარგად მეყოლეთ. მერე ნემსები? უკვე დაგვიანებულა, ბატონო, იმუნიტეტის გამო. მუშაგებას თვენახევარი სჭირდება. აბა, რა ვუყო-მეთქი, ვიყვირე, შენ ნუ გეშინიაო, მითხრეს და მიტკალივით გადაფითრებული მილიციის ლეიტენანტი წამოაქციეს ტახტზე. დიდი ნემსიაო, ლეიტენანტმა რომ შენიშნა, უკვე კარებთან ვიყავი. ეს არისო, უთხრეს. წინ ვილაკ ქალი შემომეფეთა, კურდღელმა დაგლიჯაო, ატირებულ გოგონას მოათრევდა, ნუ გეშინია-მეთქი, გოგონას ვუთხარი. რაღა ნუ ეშინიაო, იკვილა დედამისმა.

სახლში რომ მივედი, წიგნების კარადიდან ქართულ-რუსული ლექსიკონი ვადმოვიღე. ცოფი. გაცოფება. не-шестиво ჰქვიაო რუსულად, მიხრა ლექსიკონმა. ახლა, ენციკლოპედიის უზარმაზარი ტომი დავითრიე და შენ რას იტყვი-მეთქი, შევეკითხე. ვამალა ხელები და მოჰყვა რაღაცას, მე მისი რუსული არ მესმოდა და იმას ჩემი ქართულის ვე-

რაფერი შევამჩინე, რაღაც საშინელ-  
ბებზე კი მელაპარაკა. ახლა რუსულ-  
ქართული ლექსიკონი მოვიშველიე და,  
ცოფიანი ძაღლების მიერ დაკბენილ  
ადამიანთაგან მხოლოდ ოცდაათი პრო-  
ცენტი ცოფდებაო, ვადმოშითარგმნა,  
საერთოდ ძაღლების მიერ დაკბენი-  
ლთაგან კი ათი პროცენტიო. საერ-  
თოდ ძაღლები რაღა ეშმაკებია? რო-  
ცა დადგინილი არაა, ნამდვილად ცო-  
ფიანია ძაღლი. თუ არაო. საერ-  
თოდ ძაღლები მე არ მინტერესებს-  
მეთქი. ჰოდა, ოცდაათი პროცენტი, ბა-  
ტონო! წიგნები თავთავის ადგილას შე-  
ვაწყვე და გავიფიქრე. რა იქნება, მეც  
იმ სამოცდაათ პროცენტში მოვკყვე-  
რომელთაც ცოფიანი ძაღლები კბეხენ  
და ვერ აცოფებენ-მეთქი. მერე ისევ  
გამოვიღე ის წიგნები და წყალთან რა  
კავშირი აქვს-მეთქი. ცოფს. შევეკა-  
თხე. ყველაზე მეტად წყლის ეშინიათო  
ცოფიანებს, წყლის კი არა, ყველაფრის  
ეშინიათ, ხმის, სინათლის, მაგრამ წყლი-  
საო, განსაკუთრებით. თქვენი გადარეუ-  
ლია-მეთქი, ის კაცი, ვიყვირე. ვინაო?  
ვინა და აქვსენტი! აქვსენტი ხომ ვაცო-  
ფდა, გამახსენდა მკვდრისფერი კაცის  
ნათქვამი. ვაცოფდა, კი! ვაცოფდა კი  
არა, ამით გადარიეს! არა, შე კაცო. არა  
კი არა, კი. ვისი ბრალი იქნება ახლა. მე  
რომ ვავგიჟდე, მე რომ ახლა წყლის  
შემეშინდეს!.. თავის მობრუნება ვერ  
გავბედე. ჩემს უკან, მაგიდაზე წყლით  
სავსე ჭიქა იდგა... სული შემიგუბდა.

ის იყო და ის, ვინმე რომ დაილაპარა-  
კებდა, მეშინოდა. თვალს თუ დაეხუჯავ-  
დი, მეშინოდა, გავახელდი, უფრო მეშინ-  
ოდა. შევხედავდი სრულიად ჩვეულებ-  
ბრივ საგანს და გავიფიქრებდი, — „რომ  
შემეშინდეს?“ და სუნთქვას მიკრავდა  
იმის შიში, რომ არ შემეშინებოდა. მეშინ-  
ოდა მოსალოდნელი შიშის და მეჩვენე-  
ბოდა, რომ თვით საგნები მაკრობოდნენ.  
ან რამეზე გავბრაზდებოდი და ბრაზსა  
და შიშს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ-  
დი... ვაცოფებისათვის დათქმული დრო  
კი ჭიუტად მიიხლოვდებოდა. ერთბაშად  
თვალწინ დამიდგა ყველა საშინელი აზბა-

ვი, რაც საკუთარი თვლით მენახა. ან  
წიგნში წამეკითხა. თვალწინ დამიდგა  
ნამდვილად გავონილი, თუ ჩემს მიერ  
ფანტაზიით წარმოსახული ათასი საშინ-  
ნელება და უიმედობამ მომიცვია. ირგვ-  
ლივ წყვილიად იყო, საშინელი ბურუსი,  
და ამ ბურუსში, სადღაც, შორეული  
ვარსკვლავივით თუ გაივლებდა პაწაწი-  
ნა იმედი. იმ იმედს, თავად ვარსკვლავ-  
ივით ცივსა და შორეულს, სასოებით-  
ვეწვდიდი ყინულივით გათოშილ შეუ-  
ლსა და თითებს, მაგრამ ამაოდ. მერე, წა-  
მით თავს დაეაღწევი წყვილიადს და,  
რას გადაშირიეთო ეს ბავშვი, მკერდმა-  
ღალი ლამაზი ქალი ყვიროდა.

მერე დაიწყო ბრძოლა იმედის და  
უიმედობის, სამკვდრო-სასიცოცხლო  
და უთანასწორო, ბრძოლა უთქმელო-  
ბის და მკერდში დაგუბებული ყვირი-  
ლის. ორმოციდან ას დღემდე, ორმოციდან  
ას დღემდე!.. მოდიოდნენ საბედისწერო  
სიტყვები ბორბლების ხმაურით და გა-  
ტანას მემუქრებოდნენ. ასე, წუთიდან  
წუთამდე, წუთიდან წუთამდე გაიარა სა-  
შინელმა დღეებმა და რას გადაშირიეთო  
ეს ბავშვი, ისევ იყვირა მკერდმაღალი  
ლამაზმა ქალმა.

მერე, დალილმა და გაოგნებულმა  
უკან მოვიხედე. გავიხსენე ის ლამაზი  
ქალი, გულში რომ მიკრავდა და მაღალი  
მკერდით გაყინულ შუბლს მითბობდა.  
გავიხსენე ათასობით გავონილი თუ წა-  
კითხული გმირი, კბილების ღრჭიალით  
რომ ტყვილებს მალავდნენ და თავისი  
მაგალითით მამხნევებდნენ. გავიხსენე  
ყველა, ვის წინაშეც ჩემი უთქმელობით  
თავს ვიწონებდი და მივხვდი, რომ ვაჭი-  
რების წუთებში ისინი იყვნენ ჩემთან.  
ჩემში, და გმირული ყიყინით მამხნევ-  
ებდნენ. იყო კიდევ ერთი. იგი თავისი  
დეკაკური შუბლებით იდგა ჩემს სხეუ-  
ლში და წაქცევის საშუალებას არ მაძ-  
ლევდა და მე მივხვდი, რომ კაცი მარტო  
არაა ქვეყანაზე. მე ვიყავი ერთი და  
კიდევ ათასი მე, რომლებიც ჩემში იყე-  
ნენ და ვაჭირების წუთებში მშველოდ-  
ნენ.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. „მაგი მართ სულით ავადმყოფებს კი არ მკურნალობს, შეილო“, — გავიხსენე დედის ნათქვამი. „არ წავალ!“ — ვთქვი მაშინ ჭიუტად, მაგრამ მოვედი, კარი პატარა ვოგონამ გაძლიო. მოსაცდელ ოთახში ავადმყოფები ისხდნენ და თავთავიანთ რიგს ელოდნენ. „რა სერიოზული სახე აქვთ, — გავიფიქრე, — ეშინიათ, რომ სულელებად არავინ ჩათვალონ.“ საეარქელში ჩავეშვი. თითოეული ცდილობდა, თავისი სერიოზულობით სხვების ყურადღება მიექცია, ან ისეთი რამ ეთქვა, რომ საკუთარ თავზე ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა. ექიმმაც გათამაშებული გულმოდგინებით მიმალა. აქაო და, არც მე შეპარებაო ეჭვი შენს სიბრძნეში და გამკრიახობაში. რას უჩივიო. მეშინია-მეთქი. რისი? ყველაფრის. არა, მაინცო. გასულელების ჯერ რკინის ჩაქუჩი მითავაზა შუბლში. მერე გამადიდებელი შუშით ჩაახედა თვალებში. აბა, სწრაფად შემომხედეო. ახლა — ნელა. მერე მხარზე ხელი დაქრა და მკითხა, აღამიანი თუ შეიძლება გადაიქცესო მაიმუნად. როგორ არა-მეთქი, თვალები დაქყიტა. მერე მიხვდა, რომ ვხუმრობდი და, გადატანითი მნიშვნელობით კი არ გეუბნებო, შე კაცო. მაშინ, არა-მეთქი, პოდა, კაი დაგემართოს, ასევე არ შეიძლება გადაიქცესო შენი ავადმყოფობა ფსიქოზად. ფსიქოზი რაა? შენ რომ გეშინია, ისააო, ბატონო, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ გასულელდებიო და რა გიყო ასე, იმედებით და შაქარყინულზე უტკბესი სიტყვებით, ამივსო გუდა და ზურგზე ამკიდა. წადი ახლა, და ხვალ შთაგონებას ჩაგიტარებო. აღარ მინდა-მეთქი, ბიძია, შთაგონება. მაგი მე შენზე უკეთ ვიცი, ძვირფასო. შენი თუ იმაზე, არაფერი გამოგივა, ჩემს ავტორიტეტს უნდა დაეყრდნო. „ავტორიტეტებს პრმაღ ნუ მიენდობი“. მითხრა ერთხელ მამამ. მე პროფესორი ვარ, ჩემო ბიძია, შენ ის კი ნუ გგონია! „ზარისხი ვისაც აქვს, ყველა პროფესორად დაბადებული კი არაა, შეილო“. არ მინდა შთაგონება!

წადი ახლა და მერე ისაო, მოდიო, მითხრა.

მივედი. კიდეც თუ გეშინიაო, მკითხა. ცოტათიმეთქი. გაუხარდა. მეტად მგრძობიარე ბავშვი ხარო, შეილო. პოდა, რომ ცოლდე, შენისთანები ყველაზე იშვიათად ავადდებიან ფსიქოზით. კაი დაგემართოს-მეთქი, გავიფიქრე. უგრძობბელ აღამიანებს უფრო იმორჩილებსო ფსიქოზი. ახია-მეთქი. ახლა ჩაქუჩი მაგერ საეარქელში და შთაგონებას ჩაგიტარებო, ბევრი კი არაფერია, ამ ღონისას გაუშტერე თვალი, ჩავთვლემს პატარას და მე ვილაპარაკებო. დავჭექი და შვებით ამოვისუნთქე. მერე დაიწყე:

მე ვილაპარაკებ და შენ უფრო დანადგებო. შენ გჯერათ ჩემი. მე დიდი ავტორიტეტი ვარო. მე ძლიერი ვარო. მე გადმოვალ შენში და აღმოვხვები შენს საშინელ ავადმყოფობასო. მაგი ფსიქოზი არაა, შენ ნუ გეშინია. ფსიქოზი ტვინის უჯრედების დაშლაა. ფსიქოზი იმისთანა საზარელი რაღაცაა, რომ შენ ვერც წარმოიდგენო. ფსიქოზის დროს აღამიანი ისპობა როგორც პიროვნება და მხოლოდ ცხოველური ინსტიტუტები რჩებაო. სისხლი გამეყინა. მე რომ გელაპარაკები, შენ ახლა ყურადღებით მისმენ და მშვიდდებიო. შენ, ახლა, გეძინება, ქუთუთოები გიმძიმდება და თვლემის მდგომარეობა გიპყრობს, ეს იმიტომ, რომ მე მსურს ასეო. არა, ბიძია მეთქი, ხომ არ ვეტყვოდი. მე ძლიერი ვარო, მე ესა ვარო, მე ისა ვარო, ბაყბაყ-დევიო, ყარამან-ყათილიო. შენ დღეის ამას იქით სულ გამოიცვლებო. მე გადმოვალ შენში და გაძლიერდებიო, შენ უკვე შენ აღარ იქნები, მე ვიქნებიო. გიყები, შენ რომ გგონია, მართლა თმებს კი არ იწეწავენ და თეატრებში რომ გინახავს, ისე კი არ ხარხარებენო. გიყები სავსებით ჩვეულებრივი აღამიანები არიანო. მერე, თვალები გაახილეო ნელნელა, მითხრა. სასწრაფოდ დავქყიტე. ახლა ამოისუნთქე. ტყვიასავით მძიმე პაერი შედგა ფილტვებში და ვერ ამოვისუნთქე. მხარზე ხელი დამარტყა, აწი აღარაფერი გი-

ჭიროსო. ალბათ, ჩვეულებრივი გივი ვარ-მეთქი, გავიფიქრე.

ახლა აგერ დაჯექით, მითხრა და თავისი მაგიდის წინ დამსვა. როგორა ხარო, გივი ვარ, თუ ჰქვიანი-მეთქი? ვიყვირე. გივიეხი თავის ავადმყოფობას კრიტიკულად არ უყურებენო, მითხრა, გივიებს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, შენ კი, პირიქით, კრიტიკის უნარი გაქვს განძადებული. «აგრე გეთქვა, ბიძია, რას მტანჯავდი იმ შთაგონებით. ხელი ჩამომართვა და მოკეურსებო.

ის ტყვიასავით მძიმე ჰაერი ვერ იქნა და ვერ ამოვისუნთქე. ისევ შემთავრო უცნაურმა შიშმა. მეშინოდა უკვე არა იმისა, რომ სულით ავადმყოფობა მემუქრებოდა, ექვი შემეპარა თვით აწმყოში, გამახსენდა რკინის ჩაქუჩი და გამადიდებელი, რომელთა დაუხმარებლად ორმა ნორმალურმა ადამიანმა ვერ შევძელით ჩემი ჰქუაზემყოფელობის დაღგენა, და რას ვადაშირეთო ეს ბავშვი, ისევ იყვარა მკერდმაღალმა ლამაზმა ქალმა. მერე მე გულში ჩავეხუტე იმ ლამაზ ქალს და ავტარიდი.

მერე მე დაღლილი და სასოწარკვეთილი ვუხმობდი ჩემს გმირებს, წაყითხვით, თუ გავიხილთ, კბილების ღრუბლით რომ ტყვილებს მალავდნენ. გავიხსენე ყველა, ვისაც ჩემი ძალა სწამდა და შთაბავსებელი მზერით, ან სიტყვით მამხნეებდა, გავიხსენე ყველა, ვისაც ჩემი ძალის სჯეროდა, ჩემი, ადამიანის, გავიხსენე ის ერთიც, რომლის ჯადოსნური სიტყვა ყველაზე მეტად მამხნეებდა. ის ხომ თავისი დეკაცური მუხლებით იღგა ჩემში და წაქცევის საშუალებას არ მაძლევდა- ის ჯადოსნური სიტყვა ბევრჯერ წამიკითხავს საუკუნეების ცეცხლში გაუმდნარ მის წიგნში. ის ითქვა ბევრჯერ, ასობით დაუსრულებელი წლების მანძილზე, მაგრამ ისე, თითქოს იგი მე მეთქვას, მხოლოდ ერთხელ განვიცადე. ის იყო ბრძენი, დეკაციის წაუძციველი მუხლებით. ის იყო ჩემში, ყველაში, ის იყო ყველგან და ყველასთან. ის იყო ჩემში, და ჩემში იყო ყველა,

ვისაც მე მძიმე წუთებში საშველად ვუხმობდი. და მე არ მინდოდა, ყოფილიყო ჩემში ის ადამიანი, რომელიც ჩემს არსებაში თვლემის და სისუსტის წუთებში შემომეპარა. მას ჰქონდა დიდი და კეთილი გული, მაგრამ არ სჯეროდა ჩემი, ადამიანის.

კეთილმა მოხუცმა დაწვრილებით მომისმინა, არ იწყინა ჩემი სიჯიუტე და კვლავ საგარძლისკენ მიმითითა. მერე, ჩასთვლიმეო, ერთხელ კიდევ მიბრძანა და მე ვტოვებო შენს არსებას, იდუმალი ხმით მითხრა, მხოლოდ შენი საკუთარი სურვილით მძიმე წუთებში მომიგონებდე. «მშვიდობით მგზავრობა, ბატონო!... მერე მე ის ტყვიასავით მძიმე ჰაერი ამოვისუნთქე და მსუბუქი მხრებით და მნიარული მუხლებით დავადექი ლამპიონებით გაჩირადნებულ ქუჩას. ჩიტები ქადრის ხეებზე ნაღმებივით თვლენდნენ და მე ახლა ისე ბედნიერი ვიყავი, როგორც არასდროს. ცაზე იყო ათასი მზე, ათასი ვარსკვლავი, ლამპიონების გაჩირადნებულ შუქში ისინი არ ჩანდნენ, მაგრამ მე ვხედავდი მათ ისევე ამკარად, როგორც მკერდმაღალი ლამაზი ქალის მზიარულ თვალებს. ის ქალი მე მხოლოდ წყრომის წუთებში მინახავს, მაგრამ მე ვხედავდი ახლა მას მზიარულს. მე ვხედავდი ყველას, ვისაც ჩემი ბედნიერება ახარებდა, ვხედავდი აწყმში, წარსულში, ასობით დაუსრულებელი წლების მიღმა. ისინი იყვნენ ჩემთან, ჩემში, ისინი იყვნენ ყველგან და ყველასთან. ჩემთან, იყო ის კეთილი მოხუციც. და მეც მომინდა, საშინლად მომინდა დამენგრია დროისა და სივრცის სულისშემხუთველი კედლები და მეც მივსულიყავი ყველგან და ყველასთან.

მოპირდაპირე ტროტუარზე რომ გადავიდოდი, მანქანა კინალამ დამეჭახა. მოფერმა თავი გადმოყო და შემაგინა. მერე მანქანიდან გადმოვიდა და ჰქუის დარიგება დამიწყო. სიკვდილის არ გეშიინაო — მიყვირა. არა-მეთქი. ჰქუაზე

თუ ხარო? მე გზა განვაგრძე. მერე, ვი-  
ლაც მოხუცი გადამიდგა წინ და ახლა ის  
წამოეხმარა შოფერს, ხელები გაშალა  
და რალაცის ახსნა-განმარტებას მოჰყვა.  
მე ნაბიჯისთვის არ მომიკლია. მე ახლა  
ისედაც ბევრი რამ ვიცი. მე ვიცი, რომ  
სიკვდილი მართლაც არ იყო საში-  
ში. ეს, ალბათ, არც იმ შოფერმა იცოდა  
და არც იმ მოხუცმა. მე ისიც ვიცი, რომ  
ლუკას სულ ტყუილბრალოდ წა-  
ვეჩხუბე. სოფელში რომ წავალ, ძველ-  
ბურად აღარ ავევლი გვერდს და გამარ-  
ჯობა-მეთქი, ვეტყვი. მე ახლა არც  
ჯურღანთ ბეკო მძულს. ბეკომ უმიზე-  
ზოდ გამლახა და სულ იმას ვოცნებობ-  
დი, რომ გავიზრდებოდი და საპაგიე-  
როს გადაეუხდიდი. ახლა მე ისიც ვიცი,  
რომ კაცი ფიქრისთვისაა განენილი. ექი-  
მმა მითხრა, არ იფიქრო, მაგრამ, ექი-  
მმა რა იცის, რა ლამაზია ახლა ჩემი ფი-  
ქრები.

მერე, კი...

მერე, ბევრს ფიქრობსო და სოფელში  
მივრეს თავი.

— გამარჯობა, ლუკა.

— მე კუქულია მქვია, — მითხრა ლუ-  
კამ.

— რა ვიცი, ყველა ასე გიძახის და...  
აწი მე კუქულიას დაგიძახებ.

— გაგიმარჯოს.

— იცი რა, ლუკა... ლუკა კი არა, ის,  
რა ქვია... მოდი, ისევ ლუკას დაგიძახებ.

— როგორც გინდა, — მითხრა ლუ-  
კამ.

სოფელში თქვეს, მართლა ბევრს ფი-  
ქრობსო. მერე, ბევრს თუ ფიქრობს, შე-  
კაცო აგერ ფოტინე და გამოულოცა-  
ესო. მე ფოტინეს ბუტბუტს სიკვდილი  
მერჩია და არ მინდა-მეთქი, ფეხები  
ცაში ავიშვირე. რაც არ გინდა, ღმერთ-  
მა ნუ მოგცესო, და თავი დამანებეს.  
ლუკამაც იცოდა, ბევრს რომ ფიქრო-  
ბდი და მითხრა:

— წამოდი, ვაძინო.

— თავი დამანებე.

— რა საქმე გაქვს, შე კაცო, ამისთა-  
ნა!

— მაძინო?

— ჰო, ეგერ დისიონა, მოდი.

— დისიონა?

— ხარებს მოუძღვებ. *არცინული*  
*გარეგნული*

დისიონა, ლუკა და სიცილი ჩვენს სო-  
ფელში სინონიმებია. დისიონა თვითონ  
არავის აცინებს. დისიონა კუნიახაო,  
ჩვენში ამბობენ, ე. ი. ძუნწიაო, ბატო-  
ნო, და უქმური, დისიონა და ლუკა  
ერთად, სიცილია.

— ჩქარა, შე კაცო! — მითხრა ლუ-  
კამ.

დისიონას ერთი ხარისთვის რქაში ჩა-  
ეჭიდა ხელი და შენ უკან დაიწიო, ეუბ-  
ნებოდა, მეორეს, გამოადგი ფეხი, შე  
მამაცხონებულო! ხარი ისევ ხარია რაქა-  
ში, ურემი — ურემი და სახნისი — სა-  
ხნისი. ტრაქტორიო, თქვა ვილაცამ, მაგ-  
რამ რაქველებმა ქვა ააგდეს და თავი  
შეუშვირეს. სახნისიო. არა, ტრაქტორიო,  
არა, ჩემო ბატონო, სახნისიო. ტრაქტო-  
რი-მეთქი, მე შენ გეუბნები. კაი, ბა-  
ტონო, რა გაეწყობა! მოიყვანეს ტრაქ-  
ტორი და გაუშვეს ციციბო სახნავზე. და-  
გორდა და ჩავარდა რიონში. სახნისიო,  
ახლა რაქველებმა თქვეს და დარჩა მას  
შემდეგ რაქაში ხარი, ურემი და სახნისი.

ლუკამ ხელით მანიშნა, შეჩერდიო,  
მერე გზის პირას დადგა, სადაც დისიო-  
ნას უნდა გამოეგლო და ფეხის წვერებ-  
ზე აწრიალდა, რამდენჯერმე თავშიც  
წაივლო ხელი, მერე ხელის თითები დაი-  
მტვრია. დისიონამ ცალი თვალით გამო-  
ხედა და მხრები აიჩეჩა. გამარჯობა  
არ უთქვამს დისიონას. დისიონა, საერ-  
თოდ, არავის ეუბნება გამარჯობას. წინ  
რომ ჩაგვიარა, ლუკამ მანიშნა, მომყე-  
ვიო, რამდენიმე ნაბიჯით წინ გადაუს-  
წრო დისიონას და შეჩერდა, მერე ხელი  
ჩაიქნია და გზა განაგრძო. მე ქვას წამოე-  
კარი ფეხი და კისერი გიტეხიათ-  
მეთქი, შენც და დისიონასაც, ყორეზე  
შენოვქექი. დისიონა, ლუკა და ხარები  
თვალს მიეფარნენ. გასისხლიანებული  
მუხლი ბალახებით მოვიწმინდე ლა გა-  
ვიფიქრე, სულ უბრალო შემთხვევა-  
ზე-მეთქი, კაცის ცხოვრება დამოკი-  
დებული. ჩემთვის რომ ძალღს არ ეკბი-  
ნა, მე ახლა მუხლს არ ვიტყენდი. ის ეი

არა და, ამ რამდენიმე წლის წინ შუბლში ხელი შემოვირტყი. დედას ვაეცინა, ბაბუაშენმაც ზუსტად აგრე იცოდაო. როგორ იცოდა-მეთქი, როგორ და მასეო. მე რომ შუბლში ხელი არ შემოვირტყა, მაშინ დედაჩემი არაფერს მეტყობდა. მეც არ შევეცოთებოდი, როგორ იცოდა-მეთქი, ბაბუაჩემმა. მე მაშინ სულ სხვა რამეს ვიტყვოდი და მეორე წუთში სულ სხვა რამეს ვავიფიქრებდი. მერე, იმ ფიქრს სულ სხვა ფიქრი მოჰყვებოდა და სულ სხვა ამბები, მეორე დღესაც სხვა რამეს ვავიფიქრებდი და სხვა რამეს ვგაგაკეთებდი. ასე, სულ სხვა გზით მივიდოდი იმ დღემდე, მე რომ ძაღლმა მიკბინა და ალბათ, იმ წუთში, ძაღლს რომ ჩემი ცხვირის მოკმა ჰქუაში დაუჭდა, სულ სხვა ადგილას ვიქნებოდი. მაშინ აღარ იქნებოდა ის შიში, მე რომ განვიცადე, აღარც ექინი და მძიმე განცდის საშინელი წუთები. აი, როგორ იქნებოდა, მე რომ მაშინ შუბლში ხელი არ შემოვირტყა.

— მაშუკაა! — ეს ლუკაა.

„ნუთუ, მართლა ასე შემთხვევაზეა ყველაფერი დამოკიდებული?“

— აგერ ვარ, შე კაცო.

„მართო იმისთვის ღირს სიცოცხლე, რომ კაცმა ამ კითხვაზე პასუხი იპოვოს“.

ლუკა გვერდში მომიჭდა და მითხრა, უკან ჩამოივლისო დისიონა.

— რა გინდა მერე?

— არაფერი. ხომ უნდა ჩამოიაროს არა უკან.

— ჩამოივლის და ჩამოიაროს.

— ჰოდა, ჩამოივლის.

ერთხელ, ეს ომის დროს იყო, ლატარიის გათამაშება მოაწყვეთ სკოლაში. კლასში ოცამდე ვიყავით და შარვალ-ხალათის სამი ორდერი უნდა გაგვენაწილებია, ყველას მუხლებზე გამოვლექილი შარვლები გვეცვა და მასწავლებელმა გვითხრა, ლატარია გაითამაშეთო. მე წინა დღით დედამ მითხრა, ჰკვიანად თუ იქნები, მაშაშენის შარვლიდან გამოგიკერავო რაღაცას და, მე დედა მიკერავს-მეთქი, შარვალს, მასწავლებელს ვუთხარი. მაშინ მოდი, ჭი-

რამე და ჩაყავი ამ ქულში ხელიო. ქულში ცხრამეტი ქალაღის ნაგლეჯი ეგდო და ზედ ცხრამეტი მოსწავლის სახელი და გვარი ეწერა. ყველა ერთნაირად გაჭირვებული ვიყავით, მაგრამ მინც მეგონა, რომ ვიღაცას ჩვენში ყველაზე მეტად უჭირდა და, ღმერთო, მისი ქალაღი ამომალებიე-მეთქი, ვავიფიქრე. ღმერთისა მაშინ ისე მწამდა, როგორ ახლა ფოტინეს ბუტბუტის, მაგრამ ქულში რომ ხელი ჩაყავი, ის ოხერი მართლა ხომ არ არსებობს-მეთქი, ვავიფიქრე: ქალაღები მე უნდა ამომელო და, თითქოს, ჩემზე იყო დამოკიდებული, რომელ მათგანს ამოვარჩევდი, მაგრამ ღმერთი მართლაც არსებობდა და იმ ღმერთს შემთხვევა ერქვა. უცნაური გრძნობა და მუფფლა. ერთსადიამავე დროს მე ბელს ვათამაშებდი და ბედი მე მათამაშებდა.

— რა თქვი, ბიჭო?

შემთხვევა მართლაც ღმერთივით განაგებდა იმ წუთში ყველაფერს და იყო ნამდვილი ღმერთივით უგნური და გაეგებარი. მე კი მინდოდა, ქალაღი ყველაზე გაჭირვებულს შეხვედროდა და შემეკრათო იმ აზრმა, რომ დიდი სურვილიც შეიძლება იყოს ასე უმწყო.

— რას ჩააცვიდი, ბიჭო, ამ დისიონას.

— შეხედე, მოდის, — თქვა ლუკამ.

დისიონა მართლაც მოდიოდა. უკან ხარები მოჰყვებოდნენ ცარიელი ურმის ხრიგინით. ლუკამ ისევე მზაკვრულად გამოიღმა, მერე ყორიდან ჩამოხტა და ისევე ხელების მტვრევას მოჰყვა. დისიონამ კვლავ ცალი თვალით გამოხედა ლუკას, მერე ვეღარ მოითმინა და, რა ჭანდაბა გინდა, ვერ იტყვიო, უყვირა ლუკას.

— დისიონა ბიძია... — თქვა ლუკამ და გაჩუმდა.

— ჰო, მერე...

— ისეთი კი არაფერია, ბიძია, მარა, ძალიან მაინტერესებს რაცხა და ვიფიქრე, უფროსი კაცია და ვკითხავ-მეთქი...

— მკითხე ახლა, შე ვი...

— ჰოდა, იმას ვამბობდი, დისიონა

ბიძია, ნათქვამია, რაც არ იცი, უფროსს უნდა შეეცითხოო და...

— ვინ თქვა, მერე, მაგხელა სიბრძნე...

— ვინ თქვა და, თქვა ალბათ ვიღაცამ, ყველაფერს რუსთაველი ხომ არ იტყოდა...

— მამაშენი იტყოდა...

— ამხელა ოქრო რა ელირება, ღისიონა ბიძია, — თქვა უცებ ლუკამ და მარტყნა მუშტიდან ნახევარზე მეტი ჩამოუქრა.

— შეიშალე, ხომ? — თვალები მოჭუტა ღისიონამ.

— ვითომ რა იყო ახლა მაგ, ღისიონა ბიძია, — იწყინა ლუკამ.

— იცი, ბიჭო, შენ რას ლაპარაკობ?

— ასეა, კაცს სიტყვა რომ გახრჩობდეს, პირიდან არ უნდა გადმოაგდო, — იმედი გადაიწყვიტა ლუკამ.

ღისიონამ ჯერ ხარებს უყვირა, გაჩერდითო, მერე, სათითაოდ დაგვსხიბა თვალებით და აბა, დაეყარეთო, ურემზე მიგვითითა.

დაფეყარეთ.

— საცხა ერთი თუნგულა ღვინო უნდა მქონდეს, მგონი, — თქვა ღისიონამ. ლუკამ ტუჩები აილოკა.

— აღარ ჩამოხვალთ? იკითხა ღისიონამ, ეზოში რომ შევხრივინდით.

ჩამოვედით.

— შედით სახლში და მომიცადეთ ერთი დამთქნარება.

ღისიონამ ჯერ ხარებს მოუარა, მერე შემოვიდა სახლში და ცივი მქაღებით სუფრა გაგვიწყო!

— გაათბობდი, შე კაცო!

— თბილი იყო და ამ წუთში გაცივდა. — თუნგი ფეხებთან მოიდგა ღისიონამ.

ჯერ რიონის გამოღმა მხარე აღდგურძელა ღისიონამ, მერე, გაღმა და გამოღმა ვინც ცხოვრობს, ყველას ერთად გაუმარჯოსო, და თუნგს ყელი გაუწვრილა.

— ახლა ეს კაცი ვადღეგრძელოთ, ბიძია, — ასწავლა ლუკამ, — მაგი თბილისში ცხოვრობს.

დავლიეთ. მასე, შე კაცო!

მერე, მეზობრნის სადღეგრძელო მო-

თხოვა ლუკამ. მეზობრნე არც რიონის გაღმა ცხოვრობსო და არც გამოღმა, დღე და დამე რიონზე აგვლია: მუშალი თუ ციმბირი, ეს ოხერი!

მეზობრნის სადღეგრძელომ ენა მოუჩლიქა ღისიონას და თუნგის ყელი ისევ გამსხვილდა.

— ეს რაა, ბოშო, — იკითხა ლუკამ.

— ხომ არ შეიშალე, — პირი დაადო ღისიონამ, — კეცი არ გინახავს?

— კეციო? — მხრები აიჩეჩა ლუკამ, — ასე ქვესავით კეცი სად გავინილა! კეცებს კაკლის ხისგან თლის ბიძაჩემი, მოჩუქურთმებულს. დიდი მადლობა დღეგრძელობისთვის. მაინც რა ხელი აქვს, კაცო, პა? შენ ჭე იცნობ, ღისიონა ბიძია, ბიძაჩემს.

— შე მართლა ისაა, რა ქვია... — ვეღარ მოიგონა ღისიონამ, — დალიე მაგ, შე გლახა!.. ხომ დაიწვა, ბოშო, ხის კეცი!..

— ცეცხლზე თუ არ შედგი, რა დაწვავს! — იკრიჭება ლუკა.

— კაი ბატონო და ვთქვათ, არ მოეცა ღმერთს ეგ მურტალი ენა, რა გეშველებოდა! — გაბრაზდა ღისიონა.

— მურტალი ენა არა აქვს მამაჩემს, მარა, ქეა თავმჯდომარე.

— კაი მოუვა მის ცხვირს!

— რაო, რაო, ღისიონა ბიძია?

— არაა შენი საქმე.

— რა არაა, ბოშო, ჩემი საქმე, აბა, ვისი საქმეა, მამაჩემის ცხვირს თუ რავე მოუვა!..

— ვისია და...

— ჰოდა, დალიე ახლა მთავრობის სადღეგრძელო და გაჩუმდი, — გააფრთხილა ლუკამ.

მთავრობის სადღეგრძელომ კისერი მოულრიცა ღისიონას.

— ღისიონა! — ვიღაცამ დაიძახა.

— გადი და უთხარი, არაა-თქო, სახლში, — ტუჩებზე თითი მიიღო ღისიონამ.

— კარებთანაა, ბოშო, კაცი მოსული და არ შემოვეშეა? — იწყინა ლუკამ.

— კაცო, მე თამადა ვარ, თუ რა



ვარ! — დააბრიალა თვალები დისიონამ.

ლუკამ კარი გამოაღო და იკითხა.

— ვინაა, რომ იძახის!

— რა გაყვირებს, შე გლახა!

— აბა, ვინა ხარ-თქო, არ გკითხო? — უკვირს ლუკას.

— სადაა, ბოშო, დისიონა!

— ვის ეკითხები.

— შენ გეკითხები, შე უბედურო!

— მე თუ შეკითხები, ქეა სახლში.

— გამოეთრიე-თქო, ბოშო!

— შემოდი, შენ უთხარი.

ლონგინოზი კარებში ძლივს შემოვლიდა.

— გამარჯობა! — თქვა ლონგინოზმა.

— გაგიმარჯოს! — ვუთხარი მე ლისიონას მაგივრად.

— აბა, ჰე, დამალევიე ახლა ერთი ორი ჰიჭა და საქმე მაქვს მერე შენთან, — თქვა ლონგინოზმა.

— შენ ნუ შეწყუბდები, დისიონა ბიძია მე მოვიტან, — თქვა ლუკამ და თუნგს ხელი წამოაეღო. ცოტა ხნის შემდეგ გაბადრული სახით შემოვიდა.

— ეს შენ გაგიმარჯოს, დისიონა, — თქვა ლონგინოზმა და თუნგი პირზე მოიდგა, — ასე მტერი გაგინახევრდეს.

დისიონამ თვალი გაახილა და, რა საქმე გაქვსო, ჰკითხა.

— წალდი მათხოვე, დისიონა.

დისიონამ ერთი-ორი პირი კიდევ წაიძინა, მერე ისევ გაახილა თვალი და წალდი სწორედ ამ დილას გავლესეო, უთხრა.

— შენ გაიხარე, დისიონა, — მხარზე ხელი დაარტყა ლონგინოზმა, — ქე ამბობენ სოფელში, დისიონა ძუნწიო, მათხოვარი და ღვთის პირიდან შეჩვენებულო, მარა მაგი მე, შენ ნუ მომიკვდები, არ მჯერა.

დისიონამ თვალები დახუჭა.

— ჰე, ახლა ადექი და მათხოვე.

— რა გათხოვეო, — იკითხა დისიონამ.

— წალდი, ბოშო!

— წალდი ამ დილას გავლესე-მეთქი, არ გესმის?

— გავიგონე, ადამიანო!

— ჰოდა, კეთილი, ჩემო ბატონო,

გალესილ წალდს შენ გაგაფუჭებებე, თუ იცი?

— წავიჩხუბებთ, დისიონა!

— წავიჩხუბებითო? ეგეც ნამეტანა კეთილი, ჩემო ბატონო, — ენად გაიკრიფა დისიონა, — გალესილ წალდს რომ გამოიფუჭებ, შენ როგორ გგონია, არ წავიჩხუბებით?

— თუ გაგიფუჭებ, კი.

— ჰოდა, ისევ შენ წამეჩხუბე, ჩემო ლონგინოზ და, მე წალდი გალესილი შემპრჩება.

ლონგინოზმა სუფრაზე დაგვიფურთხა და შეგირცხვეს კაცობაო, დისიონას დასჰქეა, სოფელში რას ამბობენ, მე არ ვიცი, მაგრამ ძუნწი რომ ხარ, მათხოვარი და ღვთის პირიდან შეჩვენებულო, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცისო.

ლონგინოზი რომ წავიდა, დისიონა ლუკას მიუჩოჩდა ახლოს და ჰე, ანლა, თქვი, სად იპოვეო, უთხრა.

— რა ვიპოვე, ბოშო!

— ოქრო ვიპოვეო, ასე არა თქვი?

— ოქრო სად უნდა მეპოვა, დისიონა ბიძია!

— ბოშო, შენ, წერამ ხომ არ აგიტანა, — გაცხარდა დისიონა, — ამხელა ოქრო რა ეღირებაო, რომ მეკითხებოდო, რა იყო!

— ჰოო, — გაახსენდა ლუკას, — კე გკითხე დისიონა ბიძია, რავე არ გკითხე, დისიონას თვალები გაუბრწყინდა.

— შენ ქე თქვი წელან, დისიონა ბიძია, კაცი წინდახედული უნდა იყოსო..

— ეგ მე არ მითქვამს... — დაეჭვდა დისიონა.

— თუ არ გითქვამს, უნდა გეთქვა, დისიონა ბიძია, ამხელა კაცი ხარ უკვე და, მაგისტანა რამეებს ახლა შენ ქე უნდა ლაპარაკობდე.. — ლუკა თანლი-

თან კარებისკენ იწედა და მომყვილო, მეც მანიშნებდა, — ჰოდა, იმას ვამბობდი, წინდახედულება დიდ რამეს ნიშნავს დისიონა ბიძია, ოქრო მე არ ნიშნავია, მარა, ვთქვათ და ვიპოვე, ხომ შეიძლება არა, რომ ვიპოვეო, ჰოდა, რას დაეშავებს ახლა ვითომ მაგ ამბავი, ფასო რომ წინასწარ ვიცოდე.

ეს ამოდენა მოხსენება დისიონას თვალების ბრიალსა და გაქცევის სამზადისში წაიკითხა ლუკამ. დისიონამ რომ საცეცხლურს წამოავლო ხელი, ჩვენ უკვე კარებთან ვიყავით და კარის გარედან ვაღარაზუვა მოვასწარით.

კარი არ დამიტოვოთ ჩაკეტილიო, იყვითა შიგნიდან დისიონამ, და ჭირსაც წაუღიხართ თქვენც და ის თრი თუნგი ღვინოცო.

— თუ დაგვალევინებთ კიდევ, შემოვალთ, — პირობა დადო ლუკამ.

— კი დაგვალევინებთ, რატომ არ დაგვალევინებთ! — გააბრტყელა დისიონამ.

— არა და, იყავი მანდ.

— გაადე, ბიძია, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, — ახლა მე ნომიბრუნდა დისიონა, — ნაგის მუტრუკობას კი მამამისს მოვახსენებ და ის უფრო მოუფლის.

ლუკამ თვალეებში შემომხედა, მერე კარს ჩამოეცალა და მე ურდული ჩამოვადე. დისიონა გარეთ გამოვიდა.

— მართლა შემუქრები, დისიონა ბიძია? — თქვა ლუკამ.

— არა, შენმა მზემ!

— ჰოდა, მეც ვეტყვი!

— შენ რა გაქვს, ბოშო, სათქმელი!

— რა და, მამაჩემის ცხვირზე რომ რაღაცას ამბობდი, — თქვა ლუკამ, — კიდევ, ისა... ვირიშვილოო, ამ დილას რომ მითხარი.

— როდის გითხარი!

— როდის და, ამ დილას, მე რომ გითხარი, დისიონა ბიძია-მეთქი, მერე შენ რომ მითხარი, რა გინდაო, მერე მე რომ გითხარი. რაღაცა მინდა გითხო-მეთქი, და მერე შენ რომ მითხარი, მკითხე, ახლა, შე ვირიშვილოო!... — მოაგონა ლუკამ.

დისიონამ თოხის ტარს წამოავლო ხელი და აბა, ახლა მე მიყურეთო, დაგვიცაცხანა. ჩვენ ფხაწა-ფხუწით მოგვეტრცხეთ. დისიონა ცოტა ხანს მოგვეცა და მერე ფეხები დააბაკუნა. ჩვენ გავჩერდით და სიცილისგან სული ძლივს მოვითქვით. მერე მე მუშტებით თვალეები ამოვიმშრალე და გზა განვაგრძე. ლუკა ხტუნვა-ხტუნვით გვერდით მომდევდა

და რაღაცას მღეროდა. დისიონა, თითქოს გაბრაზებული დავტყვევო შენ — მამგრამ მომეჩვენა, რომ არც ის იყო ღლტუკანდელი დღით უკმაყოფილო. სოფელში ამბობენ, დისიონა კუნიახიო, ე. ი. ძუნწიაო, ბატონო და უემური, მაგრამ მე მგონია, რომ სოფელს მაინც არ სძულს დისიონა. დისიონასაც არ სძულს სოფელი. არც ლონგინოზს სძულს დისიონა. მე კი, მიყვარს კიდევ დისიონა, მე ლუკაც ძალიან მიყვარს, მე მთელი სოფელი მიყვარს. მე ჭურღანთ ბეკოც არა მძულს...

„ჩვენბ, ის ძალი სულაც არ იყო ცოფიანი“, გავიფიქრე და ლუკას სიმღერაში ავეყვი, მერე ხმამალა გავციინე. ლუკას, ალბათ, ეგონა, რომ დისიონა გამახსენდა და იმანაც გაიცინა. მერე მე ლუკას ვუთხარი, კარგია, როცა ვინმე გვიყვარს-მეთქი, კაი კი არა. ნამეტანი კიაო, — ლუკამ თქვა — მე ფოტინეს შვილიშვილი მიყვარსო, ფოტინეს შვილიშვილი ქალაქში სწავლობს, ამისთანა ლამაზია, რომ ვერ წარმოიდგენ, რა ვიცი, შეიძლება ლამაზიც არაა, მაგრამ სურათში კი ძალიან კარგი ჩანსო.

შენ ვინ გიყვარსო, მკითხა. მე სუყველა მიყვარს-მეთქი, მაინცო: მაინც ვინ მიყვარს, ვერ გეტყვი-მეთქი, რატომო. რატომ და იმიტომ. რა ქვია. „აბა მე რა ვიცი, რა ქვია... ალბათ, თაია... ნადალია.. ჰო, აბა რა, ჩემზე მაღალი... მერე რა, შე კაცო, გავიზრდები, ასე ხომ არ ვიქნები... ახლა მკერდადღე ძლივს ვწვდები... ჰო, ასე, აი, აქამდე... ჰო, ზუსტად... რა სულელი ხარ, ლუკა, დავეტოლე კი არა თვითონ ჩამიხუტა. ჭკვიანად იყავი, ლუკა, თორემ გაგტყუავე...“

მერე, უნებურად მეცინება და ლუკას ვეუბნები:

— აწი ნულარასოდეს ვიჩხუბებთ, ჰო?

— ჰო, — ამბობს ლუკა.

## ეპილოგი



არქივის შესახებ

შენ მართლა ბევრს ფიქრობ მამუკა,  
მაგრამ მე ფიქრს არ დაგიშლი.

იფიქრე.

შენ რაღაცას ეძებ.

კარგია, რომ ყველაფერს, ლამაზსა და  
კეთილს, ერთ სახელს არჭმევ.

თაია...

ლამაზი სახელია თაია.

მაგრამ კიდევ უფრო ლამაზია მისი  
ნამდვილი სახელი.

შენ ამას სულ მალე გაიგებ, მამუკა.

შენ იპოვი.

იპოვი თაიას.

ის მართლაც ყველა ლამაზსა და კეთილშია, მაგრამ ის ერთია, მამუკა.

ის ერთია, როგორც შენი გზა, შენი  
სურვილი...

შენ გაიგებ, რომ ის მართლაც არსებობს და მაშინ ასე აღარ შეგაყრთობს შემთხვევა.

დიდ გზას, დიდ სურვილებს ყველაზე  
ნაკლებად აფიქრებთ შემთხვევა.

დიდი ის არის, რაც ნამდვილად შენია,  
მამუკა.

მე არ განემარტავ შენს სიმბოლოებს,  
არ დავარქმევ მათ ნამდვილ სახელებს.  
ხიდი, მდინარე, სოფელი, ბუტუ, ლეკა,  
ერასტი ბაბუა, თაია...

შენ გაიზრდები და თვითონ დაარქმევ  
მთ ნამდვილ სახელებს.



• • •

ათასი რაა მზე და — ათასზე  
უელვარესი რაღა იქნება?!  
როგორ ვახერხებთ,  
როგორ ვათავსებთ  
გაფიქრებას და გადაფიქრებას?!  
გზებზე,  
ტყეებზე,  
სახურაგებზე,  
დაეხეტება ბასრი სასხლავით,  
გამოფხიზლებულ ჩრდილებს დაეძებს  
და ჰკივის თოვლზე დაღვრილ  
სისხლივით.

გამოუკვება ქარებს კარები,  
გამოუკვება ხიდებს ხედები:  
კვიპაროსების ვერტიკალები

და წეროების სამკუთხედები.  
მიწას გააძრო შავი მანტია,  
გამოიტყუა გარეთ აკვნები,  
ბროწეულებში უფრო მეტია,  
ბროწეულებზე — უფრო ნაკლები.  
და იწვის მისი ცხელი სხეული,  
რომ გაუმაგროს გული გულადებს,  
რომ დედამიწის არარსებელი  
ღერძის გარშემო მარად ბრუნავდეს;  
არ დაამადლოს მიწას ალერსი,  
არც სიყვარული დაამუნათოს,  
ერთი —

ათასზე უელვარესი —  
ყველგან ენთოს და ყველას უნათოს.

• • •

კარგი წესი აქვთ ადამიანებს:  
არ კითხულობენ სხვების წერილებს.  
მკაცრმა ქარებმა გადაიარეს,  
რწმენა მაინც ვერ შეაცვლევინეს.  
მიწას ათასი მები დაეცეს,  
სუნთქვას მაინც ვერ შეაწყვეტინებს,  
და კაცი კაცის სულში დაეძებს

სუსტს კი არა და —  
ძლიერ წერტილებს.  
გული კი ისე მძაფრად წრიალებს,  
ახალ მეგობრებს შეგაძენინებს...  
ცუდი ჩვევა აქვთ ადამიანებს:  
ერთმანეთს ძვირად სწირენ წერილებს.

• • •

გაჩირადნებულ ქალაქში ღამით  
ვეებერთელა ჩრდილი აგდია,  
დგას სასაფლაოს კარებთან სამი  
ჭადარი,  
როგორც სამი გადია.  
ციდან ეშვება ფარული კიბე,  
ჩუმად და სწრაფად მიაქვს ნუგეში,

ჩუმად და სწრაფად მრავლდება კიბო  
ამ აჩქარებულ საუკუნეში.  
მაგრამ იშუშებს ხალხი იარას,  
უნდა სინათლის გზაზე იაროს,  
და სასაფლაოს გვერდით აშენებს  
საყვავილეს და სამშობიაროს.

## სექვაზების ზმანებანი

ო, მე არ ვგავდი ქალებს, რომლებიც  
კარგავენ იმედს, და სილამაზეს,  
მე ვიღლებოდი დიდი ცხოვრებით,  
მე ავდიოდი ნარიყალაზე.

არ მიხსენებდა არავინ წყველით,  
არავინ მიქრობდა მწვანე კელაპტრებს,  
მაგრამ ვიცოდი, რა იყო ცრემლი  
და უცრემლობა ბევრჯერ ვინატრე.

უდასაწყისო ფიქრებს ვუსმენდი  
და მათ ქაოსში ვერ ვიძინებდი,  
და მეტისმეტად წვრილი ქუსლებით,  
ხიდზე გარბოდნენ თეთრი წვიმები.

ელავდა მათი თეთრი მუხლები  
მთვარესავით და მთვარეზე მეტად,  
და უსაშველო ჩემი წუხილით  
მეც მივდიოდი წვიმებთან ერთად.

ხშირად მეგონა, რომ სწორედ ახლა  
ქარებმა ჩემზე უამრეს ხერთვისს,  
რომ დამეძებდა ძვირფასი ტალღა  
და ნაჭერალა ტიროდა ჩემთვის.

სიზმარში — როგორც ეღალი ცხენები,  
მოჯირითობდნენ გურიის მთები,  
მე კი მათ სახელს ვერ ვიხსენებდი  
და მათ ფაფართან გადაწული მტკიოდა თმები.


და ვუკოცნიდი თვალებს ლმობიერთ,  
ასე დაღლილებს შმაგი ჭენებით,  
გურიის მთებო, შუქი მომფინეთ,  
კიდევ როდისღა მომეჩვენებით.

ჩემს სულს წეწავდნენ მწვანე ჩიტები  
და იშენებდნენ ბუდეებს ფართოს,  
შემდეგ გაფრინდნენ გულდამშვიდებით  
და ახლა ჩემს სულს აწვიმს და ათოვს.

დღეს ყველა ხეზე ჩემი სუნთქვაა,  
ყველაზე ჩემი ოცნება ტირის,  
ვიცი ტკივილი, მაგრამ სულ სხვაა  
სევდა უცერად დაშლილი ტივის.

და ენატრება ბუდეს ნოტიოს  
თბილი ფრთები და თბილი ბარტყები,  
რაჭის მთებიდან მიხმობს — მოდიო,  
და მეც რიონის ნაპირს ავყვები.

საით გაფრინდნენ მწვანე ჩიტები,  
რა გადალახეს, რა ზღუდეები,  
ვინც დაბრუნდება, ხომ დასჭირდება  
მიტოვებული ეს ბუდეები.



## მისუბრი ლა მენანე

### მოთხრობა

1

— ლილია, — ამბობს ის ღრმა, მკერდისმიერი ხმით და პატარა ცხელ ხელს მიწვდის.

ფრთხილად ვართმევ ხელს, ვართმევ და ვუშვებ. თან ჩემს სახელს ვლულულუღებ. უცებ ვერც კი მოვისაზრე, სახელიც რომ უნდა მეთქვა. მისი ხელი სიბნელეშიც თეთრია და ნაზი, „რა არაჩვეულებრივი, ნაზი ხელია!“ — ალტაცებით ვფიქრობ მე.

ჩვენ ეზოს შუაგულში ვდგავართ. რამდენი ფანჯარაა ამ კვადრატულ ბნელ ეზოში: ცისფერი ფანჯრები, მწვანე ფანჯრები, ვარდისფერი ფანჯრები და, უბრალოდ, თეთრი ფანჯრები. მეორე სართულის ცისფერი ფანჯრიდან მუსიკა მოისმის: მიმღები ჩართეს. ძალიან მიყვარს ჭაზი, საცეკვაოდ კი არა, — ცეკვა არ ვიცი, — კარგი ჭაზის მოსმენა მიყვარს. იქნებ ეს ცუდიცაა. ვდგავარ და ვისმენ ჭაზურ მუსიკას მეორე სართულის ცისფერი ფანჯრიდან.

გოგონამ სახელი მითხრა და ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. იქნებ ფიქრობს, რომ ახლა რამე მხიარულს ვიტყვი, ვიტყვი რაიმე ისეთს, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე. იქნებ საუბრის დაწყება უნდა და შეკითხვას ელოდება ჩემგან; მაგრამ მე ჩუმად ვარ, მთლიანად დამიპყრო საყვირის არაჩვეულებრივმა რიტმმა და ვერცხლისებურმა ხმამ. რა კარგია, მუსიკა რომ ისმის და მე ჩუმად ყოფნა შემიძლია!

როგორც იქნა, ადგილიდან დავიძა-

რით. გამოვდივართ ნათელ ქუჩაზე. ჩვენ ოთხნი ვართ: მე და ჩემი ამხანაგი, ლილია და კიდევ ერთი გოგონა. კინოში მივდივართ. პირველად მივდივართ კინოში ქალიშვილთან ერთად. ლილია გამაცნეს, მან ხელი გამომიწოდა, სახელი მითხრა. და აი, ჩვენ, ერთმანეთისათვის სრულიად უცნობნი და ამავე დროს უცნაურად ნაცნობნი, გვერდი-გვერდ მივებოჯებთ.

მუსიკა აღარ ისმის, უხერხულობისაგან ამღენხანს მუსიკა მიფარავდა. ახლა ჩემი ამხანაგი და მისი მეგობარი გოგონაც ჩამოგვჩინენ. შევკრთი და ნაბიჯს ვუკელი, მაგრამ ისინი კიდევ უფრო ნელა მოდიან. ჩემი ამხანაგი ასე ვანგებ იქცევა. მაგრამ ჩვენი მარტოდ დატოვება დიდი სისულელეა. ასეთ დალატს არ მოველოდი!

რაზე ველაპარაკო! რა უყვარს? ფრთხილად შევეყურებ გვერდიდან: ელვარე თვალები, რომლებშიც სინათლეები არეკლილა; მუქი ფერის-ალბათ ძალიან უხეში თმები; შექმუნული ხშირი წარბები ძალზე გაბედულ იერს აძლევენ. მაგრამ ლოყები რატომ-ღაც დაკიმული აქვს, თითქოს სიცილს იკავებს. მაინც რაზე ველაპარაკო?

— გიყვართ მოსკოვი? — უეცრად მეკითხება და ძალიან მკაცრად მიყურებს.

ეკრთები. ნუთუ კიდევ აქვს ვინმეს ასეთი ხმა!

რამდენიმე ხანს ჩუმად ვართ, ძალას ვიკრებ. დიახ, რა თქმა უნდა, მიყვარს მოსკოვი, განსაკუთრებით არბატის შესახვევები და ბულვარები. მაგრამ სხვა ქუჩებიც მიყვარს...

მერე ისევ დიდი ხნით ვჩუმდები. არბატის მოედანზე გამოვედით. ჭიბეებში ხელებს ვიწყო და ვუსტევენ. დაე, ფიქროს, რომ მისი ნაცნობობა დიდად არ მეპიტნავენა. რას ბრძანებთ! მასთან ყოფნას ათასჯერ მიჩვენია სალამოობით ბიჭებთან ხეტიალი, ბოლოსდაბოლოს აქვე ვცხოვრობ, შემიძლია შინ დავბრუნდე, ამას ვარდა, სულაც არაა სავალდებულო კინოში წავიდე, მის დაქიმულ სახეს ვუყურო და ვეწამო.

მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ კინოში. სენსის დაწყებას ხუთმეტი წუთი უკლია. ფოიეს შუაგულში ვდგავართ და მომღერალ ქალს ვუსმენთ. ჩვენს გვერდით ბევრნი არიან. ყველა ჩუმად ლაპარაკობს. კარგა ხანია შევამჩნიე, რომ ხალხი ორკესტრს ცუდად უსმენს. ცოტა ქედმაღლურადაც კი შეჰყურებს. მხოლოდ ისინი უსმენენ და უკრავენ ტაშს, ვინც წინ დგას, უკანა რიგებში კი ნაყინს, ან კამფეტს შეექცევიან და ჩუმად საუბრობენ. გადავწყვიტე, სიმღერისას მაინც ვერაფერს გავიგებ-მეთქი და კედლებზე ჩამოკიდებული რეპროდუქციების თვალიერებას მოვყევი. სხვა დროს არავითარი ყურადღება არ მიმიტყევია, ახლა კი საშინლად დავინტერესდი. ვფიქრობ მხატვრებზე, რომლებმაც ეს სურათები შექმნეს. ძალიანაც კარგი უქნიათ, ფოიეში რომ დაკიდეს. ეციდოს რა!

ლილია ელვარე, ნაცრისფერი თვალებით მიცქერის. საოცარი ამბავია, მე თითქმის სულაც არ ვუყურებ, მაგრამ რატომღაც მუდამ მის სახეს ვხედავ. რა ლამაზია! თუმცა არა, ლამაზი არ არის, უბრალოდ ელვარე თვალები და ვარდისფერი ლოყები აქვს. როდესაც იღიმება, ლოყებზე ფოსოები უჩნდება, წარბები გაეშლება და ისე მკაცრი აღარ ჩანს. მაღალი, სუფთა შუბლი აქვს. მხოლოდ ხანდახან უჩნდება ნოკი. ლილია ფიქრობს.

არა, აღარ შემიძლია მის გვერდით დგომა! რატომ მათვალიერებს ასე?

— წაეალ, მოვწევ, — დაუღევრად

ვამბობ და თამბაქოს მოსაწევ ოთახში გავდივარ. იქ ვჯდები და შვეებით ვსუთნობ. საკვირველია, მაგრამ: როდესაც ოთახი თამბაქოს კვამლითაა სავსე და ჰაერიც მტრედისფერია, რატომღაც მოწვევა აღარ გინდა. ირგვლივ მიმოვიხედე — ოთახი ხალხითაა გაჭედილი. ერთნი მშვიდად საუბრობენ, მეორენი უხმოდ და ჩქარ-ჩქარა წევენ, ხარბად ქაჩავენ, ნახევრად მოწეულ პაპიროსს აგდებენ და სწრაფად გადიან. ნეტავი საით მიიჩქარებათ? საინტერესოა, როცა წევ, პაპიროსი მწარეც ხდება და მკავეც. კარგია, როცა აუჩქარებლად, ცოტა-ცოტას ეწევი, კვამლს მაღლა უშვებ. საათს ვუყურებ: სენსის დაწყებას კიდევ ხუთი წუთი უკლია.

არა, მე მაინც სულელი ვარ. სხვა ბიჭები ისე იოლად ეცნობიან ვოგონებს, ბაასობენ, ხუმრობენ: სხვები, მე ვიცი, ფეხბურთზეც საუბრობენ და ყველაფერზე, რაზეც გინდა. კიბერნეტიკაზე კამათობენ. მე არაფრით არ შემიძლია ქალიშვილს კიბერნეტიკაზე ველაპარაკო.

და მაინც, ლილია პირქუშია. მას უხეში თმები აქვს. მე კი რბილი თმები მაქვს. ალბათ, რბილი ხასიათია მიზეზი აქ რომ ვზივარ და ვეწევი, თუმცა მოწვევა სულაც არ მინდა. მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავრჩები. რა უნდა ვაკეთო მოსაცდელში? ისევ სურათებს ვუყურო? სურათები არაფრად არ ვარგა. და კაცმა არ იცის, რისთვის ჩამოკიდეს. ძალიანაც კარგი. სხვა დროს თუ არც შემიმჩნევია.

როგორც იქნა, დარეკეს ზარი. ოთახიდან ნელა გამოვდივართ და ლილიას ვეჭებ. ერთმანეთს არ ვუყურებთ, დარბაზში შევდივართ და ვსხდებით. შემდეგ სინათლე ქრება, და კინოსურათი იწყება.

კინოდან რომ გამოვდივართ, ჩემამხანაგი სულაც ორთქლდება. ამას ისევ განვიცდი, რომ ფიქრის უნარსაც ვკარგავ. მივდივარ და ხმას არ ვიღებ. ქუჩებში უკვე ცოტა ხალხია.



ასე მოვალწიეთ ლილიას სახლამდე. ისევე ეზოში ვჩერდებით. გვიანაა და სინათლეს ყველა ფანჯარაში აღარ ანთია. ეზოშიც უფრო ბნელა, ვიდრე ამ ორი საათის წინ. ბევრი თეთრი და ვარდისფერი ფანჯარა ჩაქრა, ხოლო მწვანეები ჭერ ისევე ანათებენ. ანათებს ცისფერი ფანჯარაც მეორე სართულზე. მაგრამ მუსიკა უკვე აღარ ისმის, რამდენიმე ხანს სრულიად ჩუმად ვდგავართ. ლილია უცნაურად იქცევა: თავს ზევით წევს და ფანჯრებს უცქერის. თითქოს ითვლიდეს: მერე თითქმის ზურგს მაქცევს და თმებს ისწორებს. როგორც იქნა, ძალზე დაუდევრად და ვითომ სხვათაშორის ვამბობ, რომ არაფერი დაშავდებოდა თუ ხვალაც შევხვდებოდით ერთმანეთს, მიხარია ეზოში რომ ბნელა და ლილია ვერ ხედავს ჩემს აღმურბოდებულ სახეს.

ლილია თანახმაა. შემოძლია მივიდეთ მასთან. მისი ფანჯრები ქუჩაში გამოდის, ახლა არდადეგები აქვს, მშობლები აგარაკზე გაემგზავრნენ, და ცოტა მოწყენილია კიდევ, სიამოვნებით გაიხიერნებს..

ვდგავარ და ვფიქრობ, უწესობა ხომ არ იქნება გამომშვიდობებისას ხელი ჩამოვართვა. ლილია თვითონ მიწვდის სიბნელეში თეთრად მოელვარე ხელს და მე ისევე ვგრძნობ ამ ხელის სიბოლსა და ნდობას.

## 2

მეორე დღეს ლილიასთან დაბნელებაში მივდივარ. ახლა ეზოში ბევრი ბავშვია. ორი მათგანი ველოსიპედზე ზის. ისინი სადაც აპირებენ წასვლას, ან იქნებ ეს-ესაა დაბრუნდნენ? დანარჩენები ისე დგანან. მგონია, ყველა მე შემომყურებს და შესანიშნავად იციან, რისთვისაც მოვედი. და მე არაფრით არ შემოძლია ეზოში გავლა, მის ფანჯრებს ქუჩის მხრიდან ვუახლოვდები. ფანჯარაში ვიხედე და ვახველებ.

— ლილია, სახლში ხართ? — ხმა-მაღალა ვკითხულობ. ძალრიან უხამა-ლლა ვკითხულობ და ხმა არ მიყანკა-ლებს. ხმა რომ არ ჩამიწყდა, ეს პირდაპირ შესანიშნავია.

ღიან, სახლშია. მასთან მეგობარი გოგონა ზის, საინტერესო რაღაცაზე კამათობენ და მე უნდა გავარჩიო მტყუანი და მართალი.

— ჩქარა შემოდით! — მეძახის ლილია.

მაგრამ ჩემთვის აუტანელია ეზოში გავლა.

— ფანჯრიდან ვაღმოვალ! — მკაცრად ვთქვი მე და რაფაზე შევხტი. ძალიან მსუბუქად და ლამაზად შევხტი რაფაზე, გადავაბიჯე ფეხი და მხოლოდ ახლა-ღა შევამჩნიე მეგობარი გოგონას დამცინავი თვალები და ლილიას დაბნეულობა. ხელად ვხვდები, რომ უხერხულად მოვიქცევი და გავშეშდი: ერთი ფეხი ქუჩისაკენ მაქვს, მეორე — ოთახში. ვზივარ და ლილიას შეეცქერი.

— აბა, შემოძვერით ბარემ! — მოუთმენლად ამბობს ლილია, წარბები ეკმუნება და ლოყები კიდევ უფრო უწითლდება.

— არ მიყვარს ზაფხულობით ოთახებში ყურყურთი.. — ებურტყუნებ და ჭედმაღლურ იერს ვიღებ. — ქუჩაში მოვიცილი.

ფანჯრიდან ვხტები და ჰინჯარისაკენ მივდივარ. როგორ დამცინიან ალბათ ახლა! რა მინდა, რატომ მოვედი? რისთვის ვიყენებ თავს სასაცილო მდგომარეობაში? ყველაფერს აჯობებს, რომ აქაურობას გავეცალო. მის გამოსვლა-მდე შემოძლია ქუჩის ბოლომდე მივირბინო და კუთხეში შევუხვიო. გავიქცე თუ არა? ერთ წამს დავფიქრდი: უხერხული ხომ არ იქნება? მერე შემოვტრიალდი და უცებ ლილიას ვხედავ. მეგობართან ერთად ჰინჯარში გამოდის. მიყურებს, თვალები ჭერ კიდევ უციონის, ლოყებზე კი ფოსოები უთრთის.

მეორე ქალიშვილს არ ვუყურებ. რატომ მოდის ჩვენთან ერთად? რად უნდა

ვუყურო ახლა ორივეს? მე ხმას არ ვიღებ. ლილია კი მეგობართან საუბრობს. ისინი ლაპარაკობენ, მე კი ისევ ჩუმად ვარ. ყურადღებით ვკითხულობ გვერდით, კედლებზე გავრულ აფიშებს. აფიშების წაკითხვა უკუღმა, ბოლოდანაც შეიძლება, მაშინ სასაცილო ხორხისმიერი სიტყვები გამოდის. მივედით კუთხემდე, და აქ მეგობარი გოგონა გვემშვიდობება. მადლიერებით შევცქერი ქალიშვილს: რა სიმშათეურია და რა ჰკვიანი!

ჩვენ ტვერის ბულვარისაკენ მივდივართ. რამდენ შეყვარებულს უვლია საუკუნეთა მანძილზე ტვერის ბულვარზე! ახლა ჩვენ მივდივართ. მაგრამ ჩვენ ჯერ შეყვარებულები არ ვართ, თუმცა, არ ვიცო, იქნებ ჩვენც შეყვარებულები ვართ. ერთმანეთს დაახლოებით ნაბიჯი გვაშორებს. ცაცხვებმა უკვე დაიყვავილეს. სამაგიეროდ, ყვავილნარში ბევრი უსუნო ყვავილი ხარობს. ალბათ მათი სახელიც კი არავე იცის.

ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ. ჩვენს საუბარსა და ჩვენს აზრებში თანამიმდევრობის დაცვა ძალიან ძნელია. ვლაპარაკობთ საკუთარ თავზე და ჩვენს ნაცნობებზე, ერთი საგნიდან მეორეზე ვბტებით და ერთი წუთის წინ ნათქვამი გვავიწყდება.

მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გვაწუხებს, ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, წინ გრძელი, გრძელი საღამოა, და დაიწყებულის გახსენება კიდევ შეიძლება. სულაც უკეთესი იქნება თუ ყველაფერს მერე, ღამე, მარტოდმარტო გავიხსენებ.

უკვებ შევამჩნიე, რომ ლილიას კაბა გაეხსნა. უცნაური კაბა აცვია, ასეთი კაბა ჩემს ნაცნობებში არავის არ ცნობია — საყელოდან ქამრამდე სულ დიდებია ჩამწკრივებული და აი, ახლა, რამდენიმე დიდი გაიხსნა. ლილია კი ამას ვერ ამჩნევს. მაგრამ გახსნილი კაბით ზომ ვერ ივლის ქუჩაში! როგორ ვუთხრა? იქნებ მე შევუბნო, სასაცილო, სხარტი რამ ვუთხრა და თან შევუბნო,

თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავია, რა კარგი იქნებოდა! მაგრამ არა, ეს არაფრით არ შეიძლება, ეს ბრადიკორწარმოუდგენელია. ზურგს ვაქცევ და ვეუბნები, რომ კაბა შეიბნოს. ლილია სწრაფად ჩუმდება.

მერე პაპიროსს ვუკიდებ. ძალიან დიდხანს ვუკიდებ. საერთოდ მძიმე წუთებში ყველაფერს ჯობია მოუცილო. ეს ძალიან გშველის. მერე გაუბედავად ვუმხერ ლილიას. კაბა შეუკრავს, ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა, თვალები ჩაუმუჭდა და მკაცრი გაუხდა. ახლა ისიც მე მიყურებს, მიყურებს ისე, თითქოს მე ძალზე გამოვიცვალე, ან მასზე მნიშვნელოვანი რამ გავიგე. ახლა ერთმანეთს ცოტა უფრო მივუახლოვდით და ისე მივდივართ.

საათი საათს მისდევს, ჩვენ კი სულ დავდივართ, ვლაპარაკობთ და დავდივართ. მოსკოვის ქუჩებში უსასრულოდ შეიძლება სიარული. ჯერ პუშკინის მოედანზე გამოვედით, პუშკინის მოედნიდან ტრუბნაიაზე დავეშვიტ. იქიდან ნეგლინიკით დიდ თეატრთან გამოვიარეთ და მერე კამენი მოსტისკენ წავედით... მე მზადა ვარ დაუსრულებლივ ვიარო. ლილიას მხოლოდ იმას ვეკითხები, დაიღალა თუ არა. არა, არ დაიღალა, ყველაფერი ძალიან აინტრესებს. ქუჩებში სინათლეები ჭრება. მხოლოდ ნახევარი მხარეა განათებული. ბინდბუნდში ცა ქვემოთ ეშვება, ვარსკვლავები მატულობენ. შემდეგ წყნარი განთიადი მოდის. ბულვარებზე ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული შეყვარებულები სხედან. თითო წყვილი თითო სკამზე. რატომღაც სდუმან. მე შურით შევყურებ მათ და ვფიქრობ: დავსხდებით თუ არა მე და ლილია როდესმე ასე...

ქუჩებში გამვლელები აღარ ჩანან. მხოლოდ მილიციელები დადიან. ზოგიერთი, გვერდს რომ ჩაეუვლით, მნიშვნელოვანი გამომეტყველებით ჩაახველებს ხოლმე. ალბათ უნდა რაღაც გვითხრას, მაგრამ არაფერს გვეუბნება, ლილია თავს ხრის და ნაბიჯს უჩქა-

რებს. მე კი რატომღაც მეცინება. ჩვენ ახლა თითქმის გვერდიგვერდ მივდივართ და როდესაც ლილია თავს ხრის, მის ნახ კისერზე თმის რბილ ხვეულებს ვხედავ. ლილიას ხელი ხანდახან ჩემს ხელს ეხება. ეს სრულიად შეუმჩნეველი შეხებაა, მაგრამ მე ვგრძნობ.

ბოლოსდაბოლოს, ერთმანეთს მის წყნარ, ბნელ ეზოში ვშორდებით. ყველას ძინავს. არცერთი ფანჯარა არ ანათებს. ხმას ვუღაბლებთ და თითქმის ვჩურჩულებთ, მაგრამ სიტყვები მაინც ხმამაღლა ეღერს და ასე მგონია, ვიღაცა ყურს გვივადებს-მეთქი.

სახლში სამ საათზე მოვდივარ. მხოლოდ ახლა ვგრძნობ, როგორ მიხურს ფეხები. როგორ დაიღლებოდა ლილია! მაგიდის ნათურას ვანთებ და „ბროლის კოშკს“ ვკითხულობ, რომელიც ლილიამ მომცა. შესანიშნავი წიგნია. ვკითხულობ და რატომღაც სულ ლილიას სახეს ვხედავ, ხანდახან თვალებს ვხუჭავ და მისი ნახი, მკერდისმიერი ხმა მესმის.

ინთა და კითხვაც აღარ შემიძლია. ვწვები და ფანჯარაში ვიციქირები. ჩვენ ძალიან მაღლა, მეშვიდე სართულზე ვცხოვრობთ. ფანჯრიდან სახლის სახურავები ჩანს, შორს კი, იქ, საიდანაც ზაფხულში მზე ამოდის, კრემლის ვარსკვლავი კიაფობს. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი მოჩანს. მიყვარს ამ ვარსკვლავს რომ ხანგრძლივად ვუციქერი. წამით, როდესაც მოსკოვში სიწყნარება კურანტების ხმა მესმის. ღამით ყველაფერი ძალიან კარგად ისმის.

მე ვწევარ, ვარსკვლავს შევციქერი და ლილიაზე ვფიქრობ.

### 3

ერთი კვირის შემდეგ მე და დედა ჩრდილოეთში მივემგზავრებით. დიდიხანია, გაზაფხულიდან მოკიდებული ვოცნებობდი ამ მგზავრობაზე, მაგრამ ახლა სოფელში ცხოვრება ჩემთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აზრს იძენს.

პირველად მოვხვდი ტყეებში, ნამდ-

ვილ ველურ ტყეებში და აღმომჩენის სიხარულით ავივსე, მაქვს თრფენი ცხრა კლასი რომ დავამთავრე. მაშინ მიყიდეს, სულ მარტომარტო ვხეტიალობ და არ მწყინდება. მიყვარს ადამიანები, მიყვარს მხიარულება, სიცილი, მაგრამ ახლა რატომღაც მარტოობა მიხარია, ხანდახან ვიღლები. მაშინ ჩავიძულებ ხოლმე და ფართო მდინარესა და შემოდგომის მკრთალ ცას ვუყურებ.

უკვე აგვისტოა, ჩრდილოეთში ცუდი ამინდი განშირდა. მაგრამ მე ცუდ ამინდსა თუ მზიან დარშიც საზლიდა ადრე გამოვდივარ და ტყეში მივეშურები. ვნადირობ, სოკოებს ვკრეფ, ან უბრალოდ ერთი მდელოდან მეორეზე გადავდივარ და უამრავ თეთრ გვირქვას ვუყურებ. ტყეში საქმეს რა გამოლევს! შეგიძლია ტბის ნაპირზე მყუდრო ადგილი ამოიჩინო და გაუძნარე-ვლად იჯდე.

მოფრინდებიან იხვები და სისინით დაეშვებიან სულ ახლოს. კისერწაწვდილები ჭერ მშვიდად სხედან, მერე ყვინთვას მოჰყვებიან, თქაფუნობენ, ერთმანეთში აირევიან და ისევ დალაგდებიან. თავს არც ვაბრუნებ, ისე ვაღვენებ თვალს.

მერე ღრუბლებიდან მზე გამოვა, ჩემს ზემოთ ფოთლებს გაარღვევს და მთრთოლავ ოქროს თითებს ღრმად ჩაუშვებს წყალში. მაშინ დუმფარების გრძელი, ქანგისფერი ღეროები გამოჩნდება. ღეროებთან დიდი თევზები განდებიან, გახევდებიან ხოლმე მზის სხივში, ერთ ფარფლსაც კი არ შეატოკებენ, თითქოს ზაფხულის მშვენიერ დღეებზე ოცნებობენ, რომლებსაც პეჭა-ქუხილი და მაისის ზოჭოები ახლავს თან, ანდა ძინავთ. როდესაც მათ შევციქერი, საკვირველი გრძნობა მეუფლება. მათი შემყურე, თვითონაც ხვედები და ყველაფერს სიზმარივით აღიქვამ.

ტყეში საქმეს რა დალევს! შეგიძლია უბრალოდ იწვე, ფიქვების გუგუნს უსმინო და ლილიაზე იფიქრო. შეიძლება ელაპარაკო კიდევ, და მეც

ვუამბობ ნადირობაზე, ტბებსა და ტყეებზე, თოფის კვამლის შესანიშნავ სუნზე, და მასაც ესმის ჩემი, თუმცა ქალებს საერთოდ არ უყვართ და არ ესმით ნადირობა.

ხანდახან სახლში დამე ვბრუნდები. მინდვრით მოვდივარ და ცოტა მეშინია კიდეც. დატენილი თოფი თანა მაქვს, მაგრამ მაინც ხშირად ვიხედები უკან. ამ დროს სული მიფორიაქდება და ბევრი რამე მომივა ხოლმე თავში. ძალიან ბნელა, მხოლოდ ცაში, თუ დიდხანს უყურებ, შეიძლება სუსტი, მოვერცხლოსფერო სინათლე შეამჩნიო. მაგრამ მიწაზე ძალიან ბნელა. თავს ზემოთ წრეს წრეზე უხმოდ უვლიან ჰოტები. მათ შავ, ხავერდოვან სილუეტებს ვხედავ, მაგრამ როგორადაც არ უნდა მივაყურადო, ფრთების ფათქუნი არ მესმის. ერთხელ გავისროლე. ჰოტი ყრუდ დაეცა სამანზე და სიბნელეში დიდხანს ისმოდა ნისკარტის კაწკაწი.

ერთი თვის შემდეგ მოსკოვში ვბრუნდები. პირდაპირ სადგურიდან, ჩემოდნების შინ შეტანა ძლივს მოვასწარი, ლილიასთან გავრბივარ. საღამოა, ფანჯრები განათებულია, ესე იგი, სახლშია. ფანჯარას ვუახლოვდები, ხარაჩოვში ვძვრები — მათ სახლს არემონტებენ — და ფარდაში ვიჭვრიტები.

ლილია მარტო ზის, მაგიდის ნათურა აუნთია და კითხულობს. სახე დაფიქრებული და ნაღვლიანი აქვს. გადაშლის ფურცელს, იდაყვს დაეყრდნობა, თავს მალა სწევს და ნათურას უყურებს, თან თითზე თმას იხვევს. რა მუქი თვალები აქვს! რატომ მეგონა ადრე, რომ ნაცრისფერი თვალები ჰქონდა? მისი თვალები მუქი, თითქმის შავია. მე ვდგავარ ხარაჩოვს ქვემოთ, ბათქაშისა და ფიჭვის სუნი მცემს. ფიჭვის სუნი ჩემამდე ისე მოდის, როგორც ნადირობათა შორეული გამოძახილი, როგორც ჩრდილოეთში დატოვებული დღეების მოგონება. ზურგს უკან გამვლელთა ნაბიჯების ხმა ისმის. სადღაც მიდიან, მიეჩქარებთ, ასფალტზე მკა-

ფიოდ მიაბიჯებენ, მათ თავიანთი აზრები და თავიანთი სიყვარული აქვთ — ერთოეული თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. მოსკოვმა გამაყრუა ხმაურით, სინათლით, სურნელებითა და ხალხმრავლობით, რასაც ერთ თვეში გადავეჩვიე, და ჩემი სიხარულით ვფიქრობ: რა კარგია, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში მეცა მყავს საყვარელი ადამიანი!

— ლილია! — ვეძახი ხმადაბლა.

ის კრთება, წარბები მალა გაურბის, მერე დგება, ფანჯარასთან მოდის, ფარდას სწევს, ჩემსკენ იხრება და მე ახლო ვხედავ მის მუქ, სიხარულისაგან ანთებულ თვალებს.

— ალიოშა! — ამბობს ნელა, ლოყებზე ოდნავ შესამჩნევი ფოსოები უჩნდება. — ალიოშა! შენა ხარ? მართლა შენა ხარ? ახლავე გამოვალ. გავისეირნოთ? მე ძალიან მინდა შენთან ერთად სეირნობა. ახლავე გამოვალ.

ხარაჩოვს ვტოვებ, მეორე მხარეს გადავდივარ და მის ფანჯრებს შევცქერა. აი, ქრება სინათლე, წუთიც და ქიშკრის შავ ხაზში ლილია ჩნდება. მამინეე მაჩნევს და სირბილით გადმოდის ქუჩაზე. ლილიას დიდხანს უჭირავს ჩემი ხელები. ასე მგონია, რომ ლილია გაშავდა, ცოტათი ვახდა, თვალები კიდევ უფრო გაუდიდდა და მე მესმის მისი აჩქარებული სუნთქვა.

— წავიდეთ, გავიაროთ! — ამბობს ის და უცებ ვაქცევ ყურადღებას, რომ „შენობით“ მომმართავს. ძალიან მინდა ჩამოვჯდე, ან რაიმეს მივეყრდნო — ისე ერთბაშად და უცებ დავიძალე, ყველაზე დამქანცველი ნადირობის შემდეგაც კი არ ამკანკალებია ასე მუხლები.

მაგრამ მე არ შემიძლია სასეირნოდ გავყვე. მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე სანახავად. ისე ცუდად მაღვია, პირდაპირ გზიდან მოვედი, ფეხსაცმელები მოღრეცილი მაქვს, კოსტუმიც ჩამდენიმე ადგილასაა ამომწვარი. როდესაც კოკონთან გძინავს, ქურთუკი და შარვალი ძალიან ხშირად გეწვება ვერა, ვერაფრით ვერ გავყვები.

— რა სისულელეა! — უზრუნველად ამბობს ლილია და ხელზე მჭაჩავს. ჩემთან მოსალაპარაკებელი აქვს. სულ მარტოა, ამხანაგები ჯერ არ ჩამოსულან და სულ მე მელოდებოდა. რა შუაშია აქ კოსტუმი? და მერე, რატომ არაფერს ვიწერებოდი? ალბათ, მსიამოვნებს, როცა სხვები იტანჯებიან? არა, არა, კი არ იტანჯებიან, უბრალოდ სწუხან ჩემზე.

და აი ჩვენ ისევ მოსკოვის ქუჩებში დავდივართ. ძალზე საოცარი, რაღაც გადარეული საღამოა. იწყება წვიმა. თავს ვაფარებთ სადარბაზო შესასვლელს და სირბილისაგან გულამოვარდნილები, ქუჩას გავცქერით. წყალი ხმაურობს საწვიმარ მიღში, ტროტუარი ბრწყინავს. გზაზე მთლად გალუმპული ავტომანქანები მიქრიან, ჩვენკენ სინათლის წითელი და თეთრი გველები მოცოცავენ და სველ ასფალტზე ირეკლებიან. მალე წვიმამ გადაიღო, ჩვენ გამოვდივართ, ვიკინით, გუბებებს ვახტებით. მაგრამ უცებ ისევ კოკისპირულად უშვებს და ჩვენ ისევ ვიმალებით. ლილიას თმებზე წვიმის წვეთები ბრწყინავს. მაგრამ კიდევ უფრო ბრწყინავს მისი თვალები, როცა მე მიყურებს.

— მიგონებდი? — მეკითხება ლილია. — მე თითქმის სულ შენზე ვფიქრობდი, თუმცა არ მინდოდა. არც კი ვიცი რატომ. უბრალოდ ვფიქრობ და ვფიქრობ. ჩვენ ხომ ძალზე ცოტა ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, არა? წიგნს ვკითხულობდი და უცებ გავიფიქრე, მოგეწონებოდა თუ არა შენ. უპ, რა სულელი ვარ! ყურები არ აგიწითლდებოდა ხოლმე? ამბობენ, როდესაც ვინმეზე დიდხანს ფიქრობ, აუცილებლად ყურები გაუწითლდებაო. დიდ თეატრშიც კი არ წავედი. დედამ მიშოვა ბილეთი, მე კი არ წავედი. როგორ უნდა მესმინა მუსიკისათვის, როდესაც შენ ამ დროს საღაღაც... რომელიღაც ჩრდილოეთში მარტო იყავი. ხომ ყველაფერს მომიყვები ჩრდილოეთზე? მეც

მინდა იქ წასვლა, სადაც შენ იყავი. გიყვარს თუ არა?

— აბა, რა. შეიძლება მალე მომღერალიც კი გავხდე. ყველა ამბობს, რომ კარგი ხანი მაქვს.

— ალიოშა! შენ ხანი გაქვს? იმღერე რა, გეხვეწები! ჩუმად იმღერე, ჩემს მეტი ვერაფერს ვერ გაიგონებს.

ჯერ უარს ვამბობ. მერე მაინც ვმღერო. ხმა მიკანკალებს, მიწყდება, ვმღერო რომანსებს და ჩრდილოურ „ბარაბუშკას“. და ვერც კი ვამჩნევ, რომ წვიმამ უკვე გადაიღო, გამვლელები მიაბიჯებენ და ჩვენსკენ იხედებიან. ლილიაც ვერაფერს ამჩნევს. ის სახეში შემომცქერის და მისი თვალები უცნაურად ბრწყინავენ, ელვარებენ.

## 4

ძალიან ცუდია, ახალგაზრდა რომ ხარ. ცხოვრება სწრაფად მიედინება. უკვე ჩვიდმეტის ან თვრამეტის ხლები და არაფერი არ გავიკეთებია. მხოლოდ ახლა ამირებ რაღაცის გაკეთებას. ისიც კი არაა ცნობილი, გაქვს თუ არა რაიმე ნიჭი. ნამდვილი, დაძაბული ცხოვრება კი გინდა! გინდა ისეთი ლექსები წერო, მთელმა ქვეყანამ ზეპირად იცოდეს, ან უამრავი გმირობა ჩაიდინო. ანდა რაკეტით კოსმოსურ სივრცეში გაფრინდე. მე კი რა ვქნა, რა ვიღონო. ცხოვრებამ რომ უსაქმოდ არ ჩაიაროს, თვითველი დღე რომ ბრძოლისა და გამარჯვების დღედ იქცეს? გულზე მუდამ რაღაც სევდა გაწევს, ვწუხვარ. რომ არც გმირი ვარ, არც გამოგონებელი, არც მოაზროვნე. მაქვს კი გმირობის უნარი? მაქვს მტკიცე ნებისყოფა?

და ერთხელ, დიდი ხნით ვაჩერებ ხელს სინათლის ალზე, სანამ შეტრუსულმა ხორცმა ტკაცანი არ დაიწყო: ლილიას ლოყებზე ხელები შემოთუკრავს და გავკვირვებით მიცქერის.

მაქვს თუ არა ყოველდღიური მძიმე შრომის უნარი, თუ მეყოფა ძალა, რომ ხანგრძლივსა და მძიმე წლებს გავუძლო? ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჩე-

მი ტანჯვა არავის ესმის, ყველას ისევ პატარა ბიჭი ვგონივარ, თმებსაც კი მიჩეჩავენ, თითქოს ისევ ათი წლის ვიყო, და მხოლოდ ლილიას, მარტო ლილიას ესმის ჩემი, მხოლოდ მასთან შემიძლია გულახდილად ლაპარაკი.

ჩვენ უკვე დიდი ხანია ვსწავლობთ: ის მეცხრეშია, მე კი — მეათეში. გადავწყვიტე ცურვას მოვკიდო ხელი და საბჭოთა კავშირის, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე. უკვე სამი თვეა აუზში დავდივარ. ცურვის ყველა სახეობას კროლი ვობს. ყველაზე სწრაფია. ძალიან მომწონს. საღამოობით კი ოცნება მიყვარს.

ზამთარში არის ხოლმე მეყვსეული დრო, როდესაც ცა და თოვლი სახურავებზე მუქი ცისფერი, თითქმის იისფერი ხდება. ფანჯარასთან ვდგავარ. ღია სარკმლიდან იისფერ თოვლს გავსცქერი, სუსხიან ჰაერს ვისუნთქავ და რატომღაც შორეული მოგზაურობანი. უცნობი ქვეყნები, მთები მელანდება... ვშიშვლილობ, უღალი წვერი მებრდება. მზე მაჭერს, ანდა სიცივე ძვლებამდე მატანს, ვიღუპები კიდეც; მაგრამ ბუნების კიდევ ერთ საიდუმლოს ვხსნი. ნეტავი ექსპედიციაში მოვხვდებოდე!

ტრესტებში და სამმართველოებში დავდივარ. ასეთი დაწესებულებანი მოსკოვში ქვეყნისაა და ყველას რაღაც მეტერი, საიდუმლო სახელწოდებები აქვს. დიახ, ექსპედიცია მიემგზავრება შუა აზიაში, ურალზე, ჩრდილოეთში. დიახ, მუშაკები ჭირდებათ. რა სპეციალობის ვარ? აა, სპეციალობა არა მაქვს... ძალზე სამწუხაროა, მაგრამ ვერაფრით ვერ დამეხმარებიან. აუცილებლად უნდა ვისწავლო. მუშად? მუშებს ადგილზევე ჭირაობენ. კარგად ბრძანდებოდეთ!

და ისევ სკოლა, გაკვეთილების მზადება... კარგი, დავამთავრებ ათ კლასს და ინსტიტუტში შევალ, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია. შევალ ინსტიტუტში და ინჟინერი ან მასწავლებელი გავხდები, მაგრამ ადამიანები დიდ მოგზაურს დაკარგავენ.

დადგა დეკემბერი. მთელ თავისუფალ დროს ლილიასთან ვატარებ... კიდევ უფრო მეტად მიყვარს... ვიციკოდი ასეთი უსაზღვრო სიყვარული თუ შეიძლებოდა. მაგრამ ეს ასეა. რაც ხანი გადის, ლილია ჩემთვის სულ უფრო და უფრო ძვირფასი ხდება, მისი გულსათვის ყოველგვარ მსხვერპლს გავიღებ. ლილია ხშირად მირეკავს ტელეფონით. დიდხანს ვლაპარაკობთ, მე მის სახეს წარმოვიდგენ ხოლმე. საუბრის შემდეგ კი სახელმძღვანელოებს ხელს ვეღარ ვკიდებ. ვერც ტყბილად მთრთოლავ გულს ვამშვიდებ.

ძლიერი ყინვები დაიჭირა, ყინვებს ქარბუქი მოყვა. დედა სოფელში წასასვლელად ემზადება. დეიდას ძველებური თბილი თავშალი აქვს. დეიდა ქალაქგარეთ ცხოვრობს. მე უნდა წავიდე და ეს თავშალი ჩამოვიტანო.

კვირა დილით სახლიდან გამოვდივარ და იმის მაგივრად, რომ სადღურისაკენ წავსულიყავი, ლილიასთან ვაჩენდი. ჩვენ საციგურაოდ მივდივართ. მერე ტრეტიაკოვში შევბრუნდით და ვთბებით. ტრეტიაკოვში ზამთრობით ძალიან თბილა, სიმყუდროვეა, სკამებიცაა, შეიძლება დაჭდე და ჩუმად ილაპარაკო. დარბაზიდან დარბაზში გადავდივართ და სურათებს ვათვალიერებთ. განსაკუთრებით მიყვარს სეროვის ნახატი — „ქალიშვილი ატმებით“. ქალიშვილი ძალიან გავს ლილიას, და როცა ამას ვამბობ, ლილია წითლდება და იცინის, ხანდახან სურათები სულაც გვავიწყდება, ვჩურჩულებთ, ერთმანეთს ვუყურებთ ან საკუთარ ხელებს დავჩერებვართ, ამა-სობაში ბნელდება კიდეც. ტრეტიაკოვს ვიკეტება. სიცივეში გამოვდივართ და მხოლოდ ახლა-ღა მახსენდება თავშალის ჩამოსატანად რომ უნდა წავსულიყავი. შეშინებული ვეუბნები ლილიას. მერე რა, ძალიანაც კარგია, ახლავე წავალთ ქალაქგარეთ.

და ჩვენც მივემგზავრებით, საოცრად გახარებულები იმით, რომ ერთმანეთს არ დავშორდით. თოვლით დაფარულ

ბაქანზე გამოვდივართ და მინდორზე გაკვალულ გზას მივყვებით. ჩვენს წინ და უკან შავად მოჩანან ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ერთად ჩამოვიდნენ მატარებლიდან. ისმის ლაპარაკი და სიცილი. აქა-იქ პაპიროსები ანათებენ. ზოგჯერ ვინმე ჩვენს წინ მიშავალი პაპიროსის ნამწვს აგდებს. ჩვენ რომ ვუახლოვდებით, ნამწვი კიდევ ანათებს. აღის ირგვლივ, თოვლზე, პატარა ვარდისფერი ლაქაა. ლაქას ფებს არ ვაბიჯებთ და კიდევ ანათებს სიბნელეში. მერე გაყინულ მდინარეზე გადავდივართ, ფეხქვეშ ხის ხიდი ყრუდ ქრატუნებს. ძალიან მაგარი ყინვაა.

ბნელ განაკაფში მივაბიჯებთ. ორივე მხარეს სრულიად შავი ნაძვი და ფიჭვი ჩამწკრივებულია. აქ გაცილებით უფრო ბნელა, ვიდრე მინდვრად. მხოლოდ ზოგიერთი აგარაკის ფანჯრიდან ეცემა თოვლზე სინათლის ყვირთელი ზოლები. ბევრი აგარაკი კი დაყრუებული და ჩაბნელებულია: ზამთრობით ალბათ აქ არ ცხოვრობენ. არყის მაგარი კვირტებისა და სუფთა თოვლის ძლიერი სუნი დგას. მოსკოვში არასოდეს არაა ასეთი სუნი.

და ბოლოს დედის სახლსაც ვუახლოვდებით. ლილიასთან ერთად შესვლა შეუძლებელი მგონია.

— ლილია, მომიციდი ცოტა ხანს? — გაუბედავად ვთხოვ მე, — ჩქარა გამოვალ.

— კარგი, — შეთანხმება ის, — მაგრამ ჩქარა, სულ მთლად გავიყინე, ფეხები გამეყინა, სახეც გამეყინა. არა, სხვანაირად არ იფიქრო, ძალიან მიხარია, რომ წამოგვევი, მაგრამ ნუ დაავიანებ, კარგი?

მე მივდივარ, ლილიას კი სრულიად მარტო ვტოვებ ბნელ განაკაფში, გული დამიძიმდა.

დეიდას და დეიდაშვილ გოგონას კიდევ გაუკვირდათ და კიდევ გაუხარდათ ჩემი დანახვა. რატომ ჩამოვედი ასე გვიან? როგორ გავიხარდე! ნამდვილი მამაკაცი ვარ! ალბათ, დავრჩები ამალამ? დედა როგორ არის?

— გმადლობთ, ძალიან კარგად.  
— მამა მუშაობს?  
— დიახ, მამა მუშაობს.  
— ისევ იქ? ბიძია როგორ არის?

დმერთო ჩემო, ათას შეკითხვას მაძლევს! დეიდაშვილი მატარებლის განრიგს ათვალეირებს, მორიგი მატარებელი თერთმეტ საათზე ჩაივლის. უნდა გავიხადო და ჩაი დავლოო. მერე უნდა ვადროო კარგად შემათვალეირონ და ყველაფერი მოვყვე. მთელი წელიწადია მათთან არ ვყოფილვარ. წელიწადი ძალიან ბევრია.

ძალისძალათი მხდინან. ღუმელი გიზგიზებს. ვარდისფერი შუქფარიდან თვალისმომკრელად ანათებს ნათურა და კედელზე წიქწიქებს ძველებური საათი. ძალიან თბილა და ძალიან მინდა ჩაი. მაგრამ იქ რომ ლილია მიცდის!

ბოლოსდაბოლოს ვდერღავ:

— ძალიან მეჩქარება... დიახ, ძალიან მეჩქარება, და მე მარტო არა ვარ. ქუჩაში ერთი... ამხანაგი მელოდება.

როგორ? მლანძღავენ! დიდი გაუზრდელი ვინმე ვარ. განა შეიძლება ამ სიცივეში ადამიანის გარეთ დატოვება! დეიდაშვილი ბაღში გარბის და ფანჯრებთან მისი ნაბიჯების ხრამუნნი მესმის. ცოტა ხნის შემდეგ თოვლი ისევ ხრამუნობს და დეიდაშვილს ოთახში ლილია შემოჰყავს. სულ მთლად გათეთრებულია. ისეთი თეთრია, რომ შეხედვაც არ შემიძლია. ხდიან და ღუმელთან სვამენ. ფეხებზე თბილი ნაბდის ჩექმები ჩააცვენ.

ნელნელა გავთბით. მერე ჩაის დასალევად ვსხდებით. ლილია უხერხულობისა და სითბოსაგან სულ მთლად გაწითლდა. ფანჯარას თითქმის არ ამორებს თვალს, მხოლოდ ხანდახან თუ შემხედავს საშინლად სერიოზული სახით. მაგრამ ლოყები დაჭიმული აქვს და ფოსოები უთრთის. მე უკვე ვიცი ეს რას ნიშნავს და ძალიან ბედნიერი ვარ!

ჩაი დავლიეთ და მაგიდიდან ავდექით. დროა გავემგზავროთ. ვიცვამთ, თავშალს მაძლევს. მერე უცებ გადაიფიქრეს, ლილიას გახადეს, თავშალით

შეფუთნის და ზემოდან პალტო ჩააცევს. ის ახლა ძალიან მსუქანია, „მატრიოშკას“ ჰგავს. სახე თითქმის დაფარული აქვს თავლით. მხოლოდ თვალები უბრაწყინავს.

ქუჩაში გამოვიდით და პირველად ვერაფერი ვხედავთ: ღილია ხელს მაგრად მკიდებს. სატლს რომ ვავციდით, თანდათან ბილიკი გავარჩიეთ. ღილიას უცებ სიცილი აუტყდა; ორჯერ ეცემა კიდევ და მე იძულებული ვარ წამოვაყუნო და სახელოებიდან თოვლი გამოვუბერტყო.

— რა სანახავი იყავი! — ძლივს-ძლივობით ამბობს ის. — სირაქლემა-სავით მიყურებდი რომ შემომიყვანეს!

შეც ხმამალა ვიციანი.  
— ალიოშა! — უცებ სიტყბონარევი შინით ამბობს ღილია. — ხომ შეიძლება გაგვაჩერონ!

— ვინ?  
— განა ცოტა ვინმეა! ბანდიტებმა... შეუძლიათ მოგვეკლან კიდევ.

— სისულელეა! — ვამბობ ხმამალა. მე მგონია, ამას ძალიან ხმამალა ვამბობ და რატომღაც, უცებ, ვგრძნობ, რომ გარეთ ყინავს. სანამ ჩვენ ჩაის ესვაშლით და ესაუბრობდით ყინვამ მგონი მოიმატა კიდევ. — სისულელეა! — ვიმეორებ ისევ. — აქ არავინ არ არის!

— ვაი თუ არის? — სწრაფად მეკითხება ღილია და უკან იხედება.  
შეც ვიხედები.

— გეშინია? — ხმამალა მეკითხება ღილია.

— არა! თუმცა... შენ გეშინია?  
— აჰ, მე საშინლად მეშინია რა სულელი ვარ, აქ რომ წამოვედი. აუცილებლად გაგვხვდინან. წინათგრძნობა მაქვს.

— წინათგრძნობის გჯერა?  
— მჯერა. რატომ წამოვედი? თუმცა, მე მაინც მიხარია, რომ წამოვედი.  
— არა, მართლა?  
— ჰო, მართლა. რომც გაგვხვდონ და მოგვეკლან სულერთია, მაინც არ ვინანებ. შენ?

მე ხმას არ ვიღებ და მხოლოდ უფრო მაგრად ვუჭერ ხელს. ნეტავი, კი მომიცემოდეს შემთხვევა ჩემი სიტყვარული დავეუშტკიცო!

— ალიოშა...  
— ჰო?  
— მინდა რაღაც გკითხო... ოღონდ ნუ მიყურებ. იცოდე, სახეში არ შემომხედო, ჰო... რა უნდა მეთქვა? მიბრუნდი!

— აჰა, მივბრუნდი, ოღონდ შენ გზას უყურე, თორემ ფეხს წამოგკრავთ რამეს.

— არა უშავს რა, რომ დავვარდე. არც მეტყინება, თავშალი მახვევია.

— ჰო?  
— ალიოშა... შენ გიკოცნია ვინმესთვის?

— არა, არასოდეს. რა იყო?  
— სულ არასოდეს?  
— ერთხელ კი... მაგრამ ეს იყო პირველ კლასში, ერთ გოგოს ვაკოცე. მისი სახელიც კი არ მახსოვს.  
— მართლა? არ გახსოვს?  
— არა, არ მახსოვს.

— ნაშინ ეს არ ითვლება. შენ ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყავი.  
— ჰო, მე პატარა ბიჭი ვიყავი.

— ალიოშა... გინდა მაკოცო?  
მე მაინც წაგიბოროძიკე. ახლა პირს უკვე აღარ ვიბრუნებ და ყურადღებით ვაკვირდები გზას.

— როლის? ახლა? — ვეკითხები.  
— არა, არა... თუ სადგურამდე მივალთ და გზაში არაფერი შეგვემოხვია, მაშინ სადგურზე გააკოცებ.

ჩუმად ვარ. ყინვას სულაც ვერ ვგრძნობ. მგონია უკლო. ლოყები ძალიან მიხურს და მცხელა. იქნებ სწრაფად მივდივართ და იმიტომ?

— ალიოშა...  
— რა?  
— მე არასოდეს არავისთვის არ მიკოცნია.

ჩუმად შევეცქერი ვარსკვლავებს. მერე წინ, მოსკოვის თავზე სინათლეთა მოკეითალო არილს გაგხედე. მოსკოვამდე ოცდაათი კილომეტრია, მაგრამ მი-



სი სინათლეების არილი მაინც მოჩანს.

— კოცნა, ალბათ, სირცხვილია? შენ გრცხვევოდა?

— არ მახსოვს. ეს კარგა ხნის წინათ იყო...

— ჩემი აზრით, დიდი სირცხვილი არ უნდა იყოს.

— ჰო, ეს კარგა ხნის წინათ იყო. მაგრამ, მე მგონი, მაინც სირცხვილია.

მინდორში გამოვედი. ამჯერად სრულიად მარტონი ვართ ცარიელ მინდორში. კაციშვილი არ ჩანს არც წინ, არც უკან. არავინ არ ისერის გზაზე ანთებულ ნაშუავეებს. მხოლოდ თოვლი პრაქუნობს ჩვენს ფეხებზე, მძიმედ და წყრილით. უცებ ჩვენ წინ მკრთალი ციწინათელა აკიაფდა. იგი შორეულ სანთელს წააგავს. ინთება, რამდენიმე ხანს ქანაობს და ქრება. მერე ისევ ინთება, მაგრამ უკვე ახლოს. ვუყურებთ და, ბოლოსდაბოლოს, ვხვდებით, რომ ეს ელექტრონის ფარანის შუქია. მერე პატარა შავ ფიგურებს ვამჩნევთ. სადგურის მხრიდან მოდიან. შეიძლება მატარებელს მოჰყვნენ? არა, მატარებელი არ გაუვლია, არავითარი ხმაური არ გავგვიგონია.

— აი, ხედავ... — ამბობს ლილია და მაგრად მეკვრის, — ასეც ვიცოდით. ბანდიტები.

რას ვეტყვი? არაფერს არ ვამბობ. მივიღივართ შავი ფიგურებისაკენ. ძალიან ნელა მივიღივართ. ვაკვირდები ვითვლი: ექვსი კაცია. ჯიბეში გასაღები მოვისინჯე და უეცრად მძაფრი აღტაცებისა და სიმამაცის მოზღვავება ვიგრძენი. მღელვარებისაგან სუნთქვა მეკვრის, გული გაშმაგებით მიძვრის. ისინი რაღაცაზე ხმაშაღლა საუბრობენ, მაგრამ ჩვენამდე ოცოდე ნაბიჯი რომ დარჩა, ჩუმდებიან.

— არ აჯობებდა შენთვის მეკოცნა?

— ნაღვლიანად ამბობს ლილია, — ძალიან ენაობ...

და აი, ერთმანეთს ვხვდებით გზაზე, უკანასკნელ მინდორში. ექვსნი ჩერდებიან, ფარანს ანთებენ, მისი სუსტი, მოწითალო შუქი თოვლს სცილდება

და ჩვენ გვეცემა. თვალბს ვეჭვით. გვათვალეირებენ და ხმას არ იღებენ. ორ მათგანს პალტო გახსნილი აქვს. ერთი გაჩქარებით ამთავრებს პაპიროსის წვეას და თოვლში აფურთხებს. ეული შეძახილს ან დარტყმას. მაგრამ არავინ არ გვეძახის. ჩვენ გავიარეთ.

— გოგოს კი არა უშავს, — დანაწებით ამბობს ვილაცა, — ჰეი, პიოონ, ნუ ფრთხი, თორემ წაგართმევთ!

ლილია თავს ხრის და იღიმება.

— შეგვეშინდა, არა? — მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.

— არა! ოღონდ შენს გამო ვშიშობდი...

— ჩემს გამო? — გვერდიდან უცნაურად მიყურებს და ნაბიჯებს აწელებს. — მე კი ოდნავადაც არ შემშიშნებია, მარტო თავშალი მენანებოდა.

სადგურამდე ხმას აღარ ვიღებთ. სადგურთან ლილია ფეხის წვერებზე დგება, ფიჭვის ხეს ტოტს ატეხავს, ხიდან თოვლი ეყრება, ტოტს კი ჯიბეში იღებს. მერე ბაქანზე ავიღივართ. არავინ არ არის. საღაროსთან ერთი ნათურა ანათებს და თოვლი ბაქანზე მარილივით ბრწყინავს. ძალიან ცივა და ფეხების ბაკუნს მოვეყვით. რაღაცა ყრულ ტყაცუნობს და ისე მოგორავს ხის ბაქანზე, როგორც ყინულზე. ლილია უცებ მშორდება და მოაჯირს ეყრდნობა. მე ბაქანის კიდესთან, ლიანდაგებს ზემოთ ვდგავარ და კისერს ვიწვლი, ეცდილობ მატარებლის სინათლეს მოვკრა თვალი.

— ალიოშა... — მეძახის ლილია. უცნაური ხმა აქვს.

უვახლოვდები, ფეხები მიკანკალებს. უცებ შემეშინდა.

— მომეკარი, ალიოშა, — მთხოვს ლილია, — სულ მთლად გავიყინე.

მე ვეხვევი და მკვერი ლილიას, და ჩემი სახე თითქმის ეხება მის სახეს. ლილიას თვალბს სულ ახლოს ვხედავ. პირველად ვხედავ ასე ახლოს მის თვალბს. წამწამებზე სქლად ადევს თრთვილი, თავშალიდან თმები გადმოცვენია და თმებზეც თრთვილი ადევს.



რამოდენა თვალეზი აქვს და რა შიშით იყურება! თოვლი კრაკუნობს ჩვენ ფეხქვეშ. ჩვენ არ ვინძრევიტ, მაგრამ ის მაინც კრაკუნობს. რატომ ხმას არ ვიღებთ? თუმცა, ლაპარაკი სულაც არ გვინდა.

ლილია ტუნებს ამოძრავებს. თვალეზი სულ ჩაუშავდა.

— რატომ არ მკოცნი? — მეჩურჩულება.

მე მის ტუნებს ვუყურებ. ვიხრები და დიდხანს ვკოცნი. და მთელი საწყარო უხმანუროდ იწყებს ტრიალს. ტუნები თბილი და ოდნავ დამსკდარი აქვს. კოცნის დროს ლილია მე მიყურებს, ხშირი წამწამები დაუხრია და თვალეზი ოდნავ მოუჭუტავს. მკოცნის და მიყურებს, და ახლა ვხედავ, როგორ ვუყვარვარ.

ასე ვკოცნით ერთმანეთს პირველად. მერე ცივი ლოყით სახეზე მეკვრის და ვდგავართ გაუნძრევლად. ლილიას მხარს ზემოდან ზამთრის ბნელ ტყეს გაყვურებ. სახეზე მის თბილ, ბავშვურ სუნთქვას ვგრძნობ და მისი გულის აჩქარებული ცემა მესმის. ლილია კი, ალბათ, ჩემი გულის ძგერას გრძნობს, მერე იტრუნება. მე ვიხრები, მის ტუნებს ვეძებ და ისევ ვკოცნი. ამჯერად თვალეზს მაგრად ხუჭავს.

შორს დაბალი საყვირი ისმის, თვალისმომჭრელი ვარსკვლავი ელავს. მატარებელი მოდის, ვაგონები მორბიან და თან თოვლის კორიანტელს აყენებენ.

თბილ და ნათელ ვაგონში შევდივართ. კარებს ვიჭახუნებთ და თბილ სკამზე ვჯდებით. ხალხი ცოტაა. ზოგი კითხულობს, გაზეთებს აშრიალებს, ზოგი ყვინთავს და ვაგონთან ერთად ირწყევა. ლილია ჩუმად არის და მთელი გზა გამუდმებით ფანჯარაში იყურება, თუნცა მინები გაყინულია, გარეთ ღამეა და სრულებით არაფრის დანახვა არ შეიძლება.

ალბათ შეუძლებელია მუსტანდ განსაზღვრო ის წუთი, როდესაც სიყვარული გაწვევა. და მეც არაფრით არ შემძლია ვთქვა, თუ როდის შემიყვარდა ლილია. შესაძლოა მაშინ, ჩრდილოეთში რომ მარტოდ მარტო დავეხეტებოდი? ან იქნებ მაშინ, ფანჯარაში რომ ვიციქირებოდი საღამოთი და მას ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა? ან იქნებ ბაქანზე რომ ვაკოცე, მაშინ? ან იქნებ მაშინ, როდესაც პირველად გამომიწოდა ხელი და ნაზად მითხრა თავისი სახელი: ლილია.

არ ვიცი. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ახლა უმისობა აღარ შემიძლია. ახლა მთელი ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: ლილიამდე და ლილიასთან ერთად. როგორ ვიცოცხლებდი ან რა ვეღირებოდი უმისოდ? ამაზე ფიქრი ისევე არ მინდა, როგორც არ მინდა ჩემი ახლობლების სიკვდილზე ფიქრი.

ჩვენი ზამთარი საუცხოოდ გავიდა. ყველაფერი ჩვენი იყო, ყველაფერი საერთო იყო: წარსული და მომავალი, სიხარული და მთელი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. რა ბედნიერი დროა, რა დღეები, რა თავბრუსხვევა!

მაგრამ გაზაფხულზე რაღაცას ვამჩნევ. არა, კი არაფერს ვამჩნევ, მხოლოდ გულისტკივილით ვგრძნობ, რომ რაღაც ახალი იწყება. ამის გამოხატვა ძალიან ძნელია, უბრალოდ, ჩვენს ხასიათებში სხვადასხვაობამ იჩინა თავი. მას არ მოსწონს ჩემი შეხედულებანი, დასცილნის ჩემს ოცნებებს, უწყალოდ დასცილნის და რამდენიმეჯერ ვკინკლაობთ კიდეც... მერე... მერე ყველაფერი მეწყურს მიაქვს, სულ უფრო სწრაფად მიაქვს, სულ უფრო საშინლად. ლილია ხშირად აღარ არის სახლში, ჩვენი საუბრები არაბუნებრივად მხიარული და უშინაარსო ხდება. ვგრძნობ, როგორ მიღის ლილია ჩემგან სულ უფრო და უფრო შორს, უფრო და უფრო შორს...

რამდენი ახალგაზრდა ქალიშვილია ამ ქვეყნად! მაგრამ შენ მხოლოდ ერთი იცი, მხოლოდ იმ ერთს უყურებ თვალებში, ხედავ მათ ელვარებას, სიღრმესაც, შეუქსაც, მხოლოდ მისი ხმა გადელევებს სულის სიღრმემდე, მხოლოდ მისი ხელების კოცნაც კი გეშინია. ის გელაპარაკება, ვისმენს, იცინის, ჩუმად არის, და შენ ხედავ, რომ ერთადერთი შენ უნდობარ, რომ მხოლოდ შენით და შენთვის ცხოვრობს, რომ მხოლოდ შენ ერთი უყვარხარ, ისევე როგორც შენ გიყვარს ის.

მაგრამ არა, შიშით ამჩნევ, რომ ახლა მისი თვალები, რომლებიც ადრე შენ გაძლევდნენ თავის სიტბოს, თავის ელვარებას, თავის სიცოცხლეს, ახლა მისი თვალები ცივია, და თვითონაც იმსიშორეს წასულა შენგან, სადაც უკვე ველარ მიწვდები, საიდანაც უკვე ველარ დაიბრუნებ. ეს სიკვდილს ჰგავს. შენი ყველაზე წმინდა მისწრაფებანი, იღუწალი და ამაყი ფიქრები მისთვის აღარ არსებობს, და თვითონაც შენ, შენი სულის მთელი სირთულითა და სილაშხით, მისთვის აღარ არსებობს. შენ მას მისდევ, დამბული ხარ, მაგრამ ყველაფერი ამაოა, ამაო, ყველაფერი ისე აღარ არის რაც იყო და აღარც ისეა. გავისბლტა, წავიდა, სადაც თავისთავში, თავის საუცხოო, განუმეორებელ სამყაროში ჩაიკეტა, შენ კი იქვერ შეხვალ, შენ ცოდვილი ხარ — და სამოთხე შენთვის დაკარგულია. როგორი სასოწარკვეთილება, სინანული და მწუხარება გიპყრობს! დაცლილი ხარ, მოტყუებული, განადგურებული და უბედური! ყველაფერი წავიდა, გაქრა და ხელცარიელი დარჩი. სწორედ რომ დროა დავარდ და საკუთარ ტკივილსა და უმწეობაზე იყვირო. და შენც დავარდები და იყვირებ. ის შემოგხედავს, თვალებში შიში ჩაუდგება, შეკრთება, შეგიცოდებს — ყველაფერი იქნება, მაგრამ ის, რაც შენ გინდა, მის თვალებში არ გამოჩნდება. და ერთადერთ შემოხედვას შენ ვერ მიიღებ, მისი სიყვარული, მისი სიცოცხლე შენთვის

აღარ არის. შეგიძლია გმირიც გახდე, გენოსიც, ადამიანი, რომლირაც მთელი ქვეყანა ამაყობს, მაგრამ ერთადერთ შემოხედვას ვერასოდეს ველარ დაიბრუნებ.

და აი, გაზაფხულდა... უხვადაა მზე და სინათლე, ცისფერია ცა, ბულვარებზე ცაცხვის წებოვანი სუნი ტრიალებს. ყველა გამოცოცხლებულია, ყველა მისის შესახვედრად ემზადება. შეც ვეზადები. ასი მანეთი მოვავროვე. — მდიდარი კაცი ვარ! და წინ მთელი სამი დღე მაქვს თავისუფალი. სამი დღე, რომელთაც ლილიასთან გვატარებ, — ამ სამ დღეს ხომ მაინც არ წავა სამკითხველოში გამოცდებისათვის მოსამზადებლად! არა, მე არსადაც არ წავალ, არავითარი ამხანაგები არა მჭირდება, ამ დღეებში მასთან ვიქნები. ისე დიდი ხანია ერთად არ ვყოფილვართ... მაგრამ კიდევ მჯერა, მჯერა და ბედნიერების იმედი მაქვს.

არა, მას არ შეუძლია ჩემთან ყოფნა. აგარაკზე უნდა წავიდეს, ავადმყოფ ბიძასთან. მისი ბიძა ავად არის და მოწყვნილია, მისის შეხვედრა მახლობლებთან ერთად უნდა, და აი, ისინიც მიემგზავრებიან — მისი მშობლები და თვითონ, შესანიშნავია! ძალიან კარგია აგარაკზე შეხვედე მისს, მაგრამ მე ისე მინდა მასთან ყოფნა... იქნებ ორში? ორში? — ლილიას წარბები შეუქრავს და ფიქრობს, ოდნავ წითლდება. ჰო, შეიძლება თავი დაიძვიროს... რა თქმა უნდა, მას ძალიან უნდა ჩვენ ხომ ამდენი ხანია ერთად არ ვყოფილვართ! მაშ ასე, ორში, საღამოს, გორკის ქუჩაზე, ტელეგრაფთან.

დათქმულ საათზე ტელეგრაფთან ვდგავარ. რამდენი ხალხია ირგვლივ! ჩემს ზემოთ გლობუსი ბრუნავს. ჯერ კიდევ ბინდია, ის კი უკვე ანათებს — ცისფერი, ყვითელი კონტინენტებით — და ნელა-ნელა ბრუნავს. ყველაფერი გაჩირადდნებულია. ოქროს თავთავები, ცისფერი და მწვანე ნაპერწკლები. ილუმინაციის შუქზე ყველანი ძალიან ლამაზები ჩანან. ჯიბეში ასი მანეთი

მაქვს — გუშინ არ დაეხარჩე. ვინ იცის, საით გაწვევთ დღეს მე და ლილია. პარკისკენ ან კინოში... მოთმინებით ვიცდი. მოდიან და მოდიან ვაჟები და ქალიშვილები. ერთნი უცებ ხვდებიან ერთმანეთს და ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან. მეორენი ირგვლივ იხედებიან, ტუჩებს იკვნეტენ, მერე გულგრილ სახეს ღებულბობენ. მაგრამ მე ვიცი, რომ ისინი წერეთლები არიან. მხოლოდ მე ვარ დამშვიდებული. რა თქმა უნდა, მე მშვიდად ვარ.

ხალხის ნაკადი პირდაპირ ქუჩის შუაგულში მიაბიჯებს. რამდენი ვაჟი და ქალიშვილია, და ყველა მღერის, ან ყვირის რაღაცას, აკორდეონსაც უკრავენ. ყველა სახლი აღმებით, ღოჭუნგებით, ფერადი სხივებითაა შემკული. მღერიან; მეც კი შემოვძახებდი სიმღერას; ხმაც ხელს მიწყობს, ბანი მაქვს. ოდესღაც მომღერლობაზე ვოცნებობდი.

უცებ ლილიას მოგკარი თვალი. ხალხს მოარღვევს და ჩემსკენ მოემართება, კიბის საფეხურებზე ამოდის, ისე ლამაზია, ყველა თვალს აყოლებს, ასე ლამაზი არასოდეს არ მინახავს. გული გამაღებთ მიძგერს. ლილიამ სწრაფად მოაგლო თვალი ყველას; მისი თვალები ერთი სახიდან მეორეზე გადარბიან, ვიღაცას ეძებენ. ისინი მე მეძებნენ.

მე ლილიასკენ ერთ ნაბიჯს ვდგამ, მხოლოდ ერთ ნაბიჯს და უცებ გულში მწვავე ტკივილს ვგრძნობ. პირიც მიშრება. ლილია მარტო არ არის! ლილიას გვერდით ბერეტნიანი ახალგაზრდა ვაჟი დგას და მე მიყურებს. ლამაზი ვაჟია, ლილიასთვის ხელმკლავი გაუკეთებია. დიან, ხელმკლავი, მაშინ როცა მე გაცნობიდან მხოლოდ მეორე თვეზე გავბედე ამის გაკეთება.

— გამარჯობა, ალიოშა! — ამბობს ლილია. ხმა ცოტა უკანკალებს, თვითონაც შემცბარია. ოდნავ, სულ ოდნავადაა შემცბარი. — დიდი ხანია იცდი? ჩვენ მგონი დაეიგვიანეთ...

ლილია გლობუსის ქვემოთ რომ საათია, იმას შეჰყურებს და ოდნავ იღუშება. მერე თავს აბრუნებს და ვაჟს უყუ-

რებს. როდესაც ვაჟს უყურებს, ძალიან ნაზი სახე აქვს. ნეტავი მე თუ მიყურებდა ოდესმე ასე?

— გაიცანით!

ჩვენ ერთმანეთს ვეცნობით. ვაჟი ხელს მაგრად მართმევს. ხელის ჩამორთმევაში მტკიცე რწმენა და უპირატესობა იგრძნობა.

— იცი, ალიოშა, დღეს მე და შენ არაფერი არ გამოგვივა. ჩვენ ახლა დიდ თეატრში მივდივართ... ხომ არ გეწყინა?

— არა, არ მწყინია.

— გაგაცილებს ცოტაზე? ახლა ხომ მაინც თავისუფალი ხარ.

— გაგაცილებთ, მართლაცდა, არაფერი მაქვს გასაკეთებელი.

ნაკადს ვუერთდებით და ნაკადთან ერთად მივექანებით ქვევით, „ხოტინი რიადისკენ“, რისთვის მივდივარ? რა მემართება? ირგვლივ მღერიან, აკორდეონი უკრავს, სახლის სახურავებზე რეპროდუქტორები გრგვინავენ. მაგრამ მე რატომ მივდივარ, სად მივდივარ?

— როგორ არის ბიძია? — ვეკითხები.

— ბიძია? რომელი ბიძია?... აჰ, შენ გუშინდელზე მეუბნები?

ლილიამ ტუჩი მოიკვნია და სწრაფად შეხედა ვაჟს.

— ბიძია მომგობინდა... ძალიან კარგად შეგხვდით მაისს, ისეთი მხიარულება იყო! ვცეკვავდით... შენ? შენც კარგად შეხვდი?

— მე? შესანიშნავად.

— ჰო? ძალიან მიხარია.

დიდი თეატრისკენ შევეხვეით. ახლა მე აღარ მიმყავს ხელმკლავით. მისი ხელი ამ ლამაზ ვაჟს უჭირავს. და ახლა ის ჩემთან აღარ არის. ის იმასთანაა, ის ახლა ჩემგან ათას ვერსზეა. ეს რა მიღიტინებს ყელში? თვალებიც რატომ მეწყვის? ავად ხომ არ გავხდი? დიდ თეატრს ვუახლოვდებით, ვჩერდებით, ჩუმად ვართ... სრულიად არაფერი გვაქვს სალაპარაკო. ვხედავ, ვაჟმა ოდნავ მოუჭირა ხელი ლილიას იდაყვს.

— აბა, ჩვენ წავედით, ნახვამდის! — ამბობს ლილია და მიღიმის. რა არაფრის

მთქმელი ღიმილია! ხელი მაინც მშვენიერი აქვს.

ხელს ვართმევ. ისინი მიტრიალებიან და ნაჩქარევად მიაბიჯებენ სვეტებს ქვეშ. ვაჟი მისკენ ახლოს იბრება და ღიმილით რაღაცას ეუბნება. მე კი ვდგავარ და ღილიას თვალს ვაყოლებ. ძალიან გაიზარდა ამ ერთ წელიწადში. ჩვიდმეტი წლისაა უკვე. მსუბუქი ტანი აქვს. სად ვიგრძენი პირველად მისი ტანი? ჰო, ჭიშკრის შავ ხახაში, ჩრდილოეთიდან რომ ჩამოვედი. მაშინ მისმა ტანადობამ გამაოცა. მერე კი მისი მშვერით ვტკბებოდი სვეტებიან დარბაზში და კონსერვატორიაში. მერე კრემლში განართულ ბაღზე... გასაოცარი ზამთრის ბაღი! ახლა კი მიდის და უკანაც არ იხედება. ადრე, როცა მიდიოდა, უსათუოდ მოიხედავდა ხოლმე. ხანდახან უკან ბრუნდებოდა კიდევ, ყურადღებით მაცქერდებოდა სახეში და მეკითხებოდა:

— რაიმეს თქმა ხომ არ გინდოდა?

— არა, არაფრის, — სიცილით ვპასუხობდი, ბედნიერი ვიყავი რომ დაბრუნდა.

ის სწრაფად მიმოიხედავდა ირგვლივ და მეტყობდა:

— მაკოცე!

და მეც ვკოცნიდი ყინვისაგან გათოშილს, მოედანზე ან ქუჩის კუთხეში, უყვარდა ქუჩაში ეს წამიერი კოცნა.

— რა იციან! — ამბობდა ხოლმე ხალხზე, რომელთაც შეეძლოთ დაენახათ ჩვენი კოცნა, — მათ არაფერი არ იციან! იქნებ ჩვენ და-ძმა ვართ, არა?

ახლა კი უკან აღარ იხედება. მე ვდგავარ. ხალხი გვერდს მივლის. გვერდს მივლის, როგორც ბოძს, როგორც ნივთს. ისმის სიცილი. მიდიან ორ-ორად, სამ-სამად, ჭგუფ-ჭგუფად, კაციშვილს ვერ დაინახავ მარტოდ-მარტოს. მარტოხელასთვის აუტანელია სადღესასწაულო ქუჩა. მარტოხელები ალბათ სახლში სხედან. მე ვდგავარ და ღილიას თვალს ვაყოლებ. აი, ისინი უკვე მიიშალნენ განათებულ შესასვლელში. მთელი საღამო ოპერას მოუსმენენ და ერთმანეთის სიხლოვით დატკბებიან. ჩემს ზემოთ,

ისფერ ცაში გასაფრენად ემზადება და ვერაფრით ვერ გაფრენილსა და ფრთაშესხმული ოთხცხენა.

## 6

გავიდა ერთი წელი. ღილია თითქმის დამავიწყდა. რა თქმა უნდა, გადავავიწყვდა. უფრო სწორად, ვცდილობდი არ მეფიქრა ღილიაზე. რა ბედენაა ფიქრი? ერთხელ ქუჩაში შევხვდი, გავფთორდი და ზურგიც გამიცივდა, მაგრამ თავი შევიკავე. ვცდილობდი არ შემეხედა, კბილი კბილს დავაპირე. მე ხომ სრულიად აღარ მაინტერესებდა მისი ცხოვრება. არც მე მიკითხავს, როგორ ცხოვრობს ის და არც იმას უკითხავს როგორ ვცხოვრობ მე. თუმცა ამ ხნის მანძილზე ჩემს ცხოვრებაში მრავალი რამ მოხდა. წელიწადი — ეს ხომ ძალზე დიდი დროა!

ესწავლობ ინსტიტუტში. ძალიან კარგად ესწავლობ, სწავლაში ხელს არაფერი მიშლის, არაფერი მეძახის სასერიზოდ. ბევრი საზოგადოებრივი დავალებაც მაქვს. საცურაოდ დავდივარ და პირველი თანრიგის ნორმაც შევასრულე. როგორც იქნა კროლს დავეუფლე. კროლი — ყველაზე სწრაფია. თუმცა ეს არ არის მთავარი. რა შუაშია აქ კროლი?

ერთხელ ღილიასაგან წერილს ვღებულობ. ისევ განათებულია და ისევ განხარებული ვარ. მიყვარს განათებული. პირველი კურსის გამოცდებს ვაბარებ და აი, ღილიასაგან წერილს ვღებულობ. მწერს, რომ გათხოვდა. და მე უცებ გამახსენდა, როგორ ვიხრჩობოდი ბავშვობაში. ვიღაც სულელი აყლავდა დამეტაკა, წამეტანა და წყალში რობრობით ჩამაყუდა. მე ვიკბინებოდი, ვიკლაკნებოდი, ამოსუნთქვას ვცდილობდი, ირგვლივ რაღაც მწვანე ხმაურობდა მხოლოდ, ვიხრჩობოდი, წყალს ვყლაპავდი, ყვირილიც კი არ შემეძლო... მოიცა, რას ვამბობ? ჰოო, გათხოვდა... მწერს, რომ ქმართან ერთად ჩრდილოეთში მიემგზავრება და ძალიან მთხოვს გასაცილებლად მივიღე. „საყვარელს“

მიწოდებს და წერილს ასე ამთავრებს:  
„შენი ძველი, ძველი ნაცნობი ლილია“.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვზივარ და შპალერს შევცქერო. ჩვენ ძალიან ლამაზი, უცნაური ნახატებით შესრულებული შპალერი გვაქვს. მიყვარს ამ ნახატების ცქერა. რა თქმა უნდა გავაცილებ, რაჯი მას ასე სურს. რატომაც არა? ლილია ჩემი მტერი არაა, ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. გავაცილებ, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია ყველაფერი დავივიწყე: რა არ მოხდება ცხოვრებაში! განა ყველაფერს დაიმახსოვრებ, რაც ერთი წლის წინ თავს გადაგზდა?

და მეც მივდივარ სადგურზე და-თქმულ დღეს. ეს ისევ ის სადგურია, საიდანაც ოდესღაც მივემგზავრებოდი, ისევ ის სუნი ტრიალებს, შორეული მგზავრობის ისევ ის მტანჯველი წინათგამჩნობა მეუფლება.

მე ის უცებ დავინახე და შევკრთი კიდეც. საოცარია, რატომ შევკრთი, — ავი ყველაფერი გათავდა. ლილიას მოკლე საბელოებიანი ღია ფერის კაბა აცვია. მზე უკვე მოკიდებია ხელებსა და სახეზე. ხელები ისევ ისეთი ნაზი აქვს. მაგრამ სახე გამოცვლია, ეს უკვე ქალის სახეა, ის უკვე გოგონა აღარ არის, არა, აღარ არის გოგონა... მას მშობლები და ქმარი ახლავს თან, სწორედ ის ყმაწვილი. ყველანი ხმაშემაღლა, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობენ და იციან, მაგრამ მე ვამჩნევ, როგორ მოუთმენლად იხედება ლილია უკან: ის მე მელოდება.

ვუახლოვდები. ლილია მიშინვე ხელმკლავს მიკეთებს.

— ამ წუთში მოვალ, — ეუბნება ქმარს ნაზი ღიმილით.

ქმარი თავს უქნევს და ალერსიანად მიყურებს. ჰო მე მას ვახსოვარ. ხელსაც დიდსულოვნად მიწვდის. მერე მე და ლილია განზე ვდგებით.

— აი, მე უკვე მანდილოსანი ვარ, მივემგზავრები კიდეც და მშვიდობით, მოსკოვო! — ამბობს ლილია და ნაღვლიანად შეცქერის სადგურის კოშკს. — მიხარია, რომ მოხვედი. უცებ შენი ნახვა მომინდა. ისე უცნაურია რაღაც ყველა-

ფერი... ძალიან გაზრდილხარ, როგორ ხარ?

— კარგად, — ვპასუხობ მე და გული-ქებას ვცდილობ. მაგრამ ღიმილი არ გამომდის, რატომაც სახე მიშეშდება.

ლილია ყურადღებით მიყურებს, შუბლი ნაოკებმა დაუსერა. ასე იციან ხოლმე, როდესაც ფიქრობს.

— რა მოგდის? — მეკითხება.

— არაფერი, უბრალოდ მახარებს შენი ამბავი. დიდხანია ვათხოვდი?

— მხოლოდ ერთი კვირაა. ისეთი ბედნიერი ვარ!

— ჰო, რა თქმა უნდა...

ლილია იცინის.

— შენ რა იცი? მაგრამ მოიცა, ძალიან უცნაური სახე გავქვს!

— გეჩვენება. ალბათ შზის ბრალია. მერე კიდევ, ცოტათი დავიღალე, ახლა ხომ გამოცდები მაქვს. გერმანული...

— წყველი გერმანული? — იცინის ის. — გახსოვს, გეხმარებოდი ხოლმე?

— კი, მახსოვს... — ბაგეს ვესხნი და ვიღიმები.

— გამიგონე, ალიოშა, რა მოხდა? — შეშფოთებით მეკითხება ლილია და ჩემსკენ მოიწევს.

და მე ისევ ახლოს ვხედავ მის ლამაზ სახეს, საიდანაც უკვე გაქრა რაღაც, დიახ, მისი სახე გამოიცივალა. ახლა თითქმის უცხოა ჩემთვის. ოღონდ ვერ გადამიწყვეტია, უფრო კარგი ვახდა თუ არა.

— შენ რაღაცას მალავ, — მსაყვედურობს ლილია, — უწინ ასეთი არ იყავი!

— არა, არა, ცდები, — დარწმუნებით ვეუბნები, — უბრალოდ, არ მეძინა წუხელ.

ლილია საათს უყურებს. მერე უკან იხედება. ქმარი თავს უქნევს.

— ახლავე! — უძახის ქმარს და ისევ ბეილებს ხელს, — იცი, როგორი ბედნიერი ვარ! ჩრდილოეთში მივდივარ სამუშაოდ... გახსოვს, ჩრდილოეთზე რომ მიამბობდი ხოლმე? აი... გიხარია?

რატომ, რატომ მეკითხება ამას! უცებ სიცილს იწყებს.

— იცი, რა გამახსენდა... გახსოვს, ზამ-

თარში, ბაქანზე რომ ერთმანეთს ვაკოცეთ? მე შენ ვაკოცე, შენ კი ისე კანკალებდი, რომ ბაქანი ჭრიჭინებდა. ჰა-ჰა-ჰა... ისეთი სულელური სახე გქონდა.

ლილია იცინის, მერე მხიარული, ნაცრისფერი თვალებით შემომცქერის. დღისით ნაცრისფერი თვალები აქვს. მხოლოდ ღამით ჩანან ისინი მუქი. ლოყებზე ფოსოები უთრთის.

— რა სულელები ვიყავით! — უზრუნველად ამბობს ლილია და ქმრისკენ იხედება. თვალებში სინაზე უკრთის, როდესაც ჩემკენ ბრუნდება, ვხედავ ამ სინაზეს, რომელიც მე არ მეკუთვნის და კიდევ რაღაცას, კიდევ რაღაც საიდუმლოს...

— ჰო, ჩვენ სულელები ვიყავით, — ვეთანხმები.

— არა, სულელები კი არა, არა, ჩვენ უბრალოდ, უფუნური ბავშვები ვიყავით. ხომ მართალია?

— ჰო, ჩვენ უფუნური ბავშვები ვიყავით.

წინ შექნისნის მწვანე სინათლე ინთება.

ლილია ვაგონისკენ მიდის.

— აბა, მშვიდობით! — ამბობს ის. — არა, ნახვამდის! წერილს მოგწერ აუცილებლად!

— კეთილი.

ვიცი, რომ არ მომწერს. რისთვის? მანაც იცის. გვერდულად შემომცქერის და ოდნავ წითლდება.

— იცი, მე მაინც მიხარია, გასაცილებლად რომ მოხვედი და, რა თქმა უნდა, ყვავილებიც არ მოგიტანია! ერთი ცალი ყვავილიც კი არასდროს გიჩუქებია.

ხელს მიშვებს და მერე ხელშკლავს უკეთესს ქმარს და ისინი ვაგონში აღიან. ჩვენ ჭვევით, ბაქანზე ვრჩებით. მისი მშობლები რაღაცას მეკითხებიან, მაგრამ მე არაფერი არ მესმის. წინ ხმადაბლა და დიდხანს გუგუნებს ელექტრომავალი. ვაგონები იძვრიან.

«დამშვიდობებისას ბილუთი მაჩუქე, გავყვები სადმე მატარებელს» — ვიგონებ. საოცრად რბილად ძრავს ვაგონებს

ელმავალი! ყველა ილიმებზე ცხვირსა-ნოცებს, ქულებს იქნევენ, ვაგონებს მისდევენ. სხვადასხვა ადგილას ორი თუ სამი გარმონი უკრავს. ერთ ვაგონში ხმამაღლა და ხმაშეუწყობლად მღერაინ. ალბათ, სტუდენტებია. ლილია უკვე შორსაა. ერთი ხელით ქმრის მხარს ჩასჭიდებია, მეორეს კი გვიქნევს. შორიდანაც კი ჩანს, რა ნაზი ხელები აქვს. და კიდევ ნაღველ-შერეული ბედნიერი ღიმილიც ჩანს.

მატარებელი წავიდა. მე პაპიროსს ვუკიდებ, ხელებს ჭიბეებში ვიწყობ და გამვლელებთან ერთად გასასვლელისკენ მივდივარ. პაპიროსს კბილებს ვუჭერ და ვერცხლისფერი ელექტრონის ბოძებს შევცქერი. ისინი ლაპლაპებენ, თვალებიც კი მატკინეს. თვალს დაბლა ვხრი. ახლა შემიძლია ვაღიარო: მთელი წელიწადი ჩემში მაინც ცოცხლობდა იმედი, და აი, ყოველივე გაათავდა. ჰოდა კარგი, მე მახარებს ლილიას ამბავი. პატიოსნებას ვფიცავ, მახარებს, მაგრამ რატომღაც ძალიან მტკივა გული.

ჩვეულებრივი ამბავია — ქალიშვილი გათხოვდა, ეს ხომ მუდამ ასე ხდება. ქალიშვილები თხოვდებიან, ეს ძალიან კარგია. მხოლოდ ცუდია ის, რომ ტირილი არ შემიძლია. უკანასკნელად ხუთმეტი წლისამ ვიტირე. ახლა მეოცე წელში ვარ. გულიც ყელში მომებჯინა და სულ უფრო მაღლა იწევს, მე კი ტირილი არ შემიძლია.

მოედანზე გამოვდივარ და თვალში მხვდება ყაზანის ვაგზლის საათის ციფერბლატი. ციფრების მაგიერ უცნაური ფიგურებია. ვერაფრით ვერ გავრკვეულვარ ამ ფიგურებში. მომწყურდა და წყლის გამყიდველთან მივედი. ჯერ სიროფით მინდოდა, მაგრამ მერე გადავიფიქრე და უბრალო წყალი მოვთხოვე. უხერხულია სიროფით დალევა, როდესაც გული ყელში გებჯინება. ცივ, სველ კივას ვიღებ და პირში წყალს ვიგუბებ. მაგრამ გადაყლაპვა არ შემიძლია, როგორც იქნა გადავყლაპე ერთი ყლუპი. მხოლოდ ერთი ყლუპი. მე მგონი, ცოტა მომეშვა.

მერე მეტროში ვცდები. რაღაც მოუვი-  
და ჩემს სახეს. ვამჩნევ, რომ დაჟინებით  
შემომყურებენ. შინ ცოტა ხანი კიდე  
ვფიქრობ ლილიაზე. შემდეგ ისევ ნახა-  
ტებს ვათვალისწინებ შპალერზე. კარგად  
რომ დააქვრდები ამ ნახატებს, მერე  
ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტან და  
სხვა რამეზე ფიქრებ, შეიძლება უცებ  
ბევრი საინტერესო რამ დაინახო. შეი-  
ძლება დაინახო ჭუნგლები და ხორთუმი-  
აწეული სპილოები, ანდა ბერეტებსა და  
საწვიმრებში გამოწყობილი უცნაური  
აღამიანების ფიგურები. ანდა შენი ნა-  
ცნობების სახეები. მხოლოდ ლილიას  
სახე არაა შპალერზე. ლილია ახლა აღ-  
ბათ იმ ბაქანს ჩაუვლის, სადაც ჩვენ  
პირველად ვაკოცეთ ერთმანეთს. ოღონდ  
ახლა ბაქანი სულ მწვანეშია ჩაფლული  
და მისი ფიცრებიც მზისაგან გამხმარი  
და ცხელია. გადმოხედავს კი ის ამ ბა-  
ქანს? თუმცა, რატომ უნდა გადმოხე-  
დოს? ის ახლა თავის ქმარს უყურებს.  
უყვარს. ძალიან ლამაზი ქმარი ჰყავს.

7

არაფერია ამ ქვეყნად მარადიული,  
თვით მწუხარებაც კი. ცხოვრება არ  
ჩერდება. არა, ცხოვრება არასოდეს არ  
ჩერდება, მბრძანებლურად შემოდის  
შენ სულში, და ყველა შენი სევდა-ნაღ-  
ველი, პატარა აღამიანური სევდა-ნაღვე-  
ლი, ცხოვრებასთან შედარებით პატარა,  
სულ პატარა სევდა-ნაღველი; კვამლი-  
ვით ქრება. ასე შესანიშნავადაა სამყარო  
მოწყობილი.

ახლა მე ინსტიტუტს ვამთავრებ. გა-  
თავდა ჩემი სიყმაწვილე, შორს, ძალზე  
შორს და სამუდამოდ უკან დარჩა. და  
ესეც კარგია. მე მოწიფული კაცი ვარ  
და ყველაფერი შემიძლია, ბავშვით  
აღარ მიჩეჩავენ თმებს, მალე მეც წა-  
ვალ ჩრდილოეთში. არ ვიცი, რატომღაც  
სულ ჩრდილოეთისკენ მიმიწევს გული.  
აღბათ იმიტომ, რომ ოდესღაც იქ ვნა-  
ღირობდი და ბედნიერი ვიყავი.

ლილია სულ მთლად გადამავეიწყდა:

იმდენმა წელმა განვლო! ცხოვრება ძა-  
ლიან ძნელი იქნებოდა, არაფერი რომ  
არ გავიწყდებოდეს. მაგრამ, საბედნიე-  
როდ, ბევრი რამ გავიწყდება. რა თქმა  
უნდა, არაფერი მოუწერია ჩრდილოე-  
თიდან. სად არის არ ვიცი, და არც მინ-  
და ვიცოდე. მასზე სულაც აღარ ვფიქ-  
რობ. ცხოვრებით კარგად ვცხოვრობ.  
იართალია, არც პოეტი გამოვედი, არც  
პომღერალი... მაგრამ მერე რა, ყველა  
როდი იქნება პოეტი! სპორტული შე-  
ჯობებები, კონფერენციები, პრაქტიკა,  
გამოცდები — ყველაფერი ეს დიდ-  
დროს მართმევს. ერთი წუთიც არ მაქვს  
მოცლა. გარდა ამისა, ვისწავლე ცეკვა,  
გაიცანი ბევრი ლამაზი და ჭკვიანი ქა-  
ლიშვილი, ვხვდები მათ. ზოგიერთი შე-  
მიყვარდა და იმათაც შევუყვარდი.

მაგრამ ხანდახან ლილია მესიზმრება.  
ვხედავ ლილიას სიზმარში, მესმის მისი  
ხმა, მისი ნაზი სიცილი, ვეხები მის ხე-  
ლებს, ველაპარაკები — რაზე, არ მახ-  
სოვს. ხან ნაღვლიანია, ხან მხიარული,  
ლოყებზე ძალიან პატარა, უცხო თვა-  
ლისთვის შეუმჩნეველი ფოსოები  
უთრთის, მუქი თვალები უბრწყინავს.  
მაშინ მეც გამოვეცოცხლებდი, მეც ვი-  
ცინი, თავს ახალგაზრდად და მორცხვად  
ვგრძნობ. თითქოს ისევ ჩვიდმეტი წლის  
ვარ, თითქოს ბედნიერი ვარ და სიცო-  
ცლეში პირველად შემეყვარდა...

დილით ვიღვიძებ და დიდხანს ვწევარ  
თვალდაახუჭული. აღარ ვვარჯიშობ. მერე  
ინსტიტუტში მივდივარ ლექციაზე.  
პროფკომში ვმორიგეობ ან კომკავში-  
რულ კრებაზე გამოვდივარ. მაგრამ რა-  
ტომღაც სიმძიმე მაწევს გულზე იმ  
დღეს და მარტოდ ყოფნა მინდა.

მაგრამ ეს იშვიათად ხდება. და მერე  
ეს ყველაფერი ხომ სიზმრებია. სიზმრე-  
ბი... დაუპატიებელი სიზმრები! ამბო-  
ბენ, მარჯვენა გვერდზე თუ დაწვები-  
სიზმრებს არ ნახავო. ახლა მარჯვენა  
გვერდზე დავიძინებ ხოლმე.

ოჰ, როგორ არ მიყვარს სიზმრები!

თარგმანი ლიანა ჩხეიძისა.



ირაკლი კინწარაშვილი

## ჩალი გუის ცდომილზე

წინასწარი მოთხრობა

ამ უცხო ცდომილზე ორი მოკაშკაშე მზე  
კიაფობს. თეთრი, თაკარა სხივებია ყველ-  
გან, თითქოს სადაცაა აღუდღებია წითელი  
ოკვანე. წითელი ორთქლი საზარელ ურჩ-  
ხულებს ხატავს ცაში.

აქ თითქმის არსად ჩანს ხმელეთი, იშ-  
ვიათად თუ გაივლებს წყლიდან ხანჯალი-  
ვით ამოჩრდილი სიბი კლდის წახნაგი.

ვიღაც წვეს ტალღებზე, ტალღისავე ფერი-  
სა და ტალღისავეით მოქნილი. წყალთან  
ერთად მისი სხეულიც ირწყვია ნაზად და  
სისხლისფერ ოკვანეში ძნელი გასარჩევი  
ხდება. ის არ გავს ადამიანს, მაგრამ ადამი-  
ანეით მიფიცხებია ორ მზეს. ხარბად იწოვს  
სხივებს სხეულით, და ნებივრობს.

რალაც გაიფიქრა და საშინელი სიძლიე-  
რის აფეთქებამ იელვა. ყუმბარასავით გას-  
კდა ცაზე რომელიღაც მზე, მიმოიფანტა  
გიგანტური პროტუბერანცი, სპირალივით  
დაიკლაკნა გავარვარებული ატმოსფერო.  
სიამით გააზმორა. მზიური ენერგიის ახალი  
ნაკადი შეისრუტა. ოდნავ ჩაეშვა ტალღებში  
და მაშინვე ამოტივტივდა.

უცებ სამკუთხა ჩრდილია გადასერა ოკე-  
ანე. მასლობლად დაეშვა. ტალღებზე მწო-  
ლარემ ღამურის წივილისებური ბგერა შეა-  
გება.

— ნის! შენ დაბრუნდი ცისფერ ცდო-  
მილიდან? რას პოულობ იქ გასართობს,  
ნის!

— ცისფერ ცდომილზე მე ვოცნებობ  
ხოლმე, სიი!

— ოცნება ენერგიაა.

— ოცნება სიყვარულია, სიი!

— სიყვარული? არ მესმის.

— მე განგაცდევინებ.

— ახლა არის მზეები და სიამე... ეს ყვე-  
ლაფერს ჯობს, ნის!

— ხუთიოდე მილიარდი წლის წინ, შენ  
გააგზავნე პრიმიტიული უჯრედის შემქმნე-  
ლი იმპულსი ცისფერ ცდომილზე. ექსპე-  
რიმენტის მიზანი ევოლუციის მეათე საფე-  
ხური იყო. ის ჩატარდა... რატომ არ შესწ-  
ვავიტე ევოლუცია მაშინვე, სიი?

— მე მას შევწყვეტ ახლა, გავიდა მცირე  
დრო...

— არა! გავიდა დიდი დრო. პრიმიტი-  
ულმა უჯრედმა მიაღწია ევოლუციის უმაღ-  
ლეს საფეხურს, მან მოახერხა ნივთიერების  
უმცირესი ნაწილაკის დაშლა, ევოლუციის  
შეჩერება ახლა დანაშაულია!

— მე ვაწარმოებ გამუდმებით ძიებას  
ცილების სინთეზთა ახალ-ახალ ნაირსახეო-  
ბებზე, ცისფერ ცდომილზე კი თითქმის არ  
არის საჭირო კატალიზატორი. მოსვენე,  
ნის... მზეები საამოდ ანათებენ...

— ცისფერ ცდომილზე ცხოვრობენ მა-  
ღალგონიერული არსებანი, სიი! — დიდხანს  
სდუმდნენ. გაუნძრევლად იწვა სიი, მაგრამ  
ცხადი იყო, ის ფიქრობდა.

— ნის, მე არ თანავგრძნობ მათ; ჯერ  
არ უსწავლიათ დროის დიდი წუთებით  
თვლა. მათი სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა  
და მაინც სიცოცხლის შემოკლებას სწავლო-  
ბენ. არცერთ ექსპერიმენტულ ცდომილზე  
არ იციან გონიერებმა სიკვდილის დაჩქარე-  
ბა, მათ კი აღმოაჩინეს მასობრივი განად-

გურების იარაღი და იკლავენ თავს. მე არ თანავეგრძნობ მათ...

ნისი შეაკრთო ამ სიტყვებმა. მას რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სიი ოდნავ შეირხა და ჩაყვინთა ოკეანის ტალღებში.

მშვეები პორიზონტისაკენ გადაიწვერნენ. ახლა გვერდული ნათება წითელ ოკეანეზე ხანჯლისებური კუნძულების გრძელ ჩრდილებს ტოვებს. მშვეების ანარკლი ცეცხლოვან ხაზად სერავს მთელ ოკეანეთს.

ნისი შეიშარტა. ზამბარასავით მოიზიდა მისი ელასტიური სხეული და გასრიალდა ოკეანის სარკოვან ზედაპირზე. სიი აედევნა, სწრაფად მიქრიან. თეთრი მკერდებით მიპაპობენ წყალს. სიი წამოეწია; წინ წასულს და ოდნავ შეეხო, შვკრთა ლამაზი ნისი.

— მე არ თანავეგრძნობ, სიი! ეს იმდენად პრიმიტიულია ჩვენთან. იქ კი ამ გრძნობას სიყვარულს ეძახიან... შენ თქვი, რომ მათ იციან დიდი სიძულვილი და არ იცნობ მათ სიყვარულს. შენ თქვი, რომ ისინი ადრე კედებიან და არ იცნობ მათ სიცოცხლეს. მე სიამოვნებით დავთმობდი ერთფეროვან მარადიულ სიცოცხლეს, რომ მათთან ერთად, ხანმოკლედ, მაგრამ ლამაზად გამეტარებინა სიცოცხლე.

— სიყვარული სურვილი ყოფილა, ნის... აღამაინი — ერთ-ერთი ექსპერიმენტი...

— იქ ვერ დაიმორჩილეს დრო და ენერგია, მაგრამ ჩვენც ხომ არ ვიცნობთ მათ გრძნობებს... სიი?

— მერე ეგ საჭიროა, ნის?

— შენ უნდა წამომყვე, სიი! იქ, ცისფერ ცდომილზე, ყველაფერი უცნაურად მოჩანს, ხანდახან კედებიან სიცოცხლისათვის, კედებიან სიყვარულისათვის. მე მინდა შენ გაუგო მათ, სიი!

გაქრა მოსაუბრე, გაქრა წითელი ოკეანე და თეთრი მშვეები.



ლურჯი ტბის ნაპირზე ინდიელი ქალიშვილი მირბის. ქაბუკი მისდევს. მაღალი, ნაძენარით დაფარული მთების ფერდები პირდაპირ ტბაში ჩადის. არც ერთი ღრუბელი არ ჩანს ცაზე. ქალიშვილი ძლივს-

და სუნთქავს. წაიფორხილა. დაეცა, ვაჭი დააცხრა. ბუნებამ სუნთქვა შეიკრა. ფოთოლიც არ იძვრის.

უცებ გრგვინვა მოისმა. ყველა მთამ ერთდროულად გამოსცა ექო. ვაჭი წამოხტა, მახელითა წვერები შემოფრკალა მის მკერდს. ოკეანის ნაპირზე დიდი, იალქიანი გემი დგას. გემი საესეა ტყვეებით. იქით წაიყვანეს.

ნაძენარიდან ქალიშვილის შეკვივლება მოისმა; ვაჭის ძლიერმა დარტყვამ ძირს დაანარცხა ბადრაგი. შემდეგ სასროლი ნაჯახი — ტომაპაუკი გაფრინდა, ორი მოძალადიდან განგმირა ერთი. წამომდგარმა დამბაჩა დაახალა გულში ვაჭს. ქალის კივილმა შეაძრწუნა მოძალადენი. წამით გაშეშდნენ თავზარდაცემულები. ქალიშვილი ქარაფიდან გადაეშვა.

სამამო, მაცოცხლებელმა ნიავმა დაბერა. ჩურჩულივით აშრიალდა ფოთლები.

— ვის ეჩურჩულები, ნის?

— ეს ტყე სტირის და მთები ეპასუხება, სიი! მთები აქ მუღამ იმღერებენ ლგვენდას ჩვენს სიყვარულზე.

— ეს სასწაულია, ნის!

— არა, ეს ცისფერი ცდომილია, სიი, თბილი და ცრემლიანი.



— ეშმაკსაც წაუღია!... ავაფეთქეთ თერთმეტი... დამრჩა უკანასკნელი ხელყუმბარის შეკვრა... ორიენტირი სამი... ოცდაათი „ფეხვები“.

— ვვაკუაცია დამთავრებულა... საჭიროა სულ თხუთმეტი წუთი... გამაგრდით, ბიჭებო!!

— აქ დაფრჩით მე და მედიცინის და... მშვიდობით, ბიჭებო...

ყურმილი დაეკიდა.

— ალო!.. ალო!.. ეფრეიტორო.. ალო!..

დედამიწას აზანზარებს ოცდაათი ტანკის გრუზუნი. სკდება ჭურვები. წივის ნაღმები, ჯოჯოხეთური ცეცხლი დაანთო მტერმა. უკანასკნელი გამაგრებული პოზიციის სანგრის ძირზე ეფრეიტორი ზის. ხელყუმბარების შეკვრა ჩაუბლუჯავს, აღმოდებულ ცეცხლის ხაზს უმზერს. გულში ჩაუკრავს

უცნობი მედიცინის და. სიწყნარე და სახელი ვლანდება, აყვავებულ ვაშლოვანში ჩაფლული. ისეთი სიწყნარეა, რომ ფუტკრის ზუზუნის საამოდ ავსებს დილის სიჩუმეს. ეზოში მოფუსფუსე ახალგაზრდა ქალს უმზერს გატაცებით.

მედიცინის და არ ფიქრობს მშვიდობიან დღეებზე. თავი ეფრეთორის მკერდზე მიუდვია. დინჯად და მძლავრად გუგუნებს ჯარისკაცის გული. „მთელი ათეული გაწყდა ბრძოლაში. ეს გულიც რომ შერდებოდა, დამთავრდება მისი სიცოცხლეც. რა კარგია სიბოძო, სიმშვიდე, სიცოცხლე“, ვეაკუცია დამთავრებულია. იქნებ სჯობდეს უკან დაბრუნება?

— იქნებ სჯობდეს უკანდახვევა?

ეფრეთორი შეაკრთო მედიცინის დის სიტყვებმა. გამოერკვა. ფუტკრის ზუზუნის „ფოკერების“ ზმუილმა, ტანკების გრუსუნმა და არტილერიის კანონადამ შესცვალა.

მოემზადა. ბრძოლის ველს დააკვირდა. სანგრიდან ამოხტომა სცადა.

— არა!.. შენ არ დაუწევები ტანკს... ეს უაზრობა... იქ ოცდაათი მოდის... წამოდი... ჯერ შეიძლება გადარჩენა.

„ცრემლი, თბილი ცრემლები, გავიდა მისი საუკუნე, დაო“.

შეუმშრალა ცრემლები. გულში ჩაიკრა.

— იქ, დახვრტილ ტანკებში ერთი გასავალა. ფლაგმანი იმ გასავალში უნდა გამოვიდეს... ის რომ აფეთქდეს...

გაბოხდა. უკანიდან ქვითინი ესმის. მის საფლავს დასტირიან. დასტირიან იმისათვის, რომ ღირსია.

აფეთქების მძლავრმა ტალღამ სანგრის კედელს მიაკრა მედიცინის და.

— სიი! სიი! სიი!

— ნის! მე ჩავხვრტიე გზა! რკინის ურჩხულები ვერ შევლენ ქალაქში. გზა ჩავხვრტიე!..

— შენს სიცოცხლეზე ნიავე იჩურჩულებს მარად!

— ეს იყო სიკვდილი სიცოცხლისათვის, ეს ძალიან წააგავს სიცოცხლეს სიცოცხლისათვის, ნის. ეს წააგავს უკვდავებას.

— 8... 7... 6...

ზემძლავრი ბომბდამშენის მფრინავს მეთაურის თვლა ჩაესმა.

— 5... 4... 3...

ძირს მშვიდობიანი ქალაქი გაწოლილა. ესლა საშინელი სიძლიერის ბომბი წივილით წავა ქვევით. წავა, რომ შესწყვიტოს სიცოცხლე.

მფრინავმა გაფითრებულ სახეზე მოისვა ხელი. აცახცახებული ხელი წითელი დილისაკენ წაიღო. ქვემოთ გადაიხედა და ცივიმა ოფლმა დაახსა.

— ნის!

თვლები მოისრისა მფრინავმა. მომენვენაო, გაიფიქრა. კვლავ გადაიხედა. ახლა თითქოს არ მოჩანდა ქვემოთ საყვარელი ადამიანის სახე, მაგრამ იქ ათასობით ადამიანია. ათასობით სიყვარულია...

— სიი! სიი!.. — მოისმა ქვემოდან.

შეაფრთოლა მფრინავს. საყურებში მძლავრი ბგერები გაისმა.

— 2... 1...

ცერმა ჩაძირა ღილი, მფრინავმა შტურვალი მოზიდა. თვითმფრინავი ცაში აიჭრა, ძირს ათას მზეზე უფრო მოკაშგაშედ განათდა კუნძული.

— სიი!... სიი!... სიი!...

ცეცხლის ბოროტი ენები ცას წვავენ. ძახილი, წივილი. ათასობით ადამიანის შემზარავი კივილი. ამ გოდებაში უაზროდ დანავარდობს ბომბდამშენი. ხან მალა აიჭრება, ხან ცეცხლის კორიანტელისაკენ ეშვება და...

...ფრთხალად მოამორეს მფრინავი საჭებს. ის ხარხარებს... ხარხარებს, ხარხარებს...

• • •

ალისფერ ნისლში გახვეულია ორი მზისცდომილი. გლუვ ოკეანეზე ისევ პაპანაქება ბატონობს. მის სარკოვან ზედაპირზე თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჭრის ვილაც. ის არ გავს ადამიანს. ხან წყალქვეშ ივარგება, ხან ამოცურდება და ისარავით მიჭრის. წითელ ნისლში, იმ ნისლში, საზარელ ურჩხულებს რომ ხატავს ცაზე. ორი მზისცდომილის სქელ ატმოსფეროს ცხრილავს მისი ძახილი.

— ნის!! ნის!!

არ არის ნისი. მოიწყინა. შეაფხა ფიქრმა გაუელვა. ამიტომ აღელდა ოკვანე. გოლიათური ტალღები ცას ებჯინება, სისხლისფრად ღებავს.

— ნის, მე ორთქლად ვაქცევ ოკვანესა და ცდომილებს... სულელურ მზეებს... ყველას და ყველაფერს, ნის! ნის!

მზეებისაკენ შეიმართა სისხლისფერი ოკვანე, დაღარული და დაღადრული, ორთქლსა და ქაფში გახვეული, წითელმა ბურუსმა შთანთქა მზეები, ოკვანის ხანჯლისებური კლდეებიც, პორიზონტებიც.

— სიი!

ძლივს გასაგონად გაისმა...

და შეწყდა ცდომილის განწირული ზანზარი. დაეშვა და დაწყნარდა ოკვანე. დაწყნარდა სიი. ახლა ლოკატორივით ტრიალებს მისი სხეული. ბგერების მიმართულუებას ეძებს.

— სიი!

შეებით ამოისუნთქა სიიმ. ოკვანისაკენ დაეშვა და ტალღაზე გაწვა. გაიფიქრა და რომელიღაც მზემ გიგანტური ცხელი პროტუბერანცი ამოისროლა. სიამით გააზმორა, ტალღებში ჩაეშვა და მაშინვე ამოტივტივდა. შემდეგ ჩურჩული ჩაესმა და გაინაბა.

— შენ იბრძოდი, სიი... იღუპებოდი... იმარჯვებდი...

შენ გაუგე მათ?

ნელა ირწოდა წითელი ტალღები. ირწოდა სულგანაბული სიი. რა ახალბებელი

და თბილი იყო ეს სიტყვები. ეს გაუნგარიშებელი ენერგიის ხარჯვას უნდა ეძღვნა, მაგრამ ის უფრო საამო იყო, ვიდრე საბრძოლო ცხელი პროტუბერანცი.

— შენ გსურდა მოგესპო ასი მილიარდი წლის ევოლუცია... ჩვენი, ცხელი მზეების ცდომილი... ეს სიყვარულია... გამადლობთ, სიი.

დიდხანს სდუმდა ნისი. სდუმდა სიი.

— ნის!

— სიი!..

— მე არ შევაჩერებ ევოლუციას ცისფერ ცდომილზე!

— მიხარია, სიი!

— მაგრამ ისინი მალე აღმოაჩენენ მაკროგრაფიო კანონებს... ან პლანეტობირთვულ ძალებს. ჯერ კიდევ კვლევის პროცესში განადგურდება ყვითელი მზის სისტემა.

— მე ვიქნები მათი მფარველი, სანამ ისინი ისწავლიან სიცოცხლეს სიცოცხლისათვის, სიი!

— ახალი ექსპერიმენტისას შეიძლება მათი ნაკლის გათვალისწინება.

— სიი!.. მე მიყვარს ცისფერი ცდომილი.

— კეთილი, ნის, ახლა მე ვიცი სიტყვა „მიყვარს“.

ნელა შეიწოვა წყალი სიიმ, შემდეგ მძლავრი შადრევანი სტყორცნა ცას და ჩაიძირა წითელი ოკვანის ტალღებში.



6. შიპაპე

## კოლხეთის გზაზე

გრძელ, ლამაზ ესტაკადზე დაუსრულებლად, დღედაღამ მოჭრიან სატვირთო მატარებლები. მოაქვთ ციმბირის ხე-ტყე, მინსკის „ბელაზები“ — გიგანტური თვითმცლელები, ბულდოზერები, ექსკავატორები...

დამსვენებლები, შავი ზღვის სანაპიროზე ზღვის აბაზანებს რომ იღებენ, დღენიდაგ ხედავენ ამ მატარებლებს, მაგრამ არ იციან, რომ ეს უამრავი ტვირთი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ზუგდიდსა და გალში მოდის, უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად.

და, აი, ერთ დღეს მეგობარ პოეტთან ერთად, ზუგდიდში წასვლა გადავწყვიტე. საღამოს რვა საათზე უკვე ცხაკაიაში ვიყავით. მალე ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომ ზუგდიდში გამგზავრება დილისთვის გადავდეთ.

ის წვიმიანი საღამო სტუმართმოყვარე მასპინძელთან გავატარეთ. სტუმართა შორისაა სამი მშვენიერი გოგონა — თბილისის კონსერვატორიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები. მათ ხელმძღვანელიც ახლავს. ისინი ხალხური სიმღერების ჩაწერა-შეგროვებაზე მუშაობენ. აქვე არიან ადგილობრივი თეატრის მთავარი რეჟისორი კალანდაძე და დრამატურგი ნოდარ ხუნწარია, რომელიც მოსწრებული სიტყვა-პასუხით ყველას გვახალისებს.

ჩვენთანაა, აგრეთვე, საქართველოს

კვ. ცხაკაიას რაიკომის მდივანი ნოე შონია.

ვსხედვართ წყნარად და ვსაუბრობთ. არც არავინ მღერის, არც ტელევიზორია ჩართული, არც რადიო, არც გიტარაზე უკრავენ, არც როიალს ეკარება ვინმე... გზის გადაღმა მეზობელი გარდაცვლილა და ორმოც დღეს გლოვობს უბანი. ეს რომ არა, იქნებ ნოე შონიასთან ვერც მესაუბრა და ასე ახლოს ვერც გავცნობოდი ამ საინტერესო ადამიანს. ტბილ მასლაათში დრო სწრაფად გარბის. ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე...

მაგრამ მაინც ჩემი სტუმრობის თავდათავ საგანს — ენგურჰესის მშენებლობასა და კოლხიდის დაბლობის ამოწრობას ვებრუნდებით. ნოე შონია ამ საქმის დიდი ენთუზიასტია, კოლხეთის დაბლობის დიდი ნაწილი ხომ ცხაკაიას რაიონში შედის!

— კოლხეთის მიწაზე, ვინ იცის, რამდენი მწუხარება, გაჭირვება, ავადმყოფობა მოუტანია ხალხისათვის ჭაობებს, რომელთაც ოცდათხუთმეტი წლის წინათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს საბჭოთა ადამიანებმა. ახლა კი ამ ჭაობების ადგილას მწვანეში ჩაფლული ქალაქები და სოფლებია ნაშენი, კოლხეთის მკვიდრთა სიამაყედაა ქცეული მდიდარი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები...—ნოე შონიას პაუსტოვსკის შესანიშნავი წიგნი აგონდება.—რა გმირული შრომაა გაწეული კოლხეთის ჭაო-

ბების ამოსაშრობად და ამავე დროს რა მძიმე პირობებში... პირველი სამუშაოები 30-იან წლებში დაიწყო, ახლა კი დაშრობილია ოთხმოცდაათი ათასი ჰექტარი ფართობი ქვალონის, ხორგისა და ქალადიდის მიდამოებში... თვალსა და გულს ახარებს ჩაის, ციტრუსების პლანტაციები, ხეხილის ბაღები, ვენახები... — რაიკომის მდივანი ჩამოთვლას საჭიროდ აღარა თვლის. — თვით ნახავთ ყოველივეს ხვალ, ზუგდიდის გზაზე. ხალხს დიდი იმედი აქვს ენგურპესისა. ენგურპესის წყალსადენი არხი ამომშრობს კოლხეთის დიდ ნაწილს, მთელ ქაობიან ანაკლიას. მაშინ მხოლოდ კოლხეთი მოამარაგებს ჩვენს ქვეყანას ციტრუსებითა და ჩაით!..

დილის ათ საათზე ზუგდიდისაკენ ავიღეთ გეზი. პაერში მავნოლიის თავბრუდამხვევი სურნელება ტრიალებს. გაცრიალებულ ფოთლებს შორის აქაიქ მოჩანს ვეებერთელა თეთრი კოკრები, რომლებიც საცაა აფეთქდებიან. მივიღივართ პალმებისა და ნაძვების უსასრულო ხეივანებში. ჩრდილოვანი ტოტები დაუხრიათ კაკლის ასწლოვან ხეებსა და უხუცეს ქადრებს, წაბლის ხეებს, მუხებს; კენწეროებით თითქოს ცას ებჯინებიან გიგანტური ევკალიპტები... ვგზვდება საბჭოთა მეურნეობების დაბეჭდ, ჩაის, ციტრუსების პლანტაციები, ვენახები.

ოციანი წლები მახსენდება. მამასა და ძმებთან ერთად რამდენი მივლია ამ ადგილებში. მარტვილიდან სოხუმში ჩასვლას შვიდ დღეს ვუნდებოდით. მაშინ არც რკინიგზა გვექონდა, არც ავტობუსი, არც მოასფალტებული გზატკეცილი... სოხუმიდან ფოთამდე ერთადერთი საზღვაო გზა იყო, ხოლო ფოთიდან თბილისში მიემართებოდა რკინიგზის ერთადერთი შტო. ახლა კი სამოთხედ ქცეულა აქაურობა. კობტა „ქალაქები“ — ხობი და ცაიში მოედნებით ძალიან ჰგვანან ჩეხოსლოვაკიის პატარა ქალაქებს. გზების გასწვრივ მწვანედ

მოხასხასე ეზოები და მამა-პაპური კაკლის ხეები კი განუმეორებელია ესუფთა ქართული. ყოველი ეზოს: სიღრმეში, ამაღლებულ ადგილას (თუ ადგილმდებარეობაც უწყობს ხელს) დგას ოდა-სახლი, გასაოცარი სილამაზის მონატული აივნებით. ერთხელ ჩემმა ნაცნობმა უნგრელმა არქიტექტორმა ფიშერმა ასეფი სახლების დანახვისას წამოიძახა: „აი, თურმე, საიდან გადმოუღია კორბუზიეს თავისი არქიტექტურული სტილი!“

არ ვიცი, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ვერსია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ახლა იშვიათად თუ ვინმე აშენებს ასეთ სახლებს.

აი, ზუგდიდის შესანიშნავი პარკი და ქუჩები თავიანთი განთქმული ქადრებით, რომლებიც ქართველმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა დარგო. სასახლეში მუშუქობდა აქ ინახება ნაპოლეონის ნიღაბი, ძეწყვი, მისი ნივთები — მაგიდები, სკამები, ქურჭელი... ბონაპარტის დისშვილს — მიურატს ცოლად ხომ სამეგრელოს მთავრის ქალიშვილი — სალომე ჰყავდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში აქ გლეხთა აჯანყებას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სტეფანე რაზინი — მკედელი უტუ მიქაეა. მას გლეხთა საკმაოდ დიდი არმია ჰყოლია, მაგრამ შეუიარაღებელი და არაორგანიზებული. ახლაც ამ ადგილებში, როცა უწესრიგოდ თავმოყრილ ხალხს ნახავენ, ამბობენ: „ეს რა, უტუს ჯარია?“ უტუ მიქაეა დამარცხდა და ათი წლით ციმბირში გადაასახლეს. იგი დაბრუნდა გადასახლებიდან და ახლა მისი შვილთა შვილები და მათი მემკვიდრენი თავდაუზოგავი შრომით ამრავლებენ სოფლის ხეავსა და ბარაქას.

ძველ ზუგდიდს საბჭოთა ეპოქამ ახალი სული შთაბერა და სახე უცვალა, ენგურპესის მშენებლობამ კი მთლად საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ზუგდიდში პირველად ენგურპესის პარტიული კომიტეტის მდივანი მ. გეზიანი მოვინახულე, სამმართველოს წინ

ხალხი ირეოდა. უამრავი მანქანა იდგა, მთელი ძალით ჩქეფდა ამ ქალაქისათვის უჩვეულო ცხოვრება. გვიშიანმა გულთბილად მიმიღო. თავის მოადგილეს გურამ გუნავას გამოუძახა და დაავალა წაეყვანე ობიექტებზე, ეჩვენებინა ყველა და ყველაფერი.

მეორე დღეს ჭვარის გზას დავედუქით. მზიანი დილა იყო. თავს ლავვარდოვანი ცა დაგვნათოდა. ირგვლივ ათასგვარი სურნელება იფრქვეოდა.

მანქანა სოფელ რუხის მიდამოებში მიქრის. რუხი გურამ გუნავას მშობლიური სოფელი გახლავთ. გურამი მანქანას აჩერებს მარმარილოთი ნაგები ახალი შენობის წინ. ეს კულტურის სახლია. გამაოცა სასახლის დიდებულმა იერმა, არქიტექტურამ. ორმოცი წლის წინათ აქ მხოლოდ წნული ღობით შემოვლებული, ისლით დახურული ფაცხები იდგა!.. ვინ მოთვლის რამდენჯერ ვადასულა ეს სოფელი ხელიდან ხელში თურქების შემოსევისას. ახლა კი იგი მკაცრი წარსულის ცოცხალი ისტორიაა... მამაკაცურად ჩაცმული სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ქაეკავაძე ხმლით ხელში სწორედ აქ მიუქლოდა ქართველ და რუს ჯარებს თურქ-დანაპრობთა წინააღმდეგ, უშიშრად და გაბედულად იცავდა თავისი ხალხის მიწას...

— აი, ენგურის ხეობა, ჩაის პლანტაციებით განთქმული კოლმეურნეობა „თბილისი“. აქაური ჩაი საუკეთესო ხარისხისაა, — ამბობს გურამი და ხანმოკლე დუმისის შემდეგ უმატებს, — უკან დაბრუნებისას თქვენთვის სიურპრიზი მაქვს.

— ახლა არ შეიძლება?

— ჯერ არა!

— რა გაეწყობა! — სტუმართმოყვარე მასპინძლის ნებას უნდა დავმორჩილდე.

ჩამოვედით. ძველი, ოდესღაც ღვთისა და ხალხისაგან წყვეული, ჭვარი ორსარ-

თულიანი ქვისა და აგურის სახლებით თანამედროვე სოფლად ქცეულა.

კაშხალისა და გვირაბების მშენებლობის უფროსის გივი ჭყონიას კაბინეტში შევდივართ. იგი თავაზიანი ღიმილით შემოგვეგება. ჩემ წინაშე მთავით კაცი წამოიშართა. სიხარულს განიჭებს ასეთ ადამიანთან შეხვედრა, ასე გგონია, მისი ძალა, ჯანი გადაგედო. მან კაშხალის მშენებლობის მთავარი ინჟინერი და მისი მოადგილე წარმოგვიდგინა.

მთავარი ინჟინრის — ემხვარის საქმეებზე ბევრი მსმენია და ახლა იდუმალ მზერას არ ვაცილებ. საბჭოთა ქვეყნის რომელ კუთხეში არ უცხოვრია, სად არ უშენებია კაშხალები და ელექტროსადგურები! ძალიან მინდოდა მასთან შესაუბრა, მაგრამ არ მოხერხდა, თბილისში გამოეძახათ და ეჩქარებოდა.

გივი ჭყონიამ ფანჯარაში გაიხედა და თქვა:

— მშენებლობაზე ახლავე გავემგზავროთ!

— იქნებ, სჯობდა, ჯერ გვესაუბრა?

— არა, მალე იწვიმებს! — განაცხადა მან გადაჭრით, თუმცა ცა მოწმენდილი იყო და მზეც უხვად აფრქვევდა სხივებს.

უსიტყვოდ მივეყვით. ათი წუთიც არ გასულა, რომ ჩვენს თვალწინ ვადაიშალა ენგურის ხეობა თავისი ბალებითა და ჩაის პლანტაციებით. გივი ჭყონიამ მანქანა შეაჩერა და ხელი მდინარისაკენ გაიშვირა.

— ხედავთ ქვის სამტეხლოს? აქედან კაშხალის საგდულამდე ოთხი კილომეტრია.

— ქვიშა პულგამტარით. ხოლო ქვა-ლორღი ტრანსპორტით მოაქვთ სანაპირო გამამდიდრებელ ფაბრიკაში, სადაც შემესვებს ახარისხებენ და ცრიან. საბეტონო მეურნეობის მოედანზე შემესვებს ოთხხაზოვანი საბარგო გზით აწვდიან. გაგრილებულ შემესვებსა და ცემენტს ღობატორებით გადასცემენ ოთხ-

ლენტოვან კონვეიერებს, საიდანაც ღობირებულ მშრალ ნარევს ბეტონის ასარევე მანქანას აწვდიან. შემკვერელად გამოიყენება როსტოვის ქარხნის ცემენტი.

— შერედა, როგორ შიაქვთ ეს ბეტონი კაშხალის მშენებლობაზე?

— ახლავე ყველაფერს გაიგებთ! ბეტონის ნარევი მზადდება კაბელის ამწეების ქვეშ არსებულ უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხანაში. ეს ერთადერთი ასეთი ქარხანაა, სხვებისაგან სწორედ თავისი უწყვეტი მოქმედებით განირჩევა. იგი დღეში გამოუშვებს სამოთხ ათას კუბომეტრ ბეტონს. ბეტონის ნარევს მშენებლობის ადგილზე საბაგირო გზით მიიტანენ, მას კაშხალის კედლებზე დააწყობენ საულუფო საკაბელე ამწეებით, რომელთა ტვირთამწეობა ოცდახუთი ტონა იქნება. ამწეებს ნაკუბური მეტრი მოცულობის ბადები იქნება.

— ახლა კი თვით კაშხალი მოვინახულოთ.

კვლავ მანქანაში ჩაესხედით. გზა ისევ აუწერელი სიღამაზის ენგურის ხეობას მიჰყვება. განუწყვეტელი წვიმებისაგან ღრანტეხად ქცეული გზა მთლად გადაარეცხილიყო, სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდებოდა „ბელაზები“, ისტორიამდელ გიგანტურ დინოზავრებს რომ წააგვანან. ამბობენ, იმ უხსოვარ დროს დინოზავრები აქ გროვად დაეხეტებოდნენო. ცადაზიდული ციკაბო კლდეები ოსტატურად დაუმუშავებიათ გეოლოგებს. ასეთი წინასწარი დეტალური დამუშავების შემდეგ ნიადაგი, რასაკვირველია, კარგადაა შესწავლილი და მშენებლობის დროს შეცდომები გამორიცხულია.

ჩვენ მანქანა ზედ უფსკრულის პირას გაყვანილ გზაზე მიემართება. შიში მიუყრობს, მაგრამ ეცდილობ არ შევიმჩინო.

ხეობის ყველაზე მაღალ ადგილს მივალწიეთ. მანქანიდან გადმოვედით. წუთით წარმოვიდგინე, მეტივეები როგორ შიაკურებდნენ ხე-ტყეს ამ სწრაფ დი-

ნებაზე. თითქოს ცოცხლად ვხედავ მოხუც სვანს აღმასგირ ცეხუღუნს ააგისი დალუპული ვაფის ცხენდარქურამ დაექებს. რამდენი რამის მომსწრეა ეს მწვანე მთები!... ფიქრებიდან ჰყონიას სიტყვებმა გამომიყვანა.

— ჩვენ ახლა ენგურის უნიკალური თაღოვანი კაშხალის მთავარი კვანძის ძირითადი ნაგებობის ქვაბულში ვიშყოფებით. ეს ქვაბული ორმაგი სიშრულითაა დაპროექტებული. კალაპოტში მაქსიმალური სიმაღლე 271 მეტრია—ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალია მდინარის ზედაპირიდან მიწა 40 მეტრის სიღრმეში მუშავდება. კაშხალი თანდათანობით ფართოვდება — ქედის მწვერვალზე იგი ათი მეტრია, ძირზე კი — სამოცი. ასე რომ, რაც არ უნდა ადიდდეს და იმძვინვაროს ენგურმა, კაშხალს საფრთხეს ვერ შეუქმნის. კაშხალის შიღმა წარმოიქმნება გიგანტური წყალსაცავი — ენგურის ზღვა. ენგურის წყალი ამ გვირაბით წარიმართება, — ჰყონიამ მეორე ნაპირზე მიმოთთია.

იქ, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, კაშხალს ზემოთ გაყვანილ ვიწრო გზაზე ფუსფუსებდნენ ექსკავატორები, ბულდოზერები, მიმოდოლდნენ მანქანები. შეიძლება მართო შეხედვამ მოგვგაროს შიში, ადამიანები კი მშვიდად მუშაობენ, მცოცავეები ციკაბო კლდეზე დადიან...

— თექვსმეტკილომეტრიანი მაღალმთიანი გვირაბი მზადდება ბობოქარი ენგურისათვის. იქიდან აქამდე გაიყვანთ ლამაზ, ცხრაასამოცმეტრიან, ე. ი. თითქმის კილომეტრიან ესტაკადს.

— რამდენ ენერგიას მოგვცემს შიდროელექტროსადგური?

— მთელი კასკადი მოგვცემს მილიონექვსას ათას კილოვატსათს დღეში.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენმა მანქანამ გეზი გვირახისაკენ აიღო. ამ გვირაბში თავისუფლად დაეტევა ოთხსართულიანი სახლი. დაბლა წყალია, ირგვლავ ბულდოზერები, სატვირთო მანქანები, „ყველგანმვლები“, გიგანტური სიდი-



დის გვირაბგამყვანებია. ხანდაზმულსა და ახალგაზრდას ბრეზენტის კოსტუმი აცვია და ჩაჩქანი ახურავს!

— გვირაბს მეორე ბოლოდანაც თხრიან, ვალის რაიონში, რათა ჩვენ შემოგვეერთდნენ. — მიხსნის გვირ ქყონია.

სულ უფრო წინ მივიწევთ, დამხმარე გვირაბებში გავდივართ.

მეორე დღეს დილაადრიან მივედი გვირაბში. ხანშიშესულმა გვირაბგამყვანმა იაღო შენგელიამ რეზინის ჩექმები და ბრეზენტის მოსასხამი გამომინახა. იაღომ შეამჩნია, რომ ცნობის-მოყვარეობით ვაკვირდებოდი.

— რა იყო, გაინტერესებთ რამდენი წლისა ვარ? ცხოვრების გრძელი გზა მაქვს გავლილი, დიდხანია პენსიონერი ვარ, მაგრამ არ შემიძლია შინ ჯდომა და ცქერა, როგორ ააშენებენ უჩემოდ ასეთ ელექტროსადგურს! ჯერ კიდევ შემწევს ძალა, ენერჯია!...

ნელი ნაბიჯით გავემართეთ გვირაბისაკენ. აქ ჩქარი სიარული არ შეიძლება, ელვის სისწრაფით დაქრიან თვითმცულელები, სატვირთო მანქანები. აბა, აჩქარება სცადე! გვირაბის ნაცვლად, პირდაპირ მამა ღმერთთან მოხვდები.

— რამდენს გამოიმუშავენს დღეში გვირაბგამყვანი? — ვკითხე იაღოს.

— ცბრა-ათ მანეთს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც 11-12 მანეთს იღებენ.

— გყოფნით?

— რატომაც არა. თვეში სამას-ოთხასი მანეთი გამოგვდის. შრომის პირობები კარგია. სამ ცვლად ვმუშაობთ. არც დღე წყდება მუშაობა, არც ღამე. მართალია, სამუშაო რთულია, მაგრამ არა უშავს, ვუძლებთ...

დამხმარე გვირაბში მადრთობილებენ:— ყურადღებით. აქ გასამარებელი სამუშაოები მიმდინარეობს, გვირაბი დამთავრებული არაა!..

ზევით ავიხედე... ირგვლივ მიმოვიხედე... შევკრთი, გვირაბი, მართლაც,

დროებითაა გამარებელი, მორები ადვილად შეიძლება ჩამოწყვეს.

— არაფერია, ხვალ ყველაფერი მზად იქნება.

როგორც იქნა, გველირსა მთავარ გვირაბში შესვლა. ვეებერთელა მოძრავე ამწე გვირაბის კედლებს აბეტონებს, კუთხეში ათიოდე ადამიანი დგას.

ეტყობა, რალაცაზე თათბირობენ.

იაღომ გამაცნო ისინი: უბნის უფროსი, გვირაბგამყვანი აკაკი უგრეხელიძე, ბრევიდირები. ვლადიმერ ჭარბაძე —

დონბასელი მეშახტე, ლაჯანურაძის მშენებელი; ვალერიან ნემსიწვერიძე, ასუანის კაშხალისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი; ოთარ ბლიაძე, რომელიც წარჩინებული შრო-

მისათვის ლენინის ორდენითაა დაჯილდოვებული. აქვე იყვნენ გვირაბგამყვანები: ფიქრეთ ფახიროვი, შალვა მამარდაშვილი, შოთა მიქავა, ალექსეი ნიტუშა, ზაურ კემულარია, ივანე შჩერბატიხი... ყველანი ტანადი, მზარბეჭიანი

ახალგაზრდებია, ნამდვილი გოლიათები! მათ მრავალი ჰიდროელექტროსადგურის, კაშხალის, გვირაბის მშენებლობაზე უმუშავნიათ და თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან.

გვირაბგამყვანები საქმეს შეუდგნენ, ჩემთან აკაკი უგრეხელიძე დარჩა.

— სწორედ რომ გოგანტურ სამუშაოებს ასრულებთ!

— მიუხედავად ამისა, 1970 წელს პირველ ტურბინს ავამუშავეთ. სიძნელებები ბლომად გვხვდება — 3433,6

ათასი კუბური მეტრი მხოლოდ მიწის სამუშაოებია, კლდის სამუშაოები 1700

ათასი, ხოლო უნდა დაბეტონდეს 3400 ათასი კუბური მეტრი. ვცხოვრობთ მეგობრულად. ერთად ვაშენებდით ლაჯანურაძის, ვმუშაობდით დონბასში, ტყი-

ბულში, ასუანსაც კი ვაშენებდით. ჩვენ მუდამ გზაში ვართ... სამუშაო, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ბიჭები ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობენ, მათ

აქვე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა და, რაც მთავარია, შრომის კულტურა. ამას წინათ აქ შევდები იყ-

ენენ, მათგან ნაყიდი ექსკავატორები აგვიწყვეს. მათაც კი არ დარჩათ შეუძინველი ჩვენი ადამიანების გასაოცარი შრომისუნარიანობა და შრომის კულტურა.

უკვე ოთხი საათი იყო, როცა გვირბიდან გამოვედით. უცებ ჭან-ლონით სავსე ხალგაზრდა მოგვიახლოვდა. ვილაცხს ეძებდა მასავით ზორბა ახალგაზრდებს შორის.

— ვინ არის აქ მოსკოვიდან ჩამოსული?

უგრებელიძემ ჩემზე მიუთითა. ქაბუკი დაიბნა, ეტყობოდა, უფრო წარმოსადგევი ადამიანის ნახვას მოელოდა.

— ეს ჩვენგან ძღვნად მიიღეთ, — ამ სიტყვებით კანაფზე აცმული ახალაქერილი კალმახი ვადმოძკა.

— მეც მიქაფა ვარ, გვირბაგამყვანად ვმუშაობ. ეს კი მეთევზეებმა ენგურში დაიჭირეს.

ჩვენ იქვე სასაილოში შევედით, კალმახი მოგზარშეთ და სუფრას მივესხედით, რათა ერთად ვაგვესინჯა თევზების მეფის გემო.

მესამე დღეს ჩემს წასაყვანად გურამ გუნავა ჩამოვიდა. დავტოვეთ ჯვარხენის თვალწარმტაცი ხეობა და ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლები.

აი, მზეთუნახავი ღია...

ღია მართლაც რომ ღამაზია. მაგრამ ქალიშვილი არ გვეგონოთ, სოფელია. იგი მდინარე ენგურის ხეობაშია ვაშლილი.

აქ იშვიათი ხარისხის ჩაი მოჰყავთ. ჩვენ პირდაპირ ღიაში მივემგზავრებით, გურამს უნდა მანახოს სთურბრიზი, რომელსაც დამპირდა. ის ჩაის უხუცესი მკრეფავი საქებარ მარგია აღმოჩნდა. იგი ასოცდაოთხი წლისაა, 1843 წელს დაბადებულა. მას კარგად ახსოვს თურქების შემოსევა, ახსოვს სამეგრელოს თავადაზნაურობა როგორ ჰყიდდა ქალებსა და ქაბუტებს თურქ ვაჭრებზე, რომლებსაც თავიანთი კატარღებით

მიჰყავდათ ტყვე-მონები! ახსოვს გულადი მაკი ხეიტია...

ახსოვს სახელგანთქმული გლეხთა აჯანყება და მისი ბელადი უტუ მიქაფავ. ახსოვს ბატონყმობის ვაუქმება და ისიც, თუ რა გულდასმით და დიდხანს უშალავდნენ ამ ამბავს გლეხობას.

მკვირცხლი, პატარა ტანის ქალი შემოგვხვდა. საქებარი ეს-ეს არის დაბრუნდა სოფელ თავილონიდან, სადაც სტუმრად იყო ნათესავებთან. მან თავისი აბლობლები გავაცნო.

— ჩემი ქალიშვილია, — წარმოგვიდგინა მოხუცი ქალი, — ეს კი, — ახალგაზრდა ქალზე მიგვიითთა, — ღიანაა, მისი შვილიშვილი, ეს პატარა ბიჭი კი ღიანას შვილია.

— თქვენ რად გერგებათ? — ღიმილით ჰკითხა გურამმა.

— შვილიშვილის შვილიშვილად.

შემდეგ ამ მოუსვენარმა და დაუნზარელმა ქალმა შინ შეგვიწვია. იგი ძალზე თავაზიანი, ჰკვიანი ქალია და შესანიშნავი მოსაუბრე. თვალის დახამხამებაში სუფრა გააწყო. ფუსფუსებდა, ტრიალებდა, გამჭვირვალე ფიალები გამოგვიტანა, სუფრაზე დაალაგა ჩურჩხელი, ხმელი ხილი, მოხარული ცივი ხორცი და შესანიშნავი ღვინო.

— ვთხოვთ მიირთვათ!

საუბარი ჰიდროელექტროსადგურს შეეხო.

— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ჩვენს ფაცხას მხოლოდ კერძის ცეცხლი ანათებდა. ახლა კი, ამბობენ, მხოლოდ ენგური გაანათებს მთელს ჩვენს საქართველოსო. აი, რას მიადღია ადამიანმა, ირგვლივ, ხომ ნახეთ, რა სახლები დგას, ნამდვილი სასახლები. მაგრამ ზოგიერთს მუშაობა არ უნდა. ასეთი ხალხი არ მეცოდება! მე ასოცდაოთხი წლისა ვარ და მაინც ვმუშაობ.

— განა თქვენ პლანტაციამი მუშაობთ?

— როგორ თუ განა? — ეწყინა მას. — ყოველ წელიწადს ტონამდე ჩაის ვკრეფ! ვიცი, ეს ცოტაა, მაგრამ, რა ვქნა, მეტი აღარ შემიძლია... ენ-

გურს რომ გვართმევენ, ცოტა არ იყოს, გვენანება, შევეჩვიეთ მის ბობოქრობას... სამაგიეროდ რამდენი მიწა გათავისუფლდება. მეტი ჩაი გვექნება, ბაღებს გავაშენებთ, ახალ ქალაქებს ავაშენებთ... გგონიათ, არ მესმის ყოველივე ეს? ძალიან კარგად მესმის... რატომ არ სვამთ? რატომ გინდათ მაწყვენინოთ.

ჩვენი ღვინო ჩვენი მიწის სისხლია, იგი მე და ჩემმა შთამომავლებმა დავწყურეთ. ეჰ, ახალგაზრდა რომ ვიყო, თვითონაც წავიდოდი ელექტროსადგურის მშენებლობაზე. ჩემო შეილებო, ნაწილი რომ მაინც გენახათ იმისა, რაც მე მინახავს და განმიცდია, მაშინ შეაფასებდით ამ მშენებლობის ნამდვილ მნიშვნელობას.

გურამმა უთხრა, რომ მე მოსკოვიდან ვიყავი ჩამოსული და საქებარის ვასაცუნობად საგანგებოდ მოვიხანხულე მისი სოფელი.

— მოსკოვი ძალიან შორსაა. ვიცი, იქ ლენინი ცხოვრობდა. მას ისიც უთქვამს, თურმე, რომ აქ ელექტროსადგური აეშენებინათ. თქვენ ღმერთი არა გწამთ, მაგრამ მაინც, ღნერთმა მისცეს სიმშვიდე მის სულს, მუდამ ყოფილიყოს მისი ხსოვნა.

მაღე გამოვეთხოვეთ ამ უცნაურ ქალს.

გთხოვთ, ვახსოვდეთ: იმ ასობით ათასი ტონა ჩაის ფოთლიდან, საქართველო რომ აძლევს ჩვენს ქვეყანას, საქებარ მარგისს მოკრეფილი ჩაიც ურევია. იქნებ, სწორედ მის მოკრეფილ ჩაისა სვამთ! იგი, ჭეშმარიტად, ქებინა ღირსია, ტყუილად როდი ჰქვია საქებარი!

გურამ გუნავამ ჩამოსვლის დღიდანვე უკრები გამომიჭედა გაიოზ ჩუბინიძეზე ლაპარაკით. მეუბნებოდა, ალბათ, არასოდეს არ გინახავთ ასეთი ადამიანი და საეჭვოა ოდესმე ნახოთო. მე მის ასეთ აღტაცებას ახალგაზრდობას ვაწერდი. მაგრამ სადღაც, სულის სიღრმეში ვღე-

ღავდი ამ ადამიანთან შეხვედრის მოლოდინში...

უკვე გალის რაიონში ვართ, სადაც პეორე ბოლოდან მუშაობენ დერეფაციული გვირაბის გაყვანაზე. ამ მშენებლობის უფროსია სოციალისტური შრომის გმირი ინჟინერი გიზო ჩუბინიძე. იგი ოცდათხუთმეტი წლისაა.

უკებ თვალი მოვკარი, რომ ჩვენს შესახვედრად უცნაური სისწრაფით მოქროდა გაკრიალებული „ვოლგა“. ასე მეგონა, ჩვენს მანქანას დაეჭახებოდა. გურამმა მანქანა შეაჩერა, მე კი გავიფიქრე: „სწორია თაუხეხელადებული მძღოლი უნდა დაისაჯოს!“ შეჩერდა ის მანქანაც, უკან წამოვიდა და გავვისწორდა. საქესთან სასიამოვნო გარეგნობის ვეკაცი იჭდა, მზისგან გარუჯულს ღია ფერის თმა და დიდი, ბევრისმთქმელი ცისფერი თვალები ჰქონდა. შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა ეს მაღალი, მხარბეჭიანი, ტანადი კაცი. მასთან ერთად გადმოვიდა შუახნის მამაკაციც, რომელსაც მშვენიერი, ინტელიგენტური, სუფთა რუსული სახე ჰქონდა.

„ალბათ, თავისი მძღოლის დაცვას დაიწყებს“, — გავიფიქრე მე.

გურამი მიუახლოვდა ამ უჩვეულო მძღოლს. „ახლა დაიწყება თუ ხელჩართული ჩხუბი არა, მწარე სიტყვებით შეხლა-შემოხლა მაინც“, — ვთქვი გულში. მაგრამ უკებ მომიბრუნდა გურამი და მომღიმაარი სახით მითხრა:

— გაიცანიო!..

ეს იყო ეგვიპტის საპატრიო მოქალაქე, არაბეთის რესპუბლიკის ორდენით დაჯილდოებული, ასუანის კაშხალის საგვირაბო სამმართველოს უბნის ყოფილი უფროსი გიზო ჩუბინიძე. მის გვერდით იდგა ასუანის კაშხალის საგვირაბო სამმართველოს უბნის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე გორკოვი.

გიზომ ხელი გამომიწოდა, მე პაუსტოვსკის მოთხრობა გამახსენდა: „შემლებს თუ არა ეს ახალი ადამიანი საჭიროების შემთხვევაში ისე მოიქცეს, როგორც ოდესღაც გაბუნია მოიქცა? შეძ-

ლებს თუ არა იგი, სასწაული მოახ-  
ლინოს? შინაგანმა ხმამ მიპასუხა: „რა  
თქმა უნდა, შეძლებს“.

გიზო იღიმებოდა. ეს იმ ადამიანის  
ღიმილი იყო, ვისთვისაც უცხოა დამარ-  
ცხება ან უკან დახევვა. შემდეგ გვთხო-  
ვა მისი მანქანით გავყოლოდით, რომ  
გზადაგზა ენგურპვის მშენებლობის  
თაობაზე ეამბნა.

ჩუბინიძის მანქანამ სუფთა, მოღურ  
სასადილოში მიგვიყვანა. სუფრა უკვე  
გაეშალათ, ეტყობა, შესვენება ჰქონ-  
დათ. ჩვენც მიგვიწვიეს. საწინააღმდეგო  
რა გვქონდა. არსად ისე არ მეღანვდება  
ადამიანის ხასიათი, მისი სულის იღუ-  
მალეზანი, როგორც სუფრასთან.

ახალგაზრდა, ნიჭიერმა ინჟინერმა  
გიზო ჩუბინიძემ განსაკუთრებით გაით-  
ქვა სახელი ასუიანის კაშხალისა და ჰიდ-  
როელექტროსადგურის მშენებლობაზე.  
ეს განათლებული ჰაბუკი, შესანიშნავი  
ორატორი, რომელმაც რამდენიმე ევ-  
როპული ენა იცის, მაშინვე ყველასა-  
თვის საყვარელი და ავტორიტეტული  
პიროვნება გახდა.

— იცით, — მითხრა მისმა მეგობარ-  
მა გორკოვმა, — მან ძალიან მალე  
შესანიშნავად ისწავლა არაბული ენა და  
მაშინვე იპოვნა გზა არაბთა გულები-  
საკენ.

— აჭარბებთ, ძვირფასო ალექსანდრე  
ვასილის ძე. არაბული არც თუ ისე  
კარგად ვიცი.

განსაკუთრებით ბავშვებს უყვარდათ  
იგი, უსახლკარო, უპატრონო ბავშვებს!

გიზომ თავის მეგობარზე მიმითითა  
და ქართულად ხმადაბლა მითხრა: --

— ჩემი მეგობარი შესანიშნავი ინჟინე-  
რია, შეუძლებელია იგი მუშაობის დროს  
შეცდეს. სულ ერთად ვმუშაობდით,  
ახლაც იმისთვის ჩამოვიდა, რომ დაგ-  
ვეხმაროს თავისი მდიდარი გამოცდი-  
ლებითა და ცოდნით.

— საკუთარ თავზე რას იტყვით? —  
ნახევრად ხუმრობის კილოთი ვკითხე  
ქართულადვე.

მან გაიცინა და მიპასუხა:

— მე უბრალოდ სიცოცხლეზე მეყ-  
ვარებული ადამიანი ვარ და მეტი არა-  
ფერი...

— პატივს ვცემ თქვენს თავმდაბლო-  
ბას, — შეგნიშნე მე.

— გიზო, შავიში გახსოვს? — გაისმა  
უცებ გორკოვის ხმა.

— როგორ დამავიწყდება ის პატარა  
კაპიტალისტი.

მიუგო გიზომ.

— ჩვენთან იყო ერთი არაბი ბიჭი,  
შავიში ერქვა. ჩვენ შავიშს პატარა კა-  
პიტალისტს ვეძახდით. სიგარეტებს  
ჰყიდდა. ერთხელ საწყალი ბიჭი გაძარ-  
ცევს, სიგარეტები და ფული წაართვეს,  
მშრალზე დატოვეს. მაშინ გიზომ „არა-  
ბული ფუნტები“ მისცა საქონელბრუნ-  
ვისათვის. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა,  
გიზო მისთვის მეორე მაჰმადი გახდა.

ღიმილით თქვა ალექსანდრე ვასილის  
ძემ.

— ყოველნაირად ვცდილობდით პო-  
ლიტიკურად გაგვენათლებინა იგი, —  
თქვა გიზომ, — შავიშმა უკვე იცოდა,  
რა იყო ფაშისტი, ბურჟუა, კაპიტალის-  
ტი და, როცა ვინმე გააჭარებდა, მა-  
შინვე ფაშისტს დაუძახებდა, ეს ყველა-  
ზე საწყენ სიტყვად მიიჩნდა.

— მეორე კაპიტალისტი თუ გახსოვს,  
ალექსანდრე ვასილის ძე, — ფეხსაც-  
მელების მწმენდავი? ის უფრო მკვირც-  
ხლი იყო. რუსული ისე შეისწავლა,  
რომ უაქცენტოდ ლაპარაკობდა. ძალიან  
მოსწონდა კაპიტალისტს რომ ვეძახ-  
დით.

მიმართა გიზომ გორკოვს.

საინტერესოა აქ მუშაობა? — ვეკით-  
ხები გიზოს.

მან რატომღაც გაოცებით, გამომცდე-  
ლად შემომხედა და მცირე ხნის შემდეგ  
მიპასუხა.

— მიკვირს, ასეთ კითხვას რომ მაძ-  
ლევთ.

— რატომ?

— მუშაობა რომ საინტერესო არ  
იყოს, სიცოცხლეც არ იქნებოდა საინ-  
ტერესო. გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდე-  
ბათ, მე ჩემი სამშობლოსათვის ვაშე-

ნებ. ადამიანი ნოვალეა ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში აშენოს და იმუშაოს პატიოსნად, კეთილსინდისიერად, მაგრამ საკუთარ მიწაზე, საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მუშაობას მეტი შთაგონება და სიხარული მოაქვს.

რაც უფრო მეტ ხანს ვუსმენდი მას, მით უფრო ვიმსჯვალებოდი პატივისცემით. იგივე ამოვიკითხე ალექსანდრე ვასილის ძის კეთილ, ცისფერ თვალებშიც.

ჩემთვის გასაგები ვახდა ამ სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანების მეგობრობა. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ შეთანხმებულად მუშაობენ ისინი, როგორ მიდიან სამუშაოს დამთავრების შემდეგ სანადიროდ, როგორ დავობენ წაკითხულზე ან შესრულებულ სამუშაოზე. წარმოვიდგინე უცხოეთში რა ღირსეულად და ამაყად ატარებდნენ საბჭოთა ადამიანის სახელს!

გიზომ ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო.

— დღეს წერილი მივიღე ეგვიპტიდან, მეგობარი ინჟინრისაგან. მას ფაბი ჰქვია. უნდა წაგიკითხოთ.

„ძვირფასო მეგობარო,— ასე იწყებოდა წერილი,— მე თქვენდამი შურიტა ვარ აღსაესე, იმ კარგი შურით, რომლით გამსჯვალული ადამიანიც ისწრაფვის თვითონაც მეტი შეიცნოს, გაიგოს და დაინახოს... სევდა მეუფლება, როცა თქვენს წერილს ვკითხულობ, ვკითხულობ ვინ იცის, რამდენჯერ, რათა როგორმე კვლავ გაეაცოცხლო ჩემი უმიზნოდ გაეღვებული აზრები და საჭირო გზით წარემართოს ისინი. თავი ვერ დამიღწევია ამ გრძნობისაგან, მძიმედ მანევს გულზე. ირგვლივ ათასობით ადამიანია, ყველანი თავიანთი, ჩემთვის გაუგებარი ცხოვრებით ცხოვრობენ, ყველას რაღაც უნდა, სადღაც გარბის, ეილიცას ეჩახება, შეურაცხყოფს; ადამიანები იტანენ შეურაცხყოფას და თავიანთ გზას განაგრძობენ, მე, აი, უფრო მეტად მგონია, რომ ამ მორევში იძირე-

ბა სულ ახალი და ახალი ისეთი ნაფიქტები, როგორიც მე ვარ...“

სევდის მომგვრელი სიჩუმე ჩამოვარდა. საიდანღაც, უცნობი მხარიდან ნალექმა დაგვქროლა...

— ახლა კი ქვაბულისა და გვირაბისაკენ გავწიოთ, გზად ჩვენი მშენებლობის ტერიტორიას გაჩვენებთ... თუ, რა თქმა უნდა, მანქანის სწრაფი სვლა არ გაშინებთ.

მაგრამ ახლა მე არაფერი არ მაშინებდა. მალე ვეებერთელა გვირაბთან შევიჩერდი.

მარტო ამ გვირაბის შესასვლელის მიხედვით შეგიძლია იმსჯელო მშენებლობის გიგანტურ მასშტაბებზე.

გიზო მანქანიდან გადმოვიდა. მას მაშინვე ვარს შემოეხვივნენ მუშები, მძღოლები, მეამწეები. თითოეულის გამოხედვაში იგრძნობოდა დიდი ნდობა, პატივისცემა და სიყვარული ამ ადამიანისადმი. ყველაზე წინ იდგა რუსი გოლიათი, სწორედ ჩუბინიძისებური; იგი გიზოს რაღაცას ეკითხებოდა და მშენებლობის უფროსიც პასუხს აძლევდა შეკითხვებზე.

— გაიცანით, — მომიბრუნდა ჩუბინიძე. — ვასილ როდინი, ბრიგადირი. ასუანზე ერთად ვმუშაობდით. მერე აქ მოვიწვიე და, ალბათ ბევრი ელექტროსადგურის აშენება მოგვიწევს ერთად.

— ჯერ გვირაბში ხალხი მუშაობს, — ჰყვებოდა ჩუბინიძე, — ისინი კლდეების სიღრმეებში მიიწევენ, რათა მთავარ გვირაბს შეუერთდნენ. მაგრამ დადგება დრო, როცა ამ მიწისქვეშა ღერეფანში ენგურის წყალი დაიწყებს დინებას. თვითონაც ხედავთ, როგორ შრომობენ ადამიანები, თავდავიწყებით, ენერგიულად. ყველა უბანზე მართლაც რომ შემოქმედებითი შრომა სჩქევს!

მშენებლობის უფროსი კანტორაში შევიდა, სამუშაოს რუკას დახედა. ზედ რაღაც აღნიშნა, ვასილ როდინს უთხრა, რომ კიდევ შემოვივლიდა, და ჩვენ ქვაბულისაკენ გავემგზავრეთ. მალე თვალწინ მდინარე ენგურის ხედი გადაიშალა.

გიზომ ინეინერს უთხრა:

— ამხანაგი გორკოვი მოსკოვიდან ჩამოვიდა ჩვენთან, ჰიდრაულიკოსია. დასახმარებლად მოვიდა. ყველა პირობა შეუქმენით მუშაობისათვის, სადამოს კი მე გამოვუვლია.

— განსაკუთრებული არაფერი მინდა, — თქვა გორკოვმა, — რეზინის ჩექმები მომეცით, კარგი იქნება ბრენტის მოსასხამიც თუ მოგეძებნებათ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — უპასუხა ინეინერმა.

— შესანიშნავია! მდინარეს დავათვალიერებ. რიყებზე ვიხეტიალე. ყველაფერს საკუთარი თვლით ვნახავ.

გორკოვი გამოგვეთხოვა და ინეინერს გაჰყვა. გიზო ერთხანს მათ უყურებდა. მერე მე მომიბრუნდა:

— შესანიშნავი ადამიანია, თავისი საქმის ღმერთია, დიდსულოვანი, ჰკვიანო... ცოტა ხნის პაუზის შემდეგ განაგრძო: — აი, ჩვენ ახალი ცხოვრების, გარდაქმნების ცენტრში ვდგავართ. აქ ელექტროსადგური იქნება, მას ოცდახუთკილომეტრიანი არხი შეუერთდება. იგი ამოაშრობს ვრცელ, ქაობიან ანაკლიას. ამ ადგილებში აბიზინდება ახალი ბალები, ჩაის პლანტაციები, ციტრუსები, პალმები და მავნოლიები, აქ მალე ნამდვილი სამოთხე იქნება.

— ვიმედოვნებ, თქვენც იცხოვრებო ამ სამოთხეში, ისარგებლებთ მისი საკეთით!

გიზომ გოაცებით შემომხედა:

— არა, ასე არ იქნება: ბალები, ფუფუნება, კეთილი ცხოვრება — ეს ჩვენთვის როდია. ჩვენ სხვებს ვუკაფავთ გზას. ცეცხლს ვიტაცებთ, რათა ხალხს გადავცეთ იგი. ჩვენ გვიყვარს მშენებლობის გუგუნი, გვიყვარს გვირაბების გაყვანა, კაშხალების აგება, უდაბურ ადგილას ქალაქების გაშენება; ჩვენ არ შეგვიძლია ერთ ადგილზე გავჩერდეთ. ტეტშიერის მოთხრობა „ხიდი“ თუ წაგიკითხავთ? ჰო, მგონი „ხიდი“ ჰქვია. მოთხრობის გმირი ინეინერი ხიდებს აგებს, გარდაქმნის მხარეს, ხალხისათვის სიხარული და ბედნიერება მოაქვს...

ერთ-ერთი ხიდის მშენებლობისას იგი ხვდება ლამაზ ქალს, რომელიც მდიდარ მამულში ცხოვრობს. გეოლოგებთან პოლონელი ქალების სიმშვენიერე — ზოგი მთავანი ნამდვილი ქალღმერთია. ინეინერს სიყვარული ეუფლება, მშენებლობა კი უკვე დამთავრებულია, მას შეუძლია დარჩეს ამ ქალთან, ფუფუნებაში იცხოვროს!... მაგრამ იგი შენებთაა გატაცებული, ნამდვილი შემოქმედი, არ შეუძლია შეჩერდეს. უფლებაც არა აქვს, და საყვარელ ქალს გადაადგებს ხიდიდან, რომელიც თვით ააშენა. ახლა იგი თავისუფალია, ისევ შეუძლია აშენოს, იაროს სულ წინ და წინ. ქალი აქ პიროდი კეთილდღეობის, ფილისტერის მშვიდი ცხოვრების სიმბოლოა, მაგრამ ინეინერი ნამდვილი მშენებელია და თავს აღწევს უზრუნველ ცხოვრებას...

იგი გაჩუმდა.

ჩვენი გზა დასასრულს უახლოვდება. გიზომ შემომთავაზა, ბოლოსდაბოლოს, პუშებისათვის გაშენებული დაბა რეჩხი გვენახა.

მუშათა ბევრი დაბა მინახავს, მინახავს ვოლგა-დონზე, კუბიშევჰიდრომშენზე და თვით ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის მშენებლობაზეც, მაგრამ... მაგრამ ისეთი დაბა, როგორც რეჩხია, ვერ არ მენახა. მეჩვენებოდა, რომ პრალის მახლობლად, ბარანდოვის კინოქალაქში ვიყავი. მხოლოდ იქ მინახავს მსგავსი კოტეჯები. აქ ყოველი სახლი, საზოგადოებრივი შენობა ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებია. თვალს ახარებს თანამედროვე არქიტექტურა, სადაც ქართული არქიტექტურის მოტივები იგრძნობა. ყველაფერი დიდი გემოვნებითა და ადამიანთა მოთხოვნის გათვალისწინებითაა ჩაფიქრებული და შესრულებული.

გიზოს შეეხედე, მის თვალეში უსახლკროდ ბედნიერი ადამიანის მხიარული ღმილი შევამჩნიე.

— აი, ჩემი ბინაც! — თქვა მან და ლამაზ აივანზე ავედით.

სანდომიანი ახალგაზრდა ქალი შე-  
მოგვეგება, მისი მეუღლე.

— იქნებ, ყავით გავვიმასპინძ-  
ლდე? — მიმართა ცოლს გიზომ.


— ყავით კი არა, სადილითაც გავ-  
მასპინძლდებით. პოლონური ლუდიც  
გვაქვს, ხილიც... და ძალიან რომ მოვი-  
დომოთ, იქნებ ლვინოც გამოიძებნოს  
სარდაფში.

დაესხედით. ჩვენს წინ ვეებერთელა  
სივრცე მოჩანს, მთლად მწვანეში ჩაფ-  
ლული. მე გავიფიქრე: რამდენი რამ  
ვნახე და განვიცადე ერთ-ორ დღეში,

როგორი სიმდიდრე გადაიშალა ჩემს  
თვალწინ! რა ბედნიერებაა ჩემთვის!

განა ოცდაათი წლის წინათ, როცა  
ოქუმი კოლმეურნეობასა და თავილო-  
ნელ მოხუცებზე ნარკვევს ვწერდი,  
შევძლებდი წარმომედგინა, რომ აქ  
ააშენებდნენ ასეთ გიგანტს? შევძლებ-  
დი მეფიქრა, რომ ბეტონში გამო-  
წყვედილი ბობოქარი ენგური მილიონ  
კილოვატსაათ ელექტროენერჯიას მო-  
ვცემდა?

რამდენი ასეთი მშენებლობაა ჩვენს  
ვრცელ ქვეყანაში, ვინ მოთვლის?



## მითი „მთვარის მოტაცებში“

კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ უხვად აქვს გამოყენებული მითოლოგიური ამბები, რაც მწერლის გარკვეული მხატვრული პოზიციიდან მომდინარეობს. ამ პოზიციის არსი კ. გამსახურდიას პარადოქსული ფორმით, მაგრამ ნათლად აქვს გამოთქმული ნოველაში „ტაბუ“: „კრიზისი? უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის — არყოფნა... პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა... მითი იყო უპირველესი განზრახვა დემერტაკისა და ხელოვნებისა და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ მითი“. შეიძლება დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ მწერალს მითის ესოდენ ემოციურ შეფასებაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მითოლოგია საერთოდ და კერძოდ ქართული მითოლოგია დიდძალ მასალას აწვდის ლიტერატურას პოეტური აზროვნებისათვის. შორს რომ არ წავიდეთ, სამაგალითოდ ვაჟა ფშაველას შემოქმედების განხილვაც კმარა. ვაჟას შემდეგ ქართულ მწერლობაში გაცხოველდა ინტერესი მითოლოგიისადმი. ამ ინტერესმა სათანადო მხატვრული უკუფენაც ჰპოვა, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. თუმცა ამ საკითხზე ფართო მსჯელობა სხვა წერილის თემაა. ახლა ისევ „მთვარის მოტაცებას“ მივუბრუნდეთ.

მითოლოგიური ამბებისა და სიზმრების სამუალებით „მთვარის მოტაცებაში“ მოქმედება ხშირად ორ სიბრტყეში მიმდინარეობს — რეალურსა და ირეალურში. ეს ორი სიბრტყე ერთმანეთს ავსებს და რომანის აზრობლივი შინაარსის ამოსაცნობად აუცილებელია მათი ცალ-ცალკე ანალიზი.

ჩემი დაკვირვებით, „მთვარის მოტაცებაში“ მითოლოგიურ ამბებს ორგვარი დანიშნულება აქვს.

პირველი: რომანში აღწერილ ყოფას აძლევს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტს და ხასიათს.

მეორე: ქმნის რომანის ალეგორიულ შინაარსს.

შარვაშიძეთა ოჯახში კაროლინას რძლად მოყვანის სცენები იქნება თუ თარამ ემზვარის ბავშვობის გახსენება. ლუკაია ლაბაზუას მისტერიები თუ ზონიმის ამბები, მალანურობა თუ სხვა რამ, არა მარტო ყოფის კოლორიტულ სურათს გადმოგვცემს, არამედ ხალხის ცხოვრების ხასიათს, ბუნებასა და თვისებებს. წარმართული მითოლოგიური ზნე-ჩვეულებანი ხელოვნურად არ არის შემოტანილი რომანში. იგი ცოცხალი ნაწილია იმ სინამდვილისა, რომელშიც „მთვარის მოტაცების“ პერჰონაჟები ცხოვრობენ. ამის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება ე. შამბას ნაამბობი (იხილეთ წიგნი „Сквозь прозы“. სოხუმი, 1961 წ., გვ. 35). თურმე, როცა აფხაზი „კიარაზში“ (აფხაზ წითელგვარდიელთა მებრძოლი რაზმი) შედიოდა.



და სოციალისტურ რევოლუციას ერთ-გულების ფიცს აძლევდა, ამბობდა — „... უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შევებრძოლები რევოლუციის მტრებს, აზნაურებსა და თავადებს, რაც საზეიმოდ აღვუთქვი „აქირასა“ და ხალხს. და თუ უკან დავიხევ, დე დამსაჯოს ხალხმა და „აქირამ“. რა უნდა იყოს უფრო უცნაური და, ერთი შეხედვით, შეუსაბამო ვიდრე სოციალისტური რევოლუციის ჯარისკაცის ფიცია სამკედლოების წარმართული კულტის — აქირასა—წინაშე? მაგრამ ეს ხალხის ისტორიული ცხოვრებით გაპირობებული მდგომარეობაა. ვერც ქრისტიანობას და ვერც შამპანდონობას ვერ ამოუწყვავთ აფხაზის სულში წარმართული ღმერთებისადმი პატივისცემა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მას წარმართული ღმერთი მოკავშირედ მიაჩნდა სოციალისმისათვის ბრძოლაში.

და, როცა „მთვარის მოტაცებაში“ წარმართულ მითოლოგიურ ამბებს უხვად ვხვდებით, ესეც ჩვენი ხალხის ყოფის ცოცხალი სინამდვილითაა ნაკარნახევი. ამიტომ არის, რომ არა მარტო ლუკაია ლაბაზუსა, ზოსიმოას, ანდა ხათუნა ზვამბაიას სულში აქვს წარმართობას ღრმა ფესვები გადგმული, არამედ ვეროპული ცივილიზაციით მოჭადლულ თარაშ ემხვარშიაც. იგი ზვამბაიების ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა და ხათუნა ზვამბაიას ძუძუს მადლთან ერთად თავისი ხალხის რწმენა, ზნე და ჩვეულებაც შეისისხლხორცა. ბავშვობაში ჩანერგილი რწმენა და პატივისცემა წარმართობისა ხშირად განსაზღვრავს თარაშ ემხვარის ფიქრთა დენასა და ფილოსოფიურ დასკვნებს. მაგალითად, ერთგან თამარ შარვაშიძესთან საუბარში იგი ამბობს: „მინდა გავჯანსაღდე, მშობლიურ მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დაეუბრუნდე“ (II, 89-90). მაგრამ როგორ, რა ვზით შეიძლება აღამიანმა სულიერ განახლებას, აღორძინებას მიაღწიოს? თუ

თარაშ ემხვარის მრწამსს დავაკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ემხვარის სიკვდილზე გადის ანუ, როგორც თავად თარაში განმარტავს — „ერთი სიკვდილით უნდა მოკვდე კაცი ამ ქვეყნად, რომ თავის საქმით კვლავ შესძლო მკვლრებით აღდგომა“ (III, 180). თარაშ ემხვარისათვის სიკვდილი განახლების გზაა, ეს დასტურდება მისი საუბრითაც კაროლინა შარვაშიძესთან (II, 148-149. ეს დიალოგი გერმანულად მიმდინარეობს):

„— თქვენ თავათ გაეცით თქვენი გულის ნადები, როცა ამბობდით, ყოველივე სილამაზე შესამუსკრელად განწირულიათ.

— დიახ, შესამუსკრელად... რათა ხელმეორედ აღორძინდეს იგი. ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის გარდაუვალი კანონი“.

სიკვდილით განახლება-აღორძინების რწმენა თარაშში დაბადებულია წარმართულ ნიადაგზე. ამის ახსნაში დაგვეხმარება ემხვართან დაკავშირებული მითოლოგიური პლანი რომანისა.

მიუხედავად გარეგნული მოლხენილობისა, თარაშ ემხვარი მარად სიკვდილზე ფიქრობს. ამ ფიქრისაგან გათავისუფლება არ შეუძლია. უფრო მეტიც, სიკვდილზე ფიქრი ერთგვარ ტუბობასაც ანიჭებს. დააკვირდით სტრიქონებს: „ემხით შენით მინდა ვიყვე მარადის მთვრალი, ეგ თეთრი მკლავი მქონდეს ყელზე შემოჭოდობილი“ (II, 67). ამ სიტყვებით იგი პერსეფონეს მიმართავს. და პერსეფონე ხომ ქვესკნელის ღმერთია, მკვდართა მბრძანებელი და პატრონი! პერსეფონეზე ფიქრი სვანეთშიაც არ ასვენებს თარაშს. გულისტყვილით წერს იგი რომში ელლენ რონსერს: „ყოველდღე ნახავ ჩემს საყვარელ პერსეფონეს, თეთრმკლავებთან“ (III, 73). მაგრამ პერსეფონეზე (ქარაგმულად — სიკვდილზე) ფიქრს მეორე პლანიც აქვს: ამით თარაში განახლებაზეც ოცნებობს, რადგან პერსეფონე ორსახიანი ღმერთია. იგი ნაყოფიერების ღმერთაც არის

და ბუნების აღორძინებაც მასზეა დამოკიდებული.

სიკვდილის გზით აღორძინების მოტივს ავრძელებს თარაშის სურვილი: „თუ თავის მოკვლა გადაწყვიტე, ჩემ საყვარელ სტიქიონს წყალს უნდა მივაკითხოო“ (II, 89). რაღა მაინცა და მაინც წყალს? თვითონ თარაში უბრალო და მკაფიო პასუხს იძლევა — „მე მდინარის პირად ვარ გაზრდილი. განუზომელად მიყვარდა წყალი“ (II, 89). მართალია, მერე თარაშ ემხვარა წყალში თვითმკვლელობაზე უარი თქვა და ამ აქტის შესასრულებლად რევოლუერი ამჭობინა, მაგრამ მაინც მისი თავდაპირველი „ოცნება“ ასრულდა: იგი ენგურში დაიხრჩო. ე. ი. წყალში სიკვდილს ვერ გაეშვა. ახლა თუ ვაგვიხსენებთ, რომ ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიციოცხლის საწყისია, რომ მდინარე ენგურის სახელი ამ წარმართული ღმერთის სახელიდან არისო წარმოებული (მ. ნუტუბიძე, „ამირანი“, 1945 წ., გვ. XX-XXI), რომ იგრის სადღედეგლი თვე იგრია, საბა ორბელიანის განმარტებით, აპრილია და, რომ თარაშ ემხვარი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო.

მაშინ უსაფუძვლო არ იქნება დასკვნა: აქაც სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლებას აზრია გატარებული, რადგან თარაშის სიკვდილი იმ ღმერთის სახელთან არის დაკავშირებული, რომელიც, მართალია, ხანდახან სიკვდილს თესდა (იგრის გამოჩენას წყალდიდობა და ქარიშხალიც მოყვებოდა), მაგრამ მაინც სიციოცხლის საწყისი იყო. უიმისოდ ვერაფერი იხარებდა.

როგორც მკითხველს ახსოვს, რომანში თარაშ ემხვარის სიკვდილს წინ უსწრებს მესეფეთა მოსვლა. ლუკია ლაბახუა მესეფეთა ვინაობას ასე განმარტავს: „ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი, შურივე. ქვეწარმელების ღმერთებია მესეფენი. გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფებს“ (III, 206). აქ ყველაფერი მითის თანახმად არის

განმარტებული, გარდა დროისა, მითის მიხედვით, მესეფენი შემოდგომის წვიმების მომყვანია. სამეგრელოში მესეფობას 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე დღესასწაულობდნენ (იხილეთ, ი. ქობალია, Из мифической Колхиды, წიგნში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, выпуск 32 და თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 წ.). რად დასჭირდა მწერალს შეეცვალა მესეფეთა მოსვლია დრო? საქმე ის არის, რომ მესეფენი რასაც შეჰამენ, მერე ისევე აციოცხლებენ (თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 წ., გვ. 16), ე. ი. მესეფეთაგან მონიჭებული სიკვდილი თავისთავში განახლება-აღორძინებას შეიცავს. ამ მითოლოგიურ ამბავშიც იგივე მოტივია, რაც პერსეფონესა და იგრის თქმულებებში. აქაც სიკვდილით ხდება აღორძინება. რაკი მესეფენი წყალში ცხოვრობენ (ე. ი. იგრის მოციქულები არიან) და მათი მოსვლა თარაშის სიკვდილთან არის დაკავშირებული, საჭირო იყო მესეფეთა მჭიდრო დაახლოება პერსეფონე-იგრი-ენგურის კომპლექსთან. ამიტომ შეეცვალა მწერალმა მესეფეთა წყლიდან ამოსვლის დრო.

მკვლ რომაელთა პერსეფონე, ქართველთა იგრი და მესეფე სიკვდილის გზით ანიჭებენ ადამიანს განახლება-აღორძინებას. თარაშ ემხვარსაც ასე სჭეროდა — მხოლოდ სიკვდილით შეიძლებაო მკვდრეთით აღდგომა. ამრიგად იგი საკუთარ რწმენას ეზიარა და ისე გადავიდა არყოფნაში. ხელმეორედ აღორძინების ლამაზი ოცნება კი მის სიკვდილს სიმშვიდესა და ჰარმონიას ანიჭებს. გარდა ამისა, ძნელია შეურიგდე სამუდამო გაქრობას იმისას, ვინც გიყვარს. ცრუ ნუგეშად იქმნებოდა და იქმნება მეორედ მოსვლის ლეგენდა. მკითხველისათვის მტკივნეულია თარაშ ემხვარის დაღუბვა და მეორედ მოსვლის მითი აქაც ტრაგიკული დასასრულის ნუგეშია.

თუ, ერთი მხრით, რომანში მითოლოგიური პლანის საშუალებით გაშუქებულია პიროვნების სულში სიყვედილ-სიციოცხლის ბრძოლის სურათი, მეორე მხრივ, იმავე მითოლოგიური პლანით ნახვენება არზაყან ზეამზიას შერკინებაც ძველ დროსთან. ბედით არზაყან ზეამზია არანაკლებ ტრაგიკულია თარამ ემზეარზე. მისი ვზა მამის სისხლით არის მორწყული, მიუხედავად იმისა, კაც ზეამზიას არზაყანის გასროლილი ტყვივა განგმირავს თუ არა. არზაყანს წილი უდევს ქორა მახვშისა და თამარის სიყვედილშიაც, თუმცა მას შეიძლება ეს შეგნებულიც არ ჰქონდა. თუ როგორ მიიღო არზაყანმა მონაწილეობა კაც ზეამზიას, ქორა მახვშის და თამარის სიყვედილში, ამას დავინახავთ ამ სამი პერსონაჟის გარდაცვალების მითოლოგიურ სიბრტყეში განხილვით.

როცა კაც ზეამზია მოკვდა, ძველი კოლხური ჩვეულების თანახმად, მისი ცხედარი თარამშია, არზაყანმა და საურმა ხეზე დაკიდეს (III, 168). დამარხვის ეს წესი თარამშია გაასენა. თითქოსდა ბუნებრივია ძველი კოლხური ფეტმიზიზმის მკვლევარს გახსენებოდა მემატრიანეთა ცნობა მიცვალებულის ხეზე დამარხვისა, მაგრამ მართა ამ უბრალო ვახსენების საილუსტრაციოდ არ არის იგი აღწერილი რომანში.

როგორც ვ. ბარდაველიძემ გამოიკვია, წარმართ ქართველს სჯეროდა სულის არსებობისა (ვ. ბარდაველიძე „ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან“, წიგნში „მიმომხილველი“, ტ. I, 1949 წ.). ადამიანის გარეშე სული გარე სამყაროს ზომელიმე ობიექტში ცხოვრობდა, მაგალითად, მცენარეში ან ცხოველში. ეს ობიექტი მკიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესთან. თუ გარეშე სულის სადგური მცენარე ან ცხოველი დაიჭრებოდა და მოკვდებოდა, დაიჭრებოდა და მოკვდებოდა ის ადამიანიც, ვისი სულიც დაზიანებულ ობიექტში ცხოვრობდა. წარმართი ქართველის რწმენით,

განსაკუთრებული კავშირი ადამიანის სიცოცხლეს ხის სიცოცხლესთან ჰქონდა. მოგვითხროთ ერთი მგავლიანი ვ. ბარდაველიძის გამოკვლევებიდან: „ხალხური რწმენისა და ვადმოცემის მიხედვით, რკონის წმ. ცაცხვის ხე საიღუმლო კავშირში იმყოფებოდა ჯავახიშვილების საგვარეულოსთან, ვინაიდან ამ ხის სინედლესა და სიმრთელესთან ჯავახიშვილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე იყო დაკავშირებული. ეს ამჟამად ჩანს შემდეგი ჩვეულებიდან, რომელიც ჯავახიშვილებში არსებულა. როცა ამ გვარეულობის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, მივიდოდნენ ცაცხეთან და მას გულდასმით დაათვალიერებდნენ. თუ ცაცხვის ტოტები ყველა მთელი აღმოჩნდებოდა, მაშინ, მათი რწმენით, ავადმყოფი მალე მორჩებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მას საფრთხე მოელოდა, სასიკვდილოდ იყო განწირული“ (მითითებული წიგნის 129-ე გვერდი).

ახლა ზემოთ თქმულს თუ შევადარებთ როგორ უყვარს თარამ ემზეარს ხეები და საერთოდ რა მიმართებაა რომანში ადამიანსა და ხეებს შორის, ნათელი გახდება, რომ „მოვარის მოტაცებაში“ გარეშე სულის არსებობის მითოლოგიური რწმენაც არის არეკლილი.

რომანში არის მთელი თავი „ქადრების ქება“, რომელშიც თარამის უსაზღვრო სიყვარულია ხეების მიმართ გამოთქმული. მერე, როცა თარამი ვადაიკარგება, თამარი მიდის ამ ქადრებთან (III, 62) და ეს ასეა ვადმოცემული: „აჰა, მისოუსტის საყვარელი ქადარი. აქ იჯდა ხშირად მისოუსტ და პლატონის ფედროს აქ უყითხავდა თამარს და კაროლინას. მოეჩვენა თამარს თითქოს ეს ქადარი მისოუსტის სულის თანაზიარი ყოფილიყო (ხაზი ჩემია—ა.ბ.). დაჯდა თავათ იმავე სკამზე. ხელი შეავლო ხეს ტანხატულას. როგორი უკუნებელი სევდით გავსილიყო მოხუცი ქადარი! ვარინდებული იდგა, მწვერვალი მზისათვის შეგვიერა, თითქოს მისგან

მოელისო კიდევ სიტყვით ნაკვიანებ შე-  
მოადგომისას. მწუხარედ ცვივოდა ჭად-  
რის ფოთლები ხან აქ, ხან იქ და ეს ისე  
მოესმოდა თამარს ამ წუთში, როგორც  
უნუგეშო, გულისმომკვლელი სამეომოდ-  
გამო რეკვიემი“.

თავი რომ დაეანებოთ იმას, რომ ამ  
ნაწყვეტში პირდაპირ არის ნათქვამი —  
ჭადარი მისოუსტის სულის თანაზიარი  
იყო, — განა ჭადარის პორტრეტი თარა-  
შის პორტრეტს არა ჰგავს? თარაშიც  
უკურნებელი სევდით არის შეპყრობილი  
და ჭადარიც, თარაშიც უდროოდ გა-  
თეთრდა და დაბერდა და ჭადარიც მო-  
ხუცია, თარაშიც უკანასკნელ დღეებს  
ითვლის და ჭადარის ფოთოლთცვენაც  
სიკვდილის მაცნეა.

პატარა თარაშიც ზომ მორღუსთან  
(კაც ზვამბაიასთან) ერთად ზესთან მი-  
დიოდა და შესთხოვდა: „ხეო, შენი  
მადლი და სიკეთე მომანიჭე, ზიდან უვ-  
ნებლად ჩამომიყვანე, ნედლზე შევდგე  
და გამიმგარდეს, ზმელზე შევდგე გამი-  
ნედლდეს“ (I, 86).

ასე რომ, ზე „მოთხარის მოტაცებაში“,  
ისე როგორც ქართულ მითოლოგიაში  
ადამიანის სულის თანაზიარია და ღვა-  
თის ფუნქციაც აქვს. და კაც ზვამბაიას  
სიკვდილის ქამი დაუდგა არა მარტო იმი-  
ტომ, რომ იგი შეიღმა გაიმეტა, არამედ  
იმიტომაც, რომ მის ეზოში ასწლოვან-  
ი ხეობი მოჭრეს და რამის პლანტაცი-  
ები შემოქმენეს (III, 222). „თარაშ ემ-  
ვარს ვულო ეტყინა ძველი, საყვარელი  
ხეები რომ აღარ დახვდა. მისი ბავშვო-  
ბის ტკბილზე-ტკბილი საჩრდილობელი.  
ლელეს ხეები გადარჩენილიყვენენ, ბრო-  
წიულის რამდენიმე ზე გამხმარიყო, ორი-  
ოდე ყვაოდა მხოლოდ. ასწლიანი კობი-  
ტები მოეჭრათ სასიმიინდეს გარშემო,  
„ღემონებით“ დასაბლებული ფულური  
ხეები“. ამ ხეებში ცოცხლობდა კაც  
ზვამბაიას გარეშე სული. უშიათოდ  
ცხოვრება მას არ შეეძლო და როცა  
ხეები აღარ იყო, აღარც კაც ზვამბაია  
არსებობდა და წარმართული რწმენით  
შეპყრობილმა გაზრდილმა მისი ცხედა-  
რი ხეზე იმიტომ დაკვიდა, რომ ამ გზით

შესძლებოდა კაც ზვამბაიას მიხალე-  
ბოდა და შერწყმოდა თავისე გარეშე  
სულს.

ხეები კი კაც ზვამბაიას ეზოში იმ კო-  
ლმეურნეობამ მოჭრა (III, 222), რომ-  
ლის დაარსების ერთერთი ინიციატორი  
არზაყანიც იყო და რის გამოც იგი (არ-  
ზაყანი) მთელმა სოფელმა შეიძულა  
(II, 103).

ნებით თუ უნებლიედ აქაც შეუწყო  
არზაყანმა მამის სიკვდილს ხელი.

ასევე თამაშა არზაყანმა საბედისწე-  
რო როლი ქორა მახვშის სიკვდილში მე-  
ზიარის მოკვლით.

როგორც ქართულ, ისე საერთოდ მი-  
თოლოგიაში, ღველი მიჩნეული ყავდათ  
ნაყოფიერების, ბარაქის, ახალგაზრდო-  
ბის, ჯანმრთელობის ღვათებად. გავიხსე-  
ნოთ თუნდაც ის, რომ ძველბერძენთა  
ჯანმრთელობის ღმერთის ასკლეპიოსის  
სიმბოლური ნიშანი გველი იყო. ქართულ  
ოქმულებებში ოჯახის მფარველი გვე-  
ლის სიკვდილი ყოველთვის იწვევს ოჯახ-  
ის ეფროსის სიკვდილს. ეს იმიტომ, რომ  
გველი იყო ოჯახის პატრონის გარეშე  
სულის სადგომი. და როცა არზაყანმა  
მეზიარი მოკლა, ამით მან ქორა მახვშის  
სიკვდილიც დააჩქარა. ქორა მახვშმა  
„მეზიარის სიკვდილი რომ გაიგო, ერთი  
წამოვარდა საწოლზე, ოთხით ზედ შედ-  
გა, დაიჩოქა, ზელები ცისაკენ აღაყრო,  
მერმე თავბირში დაიშინა: დაილუპაო  
ჩემი ოჯახი, დაიგმინა და მისი უზარმა-  
ზარი სხეული დაეცა ისევ საწოლზე.  
მცირე ხანს ასე იწვა პირქვედაშობილი.  
ყურები უწიოდა, მერმე წივილმა გაუა-  
რა, სამინელი ხმაური შეიცნო. იწვა  
ქორა მახვში და მოესმოდა მთების უც-  
ნაური ცრუხუნი. გრუხუნებდნენ მთები,  
ილწებოდნენ მის შემეცნებაში სვანე-  
თის შეუვალი მყინვარები. სულ ზუთი-  
ოდე წუთის შემდეგ ამაოდ ეძებდა საუ-  
რი მაჯისცემას მის მარჯვენაზე“ (III,  
156-157).

აქ რეალური ყოფის სურათი და მი-  
თოლოგიური წარმოდგენა გაერთიანე-  
ბულია და ძველი ცხოვრების წყარის  
შთაბეჭდავი ამბავია გადმოცემული.

გარეშე სულის გარდა, წარმართ ქართველს პარციალური სულის ანუ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების სულის არსებობაც სჯეროდა, განსაკუთრებით ბევრი მასალა მოიპოვება თმის პარციალური სულის არსებობის შესახებ (იხ. ვ. ბარდაველიძის უკვე მოხსენიებული გამოკვლევა), მაგრამ ახლა მათ აქ არ მოეცინათ. ოღონდ არ შეიძლება არ გავისვენოთ თმით შეკრული ეპისის ჯვრის ამბავი. იანა ლეთისმშობელმა არ მოჰყოლა იხელი „რტოსა ვაზისასა და მოჰკეთა მისგან და შექმნა ჭუარი და მისცა ხელთა ღირსსა ნინოსს“? და ეს ჭვარი ჩომ ქალის თმებით იყო შეკრული. ეს არ არის, მხოლოდ პოეტური ამბავი. მასში წარმართული რწმენის ანარეკლია და ცდება წარმართობის ქრისტიანობასთან ერთგვარი შერიგებისა, ხეში (აქ ვაზში) ადამიანის გარეშე სული ცხოვრობდა, თმში—პარციალური, ერთად კი ისინი ადამიანის სიცოცხლესთან იყვნენ დაკავშირებული. ამიტომ, ეგზომ მწვავედ განიცდის თამარი დედისეული ჯვრის დაკარგვას. მართალია, თამარის ჭვარი ვაზისა არ იყო, მაგრამ ოქროს ჭვარსაც სიმბოლურად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ არის, რომ ჯვრის დაკარგვა თამარისათვის დედის სიკვდილის ბადალია.

„უკანასკნელად ხელში მოხვედრილი ნივთები ჩელიდან გაუცვივდა, ზედწამოიჭრა, თვალბზე ხელები აიფარა, მხრები აუტოკდა საბრალოდ, „ვაჟ დედაო“, დაიკვნესა და გულამოსკვნილი ქვითინით დაეცა თავის საწოლზე, შეცხადებულსავით იძახოდა: „დედა, დედაო“, თითქოს იმ წუთში შეიტყო, რომ აღარა ჰყავსო დედა“ (II, 21).

თამარის შემეცნებაში დედა და ჭვარი გაიგივებულია, ამიტომაც სიზმრებში თამარს დედა ყოველთვის ჯვრით ეცხადება:

„სასათუმალთან დადგება დედა. ხელში თამარის მიერ დაკარგული ჭვარი უჭირავს“... (III, 186).

„შემოვიდა დედა, თამარისათვის ნაჩუქარი ჭვარი ეჭირა“... (III, 212).

რაკი ესოდენ მკიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან თამარის შეგნებაში ჭვარი და დედა, სრულყოფილ ბუნებრივია, რომ იგი ჯვრის დაკარგვის „ამბავს განიცდიდა როგორც უდიდესი უბედურების პრელუდიას“ (II, 83). მართლაც, მალე თამარის სიყვარულიც და სიცოცხლაც ტრაგიკულად დამთავრდა.

და ვინ დააკარგვინა მერე ჭვარი თამარ შარვაშიძეს? არზაყან ზემბაიაძე ასე რომ, თამარის უბედურებაში გარკვეული წვლილი არზაყანსაც მიუძღვის.

თამარისა და თარაშის სიყვარულის დანგრევამაც მიუძღვის არზაყანს წვლილი. ეს მან შთააგონა თამარს თმების შეკრება:

„...ავადმყოფმა თმა უნდა მოიჭრასო, ილორს შესწიროსო თავის ნაწნავები“ (II, 44).

ეს იმიტომ გადაეცა არზაყანმა, რომ თარაშისათვის უნდოდა მიეყენებინა ტყვილეები.

„დეე იტანჯოს. დეე თმები შეიკრიკოს. თარაშ ემზვაროს ფილაში ეს ხომ მკირედი ვესლის წვეთი მაინც იქნება, თარაშ ემზვარს თამაშეკრეცილი ქალები სძაგს, დეე, დეე!!!“ (II, 46).

ო, როგორ მწარედ განიცდიდა მერე თამარი თმების შეკრევას!

„...სწყევლოს მარბიელს (ე. ი. არზაყანს, რადგან იგი მივიდა ავადმყოფ თამართან ტანთგადაცმული, ვითარცა მკითხავი) თმის შეკრევა რომ შთააგონა“ (III, 63).

მხოლოდ პარციალური სულის მოშველიება დაგვეხმარება გავიგოთ რატომ განიცდიან ეგზომ მწვავედ თარაში და თამარი თმის შეკრევის ამბავს. მითოლოგიის თანახმად, ხალხს სჯეროდა, რომ თუ ადამიანის თმა ჩელთ იჯდე, შეგიძლია ამ ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინო. ამიტომ თავდაცვის მიზნით აუცილებელი იყო ადამიანს თავისი თმა ზოროტი პირებისა და ავი სულების ხელში არ ზაეგდო (იხ. ვ. ბარდაველიძის მოხსენიებული შრომა). ეს რწმენა თარაშ ემზვარსაც შესისხლბორცებული ჰქონდა. ამიტომ მიიჩნია

სარგებლობს რა შემთხვევით, გ. შაიშვილი აყენებს საკითხს მის თანამედროვე მწერლობის ამოყენების შესახებ საერთოდ. კრიტიკოსის შეხედულებით, საკლები რეჟორმამ და რეფორმის შემდეგდროინდელმა ვაჟკამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ზვენი ქვეყნის და კერძოდ სოფლის ცხოვრებაში. რეფორმის შემსრულებელი ხასიათის მიუხედავად, გლეხის შრომის განთავისუფლებამ გამოიწვია ძირეული ცვლილებები როგორც შემსრულის, ასევე გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში. წინააღმდეგ ადრინდელი ვითარებისა, ეკონომიური პროგრესი მოქმედებს არა პირველად, არამედ უკანასკნელის სასარგებლოდ. აღებ-შეცემობის განვითარებამ, რაც რეფორმის მოკვება, გამოიწვია მალალო წოდების ეკონომიური გაჯობება, რასაც სრულიად ვერ შეეშალა ხელი სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ. გლეხთა შორის კი შეიქმნა გარკვეული ფენა, რომელიც მნიშვნელოვანი თანხის დაგროვებას ახერხებს და ხდება რაღაც საშუალო კლასად.

სწორედ ამ არსებითი და უდიდესი მნიშვნელობის სოციალური ძვრების ასახვა მიაჩნია გ. შაიშვილს მწერლობის მთავარ ამოცანად. ამასთან, მწერლობისაგან ის მოითხოვს ტანპური ხასიათის ტანპურ გარემოში ასახვას და შეაყარდ ვიზის ასახვის ნატურალისტურ შეთოდს. მისი თქმით, «художник, нарисовать картину современной деревни, желяющий, так сказать, уловить новья течениа, ...не станет, конечно, предметом своих наблюдений избирать одну какую-либо определенную местность и притом мало характерную в этом отношении. Он обязан наблюдать интересующим его явления везде, где только возможно, и, собирая материал по частям, отдельными кусками, должен постараться путем присущей ему творческой сила, соединить разрозненные куски и воспроизвести цельную картину жизни. Герои его произведения не будут, быть может, в этом случае походить на тех Иванов и Петров, которые в действительности живут в той или иной местности, повествуемая им события не будут быть может, иметь места в жизни, в той именно форме и последовательности, в какой они описаны автором, но за то... произведение его будет отмечено печатью творчества, оно явится художественным обобщением жизненных явлений, а не простою фотографиею».

გ. შაიშვილის მიერ საკითხის ამგვარად დაყენება არა მხოლოდ იმიტომ არის საინტერესო, რომ იგი მოწმობს ავტორის დროის ტენზიარტ რეალისტურ პოზიციებზე, არამედ იმის გამოც, რომ უაღრესად დროული და აქტუალური იყო; 80-90-იანი წლების ლიტერატურაში მართლაც შეინიშნებოდა ნატურალისტის რეკიდივება, მაღალი რეალისტური ტრადიციების გადარბება შიშველი პუბლიცისტური მსჯელობის ხარჯზე.

ამგვარ ცდუნებათაგან თავისუფალი არც მელანია იყო, რის გამო კრიტიკოსი მას უწოდებს ფოტოგრაფ-მატეარას, რომელსაც აქლი განზოგადების ტალანტი. მართალია, შენიშნავს ის, მელანია მოვლენათა ფოტოგრაფირებას ახერხებს ბრწყინვალედ, მაგრამ მისი დაკვირვების სფერო უაღრესად ვიწრო და განსაზღვრულია. «До чего, в самом деле, автор фотографирует, а не творит, «списывает с натуры», а не обобщает рисуемую им картину жизни, видно из того, что отдельные главы повести не имеют между собою никакой почти связи, могут читаться совершенно независимо друг от друга».

კრიტიკოსი სამართლიანად საყვედურობს მელანიას ისეთი მერსონაგების გამოგვანას ნაწარმოებში, რომლებსაც არსებითი კავშირი არ აქვთ მოთხრობის მთავარ შინაარსთან და პრაფრით არ უწყობენ ხელს მოქმედების განვითარებასა და გაგებას. თუმცა, ამას-

თან ერთად, არ უარყოფს ამ პერსონაჟთა (აღვლობ-რივი საცულისი მსახური, შუმანდუბა და სხვ.) ორიგინალურად და ცოცხლად დახატვის ფაქტსაც. ამავ შემედულებსაა ის მოთხრობის ცალკეული სცენების (ყვავილის მუკრანლობის წესი სოფლად, დიაცვის შეუღლის მიერ სოფელში გოგონებისათვის ხელსაქმის სწავლება, საუბარი წისქვილში ტელფ-რაფზე და სხვ.) შესახებაც.

გ. შაიშვილი „ბნელის“ თემს არ მიიჩნევს ახ-ლად, თუმცა მას სოფლის მოშენიანად და სასარგებ-ლოდ მატერული განაწილებისათვის. მაგრამ ვი-ნაიდან ავტორის აკლია სწორად განაწილებების უნა-რი და მატერული გაქანება, ვერ მიიღო ის, რის მიღებაც შეიძლებოდა. და თუ რამდენად ემინია მას ძლიერი ეფექტების, რაც აღწერილ სურათთა ისტა-ტური განლაგებითა და მოქმედების ფსიქოლოგიური გამჟღავნებით მიიღწევა მხოლოდ, და რამდენად გაურ-ბის ის სოფლის ცხოვრებაში შენიშნული ახალი მოვ-ლენების ანალიზს, ამას თვალნათლე ადასტურებს მისიწველი სოფლისათვის საკმაოდ ტიპური თავად შატრისა და წერილი ვაჭრის (არტემ არსუზანოვის) სახეთა მეტად მკრთალი ჩვენება. სოფელში „ბურ-კვას“ ფიგურა იმდენად უფერულაა და მისი მოქმე-დება ისე ნაკლებ გასაყვები, რომ ნაწარმოებში ის ვერ პოულობს თავის ადგილს. და ეს მაშინ, როცა მას სათანადოდ წარმოსახვას და მონური ფოტოგრა-ფიკობისათვის თავის დაღწევას შეუძლო შეიძლე-ლიათვის გაეცნო სოფლის ახალი ბატონის, — კუ-ლიას საინტერესო სახე.

მოთხრობისადმი ინტერესს, — კრიტიკოსის შეზე-დულებით, — ანელებს ის გარემოებაც, რომ ავტორი არ ცდილობს ღრმად ჩაახედოს თავის გმირთა სულ-ში და მოგვეც მათი მოქმედებისა და ქცევის ახსნა. ეს კი მით უფრო სამწუხარაა, რომ იგი ასე იქცევა არა სათანადო ნიჭის ფქონლობის გამო. ამას მოწ-მობს თუნდაც გაყარალებული ილა თვალისშევილის:—  
ბნელის სულერი ჭიდილის გამომატყველი შვენიერ-რი სურათი, რომლის ჩვენების დროს მწერალმა თავი დააღწია მოსალოდნელ სენტიმენტალიზმსაც. ამ შემ-თხვევაში მელანიას დაეხმარა ისიც, რომ იგი თავი-სუფლად იყო, ტანდენციურობისაგან და მოთხრობის ქონდა ყოველგვარი ყალბი და ვამოგონილი სცენების გარეშე.

მაგრამ გ. შაიშვილი მელანიას მსატყრულ მე-თოდს, არსებითად, აკავშირებს ნატურალიზმთან და არა რეალიზმთან. მისი თქმით, «Мелания не только реалист, но и фотограф». და თუ როგორ განასხვავებს ის რეალიზტსა და რეა-ლისტიკურფორმას (ე. ი. ნატურალისტს), ამას გა-რკვევით ვიგრძნობთ მისი შემდეგი სიტყვებით: «Реализм ничуть не исключает ни обществен-ной идеи, ни художественной «выдум-

ки». Произведение должно быть жизненно, соответствовать условиям среды [ситуации], а не фотографически списано с живых людей. Будучи фотографическим, оно перестает быть типическим, давая сы-рой материал, сумму конкретных фактов, оно лишает нас обобщений, художествен-ного понимания явлений жизни. Разница между портретом, снятым фотографом и портретом, нарисованным художником, заключается именно в том, что первый пере-дает выражение вашего лица таким, каким оно было лишь в момент фотографирова-ния, т. е. передает одно из выражений, свойственных вашему лицу, между тем как художник схватывает наиболее типические черты вашего лица, т. е. такие черты, ко-торые составляют, если можно так выра-зиться, существо, душу вашей физиономии. В одном случае мы имеем частность, де-таль, хотя и превосходно схваченную, а в другом — общее, характерное, типическое».

უდავოა, რომ გ. შაიშვილი „რეალიზმში“, როცა ის თავის სტატისას სათაურად უკეთებდა «Реа-лизм в грузинской литературе». სინამდვილეში, გულისხმობდა „ნატურალიზმს“. მასი მკაცრი კრიტიკა „ბნელის“ მისამართით გამოწვეულია სწორედ მისი ავტორის ნატურალისტურ სტილთან მიხედობისა და ჭეშმარიტი რეალიზმის პრინციპებისაგან გვერდის ავ-ლის გამო.

მელანიას შემოქმედებითი ტალანტისა და მისი მოთხრობის „ბნელის“ გ. შაიშვილისეული შეფასე-ბა შემდეგი მეტ-ნაკლებად იქნა გაზიარებული კრი-ტიკოსთა მიერ. უფრო სწორად, მათ მეტ-ნაკლებად წამოსწიეს წინ ნაწარმოების მის მიერ შენიშნული ღირსება-ნაკლოვანებანი და მრინციპულად ახალ-ბევრი აღარადერი უთქვამთ, თუმცა ზოგიერთმა მათ-განმა შედარებით სრულად და დაწერილებითაც გა-ნინილა იგი.<sup>1</sup>

სამწუხარაა, რომ აღნიშნული სტატიით გ. შაიშ-ვილმა დაამთავრა ქართული მწერლობის საკითხებზე წერა და ამის შემდეგ მხოლოდ პუბლიცისტიკას ემ-სახურებოდა.

<sup>1</sup> იხ. ხომელთი — „ქართული გლეხის შეი-ლი“, გაზ. „კვალი“, 1894 წ., № № 10-16, 38, 39; ა. გომართელი — „ჩვენი სიტყვაკახშული ლი-ტერატურა 1899 წელს“, გაზ. „კვალი“, 1900 წ., № № 5, 7, 9; ა. წულუკიძე — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, ჟურნ. „შობაშუა“, 1895 წ., № IV-V.



## საეპიგრაფო „ეპიგრაფიკის“ მიხედვით

ფეოდალურ საქართველოში საეპიგრაფო ერთ-ბაშად არ შექმნილა. ჯერ ცალკეული ეპიგრაფის სახელი წარმოიშვა და შემდეგ საეპიგრაფო გან-ნდა.

„ქელმწიფის კარის ვარიეტების“ მიხედვით საეპიგრაფო საეპიგრაფო ჩამოყალიბებული დაწესებულება არის. საეპიგრაფოს სათათბირო მნიშვნელობა ჰქონდა: მას მწიგნობართუხუცეს-ქუონდიდლის სახით თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ თუ საეპიგრაფო იყო ესწრებოდა, მისი ხელმძღვანელიც ის იყო.

საეპიგრაფოს სტრუქტურა ირჩებოდა საეპიგრაფოს ყოველდღიური მმართველობის საფუძველზე (ქელმწიფის კარის ვარიეტების) მიხედვით ეპიგრაფის ესწრებად: მწიგნობართუხუცეს-ქუონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატრთუხუცესი, მეტრეპლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, საწოლის მწიგნობარი, ამილახორი და ამირჩეხი. საეპიგრაფოს ხელმძღვანელობს მეფე, სხდომის მიმდინარეობის დროს შენობას ვარშემო მცველება ჰყავს; საეპიგრაფო მოხელე გამოიძახებს იმას, ვინც საეპიგრაფოს ესაჭიროება. საეპიგრაფოს ვარშემო გამოიძახებულნი არიან მოხელენი დანიშნულებისამებრ ბრძანება-განკარგულების გადასაცემად. იქვეა მწიგნობრები, მწერლები რაიმეს დასაწერად. ქელმწიფის კარის ვარიეტებით — საეპიგრაფო ყოველდღიურად მოქმედს დაწესებულება ჩანს, მთავრობის მსგავსად.

საეპიგრაფოთა აღნიშვნის, რომ „ქელმწიფის კარის ვარიეტებში“ არა მარტო საეპიგრაფოს, არამედ, სხვა დაწესებულებათა განაწესიც არის წარმოდგენილი: მგალითად, „ქელმწიფის კარის ვარიეტების“ მიხედვით სისამართლო დაწესებულებას „სააჯო კარი“ ჰქმევია.

სააჯო კარში „ორშაბათს დღეს“ მწიგნობართუხუცეს-ქუონდიდელი გამოცხადდებოდა საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრებთან ერთად და საქმეებს არჩევდა. ორშაბათის ვარშემო სხვა დღეებში, ალბათ, სააჯო კარში ჩვეულებრივი სისამართლო დაწესებულება მუშაობდა. ასეთი განაწესი იქნებოდა სხვა დაწესებულებათათვისაც. მგალითად იმის თქმა, თუ როდიდან არის შემოღებული საქართველოში „ქელმწიფის კარის ვარიეტებში“ აღწერილი მმართველობა. „ქელმწიფის კარის ვარიეტების“ XIV საუკუნეში დაწერილი და ასახავს საეპიგრაფოს, როდესაც ის საბოლოოდ ჩამოყალიბებულია. სინამდვილეში კი ეპიგრაფოს ცალკეული სახეობები სხვადასხვა დროს წარმოიშვა. მგალითად, ათაბაგობა 1212 წელს დაწესდა, ხოლო მსახურთუხუცესი საეპიგრაფოში რუსუდან დედოფალმა შეიყვანა. ამგვარად, (თამარის მეფობისას, „ეპიგრაფიკის“ ეპოქაში ოთხი ეპიგრაფი იყო: მწიგნობართუხუცეს-ქუონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატრთუხუცესი და მეტრეპლეთუხუცესი. მსახურთუხუცესის თანამდებობა არსებობდა, მაგრამ ის საეპიგრაფოში არ იყო შეყვანილი.)

(მასმასადავ, მმართველობის დარგებლად დაყოფა საქართველოს ისტორიაში თანდათანობით ხდებოდა. მმართველობა მეფის სახელით ხორციელდებოდა, მაგრამ მეფეს ფიზიკურად არ შეეძლო პირადად განხორციელებოდა მმართველობის ყოველგვარი საქმიანობა და იმ შემთხვევაში მეფის დროიდან შემონახულია ცნობა, რომ მეფეს მოხონებულება ზებზე ზღვდებოდა, ხეებზე აღიოდნენ, რომ მეფის ყურადღება მიექციათ. სამეფოს ვარშემოებისათვის ერთად რთულდებოდა მმართველობის ფუნქციები. ამიტომ საუწყებო სისტემაზე გადასვლა აუცილებელია შეიქმნა. „საეპიგრაფო ქვეყნის მმართველობის საუწყებო სისტემის შემოღებას გულისხმობდა და მეფის ხელში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას ესაზღვრებოდა... საეპიგრაფო პროგრესული დაწესებულება.

1 „ქელმწიფის კარის ვარიეტების“, ე. თაყაიშვილის რედ., 1920, გვ. 3, 5 8.  
2 „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1, 1955, გვ. 354.

1 „ქელმწიფის კარის ვარიეტების“, ე. თაყაიშვილის რედ., 1920, გვ. 18-19, 35 36, 37, 38.  
2 იქვე, გვ. 19-20, 5 38.

იყო.<sup>1</sup> ვაზირები მმართველობის ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელები და მოურავები იყვნენ.<sup>2</sup>

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ტერმინი ვაზირი ქართულ წყაროებში გიორგი III და თამარ მეფის დროიდან იხსენიება,<sup>3</sup> ამ დროიდან კი ვაზირი „მინისტრთა საზოგადო სახელად იქცა“.<sup>4</sup>

ქართულ წყაროებში, ვარდა „ტომწიფის ქარის ვაზირებისა“, არ არის სპეციალურად საუბარი სავაზიროს შესახებ<sup>5</sup> სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდის აღწერისას წყაროებში ნათქვამია, რომ ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად მეფე ეთათბირებოდა მასთან დახლოებულ პირთთან. მგავლობით: გიორგი III მოულოდნელად თავს დაესხნენ; მეფესთან ამ თავდასხმის შესახებ თათბირებენ ივანე ამირსპასალარი და სხვა დიდებულნი.<sup>6</sup> ამირსპასალარი ვაზირი იყო: საფიქრებელია, რომ დიდებულთაგან აქ სხვა ვაზირიც იყო მეფესთან.

ვაზირი მეფემ თამარი ტახტზე აიყვანა „თანადგომითა უოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასეტთა“.<sup>7</sup> აქ დარბაზი იგულისხმება, რომლის შემადგენლობაში ვაზირებიც შედიოდნენ.<sup>8</sup>

თამარ მეფეს უოფლიმა ქმარმა გიორგიმ აჯანყება მოუწყო. თამარმა უბრძანა ამირსპასალარს გამარჯვებს, მხარგრძელთ და სხვებს, აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.<sup>9</sup> საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თამარი ერთპიროდებულად მოქმედებს. რასაკვირველია, ბრძანებულს გაეცემამდე მეფეს თათბირი ექნებოდა ვაზირებთან, რომლებიც მასთან იყვნენ.

შემქორის ომის წინ „შეკრებს თამარს წინაშე უოველნი ვაზირნი და სპანი“.<sup>7</sup> აქაც ვაზირნი დარბაზის მონაწილენი არიან.

თამარ მეფე გუგუთს იმყოფებოდა, მასთან იყვნენ ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და ძმა მისი ივანე მსახურთუხუცესი. მეფეს მოახსენეს, რომ მხარგრძელთა სამფლობელო ანისი მოახრესო. ზაქარია და ივანე სასწრაფოდ ანისასაყენ გაემართნენ.<sup>8</sup> სავარაუდებელია,

რომ ამ დროს თამართან სხვა ვაზირებიც იყვნენ, მაგრამ ანისთან დაკავშირებით მემკვიდრე მხოლოდ მხარგრძელნი მოიხსენიან.

მემატიანე წერს: „მოვიდეს მხარგრძელნი, ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი. ივანე და ვარამ გაგელი, მეფეს წინაშე და მოახსენეს“ საომარად მომზადების შესახებ.<sup>1</sup> ეს არის მეფის თათბირი ქარის მოხელეებთან, შესაძლებელია ამ თათბირს თამარის ყველა ვაზირი ესწრებოდა.

როდესაც საქართველოს წინააღმდეგ მამამდიანთა გაერთიანებული თავდასხმა მზადდებოდა, „ესმა ესე უოველი თამარს და მოუწოდა, უოველთა ვაზირთა თუსთა და შეიქმნა გამორჩევა“.<sup>2</sup> ე. ი. შეიქმნა რჩევა-ბუკონა. თავდასხმაზელად გამზადებული მტრის წინაშე, სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო და ამიტომ დარბაზის მოსაწყვეად თამარი ადგილებიდან ერთსავეების გამოძახებას ვერ შეუდგებოდა. ამ შემთხვევაში თამარმა მოიწვია თავისი ვაზირები (სავაზირო). ამასთანავე შესაძლებელია, საერთოდ, სასაბუნდოვან დახლოებულნი პირნი — მეფის მრჩეველნი — ესწრებოდნენ ამ თათბირს.

ბასილი ეზოსმოძღვარის გადმოცემით, მონაპირეები თამარ მეფეს უკეთებდნენ მოხსენებებს მომავალი ლაშქრობის შესახებ, ხოლო თამარ „განინიჭის საქმე იგი და გამოკითხის: უკეთუ ღირს იყვის“ ლაშქრის შეყრა, „უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარინან ლაშქარნი“, უკეთუ „უმიტრესი ჩამე იყვის“, იმის შესაფერისს ზომებს მიიღებს.<sup>3</sup>

მოყვანილ ამონაწერში საუბარია მეფის მიერ საქმის გასინჯვასა და გამოკითხვაზე, ე. ი. საქმის შესწავლაზე; ამასთანავე შესასწავლა სამხედრო საქმე, ომის საკითხი. რასაკვირველია, ასეთ საკითხს მეფე მართო ვერ შეისწავლიდა: ყვადია, აქ იგულისხმება მეფის ვაზირები, რომელთა მონაწილეობით მეფე სწყვეტდა ამგვარ საკითხებს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეპითაღმწერლის სიტყვით ქალაქდინი ავაგს, ათაბაგსა და ამირსპასალარს, ვაზირთუხუცესს უწოდებდა.<sup>4</sup>

(თამარის ისტორიკოსების შრომებში, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ძეგლებში, ტერმინი სავაზირო არ არის იხსენიებული, საუბარია ვაზირებზე, რომლებიც მეფესთან სათათბირო უფლებით სარგებლობდნენ.)

ზმასთანავე, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით დარბაზში მონაწილეობდნენ

<sup>1</sup> „საქართველოს ისტორია“, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1, 1958, გვ. 210.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11 ნ. 1, 1928, გვ. 120.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>4</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 11, 1959, გვ. 13.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 50-51.

<sup>7</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 11, 1959, გვ. 67.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 101-102.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 11, 1959, გვ. 130.

<sup>4</sup> იქვე, 173.



საეკლესიო ზღლისფაღნი, ხოლო სიაზიროს ზღმძღვანელი, მეფის შამა და მისი თანაშემწე იყო მწიგნობართუხუცეს-პუონდიდალი.)

იკლესიის ზღლისფაღნი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით სახელმწიფო მმართველობაში სრულებით არ არიან წამოღვენილნი, ე. ი. ეკლესიის იერარქები სახელმწიფოს მართვაში არ ღებულობდნენ მონაწილეობას. \* „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მოქმედების ასპარეზი ვაშლია, არაბეთსა, ინდოეთსა და შიმღვამ ქვეყნებში, რომლებშიც მამაღიანობა ან სხვა, არაქრისტიანული სარწმუნოება იყო გავრცელებული. საშუალო საუკუნეებში სარწმუნოება და ეთნიკური რაობა ერთმანეთზე იყო ვადაჯუბული. (ვეფხისტყაოსანი) რომელიც ხალხებისა და სახელმწიფოების (სოლიდარობაზეა აწუნებელი, სარწმუნოებათა დაბირისპირების რაივე გამოვლენაც კი არ იგრძნობა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ წარმოღვენილი სახელმწიფოების მართვა-გამგეობაში. პოემაში სარწმუნოების მსახურნი სახელმწიფო მართვაში არავითარ როლს არ ასრულებენ.) სარწმუნოების ასეთი უგულვებელყოფის ვარეშე შეუძლებელიც იყო ხალხთა მშობისა, მეგობრობისა და სიყვარულის პრინციპებზე აწუნებული სახელმწიფოს დაბატვა, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანში“ მოცეული. ასეთი სახელმწიფოს იღვას განსაკუთრებით დიდა მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში შოთა რუსთაველის ეპოქაში, როცა ქართულ სახელმწიფო აერთიანებდა სხვადასხვა სარწმუნოების მრავალ ხალხს.

შეშთვევითი არ იყო ის ვარგზობა, რომ ვარეთიანებული საქართველოს მეფეები, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვები, თავიანთ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში სარწმუნოებათა მიმართ დიდ შემართებლობას იჩენდნენ. ცნობილია შემდეგი ვარეშობა: დავით აღმაშენებელი მუსლიმანთა მეჩეთში შედიოდა, რათა ყველას წინაშე ხაზი ვარესვა იმისათვის, რომ ის პატრი სცემს არაქრისტიანულ სარწმუნოებასაც <sup>1</sup>.

ფრიად საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართველი და სომეხი ეპისკოპოსები და პაექრობა გამართა სარწმუნოებრივ საკითხებზე. მეფე თავის სიტყვაში აწვიდებდა და არიგებდა ადევლებულ მოკამათე მსახურებს რელიგიასა <sup>2</sup>.

საქართველოს მთავრობა იმდენად შემართებელ პოლიტიკას აწარმოებდა სარწმუნოებრივ საკითხებში, რომ თვით უშაღლესი სახელის

დაკავებაც კი შეეძლოთ არამართლმადიდებელთ. ასე იყო, მაგალითად, თამარის ღრის (ზაქარია და ივანე მხარგველნი) <sup>3</sup> თამარის წარსვე ვარმართა სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის კამათი სარწმუნოებრივი შინაარსის საკითხებზე, და საქართველოს მთავრობამ არ გამოიჩინა მიკერძოება და ობიექტური მსმენელის, მეთვალურის როლში გამოვიდა, რითაც ხაზი ვარესვა სარწმუნოებრივი შემართებლობის სასურველობას <sup>2</sup>.

ასეთი იყო ვითარება „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქასა და მის წინა პერიოდშიც. ამ ვარეშობამ შეაზნადა შოთა რუსთაველის შეხედულება სახელმწიფოზე.

ქართული სახელმწიფოსაგან განსხვავებით პოემაში არ არის მწიგნობართუხუცეს-პუონდიდალი, როგორც მეფის მოადგილე. დარბაზში არ ჩინან კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი. ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ სახელმწიფო წესწყობილება განსხვავებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი წესწყობილებასაგან, რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის“ სახელმწიფო ეს არის პოეტის იდეალური სახელმწიფო. სხვა მხრივ კი, „ვეფხისტყაოსნის“ სახელმწიფო ქართული სინამდვილის მხატვრული ასახვაა. <sup>4</sup>

განსხვავებით თამარის სიტორიოსებისა, „ვეფხისტყაოსანი“ იტონტ ტერმინს სავაზროს. ის ორჯერ არის პოემაში ნახმარი: ავთანდილმა „ვაზრდილი მისი შერმადინ დაისვა სავაზროსა“ (149,4). ნესტანი ვუნუნება ტარიელს:

„შენ არ იცი ზვარაზშმასი საქროდ ჩემად  
მოყვანება?  
შენ ჭღომილხარ სავაზროდ, შენი რთულა  
ამას ნება“ (525,1-2).

ორივე შემთხვევაში სავაზრო სათათბიროს ნიშნავს. პირველ შემთხვევაში შერმადინი ავთანდილის მრჩეველია. მეორე მაგალითის მიხედვით, ტარიელი ღებულობდა მონაწილეობას იმ რჩევაში, ვაზრობაში, როცა ნესტანის ვათხოვების საკითხი იჩნეოდა.

მართლაც: ტარიელი მოვეთხრობს, რომ ადრე დილით ის დაბარავს მეფის სასახლეში: ტარიელს იქ დახვდა სამი წარჩინებული დიდებული (507). ტარიელის სიტყვებით, „რა მივე, მითხრეს დაქღომა, წინაშე დაეჭე სკამითა“ — (507,4). მეფემ მოუთხრო მოწვეულთ, რომ ის ეძებს სასიძოს. ტარიელი ამბობს: „დავიწყეთ რჩევა საქმისა“ (511,1), ე. ი. შევუდექით სათათბიროზე დასმული საკითხის ვარჩევას. ჩვენ აზრით, სასახლეში „სავაზროდ“ მოწვეულნი პირნი იყვნენ ვაზრები. თვითონ ტარიელი ამირსპასალარ-ამირბარი იყო; ამირსპასალარი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 360, 416.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, II, ყაუხჩიშვილის რედ. I, 1955, გვ. 356-57.

<sup>3</sup> იქვე, II, 1959, გვ. 82.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 82-83.

კი ვაზირია. დანარჩენი სამი დიდებულიც, აღმათ, ვაზირები იყვნენ. საყურადღებოა აღნიშვნის, რომ თამარ მეფის დროს, სწორედ ოთხი ვაზირი იყო. აქაც ოთხი პირია სასახლეში საათბობროდ გამოძახებული. მამასადამე, ისე როგორც ქართულ ისტორიულ წყაროებში, „ვეფხისტყაოსანშიც“ სავაზიროდ, სათათბიროდ მეფესთან მოდიან მისი ვაზირები, მრჩეველები, რომლებიც, საერთოდ, მეფესთან იმყოფებიან. მეფესთან დაახლოებული პირები არიან და მეფეც ყოველდღიურად სამეფოს მათი რჩევითა და შეწყობით განაგებს.

• აქად: ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას რომ დარბაზობისათვის გარყვეული წესი არსებობდა და ამ წესის მიხედვით მაგრატი IV დროს შეკრებილი მეფის წინ სხდებოდნენ, ხოლო თამარის დროს, თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ზოგი ვაზირი მეფის მარჯვნივ დასვეს და ზოგი მარცხნივ. მამასადამე, დასკვნის აქად, ივ. ჯავახიშვილი, დარბაზში მოწვეულნი პირდაპირ დასხმის მავიერ, მეფის ორთავე მხრით, მხარმარჯვნივ და მხარ-მარცხნივ დაუსვენებენ. „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელს უთხრეს „დაჯდომია“, და ისიც „წინაშე“ — მეფისა დაჯდა. როგორც წინს, თამარ მეფისდროინდელი ზემოთმოყვანილი დაჯდომის წესი, თამარის მეფობის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო შემოღებული: თამარ მეფის დარბაზობის ახალი წესის შესახებ შემტვიანეს საუბარი აქვს უფოლუ-არსლანის აჯანყების შემდეგ და თამარის პირველი ქმრის შერთვის წინ.<sup>1</sup>

• ფარსადანის მიერ მოწვეულ სავაზიროში 4 ვაზირის ვარა, ესწრებოდა აგრეთვე, დედოფალი. დედოფალი ჩვეულებრივად არ შედიოდა სავაზიროში, მაგრამ ამ შემთხვევაში გასარჩევი იყო საოჯახო საკითხი (ქალის გათხოვებისა), რომლითაც დედოფალი, როგორც დედი, სავანგებოდ იყო დაინტერესებული. ქართული საოჯახო სამართლის მიხედვით ასეთი საკითხების გადაჭრაში გამათხოვარის დედა და თვით გამათხოვარი ღებულბოდა მონაწილეობას.<sup>2</sup>

• ვაზირობისთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი საყურადღებო დეტალი: „ქელმწიფის კარის ვარიგებაში“ აღწერილია

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. II, 1929, გვ. 243-244.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II, 1959, გვ. 33. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. II, 1948 წ. გვ. 253-254.

<sup>3</sup> ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 88.

ვაზირობა; სასახლეში, მეფესთან თავს იყრიან ვაზირები; მეფე და ვაზირები; სხდებოდა; თავთავიანთ ადგილებზე. იწყებენ; თათბირი; სხდებ-მწიფო საბჭო, რომელზედაც უნდა განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები.

„სახურთხუცესსან ავბრძანეთ“ თქვას. „ქალბი ვაიყაროს“. ჭალბში ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდნენ მეფის ოჯახის წევრები და საერთოდ, სასახლის კარისაკეცი და მსახურნი, რომლებიც სავაზიროში არ შედიან.

• „ვეფხისტყაოსანს“ მიხედვით, ავთანდილი არაბეთის მეფის პირველ ვაზირთან მიდის საათბობროდ: ავთანდილი სთხოვს ვაზირს რომს ტევეანთან იშუამდგომლოს მისი ტარიელის დასახმარებლად წასვლის ნებართვის შესახებ. ავთანდილი ვაზირმა შესაფერისად მიიღო: „ფეხთა ქვეშე ხატურსა უფენენ და მიწვეუქმან“ (730,2), ავთანდილი „დაჯდა“, ყველას უხაროდა მისი მოსვლა; შემდეგ როდესაც საქმე თათბირზე მიდგა ე. ი. იმაზე. რისთვისაც ავთანდილი ვაზირს ესტუმრა, მაშინ „გაყრა ბრძანეს, გაიყარნეს, ჭალაბობა გაათბულეს. რა ჭალაბი ვაიყარა“ და იწუი ტევემარ-მამაშინძელთა შორის მოლაპარაკება (731,1, 732).

ჭალაბის „გაყრის“ თითქმის ერთი და იგივე აღწერილობა, რომელიც მოცემულია „ქელმწიფისა კარის ვარიგებასა“ და „ვეფხისტყაოსანში“, იმის მარჯვებელია, რომ ასეთი „გაყრა“ მიღებული ყოფილა მაშინ საქართველოში, როგორც მეფის, ისე ფეოდალთა სასახლეებში.

საინტერესოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არაბეთის ვაზირი სოგრატი, პირველ ყოვლისა, იწოდება ვაზირად:

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამმრავლდა ხასისა, ავთანდილ პირ-მზე, სამსპეტი ლაშქრისა ბერი-ათასისა, ვაზირი სოგრატი, მოახლე მეფისა დასთა (დასისა) (44. 1-3).

• თინათინის ტახტზე აყვანის შემდეგ, რომს ტევეანმა მოიწყინა, ამ გარემოებით დაინტერესდნენ კარისაკეცი, ვაზირები) მათ შორის „სამათა სამსპეტი“ ავთანდილი და „ვაზირი ბერი სოგრატი“ (57). ავთანდილმა მიმართა სოგრატს: „სოგრატი, ვკითხოთ“ მეფეს რაედ დამწიხრდით (58,3). ადგეს სოგრატი და ავთანდილ და მეფესთან მივიდნენ სასაუბროდ) ხოლო მეფეს შეეკითხა „ვაზირი“ სოგრატი (59,4). მეფემაც პასუხით მიმართა სოგრატს (62,1) ყურადღებას აქ ის გარემოება იქცევს, რომ ვაზირად წოდებულია მხოლოდ სოგრატი. (როცა ავთანდილს მეფისაგან ნებართვის აღება სურს ტარიელთან წასასვლელად, ის

სწორედ ამ ვაზირთან მივა) „რა ჭალაბი გაიყა-  
რა, ყმა ვაზირსა ეუბნებნს, ეტყვის: „შენი  
დამალული დარბაზს არა არ იქნების. რაცა  
გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების,  
გააგონენ ჰირნი ზემნი, მკურნე, რაცა მკურ-  
ნების“ (732).

(ეთანდლიე მას მიმართავს როგორც ვა-  
ზირს და ამასთანავე, ეთანდლის სიტყვების  
მიხედვით ეს ვაზირი სასახლეში ძლიერ კარ-  
გად არის მიღებული, რომ უმისოდ სასახლეში  
არაფერი არ კეთდება და მეფე როსტევენიც  
მას უჭყრებს, მისი ეხიარება.)

ეთანდლიე უწოდებს რა სოგრატს — ვა-  
ზირს, ამასთანავე, ერთხელ ასე მიმართავს:

„რაცა ვითხარ, ჩემს მავიერ როსტანს  
ჰკადრე, მიედ სრასა;  
თაჟმან მისმან, ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა,  
უსტასრასა“ (737, 1-2).

იუსტინე აბულაძისა და აკაკი შანიძის მიერ  
„ვეფხისტყაოსნისადაში“ დათული ლექსიკონე-  
ბის მიხედვით უსტასრა ნიშნავს სასახლის უფ-  
როსს დიდ ვაზირს, სახლთუხუცესს; იუსტინე  
აბულაძეს განმარტებაში დამატებული აქვს ავ-  
რათვე — „აღლი ვეზირი“<sup>1</sup>, როგორც არ უნ-  
და იყოს სიტყვა „უსტასრა“-ს წარმოშობა<sup>2</sup>,  
ერთი კი ცხადია: ერთი ვაზირი (სოგრატ) არა-  
ბეთის სამეფო კარზე გამოყოფილია სხვა მო-  
ხელეუბნისაგან და უფრო დაახლოებულია სამე-  
ფო კართან. საყურადღებოა ის გარემოება, რომ  
სახელწოდება „უსტა“ მასწავლებს გვანიშნებს  
(სრა — სასახლეს ნიშნავს). გამოდის, რომ უსტას-  
რა არის მასწავლებელი<sup>3</sup>; სოგრატ როგორც  
„უსტასრა არის ვაზირი, მეფესთან დაახლოე-  
ბული პირი მისი გულითადი“<sup>4</sup>.

არაბეთის ერთი ვაზირი ოთჭყერ სახელო  
სოგრატით არის მოხსენებული: 44,3, 57,3, 58,3  
და 59,1; გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ მრავ-  
ალჯერ გვხვდება არაბეთის სამეფოში ერთი  
ვაზირი და იქ სოგრატო იგულისხმება: 62,1;  
728,4, 729,1, 732,1, 737,2, 741,1, 742,1 746,2,  
749,1, 751,1, 752,1, 753,1, 757,4, 761,1, 763,1,  
770,1, 771,4, 813,4, 814,4, 816,1, 817,1, 818,1  
და 819,4.

(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, არაბეთის ვა-  
ზირ სოგრატის შესახებ ასეთი დასკვნა შეიძლე-  
ბა გავაკეთოთ: \

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951  
(იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკო-  
ნი); 1957 წლის გამოცემა, აკაკი შანიძის მიერ.  
შედგენილი ლექსიკონი.

<sup>2</sup> ვ. ნოზაძე, საზოგადოებათმეტყველება, გვ.  
40-41.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

1) არაბეთში ვაზირად მოიხსენიება მარლად  
სოგრატო.

2) სოგრატ ვაზირი სასახლეში მეფესთან  
ყველა მოხელესა თუ კარბეჭეცს<sup>1</sup> დახლოე-  
ბულ პირად ჩანს, ის პირველი ვაზირის სახით  
გვევლინება.

3) „ვეფხისტყაოსნიდან“ არ ჩანს თუ კონკ-  
რეტულად რა ფუნქცია აქვს ვაზირ სოგრატს: ა-  
ეთანდლის სოგრატისადაში მიმართულიდან —  
„რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ  
გეთნების“-ო (732,3), შეიძლება დავუშვათ,  
რომ სოგრატს, როგორც ვაზირს, ყოველგვარა  
საღრავისადაში მიუწოდებოდა ხელი. უკანასკნე-  
ლი ვარაუდის შემთხვევაში ვაზირი სოგრატო,  
თავისი ფუნქციებით მწიგნობართუხუცესს-  
ჭყონდიდეს ჰგავს მწიგნობართუხუცეს-ჭყონ-  
დიდელს „მამა არს მეფისა“<sup>1</sup>, და „ეთთა  
მამა არს მეფისა“, აგრე ყველა საურავი უმი-  
სოდ არ იქნების“<sup>2</sup>. ამ მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“  
არაბეთის ვაზირი სოგრატო ჩამოგავს ქართულ  
მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდესს.

(როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსნის“ იდეუ-  
რი შინაარსი ხალხთა ძმობასა და მეგობრობა-  
ზე არის დამყარებული) და გამოირიცხავს ხალხ-  
თა გამოიშველ სარწმუნოებრივ ინტაგონიზმს.  
პოეზის ავტორი გვარდს უძლის ისტორიულად  
კონკრეტულ სარწმუნოებებს. სხვაგვარად არც  
შეიძლება: ავტორი უმღერის სიცოცხლეს,  
სიყვარულს, მეგობრობასა და ძმობას, ავტორი  
უმღერის ამქვეყნიურ აღამიანს, მის მომავალს.  
ამდენად ის უპირისპირდება მისი დროის გამა-  
რტინებულ რელიგიებს, კერძოდ, ქრისტიანობა-  
სა და მაჰმადიანობას.

ამ მხრივ, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ოფიცია-  
ლურ რელიგიებთან დამოკიდებულების მიხედ-  
ვით, პოემა დაუპირისპირდა საშუალო საუკუ-  
ნეების სქოლასტიზმს, დღეს წარმოდგენაც კი  
არ შეგვიძლია, სარწმუნოების ბატონობის იმ  
პერიოდში (საშუალო საუკუნეებში), თუ რაოდ-  
ენ პროგრესული მნიშვნელობისა იყო „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ მიერ რელიგიის გამოთიშვა სა-  
ხელმწიფოსაგან. ეს იყო უაღრესად მნიშვნე-  
ლოვანი იდეა კაცობრიობის აზროვნების ისტო-  
რიაში, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის  
მომღერებათა ისტორიაში.

• ასეთი პროგრესული შეხედულება ჰქონდა  
შოთა რუსთაველს სახელმწიფოზე და „ვეფხის-  
ტყაოსანში“, ავტორის მიერ შექმნილ იდეალურ  
სახელმწიფოში, ქრისტიანული გელესის წარ-  
მომადგენელი ჭყონდიდის ეპისკოპოსი, რო-  
გორც მწიგნობართუხუცესი, ვერ მიიღებდა მო-

<sup>1</sup> „ქალმწიფის კარის გაროგება“, ე. თაყაიშ-  
ვილის რედაქც. 1920, § 36, გვ. 19.

<sup>2</sup> იქვე, § 9, გვ. 4.

ნაწილებას სახელმწიფოს მართვაში და არც არის მოცემული; მაგრამ მისი მსგავსი ხელისუფალი კი არის. \*

თქმულის მიხედვით, შესაძლებელია, შემთხვევითი არ იყოს ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასურათებული არაბეთის ვაზირის სახელს შინაარსი, აგრეთვე მიემსგავსება არაბეთისა და სპარსეთის დიდი ვაზირის სახელს. როგორც ცნობილია, არაბეთსა და სპარსეთში არსებობდა ერთი დიდი ვაზირის თანამდებობა და ეს დიდი ვაზირი ითვლებოდა მეორე პირად სუვერენის შემდეგ; დიდი ვაზირი სახელმწიფოს მეთაურის თანამემწე იყო და მას ხელი მიუწვედებოდა ყოველგვარ საურავზე, ე. ი. სახელმწიფოს მმართველობის ყველა დარგზე <sup>1</sup>.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ (ვაზირი სოგრატის განსაკუთრებულად საპატივცემულო მღვთვართობა სასახლეში შეიძლება შემდეგათი აიხსნას: სოგრატი უკვე მოხუცია და მთელი თავისი სიცოცხლე მეფის ერთგულ სამსახურში გაუტარებია; ამიტომ ბუნებრივია, რომ მას დიდი ნდობა აქვს დამსახურებული სასახლეში. ასეთი ვარაუდი ამათილებს ან ამცირებს სოგრატის ვაზირობისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შედარებას, მაგრამ ეს კი უნდა აღენიშნოთ, რომ სოგრატის ვაზირობის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ მხოლოდ სოგრატი იწოდება ვაზირად, მაშინ, როდესაც სხვა ვაზირებიც არიან, მაგალითად, სპასპეტი ავთანდილი, რომ ეს სახელი სასახლეში ყველაზე მაღალ სახელოდ ჩანს და ამევე დროს არაა მინიშნებული ამ სახელის რომელიმე კონკრეტულ ფუნქციებზე. ამით მეტი დამაჯერებლობა ენიჭება „ვეფხისტყაოსნის“ ვაზირის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან, ერთგვარს, თუნდაც შორეულს, მსგავსებას.

(მასთანავე, როგორც ვთქვით, არაბეთსა და სპარსეთშიც ერთი ვაზირი იყო დაახლოებით ასეთვე ფუნქციებით.)

„ვეფხისტყაოსნის“ არაბეთის ვაზირის (სოგრატის) მიმსგავსება ისტორიულად, რეალურად არსებული არაბეთის ვაზირისათვის შესაძლებელია იმიტომ აგვეხსნა, რომ პოემაში სწორედ

არაბეთის სამეფოზეა საუბარი. საინტერესო ის არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაბეთის ვაზირი (სოგრატი) ზოგიერთი ფუნქციით, გამომავალს პოეტობის როგორც ქართულ ისე არაბულ სამყაროში. |

\* როსტკევის, თინათინის ვარდა, სხვა შვილი არ ჰყავდა. როცა თინათინი წამოიზარდა, მამამ მისი გამეფება გადაწყვიტა და ამისათვის იხმო ვაზირები: „მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია“ (34,3) და დაიწყო თათბირი თინათინის გამეფების შესახებ. მეფემ გამოთქვა თავისი აზრი თინათინის გამეფების შესახებ. „ვაზირთა ჰყადრეს“ (37,1), რომ თქვენი განხრახვა მოსაწონიაო. ამ ვაზირებში იყვნენ ვაზირი სოგრატი და სპასპეტი ავთანდილი (44,2-3); საგულეებელია, რომ სხვა ვაზირებიც იყვნენ, როდესაც ფარსადანმა ვაზირები მოიწვია ნესტანის საქმრის შესახებ, ვაზირების რიცხვი იქ დასახელებულია. ტარაელის ვარდა სამი ვაზირი ყოფილა (507,3); ფარსადანის მიერ მოწვეულთ ნესტანი უწოდებს „სავაზიროდ“ შეკრებილთ და ამის მიხედვითაც ვებულისხმობთ, რომ ისინი ვაზირებია. ✕

\* როსტკევის მიერ მოწვეულთ კი, პირდაპირ „ვაზირნი“ ეწოდებოთ. შესაძლებელია, რომ როგორც ფარსადანის მიერ სავაზიროდ მოწვეულთ 4 კაცი იყო, ასევე იქნებოდა არაბეთშიც. ამასთან დაკავშირებით უნდა აღენიშნოთ, რომ თამარის დროს 4 ვაზირი იყო და, საერთოდ კი, საქართველოში ექვს ვაზირზე მეტი არასოდეს არ ყოფილა, არაბეთსა და სპარსეთში კი თითო დიდი ვაზირი იყო, ხოლო ზოგჯერ, დიდი ვაზირის ვარდა, სხვა ვაზირებიც იყვნენ, მაგრამ მათი დიდი როლენობა მაინც არ არის სავარაუდებელი. როცა „ვაზირთა რიცხვი გაიზარდა, პირველ ვაზირს დაერქვა დიდი ვაზირი“, საერთოდ კი, „ვაზირობის ინსტიტუტი ისლამურ სახელმწიფოებში განჩნდა მეათე საუკუნეში“ <sup>1</sup>.

(ვაზირები სახელმწიფოს მმართველობის რომელიმე დარგის ბელმძღვანელნი უნდა ყოფილიყვნენ და ამის მიხედვით ფეოდალურ სახელმწიფოებში ვაზირის რიცხვი ათეულის ფარგლებს მაინც არ გადააჭარბებდა, ) ამიტომ საკვირველიც არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ხატაეთის მეფეს „ხუთასი ვაზირი“ ჰყავს (1611,2).<sup>2</sup> ომში დამარცხებული ხატაეთის მეფე ემუდარება ტარაელს: ✕

<sup>1</sup> ე. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივ-ბათმეტყველება, 1958, გვ. 38.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1928, გვ. 116-120;

<sup>2</sup> ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივ-ბათმეტყველება, 1958 გვ. 38-39,

„ვიკი, მომკალ მე ხოლმე, ყველაი ჩემი  
ბრალი;  
მერმე ხუთსი ვაზირი მყავს აქათ წაუვლია,  
თავები დასქერ, აღინე სისხლი, მართ ვითა  
ღვარია,  
სპა უბრალოა, ნუ დახოც, ეტირ აჰად  
გულ-მღელარა“ (1611).

ამ შემთხვევაში „ვაზირი“ რომ უბრალო მრჩეველად, თანამდგომ, თანამემწედ ვიგუ-  
ლავსებით, ისიც კი დიდი რაოდენობაა. ხუთსი  
ვაზირი ჭარის ნაწილს უფრო ჰგავს. შესაძლ-  
ებელია ეს ხუთსი კაცი, სავრთოდ ჭარის ხელ-  
მძღვანელი, ან კიდევ მაღალე წრის წარმომად-  
გენლებისაგან შემდგარი მეფის გვარდია იყო,  
რომლის წევრები ხატეთის მეფის მრჩეველ-  
ნი, თანამდგომნი, თანამზრახველნი იყვნენ და  
ამ გავებით იწოდებოდნენ ისინი ვაზირებად.  
ეს ხუთსი კაცი რომ სამხედრო საქმიანობას-  
თან არის დაკავშირებული იქიდანაც ჩანს, რომ  
სხვა ჭარის ნაწილთან ერთად, 500 „ვაზირიც“  
ხატეთის მეფეს ახლავს ინდოეთში.

ამასთანავე, რომ ეს ხუთსი ვაზირი უბრალო  
ჭარისკაცები არ იყვნენ, ესეც ცხადია: ხატე-  
თის მეფე მათ გამოყოფს ლაშქრისაგან. რამაზი  
ამ ვაზირებს თავისთან ერთად, ომის პასუხის-  
მგებლებად ხდის. თუ კი ამ ხუთსი ვაზირს, მე-  
ფესთან ერთად, ბრალი მიუძღვის ომის წარ-  
მოებაში, მაშასადამე, ეს ვაზირები შიდალი  
წრის წარმომადგენელი არიან და მეფესთან  
დაახლოებულნი.

(როსტვეანის მიერ მოწვეული ვაზირნი დაახ-  
ლოებით ისეთივე რაოდენობისა უნდა ვოფი-  
ლიყვნენ, როგორც ინდოეთის მეფესთან მოწ-  
ვეული ვაზირნი.) როდესაც ტარიელ ინდოეთი-  
საგან განდგომილ ხატეთის მეფის დასამორ-  
ჩილებლად წაივდა, გზად ხატელთა მეფის რა-  
მაზის მოციქულები შეხვდნენ და რამაზის სა-  
ხელთ დახვევა სთხოვეს. ტარიელმა ამის შე-  
სახებ თათბირი გამართა: თვითონ ტარიელი  
ამბობს:

„გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ,  
გავიზრახნით“;  
(424,1);

ტარიელმა მიიღო რჩევა და ამის შესახებ  
ამბობს:

„მეტეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“  
(426,1).

ეს ამბავი ხდება ინდოეთიდან მოშორებულ,  
ბრძოლის ველზე, იქ არ არის ინდოეთის მეფე-  
უკანასკნელი თავისი ვაზირებით სარგებლობა-  
ლაშქში. ამ შემთხვევაში ტარიელის ვაზირები,  
მისი მრჩეველებია, ჭარის ხელმძღვანელები და  
ტარიელის თანამდგომელი. ტარიელი ამ ვაზი-  
რების მეშვეობით განაგებს ჭარს; ვაზირები სამ-  
ხედრო პირები უნდა იყვნენ. ესეც როგორც  
ჭარების მთავარსარდალი ფრონტზე, მოიწვევს  
სარდლების თათბირს, ტარიელმაც ასეთივე  
თათბირი მოიწვია. ამ თათბირის მონაწილეებს  
ვაზირები ეწოდებოდათ, ხოლო მათ თათბირს  
ვაზირთა და „ნავაზირები“. მთავარსარდალს  
ყოველთვის ეუბოდებოდა თავისი აპარატი, შტა-  
ბის მავჯარო დაწესებულება, თავისი ახლა,  
დაახლოებული პირები, რომელთაც ის მოე-  
თათბირებოდა საჭიროების შემთხვევაში.

ყოველ შემთხვევაში ეს კი ცხადია, რომ აქ  
საქმე არა გვაქვს ნამდვილ ვაზირთან, ე. ი.  
მმართველობის რომელიმე დაჭრის უფროსთან.

ტარიელი ნესტანის საქმენად მიღის, ამასთან  
დაკავშირებით ის ამბობს:

„ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე  
ზღვისა პირსა,  
გული სრულად გამიშხეცდა, არ ვუსმენდი  
არც ვაზირსა;  
ყველაკი დამეფანტა, დაპრომოლოდა რაყა  
ჭირსა“ (589, 1-3)

ამ შემთხვევაში ვაზირია ასმითი ან ერთ-ერთი  
მოყვითავანი ანუ მონათავანი, იმ ასსამოც  
მოყმევიდან, თუ მონებიდან (ეს ასსამოცი კა-  
ცი ერთგან მოყმეებად იწოდება, 586,2, მეორე-  
გან მონებად, 590,1), რომლებიც ტარიელმა თან  
წაიყვანა.

(ვაზირთა „ვეფხისტყაოსანში“ ჩიქვას ნიშ-  
ნავს; ტარიელი ამბობს, რომ, რასაც გული გი-  
კარნახებს, ის უნდა გაკეთო, ვინც რა უნდა  
„გავაზიროს“-ო (883,4); უსენი ეუბნება ცოლს,  
თუ „მივაზირებ“, ე. ი. თუ მირჩევე, მეფესთან  
წავალო (1163,3). ასმითი ეუბნება ტარიელს  
ღმერთს „ვაზირთა შენი ჩემზე მოუგლია“  
(276,2), ე. ი. მე უნდა მოგვე რჩევაო.

რამასთანავე ვაზირთა ნიშნავს ვაზირების  
თათბირსაც) ტარიელი ეუბნება ნესტანს:

„მე მეუფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი  
ვაზირთა“ შენი გათხოვების შესახებო (533,  
1-2). ამ შემთხვევაში ნამდვილი ვაზირების თათ-  
ბირი იგულისხმება.

ყველა თქმულის მიხედვით ჩანს, რომ ტერ-  
მინებს — ვაზირსა და ვაზირობას სხვადასხვა  
შინაარსი ჰქონდა: )

1. ვაზირი ნიშნავდა დიდს, ერთს ვაზირს, მე-  
ფის მოადგილეს, ყველა მოხელეზე უფროსს:

2. ვაზირი ეწოდებოდა მმართველობის რე-  
მედიმე დარგის ხელმძღვანელს, დაახლოებით  
ისეთს, როგორც მინისტრია.

3. ვაზირი ნიშნავდა მრჩეველს, აქედან —  
ვაზირობა — რჩევას, თათბირს.

4. ვაზირი იყო მეფის ანუ მთავარსარდლის  
ამალის წევრი, ან ჯარის განსაკუთრებული ნა-  
წილის წევრი. )

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვაზირები გო-  
ნიერი, ბრძენი აღამიანებია. მათგან გააზრე-  
ბით სამეფოს სათავეში გონიერი, განათლებუ-  
ლი, სამართლიანი და ძლიერი მეფე უნდა იდ-  
გეს, რომელსაც ასეთივე თვისებების მქონე ვა-  
ზირები უნდა ეხმარებოდნენ სახელმწიფოს  
მართვაში.

ისე, როგორც ქართულ სახელმწიფო სამარ-  
თალში, საგაზირო „ვეფხისტყაოსნის“ მიხედ-  
ვითაც, მეფესთან არსებული სათათბირო ორ-  
განოა, რომელიც თქვის მოწოდებით პროგრე-  
სულ როლს ასრულებს. )



პანხანს აბხაზი

## ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია

შეცნიერულ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ევლტერის თვისობრივად ახალი, რენესანსული ბუნების შესახებ, თანდათანობით გაბატონებული შეხედულება ხდება. როგორც უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა ცხადყო, სადავოს აღარ უნდა წარმოადგენდეს XII საუკუნის საქართველოს ევლტერულ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებების დასახისათებლად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIV-XVI საუკუნეების მძლავრი იდეოლოგიური მოძრაობის აღმნიშვნელი ცნების, „რენესანსის“, გამოყენება. ამ ეპოქის ქართული ხალხის სულიერი ცხოვრების მრავალი დარგის განვითარების არა მარტო არაჩვეულებრივად მაღალი დონე, არამედ თვისობრივად ახალი, ირთვინილური ზედნაშენი ცხადყოფს იმ დიდ გარდატეხას, რამაც დასაბამი მისცა წინანდელი ეპოქებისაგან განსხვავებულ, სრულიად ახალ პერიოდს ქართული ევლტერის ისტორიაში.

ქართული რენესანსის მოტივები და მათი თავისებურებანი საკმაო სისრულით არის შესწავლილი XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგის მიხედვით, მაგრამ ფეოდალური საქართველოს აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგია და მისი შინაარსის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები ჯერ-ჯერობით სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. XII საუკუნის საქართველოს სპეციალური სოციალური პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებების გამო ეს ქართული რენესანსის ერთერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს სწორედ პოლიტიკური მოძღვრებები შეადგენს. ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის ურთიერთ შედარებას იმ ლოკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოში არსებული მწვევე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების პროცესში ჩამოყალიბებულმა მრავალფეროვანმა პოლიტიკურმა მოძღვრებებმა და

ლოკტრინებმა არსებითად განსაზღვრა ქართული რენესანსის ბუნება.

კაცობრიობის ისტორიაში შუა საუკუნეები აღორძინების ეპოქამდე აღინიშნა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკის დაცემით, არამედ ადამიანთა აზროვნების დონის ჩამოქვეითებითა და ცნობიერების ფორმების შეზღუდვით. კარჩაეცილი ნატურალური ფეოდალური მეურნეობა ჩამოტყეპილი საწარმოო ძალუბითა და განუვითარებელი ტექნიკით, ფეოდალური საზოგადოების ის უმთავრესი ეკონომიური ბაზისი იყო, რომელსაც თვისობრივად მდარე და შინაარსით ლარბი ზედნაშენი შესაბამეობა ადამიანთა გონებაზე შუა საუკუნეებში განუყოფლად ბატონობს რელიგია და სწორედ ამიტომ ზედნაშენის ყველა შემადგენელი ნაწილი მხოლოდ რელიგიის შშრალ დოგმატიზმისაღმის დაქვემდებარებული. ფეოდალიზმის განვითარების ამ ეტაპზე ერთადერთ მისაღებ და აღიარებულ იდეოლოგიას წარმოადგენს რელიგია, რომლის უზადრეკი დოგმების მიხედვით სქოლასტიკა ცდილობს ახსნას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მოვლენები. რელიგიის ასეთი გაბატონებული მდგომარეობის გამო შუა საუკუნეებში ადამიანთა სულიერი ცხოვრების მსგევრებად და ბიარბტრებად გამოდიან უმთავრესად ეკლესიის მსახურნი — ეპისკოპოსები, ბერები, მეუღაბნოები, განდგილები და ა. შ. შუა საუკუნეების ეპოქის ადამიანთა სულიერი ცხოვრების ყველა დარგის განმსაზღვრელი, საყურადღებო ხელისუფლების წარმომადგენლები — აგრესუს აეგუსტინე, თომას აკვინელი და სხვ., ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებას მთლიანად რელიგიის საშახურს უქვემდებარებენ და ფართოდ უხსნიან გზას სქოლასტიკას. შუა საუკუნეების რელიგიისაღმის დაქვემდებარებული იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს ამქვეყნიური საამოვნებისა და სოცეთის უარყოფას, დაბეჭიფებით ქადაგებს ასკეტისმას და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისაღმის სრულ ინდიფერენტისმს. დღვისი უმადლესობისა და ყულისმადლუობის შიშით უარყოფს ადამიანთა გონების უმადლუ-

ლობასა და საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების შეცნობის შეუძლებლობას, იმქვეყნით ცხოვრებაში სრული ნეტარების დაპირებით თრგუნავს რელიგია საზოგადოებრივი ურთიერთობებით წარმოშობილ ადამიანთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. ადამიანის პიროვნება მისი ყოველდღიური სამაქვეყნო ინტერესებით ღვთაებრიობის შარკანდღვით შემოსილი საზოგადოებრივი ურთიერთობების პასიურ ელემენტად არის აღიარებული და შუა საუკუნეების რელიგიური სქოლასტიკა მისტიციზმთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბნელეთისმოციქულობის იდეების გავრცელებას რენესანსამდელი პერიოდის ყველაზე რეაქციული პოლიტიკური დაწესებულებით — ინკვიზიციით უზრუნველყოფს. ყოველივე ახალი პროგრესული, რომელიც რელიგიური სქოლასტიკის ტყვეობისაგან ბრძოლისა განთავისუფლებისაკენ არის მიმართული და ადამიანთა გონების უძლეველობის დამტკიცებას ემსახურება, სასტიკად ისჯება.

მაგრამ XIV-XV საუკუნეებში და განსაკუთრებით XVI საუკუნეიდან ფეოდალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება დიდი ვარდების პერიოდი, რომელიც ცნობილია აღორძინების ეპოქის სახელწოდებით.

რენესანსი შეეხო ფეოდალური საზოგადოების სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს, ზელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას და ა. შ. აღორძინების ეპოქის სრულიად ახალი იდეოლოგიის წარმომადგენლები კრიტიკულად აზიან განწყობილი რელიგიური დოგმატიზმისა და სქოლასტიკის მიმართ, იწყება ადამიანის გონებაზე და ცდაზე დამყარებული, რელიგიისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების ადამიანთა ყოველდღიური ინტერესებისა და მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას. აღორძინების ეპოქის მეცნიერება მკვეთრად უპირისპირდება რელიგიურ მსოფლმხედველობას და მის მოთხოვნათა წინააღმდეგ დამაჯერებლად ცხადყოფს ადამიანთა შემოქმედებით შესაძლებლობის უნარსა და მისი გონების უძლეველობას. მეცნიერებისა და ზელოვნების აღორძინებასთან ერთად რენესანსის ეპოქაში შეიმჩნევა განსაკუთრებული დანეტარებულობა ანტიკური კულტურისადმი. აღორძინების ეპოქის ახალი, საერთო ხასიათის ადამიანთა სულიერი კულტურა, თავის მოთხოვნებს მის ყველა დარგში შუა საუკუნეების რელიგიური დოგმატიზმის საწინააღმდეგოდ ასაბუთებს ანტიკურ ეპოქის კულტურული და მეცნიერული მუშაობით, რომელიც მთლიანად თავისუფალი იყო რელიგიური სქოლასტიკისაგან და რწმუნის არჩევანის სრულ თავისუფლებას ემყარებოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, აღორძინების

ეპოქაც ცდილობდა ზოგჯერ რაციონალიზმის მისტიკისთან შერევებას.

რაციონალიზმი

შუა საუკუნეების სულიერმა მსხვერპლმა ამახლო ეპოქაში არსებითად იცვლება შეხედულებანი ადამიანზე, ბუნებაზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. სწარმოებს თანმიმდევრული ბრძოლა რელიგიური ასკეტიზმის დასაძლევად და დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის ობიექტი ხდება ადამიანის ბუნება, რომლის შეცნობასაც აღორძინების ეპოქის იდეოლოგიის აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სულიერი ცხოვრებისა და ბუნებას მოვლენების რთული პროცესების გასაგებად და ასახვევლად. ადამიანთა სულიერი ცხოვრების ყველა დარგში ღვთაებრივი (divina) ადგილს უთმობს ადამიანურ (humana) და სწორედ ამიტომ ამქვეყნიური ცხოვრების საერთო ინტერესები ყველა ინტერესთან შორის, და განსაკუთრებით სასულიერო ინტერესთან შორისაც, უპირველესად უხდებოდა.

შუა საუკუნეების რელიგიური მისტიციზმისა და სქოლასტიკისაგან განსხვავებით, აღორძინების ეპოქის უმთავრესი იდეური მიმართულებანი — ბუნებისმის მედროშეებად გამოდიან საერთო პირები: სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ფილოსოფოსები, მხატვრები, ზელოვნების დარგის მუშაეები და ა. შ., რომლებიც სრულიად ახლებურად უდგებიან ამქვეყნიურ ღალ და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრებას. მათთვის ყოველივე ადამიანური ქვეშაირიტების უმაღლესი ინსტანციაა და სწორედ ამიტომ აგი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოყრალეებას უნდა იმსახურებდეს ყველგან და ყველას მხრივ, მათ შორის საეკლესიო ხელისუფლების მხრივაც.

ყველაზე, სადაც კი ადამიანთა ცხოვრების ისტორია იცნობს აღორძინების ეპოქას, რენესანსმა და მისმა ცხოველმყოფელმა იდეებმა თავისი გამოხატულება პიოვა პოლიტიკაშიც. რენესანსი შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებაში პოლიტიკით დაიწყო და მთელი ისტორიით მისა მოთხოვნები პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებით განსაზღვრულ აზროვნებაში გამოვლინდა. საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული XIV-XV საუკუნეებიდან, და განსაკუთრებით XVI საუკუნეში მომხდარი უდიდესი ეკონომიური ძვრების შედეგად, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ევროპისა და ზელოსნობის სწრაფი განვითარების შედეგად, დასავლეთ ევროპაში ირღვევა ფეოდალური კარჩაეტილობის სიზღვრება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება სამეურნეო გამოცოცხლება, რაც თავდაპირველად იწვევს ეკონომიური კონტაქტების განვითარებას ცალკეული ქვეყნების შიგნით, ხოლო მოგვიანებით, ევროპისა და აზიის სა-



ხელმწიფოებს შორისაც ფართო სამეურნეო და პოლიტიკური კავშირები შეარდება. 1492 წელს აღმოჩენილი იქნა სრულიად ახალი კონტინენტი ამერიკა, 1497 წელს ვასკო-დე-გამამ აღმოაჩინა ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი საეპრო ვზა, 1519 წელს მაველანი აწყობს დიდი მოზაზურობას, რომელიც დასაბამს იძლევის ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ კავშირებს ვაჭრობებს. ევროპის ქვეყნებს შორის გაცხოველებული სამეურნეო და ეკონომიური კავშირები, რაც წარმოების განვითარებისთან ერთად მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელს ხდის გეგმომწებლობის, ზღვაოსნობის, სამხედრო საქმის, ასტრონომიის, მათემატიკის და სხვა დარგების განვითარებას.

ამასთან ერთად, ფეოდალურ ეკონომიკაში ჩასახული ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობანი, რომელიც თანდათან ვითარდება, საზოგადოებაში მრავალფეროვანი კლასობრივი ბრძოლის საფუძველი ხდება. საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებული კლასები, მწვევე ბრძოლის პროცესში, ქმნიან ფეოდალზმის სხვადასხვა ეკონომიური წყობის თავისებურებებით განსაზღვრულ იდეოლოგიას, რომელშიც უმთავრესი ადგილი პოლიტიკური შინაარსის პრობლემებს აქვს დათმობილი. შუა საუკუნეების ეპოქაში ეკონომიურად და პოლიტიკურად მომპლავრებული მესამე წოდება, რომლის იდეოლოგია თავისი შინაარსით მთლიანად რენესანსის მოტივებს ემყარება, თავისი სოციალურ-კულტურული და კლასობრივი ინტერესების განხორციელებას რელიგიური სტილიზაციისაგან თავისუფალ პოლიტიკას უკავშირებს უპირატესად. რელიგიურ სქოლასტიკას აღარ ძალუძს ევროპაში XIV საუკუნიდან დაწყებული დიდი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვარდაპიების ახსნა და ამ ეპოქის მოწინავე მოახზოვნეები ვაცხოველებით იწყებენ მუშაობას საერთო პოლიტიკურ პრობლემებზე. ფეოდალურ საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებული კლასება თავიანთი მისწრაფებების განხორციელებას და ინტერესების დაცვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლებას უკავშირებენ. აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგია თავის მოწოდებას იმაში ხედავს, რომ ფეოდალურ სახელმწიფოს ღვაწიერობის შარკანდელი ჩამოყალიბოს და ყოველგვარი სახელმწიფოებრივად ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობისა და საზოგადოებაში წოდებრივ ინტერესთა ბრძოლის შედეგად გამოაყავდოს.

სწორედ ამ ვარკომოებებით უნდა აიხსნას აღორძინების ეპოქის დიდი იდეოლოგიების, ნ. მაკიაველისა და ჟან-ბოდენის, მარტინ ლუთერისა და თომას მიუნცერის, თომას შირისა და თომასო კამპანელას და, აგრეთვე, XVII საუკუნის ბუნებითი სამართლის მეტად რი-

გინალური სკოლის სახელოვან წარმომადგენელთა (თ. პოპსი, ჟ. ლოკი, ჟ. სპინოზა, ჰ. გროციუსი და სხვ.) განსაქუთობებელი ღირნტერესება სახელმწიფოსა და სამართლის იმ საკითხებით. რომლებიც რენესანსის იდეოლოგიის შინაარსის განსაზღვრას უშუბტსწილად. რენესანსის ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა კრიტიკულად ვადაამუშავეს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ფეოდალურ-თეოლოგიური მოძღვრებანი, რომლებიც ადამიანთა ინტერესებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად ღვაწიერობის ე. წ. წმინდა მოტივებით ხსნიდნენ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხებს და საფუძველი ნაუყარეს ახალი ეპოქის კლასობრივ ძალთა თანფარდობით შეპირობებულ საერთო შინაარსის იდეოლოგიას. ამ იდეოლოგიის ყველა ძირითადი შემადგენელი მხარე ფეოდალური დაქუთმაცებულობის პერიოდში არსებული ცალკეული სამთავროების ნაცულად ქვეყნის ცენტრალიზაცია და ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნა; სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესობა, შეუზღუდველობა და მუდმიუება (სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი); საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ყოველგვარი ხერხებისა და მეთოდების გამოყენების მაკიაველისტური პოლიტიკის მიზანწინილობა; საეკლესიო ხელისუფლების შეზღუდვასთან ერთად საერთო ხელისუფლების უპირატესობის უზრუნველსაყოფად მუდმივი არმიის შექმნის მოთხოვნა; კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მესამე წოდების მშვიდობიანი განვითარებას მიზნით საზოგადოებრივი სოლიდარზმი; ბუნებითი სამართლის პრინციპებთან ყველა ფეოდალური დაწესებულების შეუსაბამობა და მათი დაუყოვნებლოვი შეცვლა ე. წ. კონების შესაბამისი დაწესებულებებით ფეოდალიზმის მოღწებული პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ არის მიმართული.

აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ყველა მოტივი, რაც დამახასიათებელი იყო XIV-XVI სს. დასაულებთ ევროპის ქვეყნებისათვის, მთლიანად გვხვდება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში.

ქართლად რენესანსი XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, ხანგრძლივი მისამზადებელი მუშაობის შემდეგ, ძირითადად იმე დაწყო, როგორც დასაულებთ ევროპის ქვეყნებში: ფეოდალური საზოგადოებას ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ადამიანთა სულიერი ცხოვრ-

ბის წამყვან დარგებში საეკლესიო ხელისუფლებასა და საერო ხელისუფლების გამარჯვების შედეგად, თანდათანობით მცირდება რელიგიის მსახურთა — ეპისკოპოსების, ბერების, ვანდევილების და სხვათა როლი და მათ ადგილს იკავებენ საერო წარმომადგენელი მოღვაწეები — მეცნიერნი, მინისტრები, მეცნიერები, პოეტები, მწაბრებნი, ფილოსოფოსები და ა.შ. მაგრამ, XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში რენესანსის საერო კულტურის განვითარების ყველაზე ხელდასაყრელი პირობებიც არსებობდა, ფეოდალურ საქართველოში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საეკლესიო ხელისუფლება ბუნების მოციქულობის იდეებს არასდროს ავრცელებდა და მათი ძლიერება ინკვიზიციას არ ემყარებოდა. სწორედ ამიტომ, ქართული რენესანსის წარმომადგენელნი, აღმართა სულიერ ცხოვრებაში გამატრინებელი რელიგიური დოგმატიკა არა მარტო შედარებით იოლად იქნა დაძლეული, არამედ იგი პოლიანად დაექვემდებარა საერო ხელისუფლების პოლიტიკურ იდეოლოგიას, როდესაც ქართულ რენესანსზე, მისი შინაარსის განმსაზღვრელი ისტორიულ პირობებზე და, განსაკუთრებით, ქართული რენესანსის უმთავრეს შემადგენელ ნაწილებზე ვაპრობოთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ სპეციფიკურ გარემოებასთან გვაქვს საქართველოში მეცნიერულ ლიტერატურაში საეკლესიო სამართლიანად აღნიშნა, ქართული რენესანსი, დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღორძინების ეპოქისაგან განსხვავებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა დაწინაურებამ და აწინაურებამ და XII საუკუნის ფეოდალური სახელმწიფოებრიობის არსებობამ და ახლებელმა განსაზღვრა. სწორედ ამიტომ ქართული რენესანსის ძირითადი სპეციფიკური მოტივი, მისი შინაარსის განმსაზღვრელი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ის პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ შეიმუშავა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა და სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხებზე ქართული მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის წარმატებით გასაძლიერებლად (სხვათაშორის რენესანსის თითქმის ყველა ქვეყანაში უაინდა თავისი სპეციფიკური განმსაზღვრელი ნიშანი, რის გამო შეცნობება სპეციალური შესწავლის საგნად ზღის იტალიურ რენესანსს, ფრანგულ რენესანსს და ა.შ.). მართლაც ქართული რენესანსის ბუნება ისტორიულად დაკავშირებულია XII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაწინაურებასთან და ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით მრავალეროვანი საერთო-კავკასიური სახელმწიფოს შექმნასთან. ფეოდალური საქართვე-

ლოს შიგნით კლასობრივ ძალთა განლაგების შეცვლამ და აგრეთვე საერთომწიფოებრივ რეალურ ხელსაყრელი საგარეო პირობების მოყვლიბებამ, ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გავრცელებას თითქმის მთელ კავკასიაში, როგორც ცნობილია, XI საუკუნის დასასრულს, ფეოდალურ საქართველოში შიგნით ეროვნულ-პარტიკულურ ძალებმა, რომლებმაც აიძულეს საქართველოს მეფე გიორგი II გადამდგარიყო და სამეფო ტახტი თავისი ქაბუცი ვაიშვილის დანიშნისათვის გადაეცათ, მოხერხებულად გამოიყენეს ჯეროსნული იმების შედეგად თურქ-სელჩუკთა ბატონობის შესუსტება მცირე აზიაში და ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით სამეფო ხელისუფლებამ შექმნა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებისაგან შემდგარი უზარმაზარი სახელმწიფო. აქედ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნის დასასრულს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცადნენ ვარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას: სამხრეთით კი საქართველოს ვასალურა სამფლობელოები ერიცხებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზინჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო აღაში“<sup>1</sup>.

ფეოდალური საქართველოს ტერიტორიის ზრდა-გაფართოებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა საწმუნოებისა და ეროვნების ხალხებზე წარმატებით განხორციელება სამეფო ხელისუფლების წინაშე სრულიად ახალი ამოცანებს აყენებს, ვინა სამხედრო ძლიერებისათვის ზრუნვისა, სახელმწიფო ხელისუფლება მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პროცესში, საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხების სულაბი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათზე იდეოლოგიური ზემოქმედების განხორციელებისათვის, ქმნის ორიგინალურ პოლიტიკურ მოძღვრებებს, ხელს უწყობს ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების მქონე ხალხთა ინტერესების შესაბამისი კულტურისა და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგების განვითარებას. აქედ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ესაღია, რომ რაც უფრო და უფრო მეტად გაიზარდებოდა და გაფართოვდებოდა საქართველოს მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მეფობის უფლებისა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 409.

თვის მტკიცე და შეურყვევლი ნიადაგი მოეპოვებინათ იმიტომ, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი ძლიერებისა და ხელისუფლების განსამტკიცებლად აზნაურებთან უხდებოდათ ბრძოლა... ამ გამწვავებულ ბრძოლის მოსაგებად მართკ მკლავებლის ძალა არ კმაროდა, ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისათვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო<sup>1</sup>.

სამეფო ხელისუფლების მიერ ფეოდალური საქართველოს მრავალეროვნ სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხების კულტურის საკითხთა გადაწყვეტა არა ერთი რომელიმე სარწმუნოების (ქრისტიანული, მამულიანური), არამედ მხოლოდ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, თავისი შინაარსით რენესანსულია.

ქართული რენესანსის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის მთავარი განმსაზღვრელი ნაწილი — XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში სხვადასხვა მენტროლი კლასების ინტერესებს გამოხატავს, ელემენტურული საქართველოს სახელმწიფოებრივი მეფისა და ფეოდალზმის განსაკუთრებული მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეოლოგიის — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის — ყუთლუ-არსლანისა და ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებაში.

დავით აღმაშენებელი, რომელმაც ფეოდალური საქართველო სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნა დიდი მრავალეროვნანი სახელმწიფო, მის მიერ განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმებით, თავის სწავლულ რაზმთან ერთად მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამეფო ხელისუფლების საშუალებით მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს ამ დიდი შეინარჩუნო მემკვიდრეობით, რომელიც წინანდელი ეპოქების სახელმწიფოთა მეფეების პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების შედეგად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებისას, რელიგიური დოგმატების ნაცვლად ადამიანის გონებასა და ცდაზე დამყარებული ცოდნით ხელმძღვანელობა, რაც რენესანსის იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, დავით აღმაშენებლის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს შეადგენს. წარსულის ისტორიული გამოცდილების

რეალი გამოცდილების გათვალისწინებას, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისას, დავით აღმაშენებელმა არამედ ქართველი მრავალეროვნანი სახელმწიფოს მართვის აუცილებელ პირობად თვლიდა, ამის შესახებ შემატყვევებელი საგანგებოდ აღნიშნავს: „ხოლო ერთჟამ ესეცა, ეთარამედ უჯუთმეცა არა წერილთა შევნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი, პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუენებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემოხუთებულთა წინაგანსაკარგლად სხედ არ შემოხუთუნეს და არა მიეჭმარნეს. ვითარამაც იტყუა სოლომონი, ვითარამედ: „იციის ქველუბანი ეამთანი, აღქსანნი იგავთანი და გარდასრულთა შემსგავსნის მომავლნი, — არა თუმცა ესენი ესრეთ, ეუერთბი მეფობისა ესოდენ დამდაბლებული, ესოდენ ძნელი და ნაძვლვე დიდი განსაგებელი არაა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერეინ სხუამან“<sup>1</sup>. მემატყვევებელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ დავით აღმაშენებელი მსოფლიო მასშტაბის დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც კარგად იცის წარსულის ისტორიული მემკვიდრეობა (იციის ქველუბანი ეამთანი) და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიური დოგმატებით არ ხელმძღვანელობს, არამედ წარსული ისტორიის გამოცდილებით („გარდასრულთა შემსგავსნის მომავლი“). დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეებით, ცილობის მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი და სწორედ იმიტომ, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმადლესობისა და შეუზღუდლობის რენესანსულ თეორიას ქმნის. ამ მოსაზრების შესაბამისად იგი სავსე ხელისუფლებას მტკიცედ უმოჩილებს საველსიო ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შეუზღუდველი და განუსაზღვრელი ჩარევის აუცილებლობას ასაბუთებს. აბსოლუტიზმური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავით აღმაშენებლის შემატყვევებელი უძირო უფსკრულს აღარებს: „ვითარ ვინ აღრაცხნეს როდენნი საქმენი ეთხოვებან მეფობისა, როდენნი მართებანი და განსაგებულნი, კიდეთა უპრობანი ნაპირთა კირვანი, განხუთებულთა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებასა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზავისა ცნობანი, მჭედართა გამწვებანი საერთო შიშნი. საკელოთა და საბჭოთა სჯანი, საკურტლეთა შემოსავალი, მოციქულთა შემხუთვანი და პასუხნი, მძღუენთა გეროვანი მოსაგებლნი, შემცოდ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 116-117.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 350-351.

თა წყალობითი წერათნი, შსახტრებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართუბანი“ 1.

აღრინდელი რენესანსის დიდი თეორეტიკოსი დავით აღმაშენებელი, ამ ახალი ეპოქის იდეოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, სწერო და ადამიანურა ინტერესების თვალსაზრისით იკვლევს სახელმწიფოს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორც არის სახელმწიფოს არსი, სახელმწიფოს ფორმა, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა და სხვა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმორწმუნე დავით აღმაშენებელი, ისე როგორც რენესანსის სხვა იდეოლოგებიც, სახელმწიფოს ღვაწლებრივ წარმოშობას მოსაზრებებზე დგას. მისი აზრით, ღმერთის ნებით აღიან მთფენი ტახტზე, და ღმერთის ნების შენახვაზე ემხრობა სამეფონი. თავის ნაწარმოებში „გალობანი სინანულიანი“ დავითი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას ღმერთისაგან აქვს მიანიჭებული სამეფო ხელისუფლება: „ბუნებისა რაჲ პროფირსა თუთ მფლობელისა-თან, მეფობისაჲ წარავანდელნი მარქმუნენა“ 2 დავით აღმაშენებლის კრიტიკული დამოკიდებულება ქრისტიანული კრედიციის დოგმატებისადმი იმას ვკავთქვამინებს, რომ რჯულ-შემწყალეული მეფის — დავითის ღმერთი არ არის ერთი რომელიმე სარწმუნოების მიერ აღიარებული ღმერთი, არამედ იგი მხოლოდ რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი ვინების შესაბამისი ღმერთია.

დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ყველაზე საინტერესო, დღემდის თითქმის სრულად შეუწყალებელი, მისი სამართლებრივი შეხედულებანია. ამკერად ჩვენ საშუალება არა ვაქვს ვერცლად შევჩერდეთ დავით აღმაშენებლის სამართლებრივ მოძღვრებაზე, მაგრამ ამ მოძღვრების რენესანსული ბუნების ნათელსაყოფად ვფიქრობთ ქვრ-ქვრობით იმის მითითებაც საჭიროს იქნება, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ კავკასიის ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებისა და აგრეთვე ქვეყნის შიგნით ურბ ფეოდალთა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის დავით აღმაშენებელი ქმნის ბუნებით სამართლის („ბუნებითი სჯელის“) თანმიმდევრულ მოძღვრებას. ცნობილია, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრე-

ბა ყველგან, სადაც კი აღორძინების ეპოქა დიწყუო, რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსის ძირითადი განმსაზღვრელი ნაწილი გახდა.

როგორც დავინახეთ ქართული სახელმწიფოს აღზევებამ და ფეოდალური საქართველოს ინიციატივის შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელების ამოცანებმა, რომელიც XII საუკუნეში სამეფო ხელისუფლების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა, არსებითად განსაზღვრა ახალი, რენესანსული კულტურისა და პოლიტიკური მოძღვრებების შექმნა, მაგრამ ქართული რენესანსის ერთადერთი ბუნებრივ სოციალურ საფუძვლად ქართული სახელმწიფოებრიობის დაწინაურების მიჩნევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მართებულად ჩითვალოს. საქმე ის არის, რომ ამ თუ. იმ ჩიხეთის ხალხთა ისტორიაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღზევება-დაწინაურებას ყოველთვის თან სდევს მეცნიერების კულტურისა და განსაკუთრებით პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსობრივი განვითარება, მაგრამ ეს სრულებით არ იქნევა საფუძველს ამ ხალხთა კულტურის ამაღლების რენესანსულ მოვლენად გამოცხადებისათვის. ძველი ჩინეთი, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების დონის მიხედვით მონათმფლობელური იყო, ქმნის უზარმაზარ სახელმწიფოს, რომლის სახელგრებთა თითქმის მთელ აზიაში ვრცელდება. ძველი ჩინეთის ამ მრავალეროვან სახელმწიფოში ჰყვავის მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება. განვითარების განსაკუთრებულ მაღალ დონეს აღწევს პემანისტური პოლიტიკური მოძღვრებები ძველი ჩინეთის ფილოსოფოსებისა და მათხროვნეების კონ ფუ ძის, ლაო ძის, მო ძისა და სხვათა შემოქმედებაში. მიუხედავად ამისა, ძველი ჩინეთში შექმნილი კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობა რენესანსული არ არის თავისი შინაარსითა და ბუნებით იმ უზარალო მიზნის გამო, რომ რენესანსი წარმოუდგენელია ფეოდალური საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურის გაჩეყე. რენესანსი განვითარებული ფეოდალური ეკონომიკის შესაბამისი ზედნაშენის დამახასიათებელი თავისებურებაა და მისი არსებობა ყოველთვის ფეოდალიზმის წიაღში ჩასაბუთო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის და ამ ურთიერთობის გამომატებელი მესამე წოდების იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ სწორედ ამის გამო ქართული რენესანსი ვერ ახლდა აღორძინების ეპოქის განმსაზღვრელი ამ მთავარი სოციალური ფაქტორის ზემოქმედებას, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს მომძღვრებელი იდეოლოგია პარადამირ კავშირშია რენესანსულ მოტივებთან.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 351.

2. თ. ყორანია, ქრონიკები, II, ტფილისი, 1898 წ., გვ. 104.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 416-417.

მიუხედავად ამისა, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივად დაწინაურებული და პოლიტიკურად იზრუნული საქართველოს მმართველ ფენას, სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატის მესამე წოდებისადმი მწვავე კლასობრივი ბრძოლით განსახლებული ქვედალური დამოკიდებულების გამო, XII საუკუნის ამ ახალი სოციალური ფენის პოლიტიკური ბრძოლისა და განსაკუთრებით ეკონომიური ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები (დებულებები, წესდებები, სამეურნეო დათვრები, რომელთაც მაშინ არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ჰქონდათ), კამათს სთავსებს ვერ ვადაურჩა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ფეოდალური არისტოკრატის ცხოვრების ამსახველი ძეგლებითაც შეიძლება დადგინდეს იქნას მესამე წოდების პოლიტიკური იდეოლოგია. ამ მხრივ მეტად ძვირფას მასალას შეიცავს თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასისა და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ისტორია.

როგორც ცნობილია, დიდგვარიანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმისა, რომელსაც საფუძველი თავდამხრებულად დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა და ამ დღემდეა — თამარ მეფის მამამ გიორგი მესამემ განათარა. ეს პროგრესული პოლიტიკური რეჟიმი მესამე წოდების განვითარების მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რამდენადაც ამ წოდების ნიჭიერ და უნარიან წარმომადგენლებს, სოციალური წარმოშობის მიუხედავად ფართოდ უსწავლიდა უზნის სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. დიდგვარიანი აზნაურები, რომელთაც თავი მოქონდათ მღალა სოციალური წარმოშობით, უკმაყოფილონი იყვნენ ამით და ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ ქვეყანაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად და ასეთი მომენტიც დადგა: დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს გიორგი მესამის გარდაცვალებით და ახალგაზრდა მეფის თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულთა უპირველესი პოლიტიკური მიზნობა იყო დაბალი სოციალური წარმოშობის მინისტრების — ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება და რეაქციული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება. სამეფო ხელისუფლების სისუსტის ფაო დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ საუბრადღებოა, რომ დიდგვარიან აზნაურთა აჯანყება ვერ კიდევ დამცხარია არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თამარ მეფის მინისტრის — დაბალი სოციალური წარმოშობის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე დღემ აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართვე-

ლოს ისტორიის არ ახსოვს, რის გამო თამარის ისტორიკოსი ამ აჯანყებას „უცნობელ მოსაგონებელს“ უწოდებს. ეკვი არ არის, რომ ამ სახეობებით ისტორიკოსის სურს ხაზი გაუსვას ფეოდალურ საქართველოში უაღრესად განვითარებული მესამე წოდების დიდ პოლიტიკურ აჯანყებას, რომელსაც წინათ საქართველოში მართლაც არ ჰქონია ადგილი.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მწვავე კლასობრივ ბრძოლაში ჩამოყალიბდა, თავისი შინაარსით მხოლოდ მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავს. როგორც წყაროები ვადასტოვებს ეს გამოსვლა იყო „სამდიდრით აღალებულთა“ აჯანყება, რომელიც მაშინად ისახავდა სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით პარლამენტის მსგავსად დაწესებულების შექმნას და რაც მთავარია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას საზოგადოებაში მეტბრძოლ კლასთა შორის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სამართლო ხელისუფლებებზე. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის შესახებ ყველა წყაროს კრიტიკული შესწავლის შედეგად, აკად. ივ. ჯავახიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მესამე წოდება ფეოდალურ საქართველოში პოლიტიკურად და ეკონომიურად იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ აჯანყებაც კი მოუწყვით სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია<sup>1</sup> და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჯერ ერთი, ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც წამოაყენა ყუთლუ-არსლანის დასმა ანტიფეოდალური მოთხოვნა და მისი წარმოშობა ყველა ქვეყანაში, სიღაც კი ამ თეორიის იცნობენ, დაკავშირებულია ყოველთვის უაღრესად განვითარებულ მესამე წოდებასთან. გარდა ამისა, ხელისუფლების დანაწილების თეორია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ აღორძინების ეპოქაში წამოაყენა რენესანსის ერთერთი ძლიერმა პოლიტიკურმა მიმართულებამ, კერძოდ ბუნებითა სამართლის სკოლამ.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა იდეოლოგიამ<sup>1</sup> როგორც ფეოდალურ საქართველოში რენესანსის ერთერთი მეტად ორიგინალურმა პროგრამამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი აჯანყება მართალია დამარცხდა, მაგრამ ამ აჯანყებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა სამეფო ხელისუფლება, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქვეყანაში სოციალურად მომწიფებული მესამე წოდების პოლიტიკურ მოთხოვნებს.

<sup>1</sup> ი. აბაშიძე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია (ტურნ. „სამპოთა სამართალი“, 1966 წ., № 6).

ამიტომ იყო, რომ თამარ მეფე ყუთლუ-არსლანის აჯანყების შემდეგ ქვეყანას მართავს სრულად ახალი პრინციპების მიხედვით — „თანადგომითა და ერთნებაობით“, რაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებაში მესამე წოდების აქტიურ მონაწილეობასაც გულისხმობს.

ყველაფერი ეს ამაზე მიუთითებს, რომ მესამე წოდების პოლიტიკური მოძღვრებანი არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ ფეოდალურ საქართველოშიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რენესანსის პოლიტიკურ იდეოლოგიას.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მესამე წოდების დიდი და მრავალფეროვანი ეკონომიური და პოლიტიკური საქმიანობის ამსახველ ლეკო-რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“, ი. შავთელის „ბძღულესიანთან“ და სხვა ნაწარმოებებთან შედარებით ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციების წესდებებს, დებულებებს, სამეურნეო დავობებს და ა. შ., არაუთარი მეცნიერული ღრუბულებაა. ვარდა პრაქტიკული დანიშნულებისა იმ დროს არ ჰქონია. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ერთეული ისტორიული წყაროს საშუალებათ საქმიოდ ზუსტად შეიძლება დადგინდო იქნეს მესამე წოდების სრულიად ახალი და პროგრესული პოლიტიკური იდეოლოგია. რადგანაც პოლიტიკური იდეებისა და დაწესებულებების შინაარსს მხოლოდ მისი შესაბამისი ეკონომიკა განსაზღვრავს, ამდენად ზეენ მესამე წოდების იმ უღრესად განვითარებული იდეოლოგიის მიხედვით იმ ლიკვიტორი დასკვნის გაკეთება შეუძლია, რომ XII საუკუნის ფეოდალურ ეკონომიკაში ახალი, ბერეუაზიული ურთიერთობები დიდ როლს ასრულებდნენ. მართლაც, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XII საუკუნის საქართველოში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეზე მიაღწია, რომ „მისი შემდგომი განვითარება იმ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბერეუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო“<sup>1</sup>.

XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში ძლიერია მესამე წოდების არსებობა ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური ფაქტორი იყო, რამაც წარმოშვა ქვეყანაში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმები. XII საუკუნის დასასრულს სამეფო ხელისუფლებას უკვე უკირს მის მიერ შექმნილ უზარმაზარ მრავალრიცხოვან სახელმწიფოში ქართული სა-

ხელმწიფოებრიობის განხორციელება. ქვეყნის შიგნით ფეოდალურ ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, საზოგადოებაში ადგილი აქვს მწვავე კლასობრივ ბრძოლასა და პოლიტიკურ აჯანყებებს, სამეფო ხელისუფლება რენესანსის პოლიტიკური მოძღვრების შესაბამისად ამ მწვავე და მრავალფეროვანი კლასობრივი ბრძოლების პროცესში, კავკასიაში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობების შეკრების მიზნით, ქმნის საზოგადოებრივი სოლიდარიზმის სრულიად ორიგინალურ მოძღვრებას, რომელიც მთელი სისრულით გაღმოსავლია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ და აგრეთვე ამ ეპოქის სხვა ისტორიულ თხზულებებშიც.

შოთა რუსთაველის აზრით გონების შესაბამისი რენესანსული ღმერთი არის ყოველივე არსებულის და მათ შორის იმ დიდი პოლიტიკური ძალის — სახელმწიფოს შემქმნელი, რომელიც ფეოდალური საქართველო თავის ხელისუფლებას აგრეცელებდა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა საზოგადოებებსა და ეროვნების მქონე ხალხებზე. იგივე ღმერთი, შოთა რუსთაველის აზრით, განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არა მარტო ცალკეული ინდივიდის, არამედ ხალხების ისტორიულ დანიშნულებასა და სოციალური ფენების ფუნქციასაც:

„მეუა მიწყევ მემკობდეს, მეომარი გულოვნებდეს; ელა მიჯნურსა მიჯნურობა, უყვარდეს და გამოსცნობდეს“<sup>2</sup>. (11).

შოთა რუსთაველის აზრით, საზოგადოების შიგნით წოდებათა შორის წინააღმდეგობათა აღმოფხვრა და კლასობრივი ზავის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ერთი წოდების წარმომადგენლები არ დახარბდებიან მეორე წოდების მდგომარეობას და არ დაიწყებენ იმ საზოგადოებრივ საქმიანობას, რაც მათ არა აქვთ დაკისრებული. მისი აზრით ყოველ საზოგადოებაში წოდებანი კმაყოფილი უნდა იყვნენ თავიანთი მდგომარეობით და არ უნდა იბრძოდნენ, თუ ამისი სათანადო საფუძველი არა აქვთ, სხვა ეფრო მაღალი წოდებისათვის მინიჭებული უფლებების დამატარებისათვის. შოთა რუსთაველი ღრამდ და რწმუნებულია რომ

„არცა ეის რა ბედმან მისცეს, დასჯარდეს და მას უზნობდეს... არცა ეისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს“<sup>3</sup>. (11).

1. ნ. ბერძენიშვილი, პ. კავკაზის „დავით მეგრე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1955, 8 აპრილი, № 14).

საზოგადოების შიგნით წოდებათა ურთიერთობების ამ პრინციპების მიხედვით მოგვარება შოთა რუსთაველის აზრით უზრუნველ-

ყოფს კლასობრივ ზავსა და საზოგადოებრივ სოლიდარიზმს. ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა პოემის ძირითადი წინააღმდეგობების გმირულად დაძლევის შემდეგ, იდეალური წესრიგი დაამყარეს არა მარტო თავიანთი სამშელობელობების შავნით, არამედ მეზობელ ქვეყნებს შორისაც.

„მათ სამთავე ზღაპრითა ერთმანერთი არა სძულდეს, ერთმანერთსა პნახვიდიან, საწაღელნი გაუსრულდეს, ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა დავეწყულდეს, მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორქმულდეს“. (1663).

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მათათოდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავის მქმნელნი დაამინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოდეს, შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. (1664).

როგორც სხვა ისტორიული წყაროებიდანაც ირკვევა, საზოგადოებრივი სოლიდარიზმის ეს იდეები XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების ოფიციალურ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას განსაზღვრავდა. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის<sup>1</sup> უცნობი ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიას დიდი წარმომადგენელია, ასე აღწერს თამარ მეფის დროინდელ საქართველოში საზოგადოებრივი სოლიდარიზმის პრინციპების განხორციელების შედეგად შექმნილ იდეალურ წესრიგს: „შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არა იდეს სადა ვის უხილავს და ერთბაშად მოედეს ღობი და ქარი, და ხხარებდეს ვეფხი თიჯანთა თანა, და მგელი ცხუართანა თანა“<sup>1</sup>.

ახალი, რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგია ვერცა ზემოთ აღნიშნულისა, შოთა

რუსთაველს გადმოცემული აქვს ბევრი ახალი და სრულიად ორიგინალური მოძღვრებებით. რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია, ე. ი. წ. „მართალი სამართლის“ მოძღვრება. წყაროებით დასტურდება, რომ „მართალი სამართალი“ ბუნებითა სამართლის ქართული სპეციფიკური აღმნიშვნელი ცნებაა. საყურადღებოა, რომ ბუნებითა სამართლის მოძღვრებიდან შოთა რუსთაველი აყვებებს ფეოდალური საზოგადოების მოღუნებული პოლიტიკური ცხოვრებისათვის ახალ, რევოლუციურ დასკვნას: ქვეშევრდომთა აყაწყების უფლების შესახებ<sup>1</sup>.

ამრიგად, ფეოდალურა საქართველოს ძლიერი და განათლებული მეფის დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის უფლებ-არსლანისა და ქართველი ხალხის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის პოლიტიკური მოძღვრებები მთელ სისრულით წარმოდგენას გვაძლევენ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის წესისათვისა და მისი განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზის შესახებ.

ხანმოკლე იყო ქართული რენესანსის განვითარების ისტორიული გზა. ქართულ რენესანსს, განსხვავებით ევროპული რენესანსისაგან, რომელმაც იდეოლოგიურად შეაშადა აღმოსავლელი ბერძენული რევოლუციები, ბუნებრივი ლოგიკური დასასრული არ ჰქონია. XIII საუკუნეში აღმოსავლეთიდან კავკასიაში შემოქრიალმა მონღოლთა ელურმა ურდოებმა, საუკუნეობით შეაფერხა მისი განვითარება, მაგრამ სამავიეროდ ქართული რენესანსის დიდი მიღწევები ისტორიულად ადამიანთა თვისობრივად ახალი აზროვნების დასაწყისი აღმოჩნდა. ქართული რენესანსის ეს გასაოცარი მიღწევები დიდი ხნის განმავლობაში შეუწყველად და სრულიად უცნობი რომ იყო მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის, მხოლოდ პატარა ხალხის ბედის ირონიას უნდა მიეწეროს.

<sup>1</sup> И. Сургуладзе. Политические воззрения Ш. Руставели, (журн. «Советское государство и право», № 9, 1966); ვ. აბაშვიდი, „ქმნა მართლისა სამართლისა“ („ლიტერატურული საქართველო“, 9 სექტემბერი, 1966 წ.).

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 54-55.

## რუმინეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

ანთიმ ივერიელი, საქართველოდან გატაცებული და კონსტანტინოპოლის ბაზარზე მონად გაუიღული ქართველი, თავის მეორე სამშობლოს ნახულობს ვლახეთში (რუმინეთში). მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული წიგნის მბეჭდავი, შესანიშნავი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, მოქანდაკე და კალიგრაფი, ბრწყინვალე ორატორი და პოეტი, მცოდნე მრავალი ენისა: ქართულის, ბერძნულის, რუმინულის, არაბულის, თურქულის. იგი გვევლინება ვლახეთი ხალხის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის დაუცბრომელ მებრძოლად.

1716 წლის 7 ივნისს სულთან ახმედ III ბრძანებით კონსტანტინოპოლში თავები მოაკეცეს ვლახეთის მთავარს სტეფანე კანტაკუზენს და მის მოხუც მამას „ბოსტანჯი-ბაშის საყანში, — წერს კოვალინჩანე, — ჩაჭრა ვლახთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნაპერწკალი“. სტეფანე კანტაკუზენთან ერთად დაიღუპა უკანასკნელი ვლახელი მთავარი და მასთან ერთად ბოლო მოეღო ვლახეთის უკანასკნელ უფლებებს, რომელთაც აქამდე აღიარებდა ოტომანთა პორტა. „ვლახელებს წაართვეს უწმინდესი უფლება, უფლება იმისა, რომ მათი გამგებელი მათივე ერის შვილი ეოფილიყო“ — აღნიშნავს რენიო. თურქეთის მმართველ წრეებს კარგად ახსოვდათ, თუ როგორი სიხარულით ვგებებოდა ვლახელი ხალხი რუს ჯარისკაცებს პრეტის ლაშქრობის დროს (1711 წ.), რომელიც „ქრისტიანთა განთავისუფლების დროით“ დაიწყო.

სულთანმა ახმედ III და მისმა ვეზირებმა

\* გამოკლევვა ეხება ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს.

1 ვლახეთი — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ ტერიტორიის ისტორიული სახელწოდებაა (კარპატების მთებისა და დუნაის შორის) XIV საუკუნის დასაწყისში ვლახეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა წერტილი სავეოეოდობის შეერთების საფუძველზე შეიქმნა ვლახეთის სამთავრო.

აგრეთვე კარგად იცოდნენ, რომ, მიუხედავად პრეტის ლაშქრობის შარკებისა, ვლახელი ხალხი მაინც იმედის თვალით შეხუებრებდა პეტრე დიდს — „ქრისტიან შეფეს, რომელიც იბსნიდა მათ ურწულოთა მონობის უღლიდან“ ვლახეთის რუსეთთან დაახლოებისათვის ხელისშეშლა და ვლახეთში თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ზრუნვა — აი, ის დღემდე, რომლის წინაშე აღმოჩნდა ბრწყინვალე პორტა. მაგრამ რა გზით აპირებდა თურქეთი ამ დღემის გადაჭრას? არსებობდა ორი გზა: პირველი — მოესპო ვლახეთისათვის დამოუკიდებლობის მინიმალური ნიშანიც კი და ვადაექცია ის ერთგვით საფაშოდ; ანდა დაეკავა ვლახეთის სამეფო ტახტზე ისეთი მთავარი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სამთავროს საბოლოო დამორჩილებას ოტომანთა იმპერიისადმი. თურქები მეორე არჩევანზე შეჩერდნენ. „ამიერიდან, — წერს რენიო, — ვლახეთს დაეპატრონება უცხოელი, უთვისრომი, გადამთიელი ბერძენი, რომელსაც არ ენობს საბერძნეთი და რომელსაც აბუნად იგდებს თურქი, რომელსაც სახელიც კი არ გააჩნია და მას სესხულობს კონსტანტინოპოლის ერთი უბნიდან“. ხოლო რაც შეეხება ამ უბნის სახელწოდებას, ის ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე I დროიდან იწოდებოდა დანარად I. და თუ თურქეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ რომ ფანარიოტის სახით

1 აქედან წარმოდგა სიტყვა ფანარიოტი, დანარის უბანში მცხოვრები.



მათ ვლახეთის სამეფო ტახტზე ერთგული მსახური ეყოლებოდათ და, რომ ეს მსახური არ დაზოგავდა არაფერს, რათა ძალდატანებით ვაიმტკიცებინათ ოტომანთა ძალაუფლება და დაეწირობინათ ვლახეთი ხალხი, ჩვენ დაბეჭდეთებში შევივლით ვაქეთ, რომ ისინი არ შემცდარიან. „თუ მოინახება მტკიცე, მიუყვარებელი და პირდაპირი ხელი — წერს ხალხი, — რომელიც დაწერდა ვლახეთის... ისტორიას, მაშინ ამ ისტორიის ფურცლები, რომლებიც აღწერენ ფანარიოტთა მმართველობას, აღსავსე იქნება ამ ახალ მთავართა დესპოტიზმის ფაქტებით. ფანარის თუ ფანარიოტის მხოლოდ სახელის გავრეხვამდე ეს სამთავროს საბარლო მცხოვრებლებს შიშის კანკალი იტანდა“. ეს სიტყვები ეკუთვნის ისტორიკოსს, წარმომთბობი ბერძენს, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეშვებით ტენდენციურობას.

მაგრამ როდესაც ჩვენ ვიწყებთ ფანარიოტთა ეპოქის განხილვას ვლახეთის ისტორიაში, ძალაუფლებრად ისმის კითხვა, როგორ შესძლეს ქრისტიანმა ბერძენებმა თავი გამოეჩინათ თურქეთის სულთნის კარზე, როგორ შესძლო დამარცხებულმა და დამონებულმა ხალხმა ხელში ჩაეგდო ოტომანთა იმპერიის პოლიტიკური სისტემის მართვის სადავეები?.. საკითხის ვასაშუქებლად ზედმეტი არ იქნება თუ ჩვენ გავაერთიანებთ მთელ ისტორიულ ექსპერტს, როგორც ცნობილია, თურქთა მთელი სახელმწიფო საქმიანობა ნორმირებული იყო მათი რელიგიური კოდექსის — ყურანის პოსტულატებით. ყურანის სხვათა შორის უცრალად და მუსლიმანთ ელამაკათ არამუსლიმანური რელიგიისმქონე ხალხების ენაზე, აგრეთვე ყოლოდნათ თავიანთი წარმომადგენელი ქრისტიანულ სახელმწიფოთა სამეფო კარზე. მაგრამ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ თურქებს მეტწილად უხდებოდათ ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ვაჭმა და დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება. ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ ფანარის უბანში მცხოვრებ ბერძენთა არისტოკრატიის წარმომადგენლებს, როგორც თარჯიმნებს. ასე წარმოიშვა ოტომანთა იმპერიის დრაგომანის (თარჯიმნის) თანამდებობა. პირველ ხანებში დრაგომანს თანამდებობა ახერგის სახარბიულოს არ წარმოადგენდა, დრაგომანი მოსაძვედოთაში უნდა ყოფილიყო, ვიდრე მას არ დაუძახებდნენ რაიმე დიპლომატიის წასაქოთად ან ვადასათარჯმნად. მაგრამ ერთ შემეინიერ დღეს ყველაფერი მარფესიანად შეიცვალა. სულთან შუამად IV მეფობის პერიოდში კუნძულ კანდის ალყის დროს დიდი გეზირის ახმეტ ფაშის ამაღლაში იმყოფებოდა ერთ-ერთი დრაგომანი — სახელად პანაიოტაკი, რომელსაც ფართო განათლება ჰქონდა მიღებული და ფლობდა თითქმის ყველა ევროპულ ენას. „პანაიოტაკმა — წერს რენიო — თავისი მთვრახებულობით უფრო მეტი ვადათა კუნძულის კაპიტულაციისათვის, ვიდრე

ვეზირმა თავის ჯარებით. და ამ დიდმნიშვნელოვანმა სამსახურმა მას, როგორც კონსტანტინოპოლის დრაგომანი, უმაჯალიყო ნიღბა მოუპოვეს კონსტანტინოპოლის კარზე“. კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ პანაიოტაკი ზღაბრულად დააჭრდეს ციხე, დადენშეს დიდი ხელფასი, ნება ღართეს ეტარებინა, მსგავსად მაღალი თანამდებობის მქონე თურქი მოხელეებისა, გრძელი სამოსელი და ყრავუშის ბეწვით შემოვლებული ქედი. მან აგრეთვე მიიღო უფლება ცხენით სიარულისათვის მსახურის თანხლებით. თურქებმა სპეციალურად დააარსეს დიდი დრაგომანის თანამდებობა, და ამ თანამდებობაზე დანიშნეს პანაიოტაკი. ამიერიდან იგი ისეთივე ძლიერი და გავლენიანი ხდება როგორც „დიდი ფაშაი“. ეს მოვლოდნელი დაფასება და პატივისცემა დრაგომანის თანამდებობისა სპეციალური აღმინდა, რომ ფანარის მცხოვრებლებს ვადაქობთ დავსახათ თავისი ცხოვრების მომავალი მიზანი. ყველა შექმნილი ბერძენი ცდილობს შეასწავლოს შეილებს ევროპული ენები. ზოგიერთი მათგანი ცოდნის დასაუფლებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება, ხოლო უკან დაბრუნებისას დრაგომანთა შემადგენლობაში ირიცხება. „ამგვარი საქმიანობა — წერს ბორეკი-ბერგფელდი — ვადაქობა ბერძენების მონობილად, რომლებიც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდნენ“. თქმა ეს ითქმის კონსტანტინოპოლში მცხოვრებ არა ყველა ბერძენზე. გაქირებულნი და ღარიბი ბერძენი მხოლოდ ლექსა-პურის შოვნაზე ფიქრობს და შორსაა პოლიტიკისგან. მათ არაფერი აქვთ საერთო ფანარიოტებთან, რომლებიც „ახუნად ეკიდებიან ხელმოკლე თანამდებულებს და ცხოვრობენ ვადაქობაზე მთლიანად. ქმნიან კანდიერ არისტოკრატთა კასტას. და ამ სწორედ ამ „კანდიერ არისტოკრატთა კასტის“ წარმომადგენლებს მიიპყრო შერა ბრწყინვალე პორტამ და აიჩიია ისინი თავისი პოლიტიკის გამტარებლად ელახეთში.

როდესაც პორტამ ვადასწვევითა ვლახეთში ადგილობრივი მთავრებს მაგივრად ფანარიოტის დამა, ამასთან ერთად მან შეცვალა მსამთავროს მმართველობის წესიც. უპირველეს ყოვლისა ეს ვაპოიხება იმაში, რომ ბოიარინებს წარათვის მთავრის არჩევის უფლება. ამიერიდან ეს მხოლოდ სულთნისა და ვადაქონიან თურქ მოხელეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მეორე მხრივ, მთავარი ინიშნებოდა სამაწლის ვადით და მთავრად ხდებოდა ის პირი, ვინც ამ თანამდებობაში მეტ ოქროს ვაილებდა. ხოლო მთავრების ეს ცვლა იყო სარფიანი ვადა სულთნის კარისათვის, რომ ზოგიერთი მათგანის ტახტზე ყოფნა სამ წელსაც არ გრძელდებოდა „კონსტანტინოპოლში ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული“ — წერდა რენიო. ეს კარგად ეს-

1 ბერძენებს კონსტანტინოპოლში მხოლოდ სახელობით სიარულის უფლება ჰქონდათ.

მის ფანარიოტს. ამიტომაც იგი არ ერიდება არა-  
ეთიარ ხაჩვს, მარცხნივ და მარჯვნივ ფანტავს  
ოქროს. ფანტავს, რადგანაც დარწმუნებულია  
მომავალი მისი საქციელი — ვლახეთი ათასწილ  
ენაზღაურებს დანახაჩვს.

და, აი დიდგა დღე როდესაც პორტას დივან-  
მა დანიშნა პირველი ფანარიოტი მთავარი ვლა-  
ხეთში. ეს იყო ნიკოლ მაგროკორდატი.

პირველი ღონისძიება, რომელიც ნიკოლ მაგ-  
როკორდატმა ვლახეთში გამეფების შემდეგ გა-  
ატარა, ეს იყო რუსული ორიენტაციის მქონე  
ბოიარინთა დევნა. მთავრის რისხვა განსაკუთრებ-  
ებით თავს დაატყდა კანტაკუზენების გვარს. ნი-  
კოლ მაგროკორდატმა ისარგებლა იმ საბაბით,  
რომ თომა კანტაკუზენის მუდღელმ მარიამმა  
მოახერხა ჯერ ტრანსილვანიაში გაქცევა, ხოლო  
იქიდან რუსეთში გადასვლა, და გასცა ბრძანე-  
ბა კანტაკუზენების დევნისა. კანტაკუზენებს  
შთელი ადგილ-მამულები ჩამოართვეს და გა-  
ყიდეს, შემოსული თანხა მთავრის საღაროს ჩა-  
ბარდა. მაგრამ მარტო მამულების ჩამოართვეთა  
როდეს დაემყოფილა მაგროკორდატი. კანტაკ-  
უზენებს დიდძალი ფულადი ჭარბი შეაჩერეს.  
უნეც ჭარბმა ვერ გადაიხადა, ის საჯაროდ გაჯო-  
ხეს და საპყრობილეში ჩაადგეს. საქმე იქამდე  
მივიდა, რომ სტეფანე კანტაკუზენის (თურქების  
მიერ სიკვდილით დასჯილი ვლახეთის მთავრის)  
უღელს საასრებოდ არავითარი საშუალება აღარ  
გაჩნდა.

რუმესიებებს განიცდიდა არა მარტო კან-  
ტაკუზენების გავრი, ამ გვარის ნათესავად ან  
ნაცნობად უფლავს ეს უკვე დანაშაულად ითვ-  
ლებოდა — წერს ენგელი. ასეთ ვითარებაში  
შეიძლება გოცემა გამოჩვეოს იმ ფაქტმა, რომ  
ანთიმ ივერიელი ასე ვთქვათ. „სამეფუებუე-  
ლი“ რჩება და დევნილ ბოიარინთა შორის ვერ  
გზედავთ მის სახელს, თუმცა პირველ რიგში  
სწორედ მას, როგორც რუსული ორიენტაციის  
ერთ-ერთ დიდერს თავს უნდა აღტყობოსდა  
„პორტას მრისხანება“. მაგრამ ეს ჩვენი აზრით  
იმით უნდა აიხსნას, რომ არც თურქებმა და  
არც ნიკოლ მაგროკორდატმა არაფერი იცოდ-  
ნენ პერა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის  
მიერ საიდუმლო სხდომის მოწყვეის შესახებ.  
მათთვის მხოლოდ ცნობილი იყო თომა კანტაკ-  
უზენის აშკარა გადასვლა რუსების მხარეზე  
და ამიტომაც ასე სასტიკად გაუსწორდნენ უკუ-  
ლა კანტაკუზენს. რაც შეეხება კონსტანტინე  
ბრანკოვიანუსს, მისთვის, რასაკვირველია, ფარ-  
ულად არ დარწმუნდა ანთიმ ივერიელის როლი  
„პერა ურლაცილორის შეთქმულების“ საქმეში.  
სწორედ ამიტომ უსაყვედურებდა იგი ანთიმ  
ივერიელს „პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას“. მაგრამ  
შეუხებდავად თავისი უმჯავოფილებისა,  
როგორც ჩანს, ბრანკოვიანუსს მაინც არ გაუტია  
ვლახეთის მიტროპოლიტი თურქებისათვის. ეს  
გასაგებდებია. თუ ბრანკოვიანუსის ორჭოფულმა  
მიქაელებმა მასპილოო ანგარიში იგი ვლახელ

ხალხის ინტერესების მოღალატედ გამოიყვანა  
და ვლახეთი ისევ თურქეთის(ს) ნაქონრებმა ქვემ  
დატოვა, ეს შედეგი იყო ქვემსაქმურქუტუ-  
ფული და გაუბედავი პოლიტიკის  
და არა სურვილისა. ხოლო თუ რა  
ელოდა ანთიმ ივერიელს მისი „ანტიმოქმედ-  
პოლიტიკის“ გამოაშკარავების შემთხვევაში,  
ამას ნათლად გვიჩვენებს ის საშინელი ტრაგე-  
დია, რომელიც ნიკოლ მაგროკორდატის გამე-  
ფების რამდენიმე თვის შემდეგ გაათამაშდა ვლა-  
ხეთში.

ახლა კი დაკუბრუნდეთ ნიკოლ მაგროკორ-  
დატს და მის „მოღაწეობას“, როგორც ვლახე-  
თის პირველი ფანარიოტი მთავრისა, რუსული  
ორიენტაციის მქონე ბოიარინებთან ანგარიშის  
გასწორების შემდეგ, ნიკოლ მაგროკორდატმა  
ნიშანში ადგილობრივი არისტოკრატია ამოიღო.  
მან გააუქმა ნაციონალური კრება და ყველა ვლა-  
ხელი ბოიარინი გაყარა სამეფო კარიდან. მათი  
ადგილები ნიკოლ მაგროკორდატის აშალის  
წყობებში დიკავეს, რომლებიც მთავარს კონ-  
სტანტინოპოლიდან ჩამოაყენენ. ფანარის რაი-  
ონში მცხოვრები „გუპკრები, მვეახსებები და გა-  
დამყიდველები დიდი თანამდებობის პირნი გვ-  
დენენ: სახელმწიფო ხაზინადარი, გრამატიკოსი —  
მთავრის პირადი მდივანი, დიდი პოსტელნიკი —  
მთავრის პირადი მომხსენებელი, დიდი კომსი —  
მთავრის საჯინბოების ზედამხედველი, მუხურ-  
დარი — ბეჭდის მცველი, დივიტარი — მთავ-  
რის საწერი ნივთების მცველი, კაფტანჯი —  
მთავრის გარდერობის უფროსი, ჩოხოდარ ბა-  
ში — ქოშების ჩამცმელი, რაბტიკარი — სკამის  
დამჭერი, რომლის მეშვეობითაც მთავარი ცხენ-  
ზე ჯდებოდა, კაფეჩი ბაში — ყაფის მიმწოდებე-  
ლი, შერბეჯი ბაში — შარბათის მიმწოდებელი,  
ჩიბუჯი ბაში — ჩიბუხის მიმწოდებელი, სოფ-  
ოჯი ბაში — სუფრის გამწველი, პეშყერ ბა-  
ში — პირსახოცის მიმწოდებელი და სხვ.“ და აი  
ამ ჩიბუხის“ და „პირსახოცის მიმწოდებლე-  
ბის“ მეშვეობით ნიკოლ მაგროკორდატი მარ-  
თავდა, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ძარცვავ-  
და ქვეყანას.

სულთნის დეკრეტის თანახმად ვლახეთი იმ  
პროვინციას განეკუთვნებოდა, რომელსაც კონ-  
სტანტინოპოლი სურსათ-სანოვავით უნდა მოე-  
პარაგებია, გარკვეულ დროს მთავარი იღებდა  
ფირმანს, რომელშიაც აღნიშნული იყო, თუ რა  
რაოდენობის მსხვილი რქოსანი საქონელი და  
ხორბალი ევალებოდა ვლახეთს გაეგზავნა ოტო-  
მანთა პორტასათვის, სწორედ ამ ფირმანს იყუ-  
ნებდა ფანარიოტი-მთავარი როგორც სპეცულა-  
ციის საშუალებას. თუ სულთნის ბრძანების მი-  
ხედვით გადასახადის რაოდენობა ასი ათასი კო-  
ლო ხორბალითა და ორმოცი ათასი სული ცხვრით  
განისაზღვრებოდა, მთავარი აწერს მოსახლეო-  
ბას ზეთასი ათას კილო ხორბალს და ორასი  
ათას სული ცხვარს. კონსტანტინოპოლში გზავ-  
ნის იმდენ ხორბალსა და ცხვარს, რამდენსაც

მისგან ითხოვენ, დანარჩენს კი ბახარზე ყიდის და შემოსავალს თეთრან ითვისებს. ასევე ხდებოდა, როდესაც პორტა ფირმანით მოითხოვდა ზეთ ათასი მეშა-ხელის გამოყვანას ციხე-სიანგრეთა შესაკეთებლად თუ სხვა სამშენებლო საქმის საწარმოებლად. შთავარი მოვლანაპირებოდა და დათახნებებდა (რასაკვირველია ქრთა-ზის საშუალებით) პორტას წარმომადგენელს, რომ სამუშაოდ მხოლოდ ასორშიმდაათი კაცი გაევიდოდა, ხოლო დანარჩენებს ფულს ახდევინებდა სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო და ამ თანხასაც იჯიბებდა.

ვლახსაზღის და ლალის გადიდებამ ვლახელი ზალხის სრული განიანგება გამოიწვია. ისინი იყრებოდნენ ოჯახებით „თავს აფარებენ ტყეს“ და „ათასობით იზიზნებიან უცხოეთში“. ვილანტს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა მოსახლეობის აღწერისა, რომელიც ნიკოლოზ მაგროკორდატის გამგებების რამდენიმე წლის შემდეგ ჩატარდა ვლახეთში. ნაცულად 147.000 დასახლებული ოჯახისა სამთავროში აღმოჩნდა მხოლოდ 70000.

მაგრამ არა მხოლოდ ნიკოლოზ მაგროკორდატი და მისი სამეფო კარი იყო ერთადერთი მმართველი და გამაჩნაგებელი ვლახელი ხალხისა. ფანარიოტი ეპარქები, რომლებიც კალასაკეთ მოედგნენ სამთავროს, ჰქმნიან პრივილეგიურებულ კორპორაციას და აწარმოებენ ეპარქობას სურსათ-სანოვანეთა და სხვადასხვა ნივთებით. ისინი თვითნებურად აწესებენ ფასს თვითიველ სასურსათო საქონელზე. ეს ფასი არ აღემატებოდა საჭონლის რეალური ღირებულების მესამედს. მაგრამ ასეთი გამოძირებით როდი ემაყოფილებოდნენ ისინი, ბერძენი ვაჭარი ატყუებდა ხალხს წონაში, ზომაში, ხარისხში. თუ გლეხი პროტესტს განაცხადებდა მას ჯობით უმსაზრისოდ აღიქვამდნენ და გლეხი „ამით ემაყოფილდა კი იყო“, რადგან შეიძლება უარესად მომხდარიყო და მის ცხვირს ან ყურს დაეკარგა. ახლა კი იგი „თავის ქობს დაუსახიჩრებელი დაუბრუნდა და თან მტკიანი სანოვანეც იშოვნა“. და განა გასაკვირია, რომ ნიკოლოზ მაგროკორდატმა და მისმა დამჯავებმა ასეთი მეთოდებით სულ მოკლე ხანში უზარმაზარ ქონებას მოუყარეს თავი?!

ფანარიოტის ერთადერთი საზრუნავს ფუფუნებაში ცხოვრება წარმოადგენს. მისი სამოსელის ღირებულება იმდენად დიდია, რომ ამ თანხით მრავალ ათეულ ოჯახს შეეძლო წლების მანძილზე არსებობა. ვიპაეტიც, სამკაულები, ჭურჭელი, ავეჯი აურაცხელ სიმდიდრეს შეადგენდა. ნიკოლოზ მაგროკორდატის სამეფო კარი „ოქროსა და აბრეშუმში იყო ჩაფლული“. თავის მხრივ ნიკოლოზ მაგროკორდატის ხელქვეით ფანარიოტები ექიმებიან მთავარს ჰალმომრგობასა და პატივმოყვარეობაში. ისინი თავიანთ თავს თვითნებურად უბოძებენ ბოიარინის ტიტულს და ხშირად მათ მიერ გაძარცვულ და გაუბედურებულ კაცის სახელსაც კი იყთვენებენ.

ფანარიოტების პოლიტიკის წყალობით ვლახელი ხალხი თორმავი მონაბის უღლია ეყრმ აღმოჩნდა. თურქის ბატონობას ფანარიოტის მზარანებლობა დაემატა. დენანარქიონ მზარანსაკენ, თურქეთის იმპერიის ამ მკველმეჭურჭლე ჩრდილოეთ პროვინციისკენ — წერს ერთ-ერთი რუმინელი ისტორიკოსი — ფანარიოტები გაეშურნენ ახალი ქვეყნის აღმოსაჩენად, რომელიც თითქმის ოდითგანვე ბერძენისათვის იყო განკუთვნილი ანდა უკვე მათ კუთვნილებას წარმოედგინა, გაეშურნენ „ახალი საბერძნეთის“ აღმოსაჩენად, სადაც ფანარიოტი მთავრების წყალობით შესაძლებლობა ექნებოდათ გამაძარცვენ ბოიარინები ანდა მდიდარი მემამულეები. ამ „ახალ საბერძნეთში“, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ „ახალ ამერიკაში“, ამ „საბერძნეთის პერუში“, როგორც უწოდებდნენ ფანარიოტები და მათი თანამემამულენი, დენანისპირა სამთავროებს, ისინი უფრო მეტად გრძობდნენ თავს შინ ვიდრე კონსტანტინოპოლში, ვიდრე ისლეთსა თუ ათიკაში“.

ზოგიერთი ისტორიკოსი ნიკოლოზ მაგროკორდატის ვლახეთში მეფობის პერიოდის შეფასების დროს ცდილობს პირველ პლანზე წამოსწიოს ამ ფანარიოტი მთავრის პიროვნება, როგორც „ლიტერატურული მოღვაწის“ და თვლიდა ბუნების მის „პოლიტიკურ მოღვაწეობაზე“. ნიკოლოზ მაგროკორდატი თავის დროისათვის მართლაც ფრთხილ განათლებული ადამიანი იყო. იგი ელოდა მრავალ უცხო ენას და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მაგრამ, არც მაგროკორდატის განათლებას, არც იმ მფარველობას, რომელსაც იგი უწევდა მეცნიერებს, არ ძალუძდა გამოესიყადა ვლახეთის წინაშე ის დანაშაული, რომელიც მას მიუძღოდა თავისი სისარტიკიასა და მმართველობის შედეგად. და მართლაც ნიკოლოზ მაგროკორდატის სიკვდილის შემდეგ მის ეკლესიას, რომელიც დაასვენეს ვეპარეშტის მონასტერში, რომლის ეკლესიები ამოუჯანბლო იყო მრავალი ასეული ოჯახის განიანგებისა და გაუბედურების ფასად, თან მიჰყვებოდა ვლახელი ზალხის წყველა-კრულთა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეათხველს შეიძლება ისეთი თანბეჭედლება დარჩეს, თითქოს ჩვენ შეეგებეთ ნიკოლოზ მაგროკორდატის მეფობის მთელ პერიოდს ვლახეთში (ნიკოლოზ მაგროკორდატი ვლახეთში მეფობდა 14 წლის მანძილზე), რადგან მისი „რეფორმები“ და „ღონისძიებები“ იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათ ცხოვრებაში გატარებას მართლაც კარგა ხანი დასჭირდებოდა. სინამდვილეში კი წვეს მიერ აღწერილი ნიკოლოზ მაგროკორდატის ვლახეთში „მოღვაწეობის“ პერიოდი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ... 6—7 წლებს.

რა კითხვა შეეძინა ამ პერიოდში ანთიმ ივერიელის ცხოვრების და საქმიანობის შესახებ? ამის თაობაზე შემონახული დოკუმენტები თითქმის არაფერს ამბობენ გარდა ერთ-ერთი შემთხვევისა, როდესაც ანთიმ ივერიე-

ლი შეხვდა სამიტროპოლიტოში ახლადდანიშნულ მთავარს ნიკოლო მავროკორდატს და როდესაც ანთიმ დიქსრო მავროკორდატის მეუღლის დაკარგვისას. მაგრამ ეს ვასაგები ვახადა თუ მივმართავ ანთიმ ივერიელს წერაბრს, რომელიც მან გაუგზავნა ივერიალიძის პატრიარქს კრიზანთეს 1716 წლის 24 მარტს. „ამჟამად მტრად მიმივ დღეებია, — წერდა ანთიმ ივერიელი — დაუსრულებელი ეჭვი და უნდობლობა, იმის შიში, ვაგზავნილი წერილი სათანადოდ აღვტოვებ მთა თუ არა, მიძღულებს მე უარი ვთქვა ყოველგვარ მიმოწერაზე“. ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ ციტირებული წერილიდან ირკვევა, რომ თუმცა ანთიმ ივერიელმა ნიკოლო მავროკორდატის გამეფების პერიოდში არ განიცადა აშკარა რეპრესია, მას მაინც ეჭვის თვალით უყურებენ და იგი კანონიერად ცხოვრობას ვერცხვს. მაგრამ არ იქნება სწორი თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ „მიმივ დღეებით“ დაორგუნევილი ანთიმ ივერიელი განჯიდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ იგი შეუძრავდა ვლახეთისა და ვახეილი ხალხის სავალალო მდგომარეობაში ყოფნას, რომ პრეტის ლაშქრობის მარცხის შემდეგ მან საბოლოოდ იმედი გადაწყვიტა ვლახეთის განთავისუფლებაზე თურქთა და, მათთან დაკავშირებით, ფანარიოტთა ბატონობის უღლისაგან. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ამ „მიმივ დღეებში“ ანთიმ ივერიელი იკრებს თავის ვარშემო ნიკოლო მავროკორდატის პოლიტიკით უკმაყოფილო ბოიარინებს, იკრებს ყველას, იქნებიან ისინი საერო თუ სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომლებსაც არ გაუყიდიან იტორები თავისი სამშობლოს ინტერესები და რომელთაც მტკიცედ სწამდათ, რომ ვლახეთის კეთილდღეობის ერთადერთი საწინდარი თურქთა და ფანარიოტთა მონობის უღლიდან განთავისუფლებაში მოვლობადაა. ვინ იყვნენ ეს ბოიარინები, რომლებიც ანთიმ ივერიელს მხარში ამოუდგნენ? რადუ პეტსელის მტკიანე ამბობს: „ვლახელი ბოიარინების უმრავლესობას სწამდა და სჯეროდა ანთიმისა“. ამ ბოიარინთა რიცხვს შეიკუთვნებიან გრიგოლ ბელიანუ და გილესუ, ხოლო წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასახლოთ: ივანე ბრახუნუა, მიხეილ კანტაუზენი, ლუპელი, ბალაგანუ, ბარბუ კორნეა, ობედიანუ, რადუ ბენესკუ, იონანე აბრამი და სხვები, რომლებიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ, რათა განეხორციელებინათ თავიანთი მიზნები. და ეს ხელსაყრელი მომენტიც მალე დადგა. რუსეთთან ომის შედეგებით გამხრეველმა ოტომანთა პორტამ პრეტენზიები წაუყენა ვენეციას მორეაზე და არქიპელაგის კუნძულებზე, რომლებიც მან დაკარგა კარლოვიცის ზავის შედეგად. ვენეციამ დამარცხებისათვის მიმართა რომის პაპს და ავსტრიას, რომის პაპმა მოუწოდა კათოლიკურ ქვეყნებს დახმარება აღმოეჩინათ ვენეცი-

ისათვის. ავსტრიამ, ვენეციის მოკავშირემ და კარლოვიცის ზავის გარანტმა, ოქციის უმამავლობა შესთავაზა. მან მოსთხოვა თურქეთს დევცა 1699 წლის ზავის პაროტები. მაგრამ ოტომანთა პორტამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნაზე. ამის შედეგად კი ის იყო, რომ დიქსრო ომი თურქეთსა და ავსტრიას შორის. როგორც ცნობილია 1716 წლის 5 აგვისტოს ავსტრიელების მხედართმთავარმა პრინცმა ევგენიმ სასტიკად დაამარცხა თურქებმა პეტერვარდენთან. ანთიმ ივერიელი და მისი მომხრე პატრიოტულად განწყობილი ვლახელ ბოიართა ჯგუფი იწყებს მოქმედებას. კაბიტანმა ობედიანუმ ბრძანება გასცა, რომ ვლახეთის ჯარებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ სახლვარზე გადმოსულ ავსტრიელებისათვის, რომლებიც სდევნიდნენ თურქებს, ხოლო ბოიარინებმა ბარბუ კორნეამ და რადუ ბერენესკემ უბრძოლველად ჩააბარეს ავსტრიელებს ტირგულ-ჯიული. ვლახელი ბოიარინების ასეთი მოქმედება როგორც ჩანს პირველი ფაზა იყო იმ საერთო გეგმისა, რომელიც დასახდა „ნიკოლო მავროკორდატის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულმა შეთქმულთა ჯგუფმა ანთიმ ივერიელის მეთაურობით“. ნიკოლო მავროკორდატი ყოველმხრივ ცდილობდა დაემაღლა ბუქარესტის მოსახლეობისათვის პეტერვარდენთან ავსტრიელების გამარჯვების ამბავი. მაგრამ 4 სექტემბერს მისი ჩასვლამდე 1 საათით ადრე ბუქარესტის ქუჩებში გაისმა ყვირილი „გერმანელები!.. გერმანელები!..“ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუქარესტის მოსახლეობაში ასეთი ხმების გავრცელება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული, რადგან სინამდვილეში ვლახეთის სახლვარი გადმოლახა ავსტრიელთა მხოლოდ ერთმა ასეულმა და ეს ასეულიც დაკმაყოფილდა იმით, რომ მან სახლვარის მშლობლად დაიკავა ტირგულ-ჯიული და ჯერჯერობით არც კი ამბობდა ქვეყნის სიღრმეში შექრას. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბრადღებო ისაა, რომ ბუქარესტში ავსტრიელ ჯარების შემოსვლის შესახებ გავრცელებული ხმების ინიციატორები ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრევე ბოიარინები იყვნენ. ეს დასტურდება შემობთან მიტროფანე გრიგორაშის სიტყვებით, რომლებიც წერდა: „ანთიმ ივერიელმა და ბოიარინებმა, რომლებმაც მოაწყვეს შეთქმულება მთავრის წინააღმდეგ, დაკარგეს ხმები, თითქმის ავსტრიელთა ჯარები შეიჭრენ ვლახეთში და მათ განზრახული აქვთ მისი (ნიკოლო მავროკორდატის — ო. გ.) დაპატიმრება“. რა მიზნით უნდა გვერტილებინა ანთიმ ივერიელსა და მის მომხრე ბოიარინებს ბუქარესტში ავსტრიელთა შემოსვლის ყალბი ცნობა?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ანთიმ ივერიელს და პატრიოტულად განწყობილ ბოიარინებს განზრახული ჰქონდათ ვლახეთის განთავისუფლება თურქ და ფანარიოტ დამპყრობლებისაგან და ამის მისაღწევად ისინი პირველ რიგში სა-

ჭირად თვლიდნენ ვლახეთის სამეფო ტახტზე ფანარიოტი მთავრის შეცვლას ვლახელი მთავრით, საჭიროდ თვლიდნენ რომ ვლახეთს უნდა მართვედნენ ვლახელი და არა უცხოელი მოხალადად, რის შესახებაც ჩვენ შემდეგ გვქმნება საუბარი, ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ „შეთქმულები“ შეეცდებოდნენ ნიკოლო მავროკორდატის და მის მცველა თურქთა რაზმის თავიდან მოშორებას, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ თავისუფლად მოქმედებისა. როგორც ჩანს, ანთიმ ივერიელს ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი ნიკოლო მავროკორდატის ხასიათი და ბუნება, რომლის შესახებაც ვნებელი წერდა: „ფანარიოტს თავისი ჩრდილისაც კი ვწინადაც“, რადგან ბუქარესტიდან მის მისაშორებლად საქმანის აღმოჩნდა მხოლოდ ხმების ვაჯრცელება ავსტრიელთა ჯარის შემოსევის შესახებ. მართლაც, როგორც კი მავროკორდატმა ყური მოკრა ქუჩაში ყვირილს „გერმანელები... გერმანელები!“ მაშინვე შეკრიბა ერთგული ბოიარინები, მკობა მათ ავსტრიელების შემოჭრის შესახებ, ჰეარამ მთავად ვარჯეული პასუხი ვერ მიიღო „რადგან ზოგ მთავანს ეს შესაძლებლად მიაჩნდათ, მეორენი კი ყოფიანობდნენ“, ამიტომ მთავარმა თვითონ დაასვენა, რომ „მტერი მას ლამით დაესხმოდა თავს, როდესაც მავროკორდატმა ეს გადამწყვეტილება მიიღო, მან დაუყოვნებლივ შეაგროვა განძეულბა და მთელი ავღალიდგება, დატვირთა ფორნები და თავის ოჯახითურთ, ახლობლებით და თურქთა რაზმით იმავე საღამოს დასტოვა ბუქარესტი, და გაემართა თურქთა ციხე-სიმაგრე ქურჯევოსაკენ. ნიკოლო მავროკორდატის თანმხლებ პირთა შორის ჩვენ ვხვდებით მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელსაც. აღბათ ყოველგვარი ექვის გასაქარწყლებლად იგი თან გაჰყვა ფანარიოტს. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ, შუალამისას, ნიკოლო მავროკორდატი, ანთიმ ივერიელი და სხვები, სოფელ კელუგერენში შევიდნენ. მიტროფან გრიგორაში წერს, რომ ამ სოფელში ნიკოლო მავროკორდატმა გადამწყვეტილი დღამდე დარჩენა, რათა ბუქარესტიდან მიიღო ზუსტი ცნობები მომხდარი ამბების შესახებ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან, მიუხედავად მავროკორდატის მხდლა ბუნებისა, მაინც შეუძლებელი იყო, რომ აღამანს მხოლოდ ქუჩაში გაგონილი ხმების გამო მიეტოვებია არა მარტო ბუქარესტი, არამედ მთელი სამთავრო. ეტობა, ყოველივე ეს წინასწარ გათვალისწინებულა ჰქონდათ ანთიმ ივერიელსა და პატრიოტულად განწყობილ ბოიარინებს. ამიტომ იყო რომ კელუგერენში ნიკოლო მავროკორდატისა და ანთიმ ივერიელის ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ იმ გლეხის ოჯახის კარებზე სადაც, ვაჩერებული იყვნენ ვლახეთის მთავარი და უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი, დააკაუნა ვინმე ბერმა სახელად ჭოვანი აბრაჰამი. ანთიმ ივერიელს მოახსენეს რომ ჭოვანი აბრაჰამი ჩამოვიდა ბუქა-

რესტიდან და მას დაუყოვნებლივ სურს უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტის ნახვა. როგორც შეზატანენი დღე კიარო, გრიგორაში და სხვები გეამცობენ, ჭოვანი აბრაჰამს ანთიმ ივერიელისა თვის ჩამოურთავა „ბარათი, რომელშიაც იწერია, რომ გიორგი კანტაკუზენი, ვლახეთის ყოფილი მთავრის შერბან კანტაკუზენის ვაჟი 12 000 ავსტრიელით შემოიჭრა ვლახეთში მთავრის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.“ მიტროფანე გრიგორაში კი დასძენს: „ბარათში დაბეჭდილებით იყო ნათქვამი, რომ ტყე ბუქარესტის მახლობლად სასება მტრის ჯარებით“. ბუქარესტიდან გამოგზავნილი ბარათი ანთიმს ნიკოლო მავროკორდატისათვის გადაუცია. წაითხულმა თავზარი დასცა ფანარიოტს. თუ რა შედეგი გამოიღებდა ბუქარესტიდან მოტანილი ამბავი ცხადია კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ანთიმ ივერიელს. მავროკორდატი დაუყოვნებლივ შეუდგა სამგზავროდ სამხადისს. ერთ-ერთი ანგელო იმასაც კი წერს, რომ გზაკვალ აბნეული მავროკორდატი მოახტა ცუხნს და მარტოდ მარტომ გაქუსლა ჯურჯევოსკენ. ასეა თუ ისე, ფანარიოტი ჩქარობდა გასცლოდა ვლახეთს და თავი თურქების ციხე-სიმაგრისათვის შეეფარებინა.

მიტროფან გრიგორაში აღნიშნავს, რომ ბუქარესტიდან გამოგზავნილი ბარათი „ყალბი იყო“ და იგი უსაყვედურებს ანთიმ ივერიელს რომ მან ეს ბარათი ნიკოლო მავროკორდატს უჩვენა. რადგან უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი „ინტრიგების მეშვეობით ცდილობდა მავროკორდატის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებას, მის ვლახეთიდან განდევნას, რითაც იგი მთავარს სასტიკ სირცხვილს ატმევდა და მის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააყენებდა“. ვერაფერს ვიტყვი! ჭოვანი აბრაჰამს მიერ მოტანილი ბარათი რომ ყალბი იყო ეს ემეს არ იწვევს, რადგან 12 ათასი ავსტრიელის ვლახეთში შემოჭრის ფაქტის შეთხზული ამბავი იყო თვით ანთიმ ივერიელისა და მისი მომხრეების მიერ. რომ ანთიმ ივერიელი ამირებდა ნიკოლო მავროკორდატის ტახტიდან ჩამოგდებას და მის ვლახეთიდან განდევნას“, ესეც სრულ სიმარტულს შეესაბამება. მაგარა როდესაც მიტროფან გრიგორაში ანთიმ ივერიელს უწოდებს „მოღალატეს“ და „მეამბოხს, რომელმაც სასყელი დაიშახურა“ — ეს უკვე კერძოზნა და შეტე არაფერი. რაში ხედვდა მიტროფანე გრიგორაში ანთიმ ივერიელის ღალატს? იმაში რომ ვლახეთის პატრიოტმა განიზრახა ფანარიოტის განდევნა ვლახეთიდან და ტანტრო ქვეყნის განთავისუფლება მტარვალისა და მძარცველისაგან? ასეთი მსჯელობა შეეფერება მხოლოდ ფანარიოტ მთავრის აპოლოგეტ ისტორიკოსს, რომელიც მთელ ისტორიულ სინამდვილეს ანაცვალბეს თავის პირად ინტერესებსა და თვალსაზრისს. მაგრამ მიტროფანე გრიგორაში ერთადერთი არ არის, რომელსაც ასეთი შეხედულება გააჩნია. შემატანენ რადუ პეპესკუსაც ანთიმ ივერიელი მოღალატედ მიიჩნია. იგი წერს,

რომ უნგრეთის მიტროპოლიტი შეეცადა მოეგრებინა ნიკოლოზ მაგაროკორდატი, რომელსაც აცნობა, ვითომ შერბან კანტაქუზენის ერთი შვილი, უნგრეთში დარჩენილი, ვაძლიერა კარბატებს და თავის მამის მემკვიდრეობას მოითხოვს. რადღე პეპესკუ ბრალს დებს ანთიმ ივერიელს, რომ იგი ვლახელ ბოიარინებთან თათბირებს აწყობდა და მათ ავსტრიელთა ჭარბების მოწყვეტას ურჩევდაო. რადღე პეპესკუს საპასუხოდ ჩვენ სასვეებით საქმარისად მიგვიჩინა ვაფიშვითი უმთლ მკვის სიტყვები, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ერთი სიტყვით — წერს ემილ პკო — რუმინელი ისტორიკოსი მხოლოდ მლიქვნელობს უცხოელი დამპყრობელის წინაშე და აბაგებს კაცს, რომელიც ქვეყნის ხსნას ეძებდა“. ახლა კი დაუბრუნდით ნიკოლოზ მაგაროკორდატს, რომელიც ჭირჭყვეოს გზას ადგა. ენგელი ვაძლიერებს რომ ვაძლიერების წინ ნიკოლოზ მაგაროკორდატს და ანთიმ ივერიელს შორის მწევევ ხასიათის საუბარი ვამართულა. „ფანარიოტი — წერს ენგელი — დიდხანს არწმუნებდა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს ანთიმს, მასთან ერთად გაქცეულიყო და არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნებულყო ბუქარესტში“. როგორც ამ სიტყვებიდან ირკვევა, ანთიმ ივერიელს კელვგერენიდან ვაძლიერების წინ უარი უთქვამს ნიკოლოზ მაგაროკორდატისათვის მასთან ერთად ვაგვრძელებინათ გზა და ვაუნტარავს ბუქარესტში დაბრუნება. ექ ვასავებოცა. ანთიმ ივერიელის მიზანს ხომ პარკველ რიგში ფანარიოტის ბუქარესტიდან შო-შორიდა წარმოადგენდა. ხოლო როდესაც ანთიმ ივერიელი დარწმუნდა, რომ ნიკოლოზ მაგაროკორდატი არა მხოლოდ აღარ დაბრუნდებოდა ბუქარესტში, არამედ ვლახეთთან გაქცეულსაც კი აპირებდა, რასაკერაველია მისთვის უკვე აღარავითარ აზრს აღარ წარმოადგენდა თან ვაპყროდა ფანარიოტს. ნიკოლოზ მაგაროკორდატი და ბეჭითებით თხოვდა ანთიმ ივერიელს ერთად ვაქცეულიყვნენ. მაგრამ მან კატეგორიული უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მას როგორც ვლახეთის მიტროპოლიტს ასეთ ვითარებაში „არ შეეძლო ბედის ანაბარად მრველის შირთვება“. ასეთი არგუმენტაცია უარი შეხედვით მართლაც დამაყრებელი უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც უკვე აღინიშნეთ ვლახეთში იმ დროს არსებული წესის მიხედვით თუ მთავარი არ იმყოფებოდა სამთავროს ფარგლებში, მთელი აღაუფლება ქვეყნის მართვისა ვადიდიოდა მიტროპოლიტის ხელში. და რადგან ნიკოლოზ მაგაროკორდატმა მიატოვა ბუქარესტი და თურქეთში ვაქცევის აპირებდა, ამდენად ვლახეთის ბედ-იბნაზზე ზრუნვა მიტროპოლიტს ვეალბოდა. მაგრამ ნიკოლოზ მაგაროკორდატს როგორც ეტყობა ეჭვი მიუტანია ანთიმ ივერიელზე. როგორც წერენ დელ კიარი და ენგელი ნიკოლოზ მაგაროკორდატს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ანთიმ ივერიელისათვის: „მიტროპოლიტს

არ სურს მას ვაპყვეს, რადგან ვაძლიერებელი აქვს ბუქარესტში დაბრუნება, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმის მომასწავებელია, ვრომ მის სურს ხორჩიოს ახალი მთავარი“. თან მეტწილად დღემ-ნია რომ „მალე დაბრუნდება ვლახეთში თურქეთსა და თათართა დიდი ვარით და სასტიკად ვაუტსწორებს ანგარიშს მეამოხებებს“. ანთიმ ივერიელს ნიკოლოზ მაგაროკორდატის მექარისათვის არავითარი ურადღეა არ მიუქცევია, რადგან დარწმუნებული ყოფილა, რომ „მაგაროკორდატი ვეღარასოდეს ვერ იხილავდა ვლახეთს“ და ბუქარესტში დაბრუნებულა. მიტროფანე გროგორაძის სიტყვებით ანთიმ ივერიელს შირდაპირ ვანუცხადებია მაგაროკორდატისათვის, რათა მას მართო ვაგვრძელებია თავის გზა, რადგან „ამი-ღრიდან მასა და ვლახეთის მთავარს შორის უკვე აღარავფირო არ შეიძლება ყოფილიყო სავართო“. ჩვენ ამის შემდეგ სასვეებით უსაფუძვლოდ მიგვიჩინა ზოგადი ისტორიკოსის მტკიცება იმის შესახებ ვითომდა ანთიმ ივერიელის ბუქარესტში დაბრუნება მისი ავადმყოფობით იყო ვამოწყვეული. თავის მხრივ ნიკოლოზ მაგაროკორდატმა ვანგარძო გზა და მეორე დღის ვათენებისას მიიწევა ჭურჭყვეოს. როგორც ჩანს, ავსტრიელების შემსწავლის ამბავი ჭურჭყვეოშიც ქკონდათ უკვე შეტუბილი, რადგან, როგორც კი დანიხეს ქალაქის მცხოვრებლებმა მოახლოებული ცხენოსანთა რაზმი, ისინი ავსტრიელებად მიი-ღეს. ჭურჭყვეოს მოსახლეობის ნაწილმა ქალაქის ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი. ნაწილი მოსახლეობისა კი ჩასხდა ნავეებში და ვაგემართა რუმუნისაკენ. „რამდენიმე ნაყო — წერს დელ კიარი, — რამდენიმეც 25—30 თურქი იყო, მგზავრებითურთ დენაბი წაიძრო. დანარჩენებმა კი რისი ვიავგახებით მიადწიეს რუმუნს და ექ ქონიწელი შიში და დაბნეულობა ვამოიწყიეს“. ამავ დროს ნიკოლოზ მაგაროკორდატი და მისა თანმხლები პირები ჭურჭყვეოში შევიდნენ. სადაც მას თურქ ხელისუფალთ ვასული მოთხოვეს „თუ რას ნიშნავდა მისი საქციელი?..“ მაგაროკორდატმა თავი იმართლა მათ წინაშე ავსტრიელების ბუქარესტში შემოჭრის მიზეზით. მაგრამ სულ მოკლე ხანში ვაიჩკვა, რომ ბუქარესტში არც ერთი ავსტრიელი ვარისკაცი არ იმყოფებოდა, და რომ ვლახეთში ავსტრიელთა შემოჭრის შესახებ ვაერკლებულა ხმები სასვეებით ყვალბო იყო. ეს ამბავი ჭურჭყვეოში მო-ღენათ თურქთა აგენტებმა. ამ ცნობამ ჭურჭყვეოს და რუმუნის თურქთა უკმაყოფილება და ვაფთრება ვამოიწეია. მათ ბრალად დასდეს ნიკოლოზ მაგაროკორდატს ბრწყინვალე პორტის წინაშე ლალატი და ვადამწყვიტეს შეეპყროთ იგი და ხელფეშვარული ვაგვანენათ ანდრიანოპოლში, სადაც იმამად იმყოფებოდა სულთანი. მაგრამ ნიკოლოზ მაგაროკორდატმა მოახერხა თავი ემართლებინა სულთნის წინაშე. მან თავის ვამოქცევა ბუქარესტიდან ახსნა იმით, რომ „შეცდომამი იქნა შეყვანილი რამდენიმე ვლახე-

ლი მუამბოხის მიერ“. ნიკოლოზ მავროკორდატისთვის რასაკვირველია, უკვე ცხადი გახდა, თუ რატომ გაავრცელეს ხმები ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარინებმა ავსტრიელების შემოსევის შესახებ და რატომ აიძულებს იგი დავითგებინა ბუქარესტი. ნიკოლოზ მავროკორდატი მიხვდა, რომ საფუძველს არ იყო მოკლებული მისი ექვეები, როდესაც მან ანთიმ ივერიელის ეკლესიებიდან ბუქარესტში დაბრუნების განზრახვა ელახეთის ახალი მთავრის არჩევას დაუყოვლავა. ამიტომაც იყო რომ მან სულთანს დამხმარე ჯარები გამოთხოვა და 12 სექტემბერს შუალაშის თურქთა რაზმებით იგი მოულოდნელად შეიჭრა ბუქარესტში. სამწუხაროდ დავითგებინა ჩვენ მეტად მკრთალი ცნობებს გვაწვდიდა იმის შესახებ თუ რა შიში მოქმედებს ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარინებმა ნიკოლოზ მავროკორდატის ბუქარესტში არყოფნის პერიოდში. მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მათ შიშს რეალური ნაბიჯის გადადგმა. „ნიკოლოზ მავროკორდატის ვაჟივეის შემდეგ — წერს მემტაიანე — ანთიმის გადახტის მთავრად აირჩია დიდი ვორნიკი პეტრასოვა ბრუზოვიანო“. მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ელახეთის ტახტზე მხოლოდ ახალი მთავრის არჩევით არ შეიძლება შემოგარკვეულიყო ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრეების საბოლოო მიზნები. მათ რასაკვირველია ძალზე კარგად ესმოდათ, თუ ელახელი ხალხი და ჯარა არ დაუშვრდა მხარს, მხოლოდ რამდენიმე ბოიარინის გადაწყვეტილებას არავითარბ ძალა არ ექნებოდა. ისევე, როგორც რუსეთ-თურქეთის ომის დროს ანთიმ ივერიელმა და რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარინებმა მოეწოდეს ელახე ხალხს და ჯარს იარაღით ზეღში აღმდგარიყვნენ თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, არ შეიძლება რომ ახლოვიერ შემთხვევას არ ჰქონოდა ადგილი, როდესაც ავსტრია-თურქეთს შორის წარმოებულ ომი განთავისუფლებს ახალ იმედებს უნერგავდა ელახელ ხალხს. მაგრამ მთავარ ბრუზოვიანუს არჩევა ელახეთის სამეფო ტახტზე პირველი და სამწუხაროდ საბოლოო ნაბიჯი აღმოჩნდა. რაც შეეხება ელახელი ხალხის და ჯარის ამხედრებას თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, როგორც ჩანს ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრეებმა ვერ მოახერხეს ნიკოლოზ მავროკორდატის ბუქარესტში მოულოდნელი დაბრუნების გამო. ფანარიოტის დაბრუნება კი სისხლითა და ცრემლით აღინიშნა მთელ ელახეთში. „სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენის“ სახელით მან „ბრძანა დაეპატიმრებინათ და შემდეგ ზმლით ნაყურ-ნაყურად აეჩეხათ ელახელი ბოიარინი ბრუზოვიანო, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ ნიკოლოზ მავროკორდატის ბუქარესტში არყოფნის დროს ანთიმ ივერიელის მეთაურობით სამიტიროპოლიტოში შეკრებულმა ბოიარინთა სხდომამ იგი აირჩია ელახეთის მთავრად“. ბრუზოვიანუს მხეცურად მოკვლის შემდეგ მთელ

ბუქარესტში იწყება სასტიკი რეპრესიები. ჩამოახრჩეს სპატარი მიხეილ კანტაუზენი და ბოიარინი როდუ ლუდესკუ, თქვიანი და მოკვეთეს ბოიარინებს ლუბოლა და ბალაყვანუს. დაამატებრეს და სიკვდილით დასჯა ელოდა აგრეთვე ჯოვანი აბრამს, რომელსაც ბარათი ჩაურთა ანთიმ ივერიელს ბუქარესტდან. იგი სიკვდილს გადაარჩინა მისმა მეგობარმა დეკიარომ. საპატიმროში ჩაყარეს და ტანჯვა-წამებით სულს ზდიდნენ ათობო ელახელ ბოიარინს... „დიდებულთაგან პირველ რიგში იმათ გაუსწორდნენ — წერს რენიო — ვიზედაც ნაციონალური პარტია ამუშავებდა იმედებს (რენიოს მხედველობაში ყავს ბოიარინთა ის ჯგუფი, რომელიც ილაშქრებდა თურქთა და ფანარიოტთა ბატონობის წინააღმდეგ და რომლის წარმომადგენლებიც ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრე იყვნენ ო. გ.) მთავარი ადგენს საპროსკრიპციო სიებს. ამ სიებში მოხვდა ყველა ის ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებულ მდგომარეობით, ვინც იმედის თვალთ შეუჭრებდა მომავალს... კონსპირანტად იქნა გამოცხადებული ყველა, ვინც კი არ მლიქვნელობდა. უკმაყოფილო ელემენტები დასაჯეს, ხოლო მათი ქონება ნიკოლოზ მავროკორდატმა მიისაყუტა. ექვმიტანილი ბოიარინები ციხეში ჩაყარეს, ფეხის გულზე კრებზე ურტყეს, შემდეგ კი შიშველი და გაძარცვლნი ვარდენეს ქვეყნიდან. ბევრი მათგანი თავის ნებით გაეცალა ელახეთს და თავი ტრანსილვანიას შეაფარა. აქ, სილარიბის გარდა მათ არავითარი საშიშროება არ ელდა“. ელახელი ხალხის მღელვარების შიშით ფანარიოტის სასახლეს გამოეგრებულ თურქთა რაზმები დაარჯობდნენ, ხოლო 14 ვატენილი ზარბაზანი სასახლის კარიბჭეს იცავდა ნიკოლოზ მავროკორდატმა ჯერჯეროდან დამატებით გამოთხოვა თურქთა ჯარები, რომლებიც კალისავით მოედნენ მთელ ბუქარესტს. ამას შედეგად კი ის მოხვდა, რომ ნიკოლოზ მავროკორდატის სახელს ახალი ეპიტეტები შეემატა: „ტირანი“, „მჩაგვრელი“, „ჯალაი“, „რუმინელთა მტერი“. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ საესებით არასწორად მივეჩინა იმ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, რომელნიც ნიკოლოზ მავროკორდატის დამკვეთებდ გამოდიან, და ყოველმხრე ცდილობენ გაამართლონ ის.

ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით განსაკუთრებით შეეჩერდეთ შტურცას ნაშრომზე „აღმოსავლეთა ევროპა და მავროკორდატის ისტორიული როლი“. კერძოდ კი მისი ნაშრომის V თავზე, რომლის სათაურია „ნიკოლოზ მავროკორდატის ელახეთის ტახტზე ასვლა...“. შტურცა აცხადებს პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ მან „სხვადასხვა მრავალრიცხოვანი წყაროების დოკუმენტებისა და შრომების საფუძველზე იმის შესახებ შედგა შესძლო ეთქვა საბოლოო სიტყვა ნიკოლოზ მავროკორდატის ელახეთში მო-

დევრობასთან დაკავშირებით და მიეცა მისთვის სწორი შეფასება. „ნიკოლო მაგროკორდატის ვლახეთში მეფობის შესახებ—წერს შტურცა—“რუმინე და თეთი უცხოელ ისტორიკოსებს შორის სხვადასხვა აზრი არსებობს, რომელთაგანაც არცერთი არ არის მისაღები და სწორი. ჩვენ უცილებლად მივაჩნია წინასწარ შემუშავებული აზრის ვარგულ ზუსტად და მართებულად აღვადგინეთ ფაქტები. ჩვენს ნაშრომში სახელმძღვანელოდ აღებული პრინციპია: არ უნდა ვიმსჯელოთ ისტორიულ ფაქტებზე, რომლებიც რუმინულ ქვეყნებს, ან თეთი კარპატო-ბალკანურ ქვეყნებს ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუმინული, ბერძნული ან თურქული თვალსაზრისით. ერთდერითი თვალსაზრისი, რომელიც ჩვენ უნებურად და მართებულად მივაჩნია და შევსაბამებდა მეცნიერებასა და მეტეოროლოგიას ეს არის ყველა ფაქტისა თუ მოვლენის გაშუქება ვერსაუბლო თვალსაზრისით, მათი ყოველმხრივ განზოგადება და შეფასება და არა მათდამი ვიწრო და სუბიექტური ანდა ამა თუ იმ ქვეყნის. ამა თუ იმ მხარის შოვინისტური თუ ნაციონალისტური თვალსაზრისით განხილვა. გარდა ამისა უცილებლად მივაჩნია წარმოუდგინოთ ჩვენი თავი იმ დროში, როდესაც ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას ჰქონდა ადგილი და გავითვალისწინოთ ის განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებშიც ისინი გამოიწვიეს. მე-თვრამეტე საუკუნეში დაწერილი თუ გამოცემული ისტორიული წყაროები დღეს საქმიოდ მრავალრიცხოვანია, ასე რომ, შესაძლებლობა გვაქვს შევისწავლოთ იმდროინდელი შეხედულებანი, შევეცადოთ მივინახოთ ის საერთო პუნქტები, რომლებშიც ეს დოკუმენტები ერთმანეთს ემთხვევიან. ზოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტების შედარების დროს ჩვენ ვნახავთ აზრთა სხვადასხვაობას, შევეცადოთ საერთო ანალიზის საფუძველზე დაავადგინოთ სიმართლე. აუცილებლად საჭიროა ყურადღება შევამჩნიოთ რუმინულ თვალსაზრისს, როცა საქმე ეხება ნიკოლო მაგროკორდატის მეფობას ვლახეთში, მაგრამ არ უნდა მივცეთ უპირატესობა რუმინულ თვალსაზრისს და არ შევიწროოთ მას ყველა დანარჩენი, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი სჩადის“.

შტურცას მიერ საკითხის ასეთი დასა, რასაკვირველია, სწორი და მართებულია. ცხადია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში, კერძოდ, ვლახეთში მომხდარ ისტორიულ ფაქტზე მსჯელობის დროს ჩვენ პირველ რიგში უნდა დავაყრდნობთ ამ ქვეყნის ისტორიულ წყაროებს და ამ წყაროებზე არსებულ რუმინულ ისტორიკოსთა შეხედუ-

ლებებს, მაგრამ სურათის სრული და მთლიანი წარმოდგენისათვის ავრთავე „სკიპროკო“ გავითვალისწინოთ თუ როგორ შეფასებან ამდევნ ამვე ისტორიულ ფაქტს თუ მოვლენას სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარები, იქნებიან ისინი ფრანგები, გერმანელები, რუსები თუ სხვები. ერთი სიტყვით საჭიროა ვიცოდეთ საერთო თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე. ფანარიოტთა ეპოქასთან დაკავშირებით შტურცამ მართლაც შეისწავლა სხვადასხვა ენაზე არსებული მრავალრიცხოვანი წყაროები და გამოკვლევები ფანარიოტთა ეპოქასთან დაკავშირებით. „გაიანალიზა და განაზოგადა მრავალი ფაქტი“. ამრიგად აკრიტიკებს ქსენოპოლს და სხვა ისტორიკოსებს, რომლებიც ანთიმ ივერიელს და პატრიოტულად განწყობილ ბოაჩინთა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ უკავშირებენ ფანარიოტთა მთავრის ბატონობისაგან განთავისუფლებას, ეპეოს ქვეშ აყენებს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც „ვერავითარ განსხვავებებს ვერ ნახულობდნენ ფანარიოტებისა და თურქებს შორის“. შტურცას მტკიცების უარსაყოფად აღარ გავიმეორებთ ჩვენს მიერ ფანარიოტების ეპოქის განხილვის დროს უკვე მოყვანილ მაგალითებს, რომლებიც ნათელყოფენ ოტომანთა იმპერიის მმართველი წრეებისა და ფანარიოტების ორგანულ კავშირს და ერთობას. დავამაყოფოდლებით მხოლოდ თეთი შტურცას სიტყვებით, რომელიც თავის თავს ეწინააღმდეგება. „ნიკოლო მაგროკორდატი იყო თურქების ნდობით აღჭურვილი პირი—წერს შტურცა— რადგანაც იგი იცავდა მათ ინტერესებს. ერთდერად ემსახურებოდა მათ და ყოველმხრივ ცდილობდა განემტკიცებინა მათთვის status quo რუმინულ ქვეყნებში“. და შემდეგ „რამი მდგომარეობდა მისი (ნიკოლო მაგროკორდატის რ. გ.) ამოცანა როგორც მთავრისა, რომელიც თურქებში დასვეს ვლახეთის სამეფო ტახტზე და რომელიც ყოველმხრივ მათზე იყო დამოკიდებული. უნდა დავიცვათ თუ არა მაგროკორდატს ოტომანთა იმპერიის ინტერესები ვლახეთში. რასაკვირველია უნდა დავიცვა“. და თუ ეს ასეა მაშინ როგორღა შეეძლოთ განვიცალკოთ ერთმანეთისაგან ანთიმ ივერიელის და მისი თანამოაზრე ბოაჩინების „სურვილი“ ოტომანთა მონოპოლი უღლისაგან განთავისუფლებასა „რასაც რეალურად და სამართლიანად თვლის“ თეთი შტურცა, მათივე სურვილისაგან განთავისუფლებულიყვენ ფანარიოტი მთავრის ბატონობისაგან; როგორ შეეძლო ანთიმ ივერიელსა და პატრიოტულად განწყობილ ვლახელ ბოაჩინებს ებრძოლათ თურქთა მზრანებლობის წინააღმდეგ და ამავე დროს არ ებრძოლათ მაგროკორდატის ტირანის დასამბობად, რომელიც იცავდა ოტომანთა იმპერიის ინტერესებს და ცდილობდა პორტას status quo-ს, ე. ი. თურქთა ბატონობის განმტკიცებას ვლახეთში. ჩვენ ვფიქრობთ რომ შემ-

1 თეთრი შტურცა შემდეგ ახსნა-განმარტებას იძლევა: ე. ი. თვალსაზრისი, რაც სხვა ქვეყნებს: საფრანგოს, ავსტრიას, იტალიას, პოლონებს, რუსეთს შეიძლება ჰქონოდათ რუმინული ქვეყნების მიმართ.



დეგი კომენტარები აქ ზედმეტია. შტურცა თავის ნაშრომში განაგრძობს: „თავდაპირველად საჭიროა ჩათვალილობით ზუსტი, უცულობელი ფაქტები, რომელთა შესახებ ყველა ისტორიკოსს, იქნება ეს რუმინელი თუ უცხოელი, ერთი შეხედვლება და აზრი ექნება და რომლებიც და მოწმობენ იქნება სარწმუნო დოკუმენტებით“. ასეთი შესავლის შემდეგ შტურცა აღნიშნავს: თავდაპირველად ნიკოლოზ მავროკორდატი სინამდვილეში მხოლოდ ერთი წელი იმედა, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი ბუქარესტში როგორც მეფე 1716 წლის იანვრის ბოლოს შევიდა, ხოლო 1716 წლის ნოემბერში იგი ავსტრიელების მიერ იქნა დატყვევებული. 1716 წლის დეკემბრიდან 1712 წლის ივლისამდე ვლახეთის ტახტზე იქნა ნიკოლოზ ძმა იოვანე. 1719 წლის ივლისიდან (იოვანეს სიკვდილის შემდეგ) 1730 წლის სექტემბრამდე ნიკოლოზ მავროკორდატი ზედმეტად მეფობდა ვლახეთში. იგი გარდაიცვალა 1730 წლის 3 სექტემბერს“. ეს ფაქტები მართლაც ისეთია, რომ მათ შესახებ ყველა ისტორიკოსს იქნება ის რუმინელი თუ სხვა ერთნაირი შეხედვლება გაიჩინა. მაგრამ როდესაც ერთნაირი წერს, რომ ნიკოლოზ მავროკორდატი „იყო მოწმობის დედა და უანგარო ადამიანი, რომელიც ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავდა“, იყო „ლომბიერი, ფრთხილი და ავტოლოზის მოკლებული მეფე“. ამასთან დაკავშირებით ჩვენ საესებო ზედმეტად მივყავართ იმ მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა, რომლებიც საესებო საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებენ. დავიმოწმებთ მხოლოდ რუს ისტორიკოსს პალეოლოგს, რომელიც ფანარიოტი მთავრის ვლახეთში მართვა-გამგებლის შეფასებისას შემდეგ დასკვნამდე მიდის: ის ერთადერთი, რაც ნიკოლოზ მავროკორდატი თავის მეფობის შედეგად მოიპოვა — ეს ნერონის საველადო სახელი იყო. ნიკოლოზ მავროკორდატის დასაყვად და გასამართლებლად შტურცა კიდევ უფრო შორს მიდის. იგი წერდა: „ნიკოლოზ მავროკორდატი ვლახეთში გამეფების შემდეგ, მოუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო მაკონრად გასწორებოდა ყველა მოწინააღმდეგეს, კერძოდ იმ ბოიარინებს, რომლებიც თავის დროზე (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდ — ი. გ.) ოტომანთა პარტას სიუზერენული ძალაუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, იქცეოდა დინჯად და ლომობერად, აცხადებს საერთო ამინსტიას ყველასათვის და ამცირებს კონტრიბუციებს და გადასახადს“. მაგრამ ვინ იყვნენ ოტომანთა პარტას სიუზერენული ძალაუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ეს ბოიარინები? როგორც ვიცით თურქების ბატონობის წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ილაშქრებდა პარტიკულად განწყობილი ვლახელი ბოიარინთა ჯგუფი ანთიმ ივარიელისა და თიმა კანტაქუზენის მეთაურობით, რომელიც რუსეთის დახმარებით იმედოვნებდა „სიუზერენული ძალაუფლების“ საბოლოოდ თავიდან მტკიცებულად აგრეთვე უკვე ვიცით, თუ უკუტყუარეობის და დევნა განიცადეს რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარინებმა და კერძოდ კანტაქუზენებმა ნიკოლოზ მავროკორდატის გამეფების შემდეგ, რაზედაც დაიწყო ვლახეთში მოვლათობაზე უნაკლო, რენიო და სხვა ისტორიკოსები. და თუ „გაქოხებაში“, „ოქაების დაბრუნებაში“, „გადსახლებაში“, „საპერობილებში ჩაყრაში“, „ძარცვაში“ შტურცა ზედმეტად ნიკოლოზ მავროკორდატის „ლომბიერებას“ „საერთო ამინსტიის გამოცხადებას“, ეს უკვე მისი პირადი საქმეა, ხოლო რაც შეეხება შტურცას მტკიცებას, რომ ფანარიოტი მთავარმა ვლახეთში შეამცირა „გადსახლებული და კონტრიბუციები“, ასეთი ვარაუდების საპასუხოდ ჩვენ მოვიყვანთ ბარტანის მემორანდს, ნიკოლოზ მავროკორდატის აპოლოგეტის მიტროფანე გრიგორაშის სიტყვებს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ მავროკორდატს „ყოველთვის უსახლგროდ აქვებს და იდეალურ მთავარს უწოდებს“, თვით ნიკოლოზ მავროკორდატის ეს თავყინსტემული მისტიკური კრიტიკული გულისტკივლი აღნიშნის: ვლახეთში ნიკოლოზ მავროკორდატი იმიტომ შეიძლება, რადგან მან მთელს ქვეყანას მერად მძიმე გადასახადი შეაწერა.

შტურცას მიერ მოცემული ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, არალოკალური და არა ანთიმოფილური ბოიარინული იყო არა მარტო ნიკოლოზ მავროკორდატის პიროვნების გასამართლებლად, შტურცა თავის ნაშრომის წერის დროს ორ მიზანს ისახავდა: პირველი ეს იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყვანა ფანარიოტი მთავარი „ქუმანურ და სამართლიანად“, ხოლო მეორე — ანთიმ ივარიელი, ბრებოვიანე, მიხილ კანტაქუზენი, რადე დუდესკე, ლუბელი, ბალაგანე, ბარბე კარნე, ობედინე და სხვა ბოიარინები მოენათლა „მოლაღატებდა“. შემდეგ შტურცა თავის გამოკვლევაში მიუთითებს ფაქტებზე, რომ პეტრეარდენთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ კანტან ობედინეს ბრძანებით ვლახეთის ქარებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს საზღვარზე გადმოსულ ავსტრიელებს და რომ ბოიარინებმა ბარბე კარნე და რადე დუდესკემ უბრძოლველად ჩააბრუნეს საიმპერიო ქარებს ტრავულ-ჭიული და საბოლოოდ დაასვენეს: „ეს ფაქტები უცულობელია. და ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია, ვლახელი ბოიარინები, რომლებიც ავსტრიელთა გამარჯვებით აღფრთოვანებულნი მოქმედებენ უდროოდ და პოლიტიკურად არახელსაყრელ კომენტაში, დაადგენ ღალატის ვახს და მიეხრები ავსტრიელებს... რა საჭირო იყო ამის შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ მავროკორდატი დაიწყო ბოიარინების დაბრუნება, მათი „წამებით მოკლა“... ისინი ნამდვილად

დამანაშევენი იყენენ ღალატში და მოთმინებებიდან გამოსულმა მთავარმა აქ გამოიყენა მხოლოდ სუვერენის უფლება სიცილითი დასჯისა, რაც სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა... ვლახელი ბოიარიზმი შეუკავშირდნენ ავსტრიელებს, რაც ზვენი აზრით აშკარა ღალატი იყო და ეს ხელს უწყობდა ავსტრიელების პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას. ეს კი სრულებითაც არ იყო სასარგებლო ისეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნისათვის, როგორც ვლახეთი იყო". ამრიგად შტურცა პატრიოტულად გაიწყო ბილი ვლახელ ბოიარიზმს ბრალს დებს „აშკარა ღალატი“, „ავსტრიელებთან კავშირში“, ვლახეთში ავსტრიელთა პოლიტიკური ინტერესების განმტკიცებაში“ და ამ ბრალდებათა ორმოტირებაში — იქამდისაც კი მიიღობს რომ ექვსი გამოთქვამს, ხომა არ იყენენ მოსყიდულები ანთიმ ივერიელი და სხვა ბოიარიზმი ავსტრიელების მიერო?.. თუმცა შტურცა ხედემა რომ მის მიერ წაბოყენებულ ამგვარ მოსაზრებაში იგი სცილდება ყოველგვარ სახლვარს და თვითონვე უარყოფს ამ ელისწამებას, კამიტანში ობედენტი, ბოიარიზმმა ბარბუკონიამ და რადე დულესკუმა მართლაც გახსნეს სახლვარები და შემოუშვეს ავსტრიელები ვლახეთში. ეს მართლაც ღალატი იქნებოდა რომ ვლახეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო და მის ჯარს წინააღმდეგობა არ გაეწია შემოსეული მტრისათვის. მაგრამ შტურცას ალბათ აფიქსდება, რომ ამ დროს ვლახეთი თურქების მიერ იყო დაპყრობილი, რომ მას უკვე იმის უფლებაც კი არ ჰქონდა, რომ ქვეყანა ემართა ვლახელ იდამიანს და მის თურქების მიერ დაყენებული უცხოელი მხარითიტი განაგებდა, რომ ავსტრიამ იმპერატორი არა ვლახეთს, არამედ ოტომანთა პორტას. და განა შეიძლება ღალატი დაეწამოთ ვლახელ ბოიარიზმს იმისათვის, რომ ავსტრია-თურქეთის ომის დროს მათ მხარი დეუქირეს ავსტრიელებს, რომლებიც ებრძოდნენ მათი სამშობლოს დამპყრობელს — ოტომანთა იმპერატორს...

რაც შეეხება შტურცას სიტყვებს, რომ ვლახელი ბოიარიზმი მოქმედებდნენ „უდროო და პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტში“ ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია სრული დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ ვლახელი ბოიარიზმი მოქმედებდნენ დროულად და პოლიტიკურად სწორედაც რომ ხელსაყრელ მომენტში ისევე როგორც რუსეთ-თურქეთის ომის დროს ანთიმ ივერიელი, თომა კანტაუზენი და სხვ. ბოიარიზმი იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში ვლახეთი შესძლებდა თურქთა ბატონობისგან განთავისუფლებას, რადგან თურქების მიერ ომის წაგება მომასწავებელი იქნებოდა ოტომანთა იმპერიის ძლიერების შესუსტებისა, მისი ექსპანსიური პოლიტიკის კრახისა, მის მიერ დამორჩილებულ და

დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისისა, რისი ღალატური დამოლოება ხალხის მიერ განხორციელებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა სწავლე ავსტრიასა და თურქეთს შორის ომის მსვლელობის დროს. როდესაც თურქთა ანთიმ ივერიელებს დამარცხებაზე განიცდიდა, ანთიმ ივერიელებმა და მისმა თანამოაზრებებმა გადასწყვიტეს დაეწყათ მოქმედება, რადგან სწორედ ასეთ ვითარებაში იქმნებოდა რეალური შესაძლებლობა თავიდან მოეცილებინათ პორტას ერთგული მსახური ნიკოლო მავროკორდატი, იქმნებოდა რეალური პირობები რათა ავსტრია-თურქეთის კონფლიქტი გამოყენებული ყოფილიყო ვლახეთის განსაზღვრულად თურქთა მონობის უღლისაგან. მაგრამ საიწმუხაროდ არც ერთ შემთხვევაში, არც რუსეთ-თურქეთის ომისა და არც ავსტრია-თურქეთის ომის დამთავრებას შედეგად არ მოჰყოლია ვლახეთის განთავისუფლება თურქთა მონობის უღლისაგან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარიზმმა შეედგომა დაუშვეს და დაიწყეს მოქმედება „პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტში“ — როგორც ამტკიცებს შტურცა. ვიმეორებთ, მომენტი სწორედაც რომ ხელსაყრელი იყო და ძალზე ხელსაყრელიც, მაგრამ განა ძალუდად ანთიმ ივერიელს ან სხვას წინააღმდეგ განეჭვრება. თუ რა შედეგით დამთავრდებოდა ესა თუ ის ომი?.. და თუ ანთიმ ივერიელის და მისი თანამოაზრე ბოიარიზმის ოცნება განუხორციელებელი დარჩა, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსებმა მარცხი განიცადეს და თურქები არსებული მდგომარეობის ბატონობა ბატონი დარჩნენ. რაც შეეხება ავსტრიელებს მათ თუმცა დაამარცხეს თურქები პეტრეარდენტთან, მაგრამ რუსეთის ვალდებულების შიშით, რასაც ავსტრიელების აზრით ოტომანთა იმპერიის დასუსტება გამოიწვევდა, ისინი დაქმყოფილდნენ პირველი წარმატებებით. თურქეთის ისევე შეინარჩუნეს თავისი ძლიერება. და რაც მთავარია ავსტრიელებმა თავი შეიკავეს ვლახეთის ტერიტორიაზე შემოსვლისაგან, რაც ექვსი გარეშეა სტიპულს მისცემდა ვლახელი ხალხის გამოსვლას ოტომანთა პორტას წინააღმდეგ, ისევე რაგორც რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ანთიმ ივერიელის დაყენებით მოთხოვნით პეტრე დიდმა უბრძანა გენერალ რენს შექრილიყო ვლახეთის სიღრმეში და აეღო ციხე-სიმაგრე ბრალი, რამაც განაპირობა ვლახელი ხალხის იარაღით გამოსვლა თურქთა ბატონობის დასაშობად. შტურცა ადანაშაულებს ანთიმ ივერიელს და მის თანამოაზრე ბოიარიზმს „ავსტრიელებთან კავშირში“ და „ვლახეთში ავსტრიელთა პოლიტიკური ინტერესების განმტკიცებაში“. რა საიწმუნო დოკუმენტებს ეყრდნობა შტურცა ასეთი მტკიცების დროს

ჩვენთვის უცნობია, რადგან თავის ნაშრომში იგი არ მიუთითებს წყაროებს. შესაძლოა შტრუცის მხედველობაში აქვს დემეტრე იულიანოს წერილი, რომელიც მან 1716 წელს იერუსალიმის პატრიარქ ქრიზოსტეს მისწერა. წერილიმ მართლაც ნათქვამი იყო: როდესაც ნიკოლოზ მავროკორდატი „ჯერჯეყიდან ისევ ბუქარესტში დაბრუნდა იგი დაწმუნდა, რომ მიტროპოლიტი მოლაღატეა“ და რომ მავროკორდატმა „ნახა მისი (ანთიმ ივერიელის — ო. გ.) მიმოწერა გერმანელებთან და აგრეთვე მათთან დადებული ხელშეკრულება“. მაგრამ ამ ცნობის სიზუსტეში ჩვენ ვჯავშნობდებით ვეპი შევიტანით მეორე, ჩვენის აზრით, არა ნაკლებ სარწმუნო წყარო. როგორც ვიცით იმავე წელს, რომლითაც დემეტრე იულიანო ათარიღებს თავის წერილს ვაგზავნილი იერუსალიმის პატრიარქისათვის, თვით ანთიმ ივერიელი შემდეგს წერდა პატრიარქ ქრიზოსტეს: „ამჟამად მეტად მძიმე დღეებია. დღეს-რულეგელი ვეპი და უნდობლობა, იმის შიში, ვაგზავნილი წერილი სთაბანდო ადგილზე მთავა თუ არა, მაძიებლებს მე უარს ვთქვა ყოველგვარი მიმოწერაზე“. და თუ ანთიმ ივერიელი უარს ამბობს ყოველგვარი წერილის ვაგზავნაზე, რადგან ხედავს, რომ მას „უნდობლად“ უყურებენ ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ასეთ ვითარებაში ოფიციალური მიმოწერა გაემართა ავსტრიელებთან და ხელშეკრულებაჲ კი დაედო. სავსებით დასაშვებია, რომ ანთიმ ივერიელს მოლაპარაკებაჲ ჰქონდა ავსტრიელ ემისარებთან ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, მაგრამ სავსებით დაუშვებელია, რომ უნებრთ-ვლახეთის მიტროპოლიტს, რომელიც სასტრატეგად ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, მიზნად ჰქონდა დასახული ვლახეთში კათოლიკური სახელმწიფოს „პოლიტიკური ინტერესების განმტკიცება“.

ანთიმ ივერიელს იმდენად აინტერესებდა ავსტრია, რამდენადაც მასში ხედავდა ბრწყინვალე პორტას მოწინააღმდეგეს. თავისი მოსაზრებების ერთ-ერთ დაზიანებულზე ფაქტად შტრუცის მოკვების შემდეგ შემოხვევა: ნიკოლოზ მავროკორდატის ბუქარესტში დაბრუნების შემდეგ თურქებმა დააპატიმრეს ბოიარინი ბალაგეანუ, რომელსაც უთქვამს: „ნეტავ მალე მოვიდნენ ავსტრიელები, განათავისუფლან ქვეყანა იმ აუტანელი დღეებისგანა“. ეს სიტყვები მართლაც წარმოსთქვა ბოიარინმა ბალაგეანუმ. მაგრამ წინამოსთქვა მას შემდეგ, როდესაც მას თვალწინ თურქმა ჯარისკაცმა ვლახელ ჭალს ზელიდან წაართვა რვა წლის შვილი და გაიშვილებული ხმლით იმუქრებოდა — ბავშვის მოკლას თუ მას არ მისცემდნენ 2500 ოქროს ფულს. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი სურათის ნახვით საოწმარცხეობაში ჩაყარდნად ადამიანს, ავსტრიელები, რომლებიც ებრძოდნენ თურქებს, მოესხენებია როგორც განმათავისუფლებლები. და

მართლაც, როდესაც აქ აღწერილი ამბის შემდეგ განვლო ერთმა წელმა და კონფლიქტი ავსტრიისა და თურქეთის შორის უფრო განმტკიცდა, შტრუცის აზრით ავსტრიის ჯარი არ დაქმნაოფილდა მხოლოდ საზღვრის გადმოღატებით, არამედ პოლიკონიკ ლეტინის მეთაურობით შეიჭრა ვლახეთში და ბუქარესტისაკენ გაემართა, ვლახელი ხალხი დიდი სიხარულით შეეგება ავსტრიელებს. პოლიკონიკ ლეტინის რაზმს მზავალი ბოიარინი და ათასობით ვლახელი გლეხი შეუერთდა და ყველანი ერთად — ავსტრიელები, გლეხები, ბოიარინები ბუქარესტში შევიდნენ, ამოკლბიტეს თურქები, ბოლო მავროკორდატი მასწავლტანსაცემელში შეიპყრეს. ავსტრიელმა ოფიცერმა გადაარჩინა იგი ვლახელთა შერისიძებას და მისი ომხი შეილით პერმანენტადში წაიყვანა. მაგრამ ვლახელები ყველა ფანარიოტს, ესაეც კი ნახავდნენ შეუბრალებლად კვადნენ. ნიკოლოზ მავროკორდატის ბიძაშვილები იყვნენ და იმიტრო ხელისნის ტანსაცმელგადამცემლები გაიქცნენ, მაგრამ ვლახელმა გლეხებმა ისინი იცნეს და აქეწეს. და ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შტრუცის პატრიოტულად განწყობილი ვლახელი ბოიარინების სკედილით დასჯა მათნი როგორც აუცილებელი პირობა ვლახეთის კათოლიკობისათვის და ფანარიოტთა ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთ უწოდებს „სამშობლოს მოლაღატეებს“.

ჩვენ აქ აღწერით, თუ როგორ გაუსწორდა ნიკოლოზ მავროკორდატი ყველა იმ ვლახელ ბოიარინს, რომლებიც იბრძოდნენ თურქების ბატონობისა და ფანარიოტთა ტირანიის წინააღმდეგ, ყველა იმთა, ვინც ვლახეთის ზღვნიერებას და კეთილდღეობას უცხოელ დამპყრობლებისაგან განათავისუფლებაში ზედადნენ. მაგრამ რა ბედი ეწია თვით უნგარო-ვლახეთის მიტროპოლიტს ანთიმ ივერიელს, რომელიც სულსინამდგამელი იყო ვლახელი ხალხის ანტითურქული და ანტი-ფანარიოტული ბრძოლისა? როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ნიკოლოზ მავროკორდატს ანთიმ ივერიელს სასახლეში დაუბარებია. თუმცა მიტროპოლიტისათვის ძალზე კარგად იქნებოდა ცნობილი, თუ რა ელოდა მას ფანარიოტისაგან, როდესაც მოედს ვლახეთში სისხლიანი ტერორი მქენიარებდა, ანთიმ ივერიელს არც გაძევიით და არც დამალვით არ უცდია თავის გადაჩენა. უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მიტროპოლიტე უნგარო-ვლახეთისა ამაყად გაემართა სიცილისაკენ. მაგრამ იმას, რაც ანთიმ ივერიელს ნიკოლოზ მავროკორდატის სასახლეში მოსვლისას გადახდა თავს, ალბათ არ ელოდა თვით ანთიმიც კი, რომლისთვისაც უცხო არ იყო ფანარიოტის მზაკერული და ფლიდური ბუნება. იმ რას წერს ერთ-ერთი მემკვიდრე: როდესაც ფაქტობს, რომელშიც მიტროპოლიტი იყო სასახლის წინ შეჩერდა, ფაქტობს მისცვიდნენ თურქი ჯარისკაცები, გადმოაგდეს მიტროპოლი-

ტი ფაქტორიდან, დაგდეს მიწაზე, შემოახვის სა-  
მოსელო, დაგდოჯეს წვერ-ულეაში შემდეგ კი  
თრევა-ორეეთი წაიყვანეს და ჩაპეტრეს სასახლის  
ერთ-ერთ სარდაფში. დარაჯად მას თურქი ჯარის-  
კაცები მიიჩინეს. ასე დახვდა ნიკოლო მავროკო-  
რდატი უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმ  
ივერიელს. რამდენიმე დღე გაატარა ანთიმ ივე-  
რიელმა საპყრობილეში, როდესაც გადასცეს ნი-  
კოლო მავროკორდატის ბრძანება, რათა მას ნე-  
ბაყოფლობით უარი ეთქვა უნგრეთ-ვლახეთის  
მიტროპოლიტობაზე. ანთიმ ივერიელმა მავრო-  
კორდატს კატეგორიულად უარი შეუთვალა. ეს  
გასაგებია. უმალეს სასულიერო იერარქიის  
საფეხურზე მყოფ ბერძენ მღვდელთაგანათა გან-  
სხვავებით, რომლებიც მხოლოდ სიტყვით უწო-  
დებდნენ თავიანთ თავს „მრევლის მწყემსებს“,  
სინამდვილეში კი თავიანთი თანამდებობანი მით  
მიანწლად მხოლოდ შეგოსავლისა და განდიდო-  
ბის წყაროდ, ანთიმ ივერიელმა მიტროპოლიტო-  
ბა ქვეშაირიტად აქცია „მრევლის მწყემსად“,  
„მრევლის პატრონად“, ვლახელი ხალხის მოჭარ-  
ნახულად. ვლახელ ხალხსა სჭეროდა ანთიმის  
და ენდობოდა მიტროპოლიტს, როგორც „აქრას  
მამას“. და ვიდრე ცოცხალი იყო ანთიმ ივერი-  
ელი, ვანა შეეძლო მას ნებაყოფლობით უარი  
ეთქვა მიტროპოლიტობაზე, რომელსაც იგი უყუ-  
რებდა არა როგორც უმალეს სასულიერო თანა-  
მდებობას, არამედ როგორც მოვალეობას და  
სამსახურს ვლახელი ხალხის წინაშე. ნიკოლო  
მავროკორდატი შეეცადა აქედნებინა ანთიმ ივე-  
რიელი დათანხმებულიყო მიტროპოლიტობიდან  
გადადგომაზე. ყოველივე ამით გამოდგა. მაშინ  
ნიკოლო მავროკორდატმა დახმარებისათვის მი-  
მართა კონსტანტინოპოლის პატრიარქი იერემია  
III და სახოვა, რომ ანთიმის არა მარტო გადა-  
ყენებინათ მიტროპოლიტის თანამდებობიდან,  
არამედ წაერთმიათ მისთვის სასულიერო წოდე-  
ბაც. ბერძენი პატრიარქი სიამოვნებით დათანხმ-  
და ხელს შეეწყობა ფანატიოტისათვის.

ბერძენ ეპისკოპოსთა ყრილობამ, რომელიც  
შეიკრიბა პატრიარქ იერემია III და ნიკოლო მავ-  
როკორდატის მოწვევით ივერიელი და-  
დანამაჟულა „მისწობას და ეშმაკულ საქ-  
მიანობაში (უშეკვლია იველისხმება ნიკო  
ანთიმისა, როგორც მესტამბისა და ზელო-  
ვანისა — წერეს ემილ პიკო)“. უნგრეთ-ვლ-  
ახეთის მიტროპოლიტის ბრალი დასდეს, „რომ  
ის იყო შეთქმული და რველოციის წამქეზებე-  
ლი. მეამბოვე თავისი კანონიერი ხელმწიფის წი-  
ნაღმდეგ“. ეპისკოპოსთა ყრილობამ ანთიმ ივე-  
რიელი „შეაჩვენა, გადაყენა ეკლესიიდან და გა-  
მოაცხადა ყოველივე სამღვდლო ღირსება-აღი-  
დალ“. ანთიმ ივერიელს ატყობაღეს ეტარებინა  
სახელი „ანთიმი“ და მას დაუბრუნეს საერო  
სახელი „ანდრია“. ანთიმ ივერიელის მიმართ  
ეპისკოპოსთა ყრილობის მიერ გამოტანილ დად-  
გენილებას ხელს აწერენ: აქსენტი, ეპისკოპოსი

კვიზიციისა. დიონისე, ეპისკოპოსი ამასიისა, ნეო-  
ფიტე, ეპისკოპოსი არტასი, ნიკოდიმე ეპისკო-  
პოსი დერკისა, კონსტანტინე, ეპისკოპოსი ქალ-  
კედონისა, კირილე, ეპისკოპოსი ბრესტისა, კა-  
ლინიე, ეპისკოპოსი ფილბოპოლისა, თეო-  
ფილიტე, ეპისკოპოსი პრიკონისისა, გერასიმე ეპის-  
კოპოსი ნიკეისა, ქრისტეფორე, ეპისკოპოსი იკო-  
ნისისა და ნიკოდიმე ეპისკოპოსი შიტელენისა.  
ყველა აქ ჩამოთვლილი ეპისკოპოსები ბერძენები  
არიან. არც ერთ რუმინელ ეპისკოპოსს არ მიუ-  
ღა მონაწილეობა ამ უსამართლო განაჩენში.  
ანთიმ ივერიელისათვის სასულიერო წოდების  
აყრისა და ეკლესიიდან განკვეთის პროცედურა,  
რომელსაც მხოლოდ საღისიტი და გესლით აღსა-  
სე აღამაინი თუ მოიგონებდა, ნიკოლო მავრო-  
კორდატის სასახლეში ჩატარდა. ანთიმ ივერიელს  
მონახდეს მიტროპოლიტის მიტრა და თავზე წითე-  
ლი თურქული ფესკა დაახურეს. მაგრამ ნიკოლო  
მავროკორდატისათვის საცამაისი არ აღმოჩნდა  
ანთიმ ივერიელისათვის მხოლოდ უნგრეთ-ვლახე-  
თის მიტროპოლიტობის ჩამართმევა. ვიდრე  
ანთიმ ივერიელი ცოცხალი იქნებოდა ფანატიოტს  
მშვიდი ძილი არ ექნებოდა. მაგრამ მისი ფი-  
ზიკური მოსამბაც ვერ გაბედა ფანატიოტმა  
იფალისწინებდა რა ვლახელი ხალხის დიდ  
სიყვარულს ანთიმისადმი. ამიტომ ნიკოლო მავ-  
როკორდატმა გადასწყვიტა მოეწოდებინა ანთიმ  
ივერიელი ვლახეთიდან. ანთიმ ივერიელს შეუ-  
კითხეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც იგი სი-  
მღამოდ იქნა გააყვებული სინას მთაზე წმ. ეკა-  
ტერინეს მონასტერში „ნიკოლო მავროკორდატის  
წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისათვის და-  
სხვა პოლიტიკური საქმიანობისათვის“.

ეს ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში  
მოყვანილი. რამდენიმე თურქი ჯარისკაცის თან-  
ხლებით ივერიელი გაუდგა თავის უკანასკნელ  
გზას. იმის შიშით, რომ ბუქარესტის მოსახლეობა-  
ში ანთიმ ივერიელის გააყვებას მღვდელთაგანა არ  
გამოეწყობა, ანთიმის შეადარება, როდესაც მთელ  
ქალაქს ექონა, გაიყვანეს ბუქარესტისა. მაგრამ  
სინას მთამდე ანთიმ ივერიელს არ მიუღწევია.  
გალიპოლის მახლობლად, მდინარე დელქიას ნა-  
პირებზე, რომელიც გადის ანდრიანოპოლზე და  
ერთვის მდინარე მარციას, რომელიც თავის  
მხრივ თრაკიაში უერთდება ენოსის უბეს, თურქ-  
მა ჯარისკაცებმა ასოასი აქეწყეს ანთიმ ივერი-  
ელი და მისი სხეულის ნაწილები მდინარეში გა-  
დაწყარეს. ემილ პიკოს ცნობით ანთიმ ივერი-  
ელის მოკვლის ბრძანება თურქმა ჯარისკაცებმა  
ჭერ კიდვე ბუქარესტში მიიღეს ნიკოლო მავრო-  
კორდატისაგან, ზოლო მერვე ცნობით ანთიმ ივე-  
რიელი მოკვლეს მას შემდეგ, რაც სინას მთისკენ  
გზად მიივალ თურქ ჯარისკაცებს მღვდელთა გა-  
დასცა სულთნის ფირმანი, რომლის მიხედვითაც  
სიცოცხლეს უნდა გამოესალმებინათ განდევნი-  
ლი მიტროპოლიტი უნგრეთ-ვლახეთისა. მაგრამ  
აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის

მიიღეს თურქმა ჭარისკაცებმა ანთიმ ივერიელის მოკვლის ბრძანება. ფაქტი ისაა, რომ ანთიმ ივერიელის ფიზიკურად მოსპობა გამოძინარეობდა როგორც ნიკოლო შავროკორდატის, ასევე მისი პატრონის თურქეთის სულთანის ინტერესებიდან.

ანთიმ ივერიელის დაღუპვამ ბერძნული ეკლესიის მესვეურთა, ოტომანთა პორტას ამ უფროსობრივ მსახურთა შორის განუზომელი სიხარული გამოიწვია (თუმცა მათ რიცხვშიაც იყვნენ ერთგულები, რომლებიც ღირსეულად აფასებდნენ უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტს როგორც თვალსაზიან მოღვაწესა და მოქალაქეს). ბერძენ მღვდელმთავართა ეს სიხარული ვასაგებიცაა, რადგან აღარ იყო ცოცხალი ის ადამიანი, რომელიც ვითარცა სალი კლდე აღიმართა მოზღვავებული მდინარის წინაშე, რომლის სახელი თურქთა და თანარობთა ექსპანსია იყო. აღარ იყო ცოცხალი ერის ამავდარი, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი ცოდნა, ნიჭი და ენერჯია მოახმარა ვლახელი ხალხს ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს, რითაც ის წინააღმდეგ ბერძნული ეკლესიის მისწრაფებას დაემორჩილებინა ვლახეთში „უკველივე და უკვლავური“ ბერძნული ზეგავლენისათვის.

1716 წლის 12 სექტემბერს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი დიდი თანამდებობის მღვდელმსახური დემეტრე იულიანო სწერდა ივრუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს: ნიკოლო შავროკორდატს „მრავალი მტერი და მოღალატე უყვს“ და როდესაც იგი თურქების ჭარის თანხლებით ბუქარესტში დაბრუნდა და დარწმუნდა რომ, „მიტროპოლიტიც შეამბოხებ... მაშინათვე დააპატიმრა ის და მოითხოვა, რომ აქედან (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოიდან—ო. გ.) გავზავნათ ანთიმისათვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის სიგელი...“ „აი ეს არის შენი საუკეთესო მეგობარი, მაგრამ მას ჩადენილა პორტებისათვის საყადრისი მიგზღო კიდევ“ — ნიშნისგებით დასძენდა იულიანო. 1716 წლის 20 სექტემბერს „მსოფლიო საყდრის“ დიდი რიტორი სპანდონისი პატრიარქ ქრიზანთეს სახელზე გავზავნილ წერილში აღწერდა „ნიკოლო შავროკორდატის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას“ და ბოლოს ამბობდა: „როდესაც შეამბოხებებს და განდგომილებს დანაშაულის ადგილზე წაასწრის ისინი დასჯილი იქნენ. ბრებუვიანე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მიტროპოლიტიც უნგრეთ-ვლახეთისა გადაეწეხებულა მიტროპოლიტობიდან, რადგანაც ცხადია, რომ ის შეამბოხებ და მოღალატეა, რომლისთვისაც სასულიერო წოდების ჩამორთმევის სიგელი შედგენილი მისი უბრალონიველსობა მოვირის (ნიკოლო შავროკორდატის—ო. გ.) მოხსენებით ბარათისა და მოთხოვნის საფუძველზე უკვე რამდენიმე დღეა აქედან გავზავნეთ“. 1716 წლის 29 სექტემბერს კი მიტროფანე ნისელი აცნობებდა ივრუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს: „რადგანაც უოფილი მიტრო-

პოლიტი უნგრეთ-ვლახეთისა არ იცავდა წესებს, რომლებიც სავალდებულო იყო არქიერეპისკოპოსის და ერთგულ პოლიტიკურ საქმიანობაში... ამიტომ იგი განდევნილ იქნა ეკლესიიდან“. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ანთიმ ივერიელისა და ნიკოლო შავროკორდატს შორის მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით და ანთიმ ივერიელის „დანაშაულის მხილებაში“ ბერძენ მღვდელმთავართა და მეკლევარს შტურცას ერთნაირი აზრები აქვთ და არა მხოლოდ აზრები, სიტყვებაც ერთი არსენალიდან აულიათ. როგორცია „მეამბოხე“, „მოღალატე“ და სხვ. უცნაურია, რადგან მას შემდეგ რაც შტურცა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის სწორად გაგებისა და ახსნისათვის მოითხოვდა მათ ყოველმხრივ განზოგადებას, მათდამი „არამოვიწინებოდა“ და „არც ნაციონალისტური“ კუთხით მიღვამას, არამედ „ეკროპული“ და არა ვერც „ბერძნული“ თვალსაზრისის გამოყენებას, ჩვენ ვხედავთ, რომ მას თავის გამოკლევამში წითელი ხაზად გაუტარებია ის ტენდენციური შეხედულებები, რომლებიც გაანად ანთიმ ივერიელის მიმართ ბერძნული აკლესიის უფელმაზე უფრო რეაქციულ წარმომადგენლებს.

რადგან სიტყვამ მოიტანა ჩვენ კიდევ ერთხელ დაეუბრუნდეთ შტურცას და ენახოთ თუ რას წერდა იგი ანთიმ ივერიელის მკვლელობის შესახებ: „ის, რაც ყოველგვარ ცილისწამებს და გავზავნებებს საზღვარს ცილდება, ეს ის არის, რომ ყოველგვარი რეალური სარწმუნო სახეთის ვარეშე აცხადებენ, ნიკოლო შავროკორდატმა მოაკლევინა მიტროპოლიტი ანთიმი, როდესაც ის გავზავნა სინას მთაზე გადასახლებაში და გადააგდებინა მიტროპოლიტის გვემი დულხიში მის ბლარაგებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მის ფულს დაპატრონებოდა“ და დასძენს „დრია ბოლო მოვლას რემინეთში ასეთი უსინდისო ისტორიების შეთხზვას“. ვის ეყამთება აქ შტურცა და რის დამტკიცებას ცდილობს? იმისას, რომ ნიკოლო შავროკორდატმა ფულს მითვისებისათვის არ მოკლევინა მიტროპოლიტიც უნგრეთ-ვლახეთისა? მაგრამ ეს ხომ ცხადზე უცხადესია და არცერთი იმდროინდელი მემბტანე, ვინც კი ამ საკითხს ეხება, ასეთ ბრალდებას არ უყენებს ნიკოლო შავროკორდატს. მაშ რაში დასჭირდა შტურცას ასეთი გამოგონილი ამბის გზა? არის ფაქტები, რომლებიც იძულებულს მტობიან აღიარო ისინი, მიუხედავად შენი ნება-სურვილისა და დამოუკიდებლად იმისა, შესაბამებთან თუ არა ისინი შენს თვალსაზრისს, ნიკოლო შავროკორდატის მოთხოვნით რომ გადააყენეს ანთიმ ივერიელი მიტროპოლიტობიდან და აყარეს მას სასულიერო წოდება. ამას დაიარება შტურცაც, რომ ნიკოლო შავროკორდატის ბრძანებით გადასახლეს ანთიმ ივერიელი სინას მთაზე, ამასაც არ უარყოფს იგი. მაგრამ როდესაც ისმის კითხვა, იყო თუ არა ანთიმ ივერიელი მოკლული ნი-

ყოლო მაეროკორდატის ბრძანებით, აქ უკვე შტურცა სარგებლობს აზრთა სტადანსებათით და ცდილობს კიდევ ერთხელ გამოვიდეს ფანარიოტი მთავრის დამცველის როლში. მაგრამ გადაკრით იმის თქმას, რომ ნიკოლო მაეროკორდატი დამანავე არ იყო უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის მკვლელობაში მანკურ ვერ ბედავს. თუმცა, სამაგიეროდ, ამ მკვლელობის მიზეზად იმდენად ახსურდელი მოტივი მოჰყავს, რომ უნებურად ეჭვის ქვეშ აყენებს თვით მაეროკორდატის მონაწილეობას დელჩიას ნაპირებზე მომხდარ ტრაგედიაში. აი რატომ დასკვირდა შტურცას მართლაც რომ „ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული“ ბრალდების შეთხზვა. ჩვენ ისევ ვიმეორებთ, რომ ნიკოლო მაეროკორდატს არ შეუძლია ბრალი ანთიმ ივერიელის მკვლელობაში ფულის მითვისების მიზნით, ხოლო რაც შეეხება ფანარიოტი მთავრის მონაწილეობას ამ შეგზნულ საქმეში, ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნებოდა, რომ შტურცას უურადლება მიექცია ერთ-ერთი დოკუმენტისათვის, სადაც ვანდერბეტი, იმდროინდელი სამეფო კარის ექიმში, არაორაზროვნად წერდა: „ნიკოლო მაეროკორდატი არ შეუშინდა იმას, რომ ხელები შეელება მის მიერ განდევნილი მიტროპოლიტის სისხლით“.

ანთიმ ივერიელის სიკვდილის ამბავმა თავზარი დასცა ვლახელ ხალხს, „მიტროპოლიტ ანთიმის მხეცურმა მკვლელობამ (ვლახელები დაწმენებულნი იყვნენ, რომ ანთიმ ივერიელი ცოცხალი იყო და იგი პატივრობაში იმყოფებოდა) — წერს

დელ კიარო — მთელი ვლახეთი შეაჩრქუნა“. დიდი იყო გლოვა ვლახელი ხალხის, რადგან მთელი მოღვაწეობა ანთიმ ივერიელის, იმდროინდელ დაწვებული, როდესაც მან პირველად დაადგა ფეხი ვლახეთის მიწას და ვიდრე იანინარის იათაგანი მას სიცოცხლეს მოუსწრებოდა, უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო იმ უბრალო ვლახელი ადამიანის საკეთილდღეოდ, რომელმაც აებედობით სამშობლოს მოწვევითი ქართველი ჰაბუკი ანდრია თავის ძმად, შვილად თუ მამად იგულა. უსაზღვრო იყო რისხვა და ზიზღი ვლახელი ხალხისა ანთიმ ივერიელის მკვლელებს მიმართ. თაობიდან თაობას გადაეცემოდა სისხლით დაღდასმული მათი სახელები. გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუმინეთში უმოგზაურია დე მარსილიაკს და ბუქარესტში ყოფნის დროს უნახავს სახლი, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა ენმე კოლფესკულოს. „ეს კოლფესკულო — წერს მარსილიაკი — იმ თურქ-ჭარბსკაცთა უფროსი ყოფილა, რომლებმაც მოკლეს ანთიმ ივერიელი, რითაც მან თავის გეარს სამუდამო წაველი კრულვა დაუშვიდრა“.

ანთიმ ივერიელმა უკვდავყო თავისი სახელი რუმინელი ერის ხსოვნაში, „რამდენჭერაც დაბედავს მზე რუმინეთის მიწას — წერს ერთ-ერთი რუმინელი ისტორიკოსი — იმდენჭერ სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს რუმინელი ხალხი ანთიმ ივერიელს, რომელმაც დასდო საჭირკელის ქვა რუმინეთის ეროვნული კულტურის ბალავარში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლა მის თავისუფლებისათვის.“



## ილია ჭავჭავაძის ენის საკითხები

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლის, ჩვენი სასიყვარულო კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ენის საკითხები დიდი ხანია აღძრულია როგორც ლიტერატურულ კრიტიკაში, ისე საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ქვე კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც ე. წ. „მამათა და შვილთა“ შორის ატყდა ცხარე კამათი სალიტერატურო ენის საკენძო, პრინციპული მნიშვნელობის პრობლემაზე, მოწინააღმდეგეებმა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ პრაქტიკას შეუბრუნეს, რაჟი აშკარა ხდებოდა, რომ თეორიულ სფეროში ომი წაგებულა. მათ გააჩინეს ილიას პოეტური ენის ზოგიერთი მხარე და ახალგაზრდა მგოსანს რამდენიმე ლექსიკურ-გრამატიკული ფორმა დაუწინეს. მომდევნო ხანებში სხვებიც ებებოდნენ გზადაც და სხვათაშორის ილიას ენას, როდესაც არჩევდნენ ჩვენი დიდებული მწერლის შემოქმედებას, მისი ქმნილებების მხატვრულ ღირსებებს. შემდეგ ცნობილია ნიკოლაძის, სილოვან ხუნდაძისა და სხვათა ვრცელი მსჯელობა ჭავჭავაძის ენის თაობაზე, და სხვა და სხვა.

საფურადღებო შედეგებია მიღებული საენათმეცნიერო ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლის დარგში: დახასიათებულია ილია, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ნორმების დანერგვისათვის (ა. შანიძე), ქვერთხნად დაფასებულია ილიას გონებამახვილური დაკვირვებები ქართულ ლექსიკაზე, გამოსაყენებელი საისტორიო კლენვა-ძიებისათვის (ივ. ჯავახიშვილი), გარკვეული ილიას თეორიულ-ენათმეცნიერული შეხედულებების მეთოდოლოგიური საფუძვლები (ა. ჩიქობავა). მოგვებოუება აგრეთვე სხვა შრომები (ურლიასი, ძოწენიძისა, ბაბუნაშვილისა, ქვეთარაძისა და სხვათა); აღმოჩენილია და გამოკვლეული — სათანადო გამოკვლევებისა და კომენტარების დარტთით ილია ჭავჭავაძის დღემდის უცნობი ლექსიკონის დრაგმენტული მასალა და სხვა.

ძალიან საყურადღებოა აგრეთვე ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ მოყვნილი ანალიზი ილიას დამსახურებისა თაობათა ბრძო-

ლის პრობლემათთან დაკავშირებით (დავასახელებ უახლესი შრომების ავტორებს: მიხ. ზანდუყელს, გ. ჯიბლაძეს, დ. გამეზარდაშვალს, ვრ. კიქნაძეს, ე. ტუმბურიძეს და სხვ.). მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც დღემდის ილია ჭავჭავაძის მონოგრაფიულად არავის შეესწავლია. ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ვიორჯი შალამბერიძე, რომელმაც გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძის ენა“, ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ წიგნი სრულიად ასახავს ჩვენი დიდი მწერლის ენობრივ თავისებურებებს და საესებოთ უმასუხებს ამ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ვუყენებთ ამგვარ გამოკვლევას.

ნაშრომს წამდღაჯებელი აქვს თავი — ერთიანი სამწერლობო ენის საკითხი XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, რომელშიც შეჯამებულია და სისტემაში მოყვანილი ლიტერატურული ენის საეანზე არსებული შეხედულებანი გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ნაჩვენებია აბრთა ჭიდილი, დამადასტურებელი ახალი ლიტერატურული ნორმების დანერგვისა და გავრცელების პროცესისა. ძირითადი ტენდენციები აქ კარგად არის წარმოდგენილი და დახასიათებული; სწორად არის, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანის პოზიცია გარკვეული, მაშინ როდესაც ლიტერატურულ კრიტიკაში ზოგჯერ ორბელიანის პროფილი ამ თვალსაზრისით უაღბად არის მიხახული.

წიგნის პირველ თავში განხილულია საკითხი ერთიანი სამწერლობო ენისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. აქ გარჩეულია პლატონ ოსელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ალ. ორბელიანის, ლავრენტი არღანიანის, ირაკლი ლორთქიფანიძის, დიმიტრი ბაქრაძის, ბარბარე ჭორბაძის, ბარათოვის, ალექსი-მესხიშვილის, გრიგოლ ორბელიანის შეხედულებანი და ილია ჭავჭავაძის მავრ განვითარებული კონცეფცია ენის საკითხებზე იმ ასპექტში, რომელიც ცნობილია ჩვენში „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახით. მეორე თავში ცალკეა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის ენათმეცნიერული შეხედულებები. საესებოთ მართალია ავტორი, როცა აღიშნავს, რომ „ქართული სალიტერატურო-

ენის თავის უფლებებში აღსადგენად ბრძოლისათვის ილია ჭავჭავაძეს დასჭირდა ფართოდ გამოყენებინა ენათმეცნიერების იმდროინდელი მიღწევები და მათზე დაეფუძნებინა სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის შესახებ თავის მოსაზრებათა არგუმენტაცია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ენათმეცნიერება, როგორც მოძღვრება ენის შესახებ, საქართველოში ჩამოყალიბებული არ იყო, თუმცა ამ დროისათვის მოიპოვებოდა ქართულ ავტორთა გამოკვლევები ქართული ენის შესახებ, ავტოთვე ამ ენის გრამატიკები. ი. ჭავჭავაძე საქართველოში ერთი პირველითავე იყო, რომელიც შეეხო ენათმეცნიერების ზოგ ძირითად პრინციპულ საკითხს. სხვადასხვა დროსა და ადგილას გამოთქმული ენათმეცნიერული შეხედულებანი საჭირო სისრულთ წარმოვიდინენ მის ლინგვისტურ კონცეფციას".

ილია ჭავჭავაძე უთუოდ განიცდიდა ენათმეცნიერებაში ნატურალისტური სკოლის გავლენას, როდესაც ენას ორგანიზმად მიიჩნევდა. მართებულად შენიშნავს გ. შალაშვირიძე ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ ანალოგია ენასა და ორგანიზმს შორის არსებობდა მდლარი იყო, მაგრამ მას ერთგვარი მნიშვნელობა მონაცემი ჰქონდა, რადგან, როგორც ცნობილია, „ნატურალისტს შეცდომებთან ერთად გარკვეული პალწევებიც მოეპოვებოდა. კერძოდ, ელია წიგნად შენიშნავდა ფაქტს, რომ ენის ცელა აღმინის ნება-სურვილები არაა დამოკიდებული“. ილიას კარგად ჰქონდა ვაგებელი ენის კომუნიკაციური ფუნქცია, რომ ენა ახროგენების აბრალია, და სხვ. ნაშრომში მშვენივრად არის დასაბუთებული ილიას სალი და შედარებითად უთუოდ მისაღები თვალისაზრისი ლექსიკის განვითარების საკითხებზე. ნაშრომის შემდგომი თავი ითვალისწინებს ილიას შეხედულებებს ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკურ შედგენილობაზე. ილიასათვის შუემწიველი არ დარჩენილა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის სიმდიდრე. იგი ჩვენი ენის განსაკუთრებულ თვისებად მიიჩნევდა ზნის ფორმათა მრავალფეროვნებას, ყურადღებას მიაქცევდა კუბოპიური ფორმების თავისებურებას და სხვ.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, წინაშე იმოთხოვნივე მწიველ დასევა ქართული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის პრობლემა. ახალი ქართული საწერლობო ენის სტრუქტურის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ლექსიკონის გადამიღობებს და იმდრომოქმული სიტუაციით მასალის უქცედებას, რომელიც საითვეებს არქაულ ლექსიკაში პოვლობდა. იმდროინდელი ქართული ლიტერატურის მასა-

ზრდობელი წყარო ძველ საუკუნეებში შემთავებული ლექსიკური მარაგი იყო; ცრცხელი შეხედულებიდან მომდინარე სიტყვებსა და გამოთქმებს მწერლობაში გზა დასწული ქონდა. არქივისში თავგამოდებით ებრძოდნენ ისეთი ლექსიკური ერთეულების შემოტანას მწანობრულ ენაში, რომლებიც ნიშანდობლივი იყო ე. წ. „მდამიური მეტყველებისათვის“ და არ ევებოდნენ ტრადიციული ლექსიკის ტრადიციულ ფეოდალურ-კლერკალური იდეოლოგიის წარმომადგობელი აზარბდენენ „მდამიური შტილის“ დორნების დანერგვის და ენის დაქვეითების საწინდრად მიიჩნევდნენ ხალხური ძირეული სიტყვების ამოტივტავებას მწერლობის ენაში.

ახალი სალიტერატურო ენის კანონიზაციის ინტერესი მოითხოვდა, ერთი მხრივ, თეორიულად დასაბუთებულყო არქაიზებული სიტყვერი ფონდის დრომოქმელობა და, მეორე მხრივ, ლიტერატურული პრაქტიკის გზით გრნობიციელებულყო ქართული ენის ლექსიკის დემოკრატიზაცია. ეს ძალიან რთული პროცესი იყო, და ილია ჭავჭავაძემ ამ მიზართულებით შეცაღ ვაგებელი ნაბიჯი ვადადა.

ნაშრომში ეს პროცესება სათანადო სიღრმითა და უხვი მასალის მოტანით არის ნახვენი. ნათლად გვიჩვენებს ავტორი, თუ რა ვონებაშახვილურად ვერდნობოდა ილია ზოგიდლექსიკურ წინამძღობებს, დებულებებს და მათზე დაყრდნობით ახალ სიტყვებს, ახალ ტერმინებს ადგენდა და ავრცელებდა. შრომაში დასახელებულია მრავალი ნეოლოგიზმი, რომლებიც მიეწერება ილია ჭავჭავაძეს, ახალი ტერმინები, რომელთა შემთავება ცხოვრების აუცილებლობამ დაბადა. გ. შალაშვირიძე სიტყვებით დამაჯერებლად აანალიზებს ახალ სიტყვებს, რომლებიც ქართული ენის მორფოლოგიის კანონთა მისებულობით შედგენილი, რაც საწინდარია მათი დამკვიდრებისა და ვავრცელებისა. ვარჩევია ისეთი სპეციალური ილიაეული ტერმინებიც, რომლებიც არ დამკვიდრებულა ენაში (ე. ი. ივლისსმევა პოლიტიკური ეკონომის ზოგიერთი ტერმინი). ავტორი აღნიშნავს: „რუსული სიტყვეამოთქმების ვადმოჭართულების იმ 85 შემთხვევიდან, რომლებიც ილიას საწერების აბტომულში ვვხვდებოდა... ზოგი ისეთია, რომელმაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და შევიდა ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, მაგრამ ზოგ მათგანს ეს ბედი არ ეწია“ (გვ. 60). ამგვარი ფორმების ანალიზი ზოგ ნაწილში ვერდნობა პროდ. ავცი შინაის გამოკვლევას (ა. ი. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“), სადაც გამოთქმული და დასაბუთებულია ძირითადი მნიშვნელობის დებულებები ჩვენთვის საინტერესო საგანზე.



დიად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიფიტენ, ვადარებდნენ და ელარ გამოხატავენ მათში ნაჭარბოდ ცნებას, ამგვარი სიტყვა ილიას რწმენით, ჩვენი დღევანდელი ენის დაქვეითების მომასწავებელია და ამიტომ საჭიროა ზრუნვა მათი ისტორიული უფლების აღდგენისათვის. „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“ — ამ ფორმულით პონათლა ილიამ ცნებაგაღარიბებული სიტყვები, რომლებიც მჭერმეტყველური დადასტურება იმდროინდელი საზოგადოებაზე ცხოვრების დაქინებისა და გადაგვარებისა.

ასეთია, მაგალითად, სიტყვა მამული. „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ჭონდრის აქვს თავისი მიწა წარმოუდგება ხოლმე“ ამბობს ილია. ეს ზოგადი ცნების, სამშობლო ქვეყნის აღმნიშვნელი სიტყვა გამოიფიტა და ეწიროდა და ამ პროცესს ილია უკავშირებს იმ იდეის გაქრობას, რომელიც ჩამარხულია ხსენებულ სიტყვაში. „მამულისათვის პირობა ეხლა სასაბარტოში შეტანილი ღერბიან ქალღმრულ სადავო სანივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგვებულის საქმის განაჩენის პირია, ყეროვანდ შემოწმებულო; მამულის სამაგრე — ტურქული ღობეა, ვენახ ვარშემო შემორტყმული; მამულის პატრე — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა — მხენელისა და მთესველის სახელიცა“.

სწორედ ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა მამულის ადრინდელი გავება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც სამშობლოს სინონიმი.

წიგნში გარჩეულია სიტყვები დედაცა და პატრეც და სხვა, რომლებიც ილიამ სემანტიკის თვალსაზრისით განიხილა.

სანტრეცი იყო, ავტორის ყურადღება მიექცია ილიას სიტყვებისათვის — „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“ და იგი ფორმულის ხარისხში წარმოედგინა, ხაზი გაესვა მისთვის, როგორც გარკვეული კონცეფციის გამოშახველი შეტად მოხდენილი ფორმულისათვის.

გ. შალაშვირამ საგანგებოდ ჩერდება თავის შრომაში ილია ჭავჭავაძის პოეზიის ენის დახასიათებაზე და თავდაპირველად გვაცნობს ა. ფერცელაის, ი. ცაგარლის, ა. წერეთლის, სილ. ხუნდაძის შეხედულებებს ილიასეული პოეტური ენის თავისებურებებზე. შემდეგ დაწვრილებით გარჩეულია არქაიზმები ილიას ლექსებში (ძველი ზმნისწინები, მსახურებულ-საზღვრებლ ადგილი, მასდარული კონსტრუქცია და სხვა მრავალი).

დიად საყურადღებოა დილაქტიზმების გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის ენაში. ცალ-ცალკეა განხილული ამ თვალსაზრისით ილიას პოეზია,

პროზა და პუბლიცისტიკა და უხვი მასალის ფართო ანალიზის გზით საკითხი შესწავლილია საკმაო სიცხადითა და სიღრმად.

გ. შალაშვირის ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი მწერლის ენის ახასიათებს არა მხოლოდ ფონეტიკურ გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით — ამ ვრცელი ანალიზი მოცემული ილიასეული მხატვრული ენის სტილისტური თავისებურებებისა, ამ პრობლემას მიეძღვნება გამოკვლევის მე-6 თავი, რომელიც ნაშრომის ერთობ საინტერესო ნაწილია. ამ წვეთ ვეცნობით მწერლის მხატვრულ გამოშახველობის ხერხებს, მისი ენის ექსპრესიულ მხარეს, პოეტიკის თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებებს, რაც ზრდის შალაშვირის გამოკვლევის მეცნიერულ ღირებულებას. ამ თავმოყრულია ავტორიზმები, ინფაზები, ილიზმები, ხალხური სასუქო ფრაზები, სურთოდ — ფრაზეოლოგიური შენაერთები, უმდიდრესი მასალა, დამადისტრუბული ილიასეული მხატვრული ენის სტილისტიკისა და სიღრმისა.

ამ გრძელ ძალიან საინტერესოა ზედსართავება და ზმნისებობა, გამოყენებული ენის ექსპრესიულობის ვასაძლიერებლად. „მხატვრული ნაწარმოების ექსპრესიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა საშუალებით აღიერებს ავტორი ამა თუ იმ სიტყვით ვადმოცემულ შინაარსს. ამ მხრივ განსაუთრებული არიო აქისრია ატიბუტული ზედსართავ სახელებს არსებით სახელებთან, ხოლო ეითარების ზმნისებობა — ზმნებთან. მსახურებლად გამოყენებული ატიბუტული ზედსართავი სახელი არსებით სახელს რომელიმე კონკრეტული ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს და ამით საგნობრივ წარმოდგენას თვისებრივ ნიშანს ურთავს... ეს თვისებრივი ნიშანი ზმნისაც დაერთვის ეითარების ზმნისებობის სახით“.

ამიტომ გ. შალაშვირის ენის შესწავლისათვის უცილებლად მიაჩნია დადგინდეს ენის გამოყენების ამ საშუალების გამოყენების არე, რისთვისაც, მისი აზრით, საჭიროა მსახურებულ-საზღვრული სახელებისა და ეითარების ზმნისებობის ინდექსთა შედგენა.

შრომაში წარმოდგენილია ილიას მოთხრობების მიხედვით შედგენილი ისეთი ინდექსები, რომელთა მეცნიერული ღირებულება სრულიად უდავოა.

ცალკეა შესწავლილი ფრაზეოლოგია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების მიხედვით. ამ საკითხს მიეძღვნება შრომის უაღრესად საგულსხმო ნაწილი — მერვე თავი... ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც არაკვევა, ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში სხვა-

დასჯე წყაროდან მომდინარეობს. ესენია: 1) მხატვრული ნაწარმოებიდან აღებული აფორიზმები, 2) ხალხური სახალხო სიტყვის მასალა და იდიომები, 3) საეკლესიო-წიგნური დრამატოლოგია, 4) ანდაზები.

ნაშრომში დაწერილებით არის შესწავლილი ეს წყაროები და მასალით ილუსტრირებული საინტერესოა გამოხილული ამ მასალის ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური ცვლილებები ილიას ენაში.

გ. შალაშვილის გამოკვლევა ფუნდამენტური ნაშრომია, სადაც დახასიათებულია ილია ჭავჭავაძის თეორიული მოსაზრებები ენის შესახებ, გამოყვანილია მწერლის ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ - ლექსიკური და სტილისტური თავისებურებანი, შესწავლილია ხალხური მეტყველების ელემენტები მწერლისეულ ენაში და, ასე და ამრიგად, მონოგრაფიული წესით წარმოჩენილია ილიას ენობრივი ფენომენი, უაღრესად საგულისხმო და სინტეტურად ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით.

გაქვს ზიციერთი შენიშვნა.

1. პირველი შენიშვნა ეხება შრომის სტრუქტურას. წიგნის მე-4 თავში გამოყოფილია ქვეთავი: „ღ. ჭავჭავაძის პოეზიის ენის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკაში“. აქ ავტორი ახსენიებენ იმ პირებს (ცაგარელი, წერეთელი, ხუნდაძე და სხვა.), რომლებიც აკრიტიკებდნენ ილიას ენას. მაგრამ სადაა აქ ჭორჯაძის, ბარათოვის, ილია-მუსხივეისა და სხვათა კრიტიკული შენიშვნების ანალიზი? ეს ანალიზი მოცემულია ნაშრომის I თავში. ცხადია, ისინი ერთად უნდა უთვლილყვნენ წარმოდგენილნი.

2. შესამე თავს ეწოდება „ილია ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ“. მართლაც, აქ გადმოცემულია ილიას შეხედულებები ქართული ენის ავებულების შესახებ. მაგრამ აქვეა, ამავე თავში, ილიასეული ნეოლოგიზმების ანალიზი. ცხადია, აქ მათი ადგილი არ არის; სხვა საკითხია ილიას მოსაზრებები ქართული ენის შესახებ, ილიასეული დახასიათება ქართული ენისა და სხვა საკითხი — რა ახალი სიტყვები შემოიტანა მწერალმა სალიტერატურო ენაში? ერთმანეთისაგან უნდა გამოიწილიყო ილიას ზოგადეთაობრივი მოსაზრებები ენის შესახებ და ილიას ზრუნვა სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების (ეკრძოდ, ტერმინოლოგიის) მოგვარებისათვის.

3. შენიშვნა ეხება ილიასეული ნეოლოგიზმების საკითხს.

ჭერ-სათი, საქპრო იყო ავტორს იდენიშენა, რომ ზიციერთი სიტყვის შესახებ პირდაპირი მითითება არსებობს, ესა და ეს სიტყვა ილიამ შექმნაო. ამ მხრივ საყურადღებოა პეტრე უშვიკაშვილისა და იონა მეუნარეას მიერ მოწოდებული ცნობები. აი რას ამბობს უშვიკა-

შვილი: „ილია ჭავჭავაძემ... მისეულ ახალ-მომართლებებზე ჩვენს ლიტერატურას. მისი კრიტიკულ სტატიამდინ არც ერთი ცნობა არის მიმართულება ლიტერატურისკენ... ცნობისათვის ამ სიტყვის შემოღება — „მიმართულება“ ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის“ (1872 წ. „კრებული“). იონა მეუნარეას ცნობით, ილიას მიეწერება სიტყვები ძ ა ლ თ ა ს წ რ ა ფ ვ ა, თ ვ ა დ თ ა ხ ე დ ვ ე ს ის ა რ ი (ი. ჭავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება“, გვ. 195).

ეს—ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი სიტყვა, ილიას მიერ შექმნილად აღიარებულია, შეიძლება არც იყოთ ილიას მიერ მოგონილი. მოვლითად, ნაშრომის 59-ე გვერდზე ვკითხვლობთ: „პოლიტიკური ეკონომიისათვის ტერმინია ინჟინ რომელიც ილიას აღებ-მიცემობდა“ უთარგმნიაო“. საქმე ისაა, რომ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში (რომელიც ადრე შედგენილი), მოცემულია აღებ-მიცემია, თუმცა უთარგმნელად. ამას გათვალისწინება უნდა.

შემდეგ.

ილიასავე მიეწერება სიტყვა ს ა ე რ ო რ ე უ სული „народный-ს შესატყვისად. აქად დასაფიქრებელია ის ვარაუგობა, რომ იმავე ნიკო ჩუბინაშვილს უწერია ს ა ე რ ო რ ე თ ა დ მ ი საკუთნაი, народный“.

ილიასეულ სიტყვადაა მონათლული სიტყვა ფ ა ს ი რ უ სული цена-ს შესატყვისად. ჩავხედოთ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონს. აქ წერია: ფ ა ს ი — цена მ ა შ, სიტყვა ამ გაგებით ილიამდის არსებულა.

ილიასვე შეიქმნა სიტყვა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ценности-ის შესატყვისადო (გვ. 59).

საჭირო იყო ამის აღნიშვნა, რომ ქართულში ილიამდის არსებობდა ღ ი რ ე ბ ა (შდრ. საბა ირბელიანი: „ფასის დაღება“), ღ ი რ ე ბ უ ლ ი (შდრ. ნ. ჩუბინაშვილი: „ფასიანი, ფასის მექონი, ценный, имеющий цену). შესაძლოა მხოლოდ ეს ვეთქვა, რომ აბსტრაქტული ტერმინი ილიამ აქედან აწარმოვა (ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა). ამგვარი მსჯელობა უფრო ზუსტი იქნებოდა.

ქართული სიტყვა ქ ო ნ ე ბ ა -საგან წარმოებული საჭ ო ნ ე ლ ი ილიამ რუსული товар-ის შესატყვისად იხმარა. ეს სიტყვა, როგორც პოლიტიკური ეკონომიის ტერმინი, დღესაც იხმარებაო“, ნათქამია 58-ე გვერდზე.

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში კი ვკითხვლობთ: ს ა ქ ო ნ ე ლ ი — მონაგარი ნივთი, ანუ თეთრი საფასე, имущество, достаток—|| სავაჭრო, ნივთი განსაფარდველნი, товар...“ მაშ, ს ა ქ ო ნ ე ლ ი ТОВАР უფრო ძველი ამბავია.

აქვე გვინდა შევნიშნოთ შემდეგ:

მე-9 თავში განხილულია სიტყვაწარმოების ზოგიერთი ნიმუში ილიას ენაში. ამ წარმოდგენილი ძალიან საინტერესო მასალა, ამოყრდენილია ილიას იმპულსებიდან უმარავი სიტყვა, საყვარლისა ქართული სიტყვათშემოქმედებით პროცესების შესასწავლად. ოღონდ სასურველი იყო, ავტორს წარმოედგინა დიფერენცირებელი მასალა: აქ ერთმანეთის გვერდითაა მოცემული დიალექტური, ლიტერატურული, არქაული და ინდივიდუალური ილიასეული ფორმები. მაგალითად, არ შეიძლება ერთმანეთს მიყოლებით მოვათავსოთ სავლესი, სასიხლო, საქვეთური, სანანური, საკვეხური, სათაური, ეენახიანობა, მამეულობა, მონაობა, მესტორი, საცხოვრისი, დესაქლისი, ზედგავენა, ხელსავეს და მისთანანი.

4. ილიას ნების ზოგიერთი მხარე კრიტიკის საგანი იყო ზეენს მწერლობაში. გ. შალამბერიძეს სრულად აქვს ვადმიცემული ჯორჯაძის, ბარათოვის, ფურცელაძის, ავაკის, პროფესორ ცაგარლის, სილ: ხუნდაძისა და სხვათა კრიტიკული შენიშვნები. სასურველი იყო გ. შალამბერიძეს ეთქვა—არ არის მართებული ან არამართებული ამ ავტორთა ვრცელ კრიტიკულ განხილვაში. მონოგრაფიას, რომელსაც ეწოდება „ილია ჭავჭავაძის ენა“, ევალბოდა, ზემი აზრით, გაცვა პასუხი, თუ რაში ედებოდნენ კრიტიკოსები და რაში იყვნენ მართალი ილიას ენის თაობაზე გამოიღვი დისკუსიაში. ცხადია, გ. შალამბერიძემ კარგად იცის, რომ არაერთი მკვლარი ფორმა დაუწუნეს იდე ილიას, როდესაც იღნიშნავს: „თუმცა ზოგ მთავანში მინდ არის ობიექტური ჭეშმარიტების მარცხდები“ (გვ. 76), მაგრამ ეს ზოგადი გაწყობა კონკრეტობისათვის მოითხოვდა.

5. გ. შალამბერიძე ეხება ლიტერატურა პოეტრიკის ნიმუშებს ილიას ენაში. იგი ამბობს: „ავტორი წინასწარი განზრახვით, შეგნებულად არღვევს გრამატიკულ ნორმებს... იყენებს იქ თუ არა ფორმებს, რომლებსაც პროზაში არ იშინად“ (გვ. 93).

არა იშინა ამ მავალითებში: „ან შენ გეცმა რა იცოდი“, „მზარავ ძალი“, „მაცდურ იმედმა“, „სიკვლა წმინდა სანთელს“, „მგრამ რამდენად მშენიერი ხარ“, „ჩვენი სახლი აღარ ვარდა“, და მისთანანი, რომლებიც დასახელებულია შრომაში, შეგნებულად იყოს დაშვებული ავტორის ენობრივი დასუსტები. მით უფრო უკრ დავითნებებით ავტორის, როდესაც ამ ტიპის მავალითების დასახელების შემდეგ ვლავ დასძენს: „ილია გრამატიკულ ნორმებს შეგნებულად არღვევს, რათა ამაო ლექსის რიტმი და რითმა დაიცვას, მაგრამ იგი გრამატიკული ნორმების დარღვევისას, პოეტური თვითნებობისას, აზრს მავნი

მაღლა აყენებს, რადგან ამ ლექსში მართო „ტებილი ხმები“ არ აინტერესებდა, როგორც წმინდა ხელოვნების მკვლევართან (გვ. 95).

6. გვამებს ზოგიერთი შენიშვნა ნაშრომის ბეხეთე თავის მიმართ, სადაც წარმოდგენილია დიალექტური ილიას ენაში.

მე ვფიქრობ, აქობება ნაშრომში გამოყენებული ერთმანეთისაგან დიალექტური მწერლისეულ ენაში და დიალექტური მოვლენები პერსონაჟთა მეტყველებაში, არ არის საჭირო იმის იღნიშვნა, რომ ესა თუ ის მოვლენა „მოქმედ პირთა მეტყველებაში უფრო ხშირად გვხვდება“ (გვ. 101), „ამ მოვლენას ხშირად პერსონაჟთა მეტყველებაში ვხვდებით.“ (გვ. 102) და სხვა.

შემდეგ, ზოგიერთი ენობრივი მოვლენა, ამ თავში განხილული, არ არის დიალექტური, და რატომ ნიშნავს ამავარი ფორმები იქ, სადაც განხილულია არალიტერატურული მასალა ილის ენაში? ასეთია, მაგალითად, ზედსართავი სახელების ხელოვნური ფორმები: „უუ წმინდესი, უუ მაღლესი, უუ შეცნიერების და მისთანანი.

ასევე არ შეიძლება დიალექტურად მოგონოლოთ მეტრე, ფართოდ დამოწმებული კუსული საუკუნის პრესაში.

ასევე გაუმართლებელია მრჩობლი სუფიქსის (მ) განხილვა ამ დიალექტოლოგიური ხასიათის თავში. როგორც ენობლილი (და ეს გ. შალამბერიძეს კარგად მოეხსენება), მს სუფიქსი გვხვდება IX—XI საუკუნეებში — ბადან სიხვე ვარდამავალ პერიოდში, როდესაც, აკადემიკოს ა. შანიძის სიტყვით რომ ეთქვას, „პავს მთლად არ უნდა ქრონოდა, დაკარგული თავისი ბერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაბალტრებული სანთან, რომ ახალი ბერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მავიერად ირის უსმაროთ“

ამავე თავში გარჩეულია ამ ტიპის ზნური ფორმები: აქვსო, გქონდესო, შეშვენიოსო და მისთანანი და მისთანანი (ს სუფიქსთან გვამებს 3 ან 2 ობიექტური პირის სიმრავლის გამოხატველი სუფიქსი).

არც ეს ფორმა დიალექტური. ჟარ კიდევ 1921 წელს, როდესაც დაიბედა წიგნი „სალიტერატურო ქართულინათვის (პროექტი ქართული ორთოგრაფიის საფო საკითხების მოსაწესრიგებლად)“, რომელიც შეადგინა სპეციალიტმა კომისიამ ავაკი შანიძის თავმჯდომარეობით (კომისიაში შედიოდნენ ვ. ახლელიანი, კ. კეკელიძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე), განიხილა ამავარი ფორმები, გაყრდენებული ენაში, და სათანადოდ დადგენილებაც მიიღო. შემდეგ ლიტერატურულ ენაში მათი დამკვიდრების ერთგული მომხრე იყო ს. გორგაძე. ასე

რომ, ეს ფორმა დიალექტისათა რიგში შეიძლება არ მოეკითხოთ. ჩვენს დროშიც დაისვა საკითხი ამ ლიტერატურული ფორმის შესახებ ხოლო კომპლექსის გამარტივებისაკენ მიდრეკილების გამო, დაქანონდა სან-დაკარგული ნორმა (არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით).

ამავე თავშია მოქცეული მსახლერულ-სახლერულის ბრუნვაში სრული შეთანხმების ნიმუშები: „გუშინდელს საოცარს ამბავს“, „გამბორტებულს გულს“, „მკაცრს მტრულაბავს“ და მისთანანი... ესენი ხომ არქველა ლიტერატურული ენის მოვლენებია!

ასევე უღვილოა შრომის ამ ნაწილში ამ ტიპის მსგავსებების — „მდაბურის ნენით“, „თბილის წყლით“ განხილვა.

7. გ. შალაშვირძის აღნიშნული აქვს, რომ „განასხვავებენ სხვადასხვა სახის სინონიმებს. ესენია: ლექსიკური სინონიმები... გრამატიკული სინონიმები... სტილისტიკური სინონიმები...“ (გვ. 160) ამ კლასიფიკაციის მიხედვით შრომაში განალიზებულია კონკრეტული მასალა. მაგრამ ზემოხსენებულ საჭიროებს სინონიმების აკლია ერთი, ესაა, სინონიმური სინაქსიზმი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში გამოყვეთილდაა გამოყოფილი და თავისუფლად უცხოური სიტყვის დანერგვის ერთ-ერთ ხერხად, ენაში რომ ბუნებრივად დაჰკვიდრებულა უცხოური დროიდან. ეს რომ ატყობს მოპოვნეობდა, მაშინ თავიდან ავიცილებლით სინონიმური რიგების იმ გაუდფერტყენიერებულ მასალას, რომელიც ერთად მოქცეულია 161 გვერდზე განალიზებულ „სინონიმურ არსებით სახელებში“. სახელდობრ, აქ ერთ სიბრტყეზეა დასახლებული მაგალითები, ერთი მხრივ, „პირველთა და უფროსთა“, „სახარული და ლენა“, „სახლი და ოჯახი“, და მეორე მხრივ, „ხეყნა-მუდარა“, „ვარამი და ქირი“. აქ პირველი რიგის ნიმუშები რელიტიური სინონიმებია, მეორე რიგისა კი — აბსოლუტური სინონიმების ტიპისა. პირველი ტიპის ნიმუშები სტილისტიკური აუცილებლობით არის გამოწვეული, მეორე ტიპის ნიმუშები კი ენაში დანერგილი ძველის-ძველი ფორმებია, რომლებიც ასახავენ უცხოური და ადგილობრივი სიტყვების ერთობლიობას, ამთავითვე რომ ენაში დანერგიულა უცხოური სიტყვის გავრცელების მიზნით. ეს არის არა ერთგვარი პოეტური ფიგურა, შეუცნობელი ტავტოლოგია, სტილის საჭიროებითა გამოწვეული, — როგორც ვგონა ნაკო მარს, როდესაც ანალოგიურ ფაქტებს არკვევდა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, — არამედ წმინდა ენობრივი აუცილებლობით გამართლებული სინონიმური წყვილები.

8. ვერ დავეთანხმებით გ. შალაშვირძეს, როდესაც ამბობს: „ი. ჭავჭავაძის ემარჩევა

პოეზიაში პერიოდებით შეტყუვლებია რაც ლექსს კი არ ამიძინებს, არამედ უფრო ძაბავს მითხველის უფრადლებას და აძლიერებს წამოთქმული აზრის ემოციურობას“ (გვ. 199). არ მგონია, ვრძელი პერიოდები ლექსის სამკეთელი იყოს და მისი ღირსების ერთ-ერთი კომპონენტი. არა, პერიოდები მხატვრული პროზისთვისაც შეუფერებელია, თუმცა ლიტერატურის ისტორიაში იცის მაგალითები, როდესაც რომელიმე დიდ პუბლიცისტს მოხსენილად აქვს ეს სინტაქსური ხლართი გამოყენებული.

9. გამოკვლევაში კარგად არის წარმოჩენილი ილიას ზრუნვა ქართული ტერმინოლოგიისათვის და დიდი ამაგი, რომელიც დასდო ჩვენმა მწერალმა ამ საშვილოშვილო საქმეს. კ. შალაშვირძის საამისოდ მეტად მდიდარი და საგულისხმო მასალა აქვს სისტემაში მოყვანილი და სათანადოდ განალიზებული.

აქ ჩვენ დავუმატებდით ერთ მნიშვნელოვან ცნობას.

ილია აქტიური წყვირი იყო ტერმინების შემუმუშავებელი კომისიისა და მის ავტორიტეტულ სიტყვას მეცნიერებისა და ტექნიკის ცნებათა ქართულად დადგენაში მუდამ ანგარიში ეწვიდა. სინტაქსისა მიმდინარეობა ტერმინოლოგიური კომისიის ერთი კრებისა, რომელიც მონაწილეობას იღებდნენ ქართული ენის მოპირახეულ ჩვენს სახელოვან მწერლებში. აი, ამ კრების შესულობა. „20 ნოემბერს 1882 წ. ტფილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში შესდგა კრება, თ. რაფ. ერისთავის თავმჯდომარეობით. ლულაქმ მოახსენა კრებას, რომ ამ საღამოსათვის უნდა ყოფილიყო სწა ართმეტიკაცია და ფინანსის სახმარის ტერმინებზე. ეს ტერმინები მე კიდევ შეეკრიბეთ“. გამართულა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ აკაკის, ვოგებაშვილს, მანაბელს და სხვებს. ბოლოს კრებას მოუწონებია ილიას აზრი და შესდგომიან საქმეს. სპეციალური ტერმინების შეჩვენა დაუწყიათ ართმეტიკიდან („შრომა“, 1882 წ., № 46. შტა. ა. შანიძე). ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ზრუნვდა დიდი ილია სპეციალური მეცნიერული ტერმინოლოგიის დასადგენად, და ეს ისტორიული ცნობა უფოდ დაამშვენებდა წიგნის იმ ნაწილს, სდაც საუბარია ილიას ტერმინოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ.

10. ასევე დაამშვენებდა ნაშრომს იაკობ მანსვეტაშვილის მეტად საგულისხმო ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ რანდევდა და ამალაშინებდა ილია დასახებულ ტექსტს, კერძოდ, როგორ იბრძოდა იგი რუსიციზმებით ქართული ენის სინტაქსური კონსტრუქციების შებლადის წინააღმდეგ. როგორც აღნიშნულია, რუსიციზმებით გამოირჩეოდა ცნობილი პეტ-

ლიცისტის — ილია ხონელის კორესპონდენციები. ილია ჭავჭავაძე. თანახმად მანსკვეტაშვილის მიგონებისა, დაიწყო ილია ხონელის წერილების „ქართულად მონათვლას“, შევიდოდა სიტყვების სივრცე-სიღრმეში, დაიწყო მერტყვევლების საღაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებსას და ქართული ენის სიმდიდრედან... მარგალიტებს გადმოგვიყვანდა. ერთ-ერთ ამ საგანძურს ჩავსვამდით იმ ადგილას, სადაც... რუსიციეში იყდა, ფელეტონს სულ სხვა ფერბი დადებოდა, ქართული ნათელ-მისრონი ეცხებოდა“.

11. უნდა შევედგო გ. შალამბერიძეს იმის გამო, რომ მან უფრო ფართოდ არ შეაჩერა ყურადღება ილიას ლექსიკონის ფრაგმენტებზე, მათზე მხოლოდ ვაკეობთ ლაპარაკობს. ა. შანთელ ვაუწყებს, რომ მას ივ. ჭავჭავაძისაგან პქონდა ვაგებელი, რომ პრაფ სპ. ვორსაღაძეს მისთვის უამბნია, ილიამ მიჩვენა ხელნაწერი, რომელიც ქართული ენის ლექსიკონს წარმოადგენდა. ამ ლექსიკონის მასალები აღმოჩნდა 1957 წელს და დაიბედა კიდევცა გამოკვლევის დართეთ, სადაც ვეწობით ამ ლექსიკონის შედგენილობას, წყაროებს და სხვა. გ. შალამბერიძეს კი დაწვრილებით უნდა მოეწოდებინა შეთხველისათვის ცნობები ამ ლექსიკონის თაობაზე. ილიას სალექსიკონო შემოთბა ცალკე კვლევის ობიექტია და ამყრად მას აქ არ განვიხილავთ. — ნათქვამია ნაშრომში. რა იგულისხმება ამ დარბოში, არ ვიცი. გ. შალამბერიძეს, მე ეფიქრობ, არაფერი დაუტოვებია ილია ჭავჭავაძის ლექსიკოლოგიურა მოღვაწეობის დასახსნათებლად და ამ ახლდ-მიკვლევული სალექსიკონო ფრაგმენტების დაბასიათება რატომ უნდა გადაეღო შემდგომისათვის; ეს შევსებდა წიგნის ამ თვალსაზრისით მერტდ მიიღარ და, შეიძლება ითქვას, ამომწურავად შიხაზულ სერათს.

12. გამოკვლევაში მოცემულია ვრცელი და საინტერესო ანალიზი ფრაზეოლოგიებებისა ილიას ნაწერებში. კერძოდ, ნაჩვენებია, თუ ილია ჭავჭავაძის ენობრივ ქსოვილში რა ვართი-აციებით არის ჩაწული ანდაზები და საანდაზო მასალა, რთულ ქვეწოზილ წინადადებაში შერალი ანდაზებს იყენებს სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებში. ამ დიდძალ მასალაში ორიოდ ნიმუში დამაზუსტებელია. მაგალითად, დაწვებით დამოკიდებულ წინადადებად არის შინაგულ შემდგვი ნიმუშები: „ერთი იმ კანონთავანი ის არის, რომ, რაც შენ არ უინდა მოგივიდეს, იმას სხვისთვის ნუ მოინდომებო“ (გვ. 267) აქ კი გვაქვს ქვემდებარეული წინადადება. ანდაზა მიხეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებადაც გვხვდებაო და მშვენიერად შერჩეულ მაგალითებში ვაბარუ-და ერთი წინადადება, რომელიც სხვაგვარ შეფასებას იმსახურებს: „რაკი ასეა, მამ უღა

ვენახოთ, მამა ეუნახოთ შვილი ისე გარეჯახოთ ქართულას ანდაზისებრ (გვ. 278). აქ დამოკიდებულება პირველი — რაკი ასეა, მამა უღა ვერო — მთავარი; ანდაზა კი მოცემულია მთავარის სახით და არა დამოკიდებულისა. მიხეზის გარემოებითი წინადადებას კონსტრუქციად ვერ მივინვეთ აგრეთვე ამას: „გვმკვდრები ჩვენ რად უნდა შეგვანახუნონ? იმიტომ ხომ არა, რომ ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მივგდო, დიდი თვეი ვაქვს და იტრეო“. (გვ. 278). აქ ორი წინადადებაა, სრულიად დამოკიდებელი, ხოლო ცოტა ქვეშით რომ აღნიშნავს ავტორი, იმიტომ კავშირიაო, ამაში ვერ დავეთანხმები, რადგან რგი კორელაცია და არა კავშირი.

„ანდაზის ზოგჯერ წინ უძღვის სიტყვა მართალია, რომელიც გვიჩვენებს ავტორის დამოკიდებულებას ანდაზის დედაზრისადმიო“, — ამბობს ავტორი (გვ. 278) დამოწმებულ მაგალითებში კი მართალია კავშირია, თუმცა-ს ბადალია. იგი ეტიმოლოგიურად შეიძლება ამგვარი კვალიფიკაციის საფუძვლს იძლეოდეს, მაგრამ ენის განვითარების დღედელდ საფეხებზე მართალია პირველყოფილი შინაარსისაგან დაცილია და მხოლოდ კავშირად გვევლინება. რაც შეეხება ცოტა ქვეშით დასახებულ მაგალითს — „მართალი ნათქვამია, — როგორიც აღბას ისეთი ზალხანია“, ეს კი მშვენიერად დასატრეტებს ავტორის აზრს, რაკი აქ მართალი კავშირი არ არის.

